119
1938/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

11

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ
1938

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Библиотека при ЦК ВКП (б)

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთხუთმეტე

11

ნოემბერი

სახელგამი

საქართველოს
პარლამენტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, მაჩაბლის 13,
მწერალთა სასახლე
ტ. 3-71-84

კანტორა:
ტფილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მგ. რედაქტორი — ალიო მაშაშვილი

პ/მგ. მდივანი — ლევან ასათიანი

გად. წარმ. 28/XI — 38; ხელმ. დასაბ. — 17/XII 38 წ.
შეკვ № 2248; მთავლ. რწმ. № 3781. ტირ. 5.500.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ი. ბ. სტალინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლუციის ოცდაერთი წლის თავი

ოცდა ერთი წლის წინათ, ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის და მემამულეთა ხელისუფლება და დაამსხვრია, როგორც კლასობრივი, ისე ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის ბორკილები. პროლეტარული რევოლუციის მზემ თანაბრად მოჰფინა თავისი სხივები რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალ ყველა ეროვნებას; გააფთრებული მტრების მთელი ურდოები მიესივნენ ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკას. საერთაშორისო ინტერვენტები და მეფის გენერლები ყოველი მხრიდან თავს დაესხნენ ჩვენს მიწა-წყალს, თოთხმეტი სახელმწიფო ცდილობდა ჩვენი თავისუფლების სისხლში ჩახრჩობას, მაგრამ სამშობლოს დასაცავად ფეხზე დადგა ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი და სამოქალაქო ომის წლებში — ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მეთაურობით — ფოლადის ხელით მოიგერია შემოსეული მტრის ურდოები. მძვინვარე სამოქალაქო ომის წლები სამეურნეო მშენებლობის წლებმა შესცვალეს.

ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მილიონებმა ულრმესი გატაცებით და აღფრთოვანებით იზეიმეს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მეოცდაერთე წლისთავი. განვლილი ოცდაერთი წელი — დაუდეგარი და ტრიუმფალური წინსვლის წლები იყო, ამ წლების მანძილზე სოციალიზმი პროგრამიდან ცოცხალ სინამდვილეთ იქცა, მთლიანად გამოიცვალა ჩვენი სამშობლოს სახე. ჩვენი ქვეყანა ახლა თავისუფლებისა და მშვიდობიანობის უძლეველ ბურჯს წარმოადგენს, სადაც ნამდვილად განხორციელებულია ადამიანის უდიადესი უფლებანი და რომელსაც იმედის თვალით შესცქერიან მთელი მსოფლიოს მშრომელები.

ოქტომბრის რევოლუციის ყოველ ახალ წლისთავს საბჭოთა ხალხი ახალი ისტორიული გამარჯვებებითა ხვდება. რევოლუციის მეოცდაერთე წელსაც ჩვენმა ქვეყანამ კვლავ ახალი და უმძლავრესი ნაბიჯები გადადგა სოციალისტურ სახელმწიფოს შინაგანი ძალების ზრდისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცების საქმეში. უძლიერესი შემოქმედებითი ძალებისა და დაუშრეტელი ენერგიის მქონე საბჭოთა ადამიანებმა, რომელნიც მჭიდროდ არიან დარაზმული ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ, რომელთაც საგმირო საქმეებისაკენ აღაფრთოვანებს და შთააგონებს ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგი

ს ტ ა ლ ი ნ ი ს დაუღალავი მზრუნველობა და სიყვარული, — თავისი საგმირო საქმეებით კვლავ განაცვიფრეს მთელი ქვეყანა, — მათ. სტალინური წრთობის ახალმა ადამიანებმა,—აღნიშნეს განვლილი წლები ახალი სტახანოვური რეკორდებით, ქვეყნის კეთილდღეობის კიდ[illegible] ამაღლებით. უფრო უხვი და მდიდარი გახდა ჩვენი საბჭოთა სახოგადოების ურყევი საფუძველი — წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. საბჭოთა პატრიოტებმა აღნიშნეს ეს წელი გმირული ბრძოლებით ხასანის ტბის რაიონში, სადაც ჩვენმა წითელმა არმიამ გამანადგურებელი პასუხი გასცა სამურაების ბანდებს და გვერდებ-დალეწილი უკუაქცია ისინი საბჭოთა მიწა-წყლიდან. მიმდინარე წელი აღინიშნა იმითაც, რომ ჩვენ მოგვცა პარტიამ კადრების ბოლშევიკურად გამოწრთობის უძლავრესი იდეური იარაღი, — საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სახელმძღვანელო.

ოქტომბრის რევოლუციის მე-21 წელი — ეს არის სტალინური კონსტიტუციის განხორციელების წელი. ამ წელს ჩატარდა მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნები, სადაც ბოლშევიკური პარტია გამოვიდა ბლოკში უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. მთელმა ხალხმა, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ხმა მისცა ჩვენს დიად პარტიას, ხალხთა ბრძენ ბელადს ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს და მის თანამებრძოლებს, ხმა მისცა საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილებს და ამ გზით ღირსეულ და საიმედო ხელებს ჩააბარა სახელმწიფოებრივი მმართველობის საქმე. ეს არჩევნები წარმოადგენდა ლენინ-სტალინის პარტიისადმი ხალხის მასების უსაზღვრო სიყვარულისა და ნდობის, მძლავრი მხარდაჭერის, ხალხის ერთიანობის დემონსტრაციას. „ასეთი თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ სოციალისტური წესწყობილების გამარჯვების ნიადაგზე, მხოლოდ იმის ბაზაზე, რომ ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში“. (ს ტ ა ლ ი ნ ი). მხოლოდ სოციალიზმის საფუძველზე შეეძლო გაფურჩქვნა ნამდვილ და თანამიმდევარ საბჭოთა დემოკრატიზმს, რომელიც განუზომლად და შეუდარებლად მაღლა დგას ყოველგვარ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე.

ჩვენს სამშობლოში ბედნიერებისა და სიხარულის ატმოსფეროში გაიზარდა ახალი ადამიანი, ახალი ფსიქიკითა და მსოფლშეგრძნობით. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, ამ ძლევამოსილმა კლასმა, თავის დაუღალავი მუშაობით ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია, კოლმეურნეობებმა სოფლად სიღატაკისა და უსახსრობის სახსენებელიც კი მოსპეს. რევოლუციამდელი ჩამორჩენილი, დაბეჩავებული უმიწო გლეხობის ცხოვრება შეიცვალა კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრებით. კოლმეურნეობამ, რომელიც უხვად არის მომარაგებული ტრაქტორებით, კომბაინე-

ბით და სხვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, საკოლმეურნეო წყობილებამ ისეთი პირობები შეჰქმნეს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, რომელზედაც ოქტომბრამდე გლეხს ოცნებაც არ შეეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა ინტელიგენცია, მისი თავდადებული მუშაობის შედეგად საბჭოთა მეცნიერებამ და კულტურამ მიაღწია ახალ და უშესანიშნავეს წარმატებებს. მეცნიერებმა და ინჟენერებმა, ხელოვნების მუშაკებმა და მხატვრული სიტყვის ოსტატებმა საქმით დაამტკიცეს მთელი განვლილი წლების მანძილზე, რომ კულტურის აყვავებისა და გაფუჩქვნისათვის ჩვენს მრავალერიან ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი.

ყველა ამ გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია ლენინ-სტალინის პარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც საბჭოთა ხალხი ყოველდღიურად მიდის წინ, კომუნისტური საზოგადოებისაკენ. პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ღვიძლი შვილები, საბჭოთა მოქალაქენი აღსავსენი არიან უღრმესი მადლობით პარტიისადმი, რომელმაც უზრუნველჰყო მშრომელთა ბედნიერი და საამური ცხოვრება. ეს გამარჯვება აღბეჭდილია სტალინური კონსტიტუციის ფურცლებზე. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ისტორიის ძლევამოსილი მსვლელობა. ხალხის გაცოფებული მტრები, ტროცკისტულ-ბუხარინული ჯაშუშები და მკვლელები, ყოველგვარი ბინძური საშუალებით ცდილობდნენ წაერთმიათ ხალხისათვის ბრძოლებში მოპოებული თავისუფლება, წაერთმიათ მილიონებისათვის ბედნიერი ცხოვრება დაებრუნებინათ ხალხი კაპიტალისტური მონობის კლანჭებში, მაგრამ ხალხმა მათ ნიღაბი ჩამოჰგლიჯა, ფაშისტურ დაზვერვათა აგენტების გამცემლური ბუდეები განადგურებული იქნა. ტროცკისტულ-ბუხარინული ბუნაგების გამოაშკარავებამ და გაცამტვერებამ თავზარი დასცა ომის ფაშისტ გამჩაღებლებს. სოციალიზმის სამშობლოს შვილები გამანადგურებელი პასუხით დაუხვდნენ და მომავალშიაც დაუხვდებიან მტრის ყოველ გამოლაშქრებას.

საბჭოთა ხალხი უძლეველია, იგი მკერდითა სდგას თავისი ბედნიერი სამშობლოს სადარაჯოზე. დღეს კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, იმ დროს, როდესაც მეორე იმპერიალისტური ომი სინამდვილეში უკვე დაწყებულია, როცა გამხეცებული ფაშისტი აგრესორები თავს ესხმიან მშვიდობიანობის მოყვარე ხალხებს და ანადგურებენ მათ სოფლებსა და ქალაქებს,—მთელი საბჭოთა ხალხის უწმინდესი მოვალეობაა ანმტკიცებდეს და ამაგრებდეს ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერებას. ასეთია უდიდესი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დააყენა ამხანაგმა სტალინმა. და საბჭოთა ხალხის მილიონებიც დაუღალავად ზრუნავენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ძლიერი გაჰხადონ ჩვენი უძლეველი ქვეყანა.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება ეყრდნობა სტალინურ ხუთწლედების შედეგად შექმნილ სოციალისტურ მრეწველობას, მოწინავე

სოფლის მეურნეობას, ალმავლობის გზით მიმავალ ტრანსპორტს, და თავის უძლეველ, კარგად ორგანიზებულ და მაღალი ტექნიკურ-ინჟინერიულებულ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომელიც ამავალფხიზლად ჰგუშაგობს ჩვენ სამშობლოს და იცავს მას ზღვაზე, ხმელეთზე და ჰაერში.

საბჭოთა ლიტერატურა განვლილი წლის მანძილზე გამდიდრებული იქმნა ახალი, მაღალი მხატვრული ხარისხის ნაწარმოებებით, რომელშიაც ჩვენი მწერლები გამოჰხატავენ საბჭოთა ხალხის გიგანტურ წინსვლას; ისტორიული მოვლენები, რომლებიც მოხდა მიმდინარე წელს — უმაღლესი საბჭოების არჩევნები, ხასანის რაიონის ბრძოლები, „როდინა"-ს გაფრენა, და სხვა ათასი სასახელო საქმეები ჩვენი სამშობლოს ადამიანებისა — ცოცხალ და მგზნებარე სახეებით აღიბეჭდა საბჭოთა ლიტერატურაში. საბჭოთა მწერლობამ კიდევ უფრო გულმოდგინეთ უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ უკეთ შეასრულოს უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობა: თავის ხალხთან ერთად მონაწილეობას ღებულობდეს საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების განმტკიცებაში, ოქტომბრის დიადი მონაპოვარის დაცვის საქმეში, იმ დიად და უძვირფასეს მონაპოვართა დაცვის საქმეში, რომელსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან საბჭოთა კავშირის მილიონიანი მასები ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

ოქტომბრის გემი

ქართ სცადეს და ვერ
გაანადგურეს
გემი მებრძოლი,
გემი მართალი,
აჰა, მოვედით,
გემთა სადგურის
ჯებირთან, სადაც
სარკეობს წყალი.

დადგა მედგარი
უტეხი ფერდით,
წყალში დასცქერის
თავის ხერხემალს
რამდენი ტალღა
უტევდა მკერდით
მის წინგაწევას,
ან შეფერხებას!

სქელად დასდებია
მის ტანს ნიჟარა
მრავალწლოვანის
ნიშანი ცურვის!
სად არ უვლია!
მაგრამ მშიშარა
ის არ ყოფილა,
არც მსხვერპლი ურვის.

და ვგრძნობ თვისებას
ჩვენში საერთოს
როცა ვუყურებ
ამ მაგარ ძვლების
სილუეტს ზღვაზე
და წინაერდოს, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოს — სიმშვიდის
და მოსვენების...

და თუ მღელვარე
ტალღები აღსდგა —
გემთან მებრძოლი
შორი ზღვისანი, —
ჩვენც გემთან ერთად
ვიბრძოლებთ, რადგან
მზეებრ ნათელი
გვინათს მიზანი!

ჩვენ ყველაფერი
გავიგეთ ხვალის,
ჩვენ ყველაფერი
გავიგეთ ზეგის,
არ დავიშურებთ
ბრძოლათა ხალისს,
რომ ვიყოთ მტერთა
წინააღმდეგი.

აღარ დაცხრება
ეს სიმფონია,
აელვარება
სტალინური მზით!
გაეშურება
მთელი მსოფლიო
ოქტომბრის მიერ
გაკვალული გზით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრელუდიები

1.

წყალტუბოდან ქუთაისში,
    მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
    გკითხოს — ვინა ხარო,
უპასუხე — რომ სუნთქვა ხარ —
    არ უთხრა კი — ვისი,
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
    ჩემი ქუთაისი!

2.

ნიავი, ია, ნარგიზი,
    ავტომობილი კრიალა —
დილამ ასფალტის სარკეზე
    ნავივით გაასრიალა.
აგერ მზის ამომთოვრება,
    მაღლა ღრუბლების გარდავლა,
მან ერთი ჩემი ცხოვრება
    ათას წელს გადაამრავლა.
გადაამრავლა, უმალი
    მსგავსი წუთისა, ჩრდილისა
და მესმის ხმა იდუმალი:
    წამოდექ, ძეო დილისა!
ო, ძეო დილის! აწ განვლის
    გრძნობა სიბნელის ნაფლეთის
აღმოსავლეთის, დასავლის,
    ჩრდილოეთის და სამხრეთის.
მზემ, ხმალი რომ არ დაჰკიდე —
    რაც ფერებია, რაც დავლა,
ცხოვრება კიდევ და კიდევ
    ათასზე გადაამრვალა!

3.

მე ხომ სხვა ვარ, დღე ცისმარე
    მახვილს ვფერავდი;
შენ კი გქონდა დღეთ სიზმარი
    ფერად-ფერადი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიყვარს იმ ხმის გაგონება
    რადგან ვერრათი —
ვერ წავშალე მოგონება
    ფერად-ფერადი.

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი
    ბედისწერამდი
სად არ დამდევს მისი ჩრდილი
    ფერად-ფერადი.

იყოს ისე, როგორც დარჩა,
    ამიერამდი
ჩემთვის ძონძი, შენთვის ფარჩა
    ფერად-ფერადი...

4.

მთაგორების ზემოდ —
განდგომილთა ახლო
არ გაშენებ ჩემო
მშვენიერო სახლო!
მირჩევნიხარ სადმე
კვლავ ღარიბად მდგარი .
ვით დავთმევი, დათმე
შენაც ზენა — ქარი.

და ვიცხოვროთ ასე
დაყრდნობილი მარად
მხოლოდ ჩანგის ხმაზე,
მხოლოდ ხალხის კარად.
მთაგორებთან ზემოდ —
განდგომილთა ახლო,
არ გაშენებ ჩემო
მშვენიერო სახლო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჭუთათელი

აბესალომ და ეთერი

(ვანო სარაჯიშვილის ცხოვრება)

ნაწილი პირველი

მსახიობის ბინა.

მილანის თეატრში „ლა-სკალაში“, პარმასა, პარიზსა და ტრიესტში წარმატებით ჩატარდა მსახიობის ვანო სარაჯიშვილის გასტროლები. 1909 წელს იგი პეტერბურგის საოპერო თეატრის დასში მიიწვიეს. მაშინდელი რუსეთის დიდ ქალაქებს კარგად ახსოვთ განუმეორებელი ლირიზმით სავსე ვანოს ხმა, ამ ხმის ტემბრი, უებარი bel-canto, ხმის აჟღერების იტალიური მანერა, შემდეგ ვანო ტფილისში ჩამოვიდა. იგი, სხვათა შორის ნადირობით გატაცებული, ბავშვივით გულუბრყვილო, თავდაუჭერელი კაცი იყო. მის გრძნობას გონება ვერ იოკებდა. ფულის ყადრი არ იცოდა და ქეიფში ფლანგავდა. იმ წელს საქართველოს თითქმის ყველა დაბა-ქალაქი მოიარა. საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი შეიქნა. მიუხედავად ამისა, მაინც ღარიბად სცხოვრობდა.

* * *

დაღამდა. ალისფერი ცის დასავალი ნელ-ნელა ცხრებოდა. დროგამოშვებით შრიალებდნენ ალვის კენწეროები და მერცხლები ჟივილით სერავდნენ ტფილისის ცას. მერე ქალაქს სიჩუმე და მყუდროება ეფინებოდა. მხოლოდ მეზობლის, მასწავლებელ ივანე საგანელიძის ასულები „გაფრინდი, შავო მერცხალოს“ ჰგალობდნენ დაბალის ხმით და მამა ბანს ეუბნებოდა. სიმღერა შორიდან მოისმოდა ისე, თითქო მომღერალთა ხმა გვირაბიდან ამოდისო.

— ოჰ, როგორ სტანჯავდნენ გულს! იმათ რა იციან, თუ რა ცეცხლი მიკიდია: ჰარალესავით ავსილი და ხელხვავივით ხვავიანი?! — სთქვა მსახიობმა და როიალის კლავიშებს დახედა დიდრონი, უცნაური და შუქნაკრავი ამეთვისტოსავით ანთებული თვალებით.

როდესაც ასულებმა „გაფრინდი, შავო მერცხალოს“ დასძინეს: „გაჰყევ ალაზნის პირსაო“, მსახიობს ალაზანი, ბავშვობა, კახეთი, და მშობლიური მთები მოაგონდა. ყურში ნაცნობი ქალის კარმენის ხმა ჩასძახოდა: „გავსწიოთ იქ, იქ ჩემს მშობლიურ მთებში!“ ასე იჯდა კარგა ხანს და მყისვე მის არსებიდან თითქო ვილაც სხვა დაიბადაო: აღიმართა მსახიობი საამო სახისა, მაღალი და ტანადი:

— ეხლა მე თვითონ მიპყრია სიმები, — გაიფიქრა მან.

შვენოდა შავი ხავერდი, მოცისფერო ჰალსტუხი. შუა დარბაზში იდგა. აქეზებდა იატაკის კრიალი და ბაბილონის ზღაპრული ბაღივით მოხატული კედლის შპალერი.

ბიბლიოთეკა

— არა. მე ვდგევარ ეხლა ესპანეთის ცირკის კარებთან, — განაგრძობდა ოცნებას მსახიობი. — აჰა, დროშები, ჩირაღდნები, ლამპები, არშია და აფიშები! ცირკიდან ტორეადორის მარში, ხალხის ხმაური, ტაშისცემა, ყიჟინა და სტვენა მოისმის. ტორეადორის დაშნა, შუბი, სისხლი და სიკვდილთან თამაში იტაცებს ბრბოს და ჩემს სატრფოს.

— დაჯექი! — სთხოვა მსახიობმა როიალზე დამკვრელ ქალს თამარს, ნოტები გაუშალა და აუხსნა, თუ როგორ ესმოდა მას პროსპერ მერიმესა და კომპოზიტორ ბიზეს შექმნილი სახე.

თამარის თითები წარმტაცად ჯირითობენ როიალის კლავიშებზე და მის აკომპანიმენტზე მსახიობი სადებიუტო როლს — დონ ხოზეს ამზადებს. უკრავს თამარი და მისი საყურე პეპელასავით თრთის შეფაკლულ ღაწვებზე, თითქოს ხანდაზმულ თამარს ახალგაზრდა ბოშაქალის თავახსნილი ვნება მოსდებიაო.

რა ემართებათ მსახიობის მეზობლის, მასწავლებელ ივანე საგანელიძის ასულებს? ისინი ფეხაკრეფით შემოდიან დარბაზში. კუთხეში დგებიან, ერთმანეთს ეხუტებიან და უსმენენ სახელგანთქმულ მომღერალს. თამარის თითებს ქვეშ ჟღერენ მსახიობის ხმასთან შეხმატკბილებული როიალის სიმები. ასულები ხედავენ, როგორ წაზიდულან წინ მსახიობის მსუქანი ბაგეები, მუსიკალური იარაღის — გობოის ბოლოსავით. მერე იგი ქართულ სიმღერებზე გადადის. ცნობილ რომანსებს: „მზეაღარ ბრწყინავს“ და „შენ გეტრფი მარადს“ იმღერის, ეხლა სხვა მეზობელთა ბინების კარებიც იღება. თავიანთ ბინებს სტოვებენ მრავალნი. ქუჩაში ჩერდებიან. ფეხის წვერებზე დგებიან და მსახიობის ოთახის ფანჯარაში იცქირებიან, ტკბილ ჰანგებს უსმენენ და საყვარელი მსახიობის სახელს იძახიან:

— ვანო, ვანო!

ბოლოს მსახიობმა ვანო სარაჯიშვილმა დახია ნიღაბი. გარიჟრაჟისას ქუჩაში გამოვიდა. თუშური ქუდი ეხურა. ხელში სანადირო თოფი ეჭირა და წინ ძაღლი მიუძღოდა — პოინტერი. საჩქაროდ ჩახტა ავტოში და შოფერმა მანგლისისაკენ მიუშვა მანქანა. გაიარა ოქროყანა, ტაბახმელა, კოჯორი და როცა მთის კალთებზე ათასი ყაყაჩო დაფრინდა, ვანოს თვალებმა ბავშვური ღიმილით გამოაშუქეს.

ნადიროობა

ამ ზაფხულს ვანო მანგლისში ისვენებდა. მანგლისის ძველ ეკლესიას, მის ფრესკებს, კედლის წარწერებს, ჩუქურთმებს, შენობის მშვენიერ სურათს და ციხე-გალავანს ვათვალიერებდით. საღამო იყო. როდესაც გალავნიდან გამოვედით, მზე უკვე მთას მოეფარა. მტვრიან ქუჩაზე მო-

ნადირე დავინახეთ, ვანომ მაშინვე იცნო ვექილი ესტატე მაყაშვილი, რომელსაც თოფი მხარზე გაედო ჯარისკაცივით და დაღლილ ძაღლს ესაუბრებოდა. ჩანთა სავსე ჰქონდა მწყერით.

ვანო სარაჯიშვილი არა მარტო განთქმული მომდევნელი იყო, არამედ მონადირეც. ვექილს ნადირობის ამბავი გამოჰკითხა და რაკი დარწმუნდა წალკის მიდამოებში ნადირობას კარგი პირი უჩანსო, გადასწყვიტა ხვალ დილითვე იქ წასულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო 1916 წლის ზაფხულის მიწურულს.

მანგლისიდან გარიჟრაჟისას გავედით: ვანო, ვანოს ნათესავი გიმნაზიელი გივი და მე. მზე არ ამოსულიყო, მთებს ნაბადივით წამოეხურათ იისფერი ბურუსი. მდინარე ალგეთის ხმაური არემარეს ავსებდა. რიყეში წყლის შაშვები ტანზე ტალღას ივლებდნენ და ჩანჩქერებზე ფრთაგაშლილი ფათქუნობდნენ. მაგრამ მათზე საფანტს როგორ დავხარჯავდით?!

შევუდექით ალმართს. მთიდან ძახილი და სტვენა მოგვესმა. მწყემსები ფარას ერეკებოდნენ. მაღალი და დიდბეწვიანი ბუხრისქუდები ეხურათ ყეენივით, მწყემსებმა წალკისაკენ მიმავალ ბილიკზე დაგვაყენეს. მთის კალთაზე მიფენილ ყანიდან ნიავს ღალღისა და მწყრის ჭუკჭუკი მოჰქონდა.

შუადღე გადავიდა. საკმაოდ ბევრი მწყერი მოვკალით. მოგვშივდა. მთიელების სოფლისაკენ დავეშვით, დაურიდებლად დავკრიფეთ პამიდორი და ბადრიჯანი. ჩანთიდან სამწვადე ხორცი ამოვიღეთ, შამფურზე წამოვაგეთ და ყანის პირად გაჩაღებულ ცეცხლზე მწვადები ავაშიშინეთ. დავნაყრდით, დავისვენეთ და ისევ სანადიროდ გავეშურეთ.

პოინტერმა ღალღა ააფრინა. გამართულ თოფს გაშეშებული მიაჩერდა. მოკუმულ ხახაში ენა ჩაეგდო, სუნთქვა შეეკრა და ლაშებზე ნერწყვი სდიოდა. ვანომ გაისროლა. ძაღლი გავარდა. ფრინველს ეძგერა. მოარბენინა და ფეხთან მიუგდო. ღალღა ფრთაში იყო დაჭრილი და ჩხრიალოდენა ფეხი საფანტისგან ჰქონდა მიმტვრეული. უმწეოდ ეკიდა გასისხლიანებული. ვანომ შიშისაგან აცახცახებული მიწისფერი და შავწინწკლებიანი ჩიტი აიღო. მის მუჭაში განუწყვეტელი, მძაფრი გულისცემა გაისმა. თითქო ეს პატარა, ცხელი და ცოცხალი ქმნილება მარტოკა გულად ქცეულაო. ღალღა ძაღლის ლორწოიან ხახაში იყო ამოვლებული. სველი მკერდი უჩანდა, შიშველი გულის ყაფაზი. ძაღლი კუდს იქნევდა, თვალს არ აშორებდა, ჰყნოსავდა. ჩიტმა კისერი აიწოდინა. ვანო შეშინებულ და ფართოდგაღებულ, მომწვანო თვალში ჩაიცქერდა. შემდეგ ყანას და მთის კალთას გაჰხედა, და ყანაზე, მთის კალთაზეც ღალღის თვალი იდგა. ყველგან ჩიტის თვალი — ავარვარებული, მომწვანო რგოლი-ჩანდა. იგი იყო, ალბათ, ვანოს თვალის ბადურაგარსზე ახატული, მას კი მთასა და ყანაზედაც ეჩვენა.

— რამდენი ფრინველი მომიკლავს: ცისკენ მაშხალასავით ამარდნილი ლამაზი ხოხობი, ხმალივით მოქნეული ლაღი შევარდენი, — სთქვა ვანომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც რა არის ეს თვალი ფრინველისა, ცხოველისა, ადამიანისა? ... მასში ესოდენი აზრი და გრძნობა? ამასწინად ზოოლოგიური ბაღის რკინის გალიაში დამწყვდეული ვეფხი ვნახე. მოწყენილი ეგდო იატაკზე. უგუნებოდ შემომხედა. თვალი ამარიდა. კაეშნიან თვალებს ნაბავდა, თითქო ეძინება ან მზე აწუხებსო, გულსაკლავად ამოიხვნეშა. ვინ იცის, რას იგონებდა მშობლიურ ველებსა და შამბნარებს მოშორებული ტყვე. შემრცხვა. დანაშაული ვიგრძენი პატივაყრილი და რკინის გალიაში გამომწყვდეული პატიმრის წინაშე. გული ამიჩუყა ტყვეობით გატეხილმა, ოდესღაც თავმომწონე ვაჟკაცის სევდიანმა თვალებმა, — ვუამბე ვანოს.

ვანო ალგეთის პირად გაჩერდა და ჩუმი ღიღინით ჩემთვის უცნობი სიმღერა დაიწყო.

თუშური ქუდი გაისწორა. შავი, ხუჭუჭი თმა შვენოდა. ფეხზე აზიური ჩექმა ეცვა. ხალათზე ქართული ქამარი ერტყა. ანთებული მგზნებარე თვალები ჰქონდა, მისი შავგვრემანი სახე კიდევ უფრო გაეტრუსა მზეს, და ვანო ქიზიყელ გლეხსა ჰგავდა. არავინ დაიჯერებდა, რომ ალგეთის პირად განთქმული მომღერალი, მსახიობი ვანო სარაჯიშვილი დგასო.

გივიმ ჩანთაში ჩააგდო ღალღა. ძაღლი ახალ მსხვერპლს წარსდგომოდა თავზე. გაოცებული უცქეროდა ვანოს ცალი თვალით: ნეტავ რას ჩადის, რა დროს საუბარია, მომეშველე, მალეო. ვანომ ნიშანი მისცა და ძაღლმა მწყერი ააფრინა. მწყერი ჯერ პირდაპირ გაემართა, შემდეგ გეზი იცვალა ერთბაშად და ვანომ ააცდინა. უნდა გენახათ,როგორ ბრაზობდა, მაგრამ ვანოზე უფრო მისი ძაღლი ჰღელავდა. იგი გაეკიდა მწყერს. თავი მაღლა ასწია და გულდაწყვეტილი ჰყეფდა და წკავწკავებდა.

ავიარეთ ალმართი. ფეხი დამიცურდა. ალგეთში ქვა და გორახი ჩაცვივდა. ხის ფესვებს მოვეკიდე. ირგვლივ აზიდულიყვნენ მთები. თვალი წვდებოდა მხოლოდ ცის პატარა ნაჭერს. ღაზლის ძაფივით გაბლანდულსა და ქალის თმასავით გაწოლილ ნისლში იმალებოდნენ ფიჭვითა და ნაძვით დაბურული მთის მწვერვალები. ნისლი გაიპარა და ისევ გამოვიდა მზე. მაღალი და მხურვალე. ხახა გვიშრებოდა. დაღარულ კლდეზე ჩანჩქერი, ქაფიანი ნაკადი გადმოდიოდა, თითქო კლდეზე თოვლისფერი თოკი დაკიდულაო. თავზე გვესხმებოდა შხეფი და წვეთი, ყინულივით ცივ ნაკადს დავეწაფეთ. ვანომ კონდახისცემით მოაშორა ძაღლი წყალს. ეშინოდა, ყელი არ გაუცივდესო. ერთი პოინტერი უკვე მოუკვდა ამის გამო ანგინით.

კლდის ძირას წყალი ჟონავდა, თითქოს ცრემლებს აფრქვევსო. ცრემლები დროგამოშვებით სცვივოდნენ კლდით შეჭრილ აუზში. სარკესავით

სუფთა აუზი ავსილიყო და მწვანე ხავერდისფერი ხავსით დაფარულ ლოდზე წყალი გადმოდიოდა. დალარულ კლდეებზე ხის ფესვები ეკიდა. ირგვლივ მაჩიტელა, მთის ჩადუნა და ზარისებური ყვავილები ყო მოფენილი. აუზის ზედაპირზე ლოტოსი განისვენებდა, ხოლო იქითკენ ლაშებდალრენილი ხვლიკი იწვა. მწვანე-კენჭისფერი, განცვიფრებული თვალი გაშტერებოდა. გაჩაჩხულ ფეხებს დაბჯენოდა წინ წაზიდული და ლოდზე გაქვავებული, ყურს თუ უგდებდა გარინდული მთაში გამეფებულ სიჩუმეს. ვანომ გაიღიმა. ხანგრძლივ დააცქერდა და დაიძახა, ჯერ:

— აუ! ა.. უ...უ...!

შემდეგ:

— რაუტენდელეინ!

ცარიელი ქვევრის გამოძახილის მსგავსი ხმა შემომესმა. ხვლიკი შეკთა. გველის წიწილას ოდენა კუდი მოიქნია და გაჰქრა. აუზში კენჭი ჩავარდა. წყლის ზედაპირზე რგოლები განიბნენ. გულმა ზარივით დარეკა და ვანოს გავძახე:

— ბრეკეკეკეკს!

ეს იყო წუთი. ნეკერჩხლიდან მოწყვეტილი ფოთოლი ვანოს ზურგზე დაეცა. განიერ მხარბეჭზე დავარტყი ხელის გული და ვუთხარი:

— შენი სხეული უვნებელია, როგორც ჭაბუკი გმირის ზიგფრიდისა, ამ, ადგილის გარდა, — ხელის გული დავაჭირე ზურგზე, იმ ადგილას, საცა ნეკერჩხლის ყვითელი ფოთოლი გაჰკროდა.

ვანომ გაიცინა და მიპასუხა:

— ზიგფრიდის მახვილი ხელთ არ მიპყრია, არც გველეშაპი განმიგმირავს და არც მისი გულიდან გამოდენილ სისხლის შადრევანში განმიბანია შიშველი ტანი. ამიტომაც ჩემი სხეული უვნებელი ვერ იქნება.

აუზის ზედაპირი დაწყნარდა. მარბენალი რგოლები გაქრა და ვინ იცის, საით ჩაიძირა განაბული ალქაჯის ჭალარა თავი! აღარ-ჩანდა გარინდული ხვლიკის მწვანე-კენჭისფერი თვალი. ნაპრალიდან ისევ სიგრილე და დუმილი მოდიოდა.

გზას გავუდექით.

ჩვენ მიგვიძღოდა ხშირი ტევრი: თელა, წიფელა, ჭნაკი, ნეკერჩხალი და ხიოვი ტანის, როკიანი, დაგვაჯულ კვინცხა. ტყიდან გვიცქეროდნენ გამოქარული, ხაპისმაგვარი ხეთა სახეები. თითქოს ამდგარან ხრიკითა და ორშიმოთი გადამთვრალი, რქანაყარი ეშმაკები, ოჩო-კოჩები, ოჩოპინტრები და მაძახურები. მაღლა კი ისევ გარდასულ ჟამთა მოწამენი. დადუმებული და გაქვავებული, გოლიათი მთები იდგნენ. უმძაფრესი სიჩუმეა. არწივი თუ ჩამოჰყივლებს ხანდახან.

მარცხნივ ჩამოვიტოვეთ ლამაზი გორის მწვერვალი „ქვის პატარძალი", რომელსაც მთიელები თაყვანასა სცემდნენ. გვალვის დროს, ვარდყვავილებით რთავდნენ და წვიმას შესთხოვდნენ. ლამაზ გორაზე ლოდი გდია ჟამთა ვითარებისაგან იმრიგად გამოძერწილი, რომ ქალის სახესა

და შიშველ ტანს ემსგავსება. ამიტომ ეძახიან მას მთიელები „ქვის პატარძალს“.

ციცაბოზე მივდივართ. ხევიდან ამოწვდილი, ასეული ოვალუწვლენი, გოლიათი ხეებიც კი ვერ სწვდებიან გზის ბოლოს. ... დაგვყურებენ საყდრებივით ამართული უზარმაზარი კლდეები, გამოქვაბულები, დევთა ბუნაგები.

— ამ გამოქვაბულში თუ სცხოვრობდა ნესტანის მიჯნურობის გამო ველად გაჭრილი ტარიელი.

ვანომ კლდეებს გაჰხედა. ხევში გრიალით მიმავალ ალგეთს ყური დაუგდო და მიპასუხა:

— „დღისით ვლეს და საღამო ჟამს გამოუჩნდეს დიდნი კლდენი,
კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენი,
წყლისა პირსა არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი,
ხე დიდრონი, თვალ-უწთომი, მაღლა კლდემდის ანაყრდენი“.

ალგეთისაკენ დავეშვით. ზღაპრული მოგონებანი კლდის გამოქვაბულებს დავუტოვეთ.

მთიელის სატევარი

ვანომ ძაღლი პურში შეუშვა. ჩახმახზე შეყენებული თოფით უკან გაჰყვა. ძაღლმა ყანა შემოირბინა და წრეები შემოჰხაზა. თავაღერილი ყნოსავდა ჰაერს. ბოლოს ერთბაშად შეჩერდა. წარბგაძგიბულმა უკან მოიხედა: „მოემზადეთო“. ნელის ნაბიჯით წავიდა. სუნზე მიდიოდა, იცოდა, რომ აქვე ახლოს ფრინველი იყო, მაგრამ ჯერ თვალით ვერა ხედავდა და როცა დაინახა, კუდი გაუშეშდა, მთელის ტანით მიწას განერთხო, ცალი ფეხი ასწია და ჰაერშივე შერჩა მოკაკვული. ასე იდგა ჩახმახივით, ფეხზე შემართული, ცქერად წასული და გაქვავებული. ვანომ ნიშანი მისცა და ძაღლი ფრინველს დაეძგერა. მწყერი აფრინდა, ვანომ ესროლა და ყანის ბოლოში ჩამოაგდო. ძაღლმა და გივიმ გაჰკურცხლეს. ამ დროს მაღლობიდან მოხუცი გლეხის ყვირილი გაისმა.

— აბა, მანდ დამიცა... დამაცა, შენი... — —მურდლად შეაგინა გივის.

იგი ახალუხის ამარა იყო გივისაკენ გამოემართა. ხელში სახრე მოემარჯვებინა. რამდენიმე ნაბიჯი და მთიელი მისწვდებოდა გივის. ვანომ შესძახა, დადექო, მაგრამ მოხუცი არ დაერიდა, სახრე შემოუქნია გივის. გივი გაიქცა. მოხუცი უკან გამოუდგა... ვანოსაც შეუკურთხა:

— რად მივერანებ ყანას... შენი...

ვანოს ეწყინა, ყიამყრალმა რომ ასეთი გინება აკადრა და მთიდან თავქვე გაიქცა. ძნელი იყო თავის შეკავება. რბენას ტანის სიმძიმე ემატებოდა. მთელის ძალლონით დაეჯახა მოხუცს. თოფის კონდახი ლავიწის ძვალში ჩაარტყა და წააქცია. მოხუცს სახრე გაუვარდა. წამოიჩოქა, შეშინდა. სახეზე ხელი აიფარა. ასეთი მაგარი დარტყმა როდი უნდოდა ვანოს. შერცხვა და შეეცოდა.

— როგორ მიბედავ დედის გინებას? — შეჰყვირა ვანომ. ჭაბუკი მთიელი უბელო ცხენს მოახტა, ვანოსთან მიირბინა, გადმოხტა და შეუტია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ დროულ კაცსა სცემ, შე ულმერთო!

იგი გივის ტოლი იყო. ჯერ კიდევ ულწვერული. ახალუხის ამარა. გარედან ფართო ხანჯალი ერტყა. თავზე გრძელბეწვიანი ბუხრის ქუდი ეხურა. ჯმუხ და გარუჯულ სახეზე ნადირივით უელავდნენ თვალები. მაშველის მოსვლით გათამამებული მოხუცი წამოდგა და ღრიალი მორთო:

— ჩემივე ყანაში მიპირებ მოკვლას, ვერანავ!

— ამ დროულ კაცსა სცემ, შე ქალაქიდან მოთრეულო!? — დაიძახა ჭაბუკმა მთიელმა და ვანოს თოფში ხელი სტაცა. მოხუცის ცემა, ყანის გავერანება, უფრო კი შესაძლოა ვანოს შესანიშნავი „ზაუერის“ თოფი აბრაზებდა მას. არა ერთ რუსსა და ქართველ მონადირეს დასხმიან აქ თავს და წაურთმევიათ თოფი. მთიელმა ვანოს თოფი გადაუტრიალა, მთელის ძალღონით დააწვა და კინაღამ არ გამოსტაცა. უკვე მარჯვენა ხელი დაუსხლტა ვანოს. თოფი მხოლოდ მარცხენა ხელში შერჩა. სახეფათო წუთი დგებოდა. მახლობელ ბუჩქებიდან ბუხრის ქუდიანმა მთიელმა წამოჰყო თავი. განზე გადავხტი, თოფში დუმდუმის ტყვია ჩავდე და კაკლის ხეს მოვეფარე, რომ უფრო მოხერხებულად ამელო გაჭივრების დროს მიზანზე ჭაბუკი მთიელი და ბუჩქებში მიმალული და ჩასაფრებული მისი ამხანაგი. ვანომ და მთიელმა ბრაზიანი თვალით ასწონ-დასწონეს ერთმანეთი და გაიმეტეს. ერთმანეთს ეძგერნენ და ჯაგებში გადაცვივდნენ. სახე და ხელები ეკლით დაიკაწრეს. მკერდი-მკერდს გადაეჭდო. ოფლიანი სახე სახეს ეკვროდა. ვანომ მაგრა დააბჯინა ფეხები ბოძებივით მიწას, ხელები თითქო თოფს შეახორცაო. ჭაბუკი მთიელის საფეთქელზე თოკივით მაგარი და სისხლით სავსე ძარღვი დაიჭინთა, იგრძნო მთიელმა ვანოს კუნთების ძალა. შუბლი მოღუშა და ბოროტად გადაიტანა თვალი ხანჯალზე. ვანომ ცალი ხელი უშვა მაშინ თოფს. თვალის დახამხამებაზე უმალ წაავლო ხელი ტარში მის ხანჯალს. ქარქაშიდან ამოაძრო და გივისაკენ ისროლა. წახდა მთიელი. მოხუციც გაირინდა. ჭაბუკმა ალყაშემორტყმული ნადირივით მიიხედ-მოიხედა და როცა გივის ხელში მოღერილი ხანჯალი და ჩემი თოფი დაინახა, თავი ჩაჰკიდა, ცარიელ ქარქაშს შეავლო ხელი და თავზარი დაეცა. ხანჯალზე ხელი შეუჭრია და სისხლი სდიოდა. სისხლი ახალუხის კალთით მოიხოცა. დაჭრილი ხელი შიგ შეახვია.

— მეც ქართველი ვარ, შვილო, თავზე ქუდი მხურავს. ფრთხილად! — შესძახა ვანომ. თუშური ქუდი გაისწორა და წარბი ვაჟკაცურად აზიდა.

მთიელმა ისევ შეავლო ხელი ცარიელ ქარქაშს, გატყდა და უთხრა:

— მაიტა ხანჯალი.

ვანომ უპასუხა:

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა
Тбилисский филиал

— სოფელში მივალ და თქვენს მამასახლის ჩავაბარებ.

— ყელ არ გამამჭრა, უიარაღოთ ვერ წავალ! — შეევედრა ჭაბუკი. სიმწარისაგან ნერწყვი გადაყლაპა, ღერღეტივით აღერილ ყელში ხორხი ადიოდა და ჩამოდიოდა. სიტყვა შიგ გაეჩხირა. ვანოს შეეცოდა ჭაბუკი. ხანჯალი გამოართვა გივის, მთიელ ჭაბუკს გადასცა და უთხრა:

— აი, გიბრუნებ. საცა შენი სთქვა, იქ ჩემიცა სთქვი! — მთიელმა ქარქაშში ჩააგო. უბელო ცხენს ავშარაში ხელი მოჰკიდა და სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს დარცხვენით გაჰყვა თავდახრილი.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენც იმ სოფლისაკენ გავსწიეთ. გზაზე ვანოს მოაგონდა ჭაბუკი მთიელის განრისხებული სახე, რომლის წინაშე გააღლვა სასიკვდილოდ ამოწვდილი მისივე ხანჯალი. მოაგონდა, თუ როგორ დახედა ცარიელ ქარქაშს თავზარდაცემულმა. შემდეგ: დამცირება, იარაღის უკანვე გამოთხოვნა. რას ფიქრობდა მთიელი ნეტავ იმ წუთას? რას განიცდიდა, როდესაც თავდახრილი, ნელის ნაბიჯით მიდიოდა უბელო ცხენით სოფლისაკენ? რას ეტყვიან შინ? რად არ იძია შური? რად წახდა ვაჟკაცი? — ფიქრობდა ვანო და, როდესაც მთიელი ცხენს მოახტა და სოფლისაკენ მოჰკურცხლა, ვანო შეშფოთდა:

— ვინ იცის, იქნებ გზა გადაგვიჭრას და სადმე ჩაგვისაფრდეს. მაშინ უსწორო ბრძოლა იყო: თოფიანი ორი კაცის წინააღმდეგ ერთი ხანჯალით რას გახდებოდა?! — გვითხრა ვანომ და გვიბრძანა ჩქარის ნაბიჯით გვეარნა. თოფში დუმდუმით გატენილი ვაზნა ჩასდო. გივიმ ბზის უზარმაზარი ყავარჯენი შეათამაშა და დაიტრაბახა:

— თოფი რომ წაერთმია, გადაწყვეტილი მქონდა ამ კეტით გამეპო მისი გოგრა.

სტუმარ-მასპინძელი

სოფელს მივუახლოვდით. იგი მთის ძირშია გაშენებული. წინ პატარა მდინარე ალგეთი ჩამოუდის. პატარაა, მაგრამ დიდ მდინარეზე უფრო შფოთავს, მიჰქუხს, მთიდან დაგორებულ ლოდებს აწყდება და თერგივით ღრიალებს. ტალახისფერი, მიწური სახლები მერცხლის ბუდესავით აჰკვრიან მთის კალთას, და სოფელი შორიდან ლეკების აულსა ჰგავს. გამოჩნდა მიღრეცილ-მოღრეცილი ვიწრო ქუჩები. ბანზე ბავშვები თამაშობდნენ.

სოფლის მისავალში მოედანია, პატარა დუქნით. მოედანზე ჭალარა, წვერიანი კაცი იდგა, ჩოხაზე ნაბადი მოეგდო. თავზე ბუხრის ქუდი ეხურა. ახოვან ტანზე ქამარ-ხანჯალი და ხმალი ერტყა ეტყობოდა, ესეც არის დაბრუნებულა სოფელში, რადგან ხელში მათრახი ეჭირა და ჩერქეზული ცხენის აღვირი. ცხენი ვიღაცამ გამოართვა და მოედანზე გაატარ-გამოატარა. სოფლისა და მთის ფონზე ახოვანი კაცი შამილს მოგაგონებდათ. მაგრამ როდესაც მივუახლოვდით, იგი მამასახლისი აღმოჩნდა, ხოლო მის გვერდით მდგომი, ყაზახრუსივით გამოწყობილი და შე-

იარაღებული ხუთი მთიელი — სტრაჟნიკები. ამათგან მოშორებით მთიელი გლეხები საუბრობდნენ. დიდის გულისყურით დაგვიწყეს ცქერა და მოგვაშორეს ჯოგის ძაღლები, რომელთაც კინაღამ ... დაგლეჯეს ვანოს მეტიჩარა და ბრიყვი პოინტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივესალმეთ მთიელებს. ვანომ უამბო მამასახლისს ყოველივე და თავისი ვინაობაც შეატყობინა. მამასახლისი განრისხდა. ბრძანება გასცა, მოეყვანათ თავხედი, რომელმაც თოფის წართმევა დაუპირა ვანოს, მაგრამ ვანომ მთიელ ჭაბუკისათვის პატიება გამოსთხოვა. ხალხს მოეწონა ვანოს საქციელი.

ერთ სახლს მინაჩასმული ფანჯრები ამშვენებდნენ. იგი, ამ სოფლის სხვა მიწურ სახლებთან შედარებით, ევროპულ ყაიდის სახლსა ჰგავდა. გივიმ ამ სახლთან გიმნაზიელი შეამჩნია. იგი თავსაფარიან ქალებთან იდგა. იქვე მოხუცი კაცი იჯდა და ყალიონს აბოლებდა.

— გიორგი! — დაუძახა გიმნაზიელს გივიმ.

გიორგი დააცქერდა, ნაბიჯს აუჩქარა და ჭაბუკები ხანგრძლივი და ვაჟკაცური კოცნით გადაეჭდნენ ერთმანეთს. გიორგიც ტფილისის გიმნაზიის მოწაფე იყო და გივისთან ერთად სწავლობდა. გაეხარდათ ამხანაგებს მოულოდნელად ერთმანეთის შეხვედრა მთაში. გივიმ გაგვაცნო სახლის კედელთან მჯდომი ნიკა ჯიქაიძის შვილიშვილი გიორგი. გიორგის მამა თედო შოფერი იყო და თავისი ოჯახობითურთ ტფილისში სცხოვრობდა. გიორგი ამ ზაფხულს, არდადეგებზე, თავის პაპა-დიდედასთან ჩამოსულიყო. როდესაც სოფელში გივი და ცნობილი მომღერალი ვანო დაინახა, შინ მიიპატიჟა ისინი და მეც.

გიორგი მაღალი, ახოვანი, განიერბეჭიანი, შავგვრემანი, მოვარჯიშე ჭაბუკი იყო. მისი გიმნაზიური ქურთუკი და კოკარდიანი ქუდი ეუცხოვებოდა თვალს ამ სოფელში. ჩვენი ნანადირევი შეათვალიერა. თოფი გამომართვა, რაღაცას დაუმიზნა და ყაჩაღივით აზიდა ცალი წარბი. ამ ჭაბუკმა ერთბაშად მოგვაჯადოვა. ხათრი აღარ გავუტეხეთ და შინ ვესტუმრეთ. კარებთან წელში მოხრილი, ყალიონიანი მოხუცი ნიკა შემოგვეგება. ვანომ ხელი ჩამოართვა და შერცხვა: მოაგონდა მოხუც მთიელს რომ სცემა. შემდეგ გიორგის დიდედას, ნიკას შვილს — გიორგის ბიძას, ზაქროს და ამის ცოლს მაიკოს მივესალმეთ. შინ შეგვიყვანეს. თოფი და ჩანთები ჩამოგვართვეს, ხელპირი დაგვაბანინეს და ფარდაგდაფენილ ტახტზე დაგვსვეს.

დალეულ მოხუცს ნიკას გახუნებული და ვიწრო ახალუხი ეცვა, ზაქროს კი — ფრონტიდან ჩამოტანილი ხალათი და ჩექმა. იგი ზურგში იყო შრაპნელით დაჭრილი. მკურნალობის შემდეგ შვებულება აეღო, სოფელში ჩამოსულა და მერე იმპერიალისტურ ომში აღარ გაბრუნებულა. მისი მეუღლე მაიკო და დედა მართა ოთახიდან გაიპარნენ. ვანომ შეათვალიერა კარგად მოზრდილი, გაზეთის ქაღალდით აწებილი ოთახი. კუთხეში ბუხარი იყო. კედლებზე ეკიდა მსოფლიო ომის სურათები და ძმების, გოლიათი ვაჟკაცების, თედოს და ზაქროს სალდათობისდრო-

ინდელი პორტრეტები. მაღლა კი შოთა რუსთაველისა. ხოლო შოთას ქვეშ-აბრეშუმის წითელი მარყუჟით გაკოხტავებული ჩონგური. ნიკა და ზაქრო პურის მოსავალზე და ომზე ესაუბრებოდნენ მონადირეებს. ვანომ ისევ ამ სოფლის ახლოს მომხდარი ჩხუბი [illegible] ეთქვა, რომ მან ჭაბუკი მთიელი ხელში დასჭრა და სისხლი ადინა.

ამასობაში მასპინძლის ქალები მეორე ოთახში წივის ნაკვერცხლით ავარვარებულ თონეში პურს აცხობდნენ და კერაზე მსუქან დედლებს ხარშავდნენ. ცოტა ხნის შემდეგ სუფრაც გაშალეს. ზედ წნილი, ყველი, კვერცხები, კარაქი და ცხელი პური დაალაგეს. ქერის არაყიც მოიტანეს.

სმა-ჭამა გაჩაღდა. ვანო არ უფრთხილდებოდა თავის ხმასა და ჯანს. ღვინო უყვარდა სუფრაზე სიმღერაც არ ეთაკილებოდა. ხვეწნა არ სჭიროდა. სად არ უქეიფნია... ის კი არა და მწყემსებთანაც კი ასულა მთაში. მათთან ერთად უქეიფნია და ნაბადში გახვეულს არა ერთი ღამე გაუთევია ალპიურ საძოვრებზე. ქალებს ჩიქილის ბოლოები აეფარნათ სახეზე, რიდით იდგნენ კუთხეში და ასე უცქეროდნენ მამაკაცთა პურის ჭამას. ბუხართან თხუთმეტი წლის ლამაზი გოგონა იდგა. ჩითის კაბა და წითელი წუღები ეცვა. დიდრონი შავი თვალები ჰქონდა, ქალწულის დარცხვენილი ეშხით მიბნედილი. თვალს არ აშორებდა ვანოს, რა რომ გაიგო ცნობილი მომღერალი არისო. ვანომ თავი ასწია. ოთახს თვალი მოავლო, გოგონას შეხედა და გიორგის შეეკითხა:

— ვისია ეგ ლამაზი?

— ჩემი ქალია, — სიცილით მიუგო ზაქრომ.

— ეთერიმ ჩინებული სიმღერა იცის, — განუცხადა გიორგიმ ვანოს.

— ეს ჩონგურიც უთუოდ მაგისა იქნება, — სთქვა ვანომ. ადგა. ჩონგური კედლიდან ჩამოხსნა, ეთერის მიართვა და სთხოვა ზედ დაემღერნა რამე.

ეთერი გაფითრდა. გიორგის რაღაც წასჩურჩულა. რა ვიმღეროო, თუ შეეკითხა. ტახტზე დაჯდა. თითების წვერით მოსინჯა სიმები. მომართა. ააწყო. ააჟღერა და გაუბედავი ხმით დაამღერა:

„ჩემო ჩონგურო, დაუკარ, მაღლა მოჭრილო ხისაო,
მამიჩემისა ნაქონო, პაპიჩემისა ხნისაო“.

ნიკამ აცრემლებული თვალი მიანათა, ბავშვივით გაიღიმა, იამა და შეგვატყობინა:

— ჩემი გათლილი ჩონგურია, მაშა

ლოყები ყაყაჩოსავით გაუწითლდა ეთერს. ხმას აუწია. დედა, ლამაზი და მაღალი ქალი, იღიმებოდა, ხან თავის ქალს და ხანაც ვანოს შესცქეროდა. და როდესაც ეთერმა დაამღერა:

„ლეკები შამომეყარნენ, ლეკები დაღისტნისაო,“ — ვანოს კახეთი მოაგონდა: ალაზანი, ალაზნის პირად გაშლილი ტყე, ტახებზე ნადირობა და დაღესტანის მთები.

აღტაცებული დალია ეთერის სადღეგრძელო. გაოცებული იყო მისი ჩინებული ხმით. კიდავ დავლიეთ არაყი. დავნაყრდით და ვანომ ისევ სთხოვა ეთერს, ემღერნა რაიმე.

ეთერი დაფიქრდა. ცოტახნის შემდეგ სიმები ნაზად ფარფატებდა ეხლა აღარ ჰღელავდა იმრიგად. თვალი გაუსწორა ვანოს. მისი ხმაც უფრო გაბედული და წარმტაცი იყო:

„მთაო, გადმიშვი მაღალო, რა ნისლი მოგიხვევია."

მივეშველეთ, მაგრამ ჩვენი ხმა დაიჩრდილა მისი წკრიალა და ძვირფასი ხმის გვერდით.

ვანომ რატომღაც მოიწყინა. უცნაურად დააცქერდა ასულს. ერთბაშად ჩასწვდა ალბათ ქვეყანას მოწყვეტილი მთიელი ქალის სევდასა და ნაღველს. „ეთერი დაქალდება. ქმარშვილს მოეკიდება მეოჯახეობას დაიწყებს. მისი ტურფა სახე ფერს იცვლის, დასჭკნება. დაჰკარგავს შვენებას, გაქრება მისი შესანიშნავი ხმაც", — გაიფიქრა ვანომ და ეთერის მშობლებს უთხრა:

— ტფილისში უნდა წამოვიდეს უთუოდ ეთერი, ბიძასთან, თედოსთან იცხოვრებს. იქ მე გალობის მასწავლებელს მიუჩენ და აბა ნახეთ როგორი მომღერალი დადგეს!?

ეთერის დიდედა და პაპა უარზე დადგნენ: ეთერის ქალაქში რა უნდაო, ხოლო ზაქრო შეყოყმანდა: ვიფიქრებო, მიუგო ვანოს და ხანგრძლივ დააცქერდა ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი დევკაცი მშობლიური ალერსით თავის ქალს.

ჩვენ ყველანი ვთხოვდით ეხლა გუნებაგახსნილ ვანოს თვითონვე ემღერნა რაიმე. ეთერმა ისეთი მუდარით შეხედა და ისეთი წარმტაცი, წარუყვნელი და კდემამოსილი ღიმილით მიართვა აბრეშუმის წითელი მარყუჯით მორთული, ოფლური ჩონგური, რომ ვანომ უარი ვეღარ უთხრა:

— რაი გიმღერო, ქალავ? — შეეკითხა ღიმილით ქალს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვანომ თუშური ქუდი მოიხადა. ცხვარში გასულ მწყემსივით დაიწყო:

„შირაქში ერთმა მეცხვარემ
სიზმარი ნახა ზიანი".

ვანომ წარბები შესტეხა. ლამაზი და სქელი ბაგეები წინ წარზიდა. საამური და ნაღვლიანი ხმით ჩაარაკრაკა ბედითი თავგადასავალი ვაჟკაცი მეცხვარისა.

ამის შემდეგ გიორგი სოფელში გაიპარა. გიტარა იშოვა. ააწყო და ვანოს გადასცა. ვანომ ვახშამზე სამი სიმღერა სთქვა „ინდი-მინდი", „შენ გეტრფი მარად" და „გენაცვალე".

ეთერი უძრავად იდგა. გული ისე უძგერდა მკერდში, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობსო. ამ დროს მზეც გადიხარა. მთის წვერზე ეაჩნდა და მისი სხივები ღია სარკმელში შემოიჭრა. ბუხართან ობლად

იდგა ეხლა მზის სხივებით განათებული თხუტმეტი წლის გოგონა საამურ მოჩვენებასვით, თითქოს ნათელი დასდგომიაო. გულისბირთან ამოჭრილ კოფტიდან ლამაზი და პირველ-ყოფილი უოკუნოვანთ შიშველი მკერდი უჩანდა. თეთრი ჩითის კაბა ეცვა და ზედ ძვინდისა და კუნელის მწიფე ნაყოფივით დასცვენოდა წითელი წინწკლები. ვარდისფრად ალანძულ ღაწვებს გარს ევლებოდნენ შავი კულულები და ირემივით მოღერილ ყელამდე სწვდებოდნენ. სმენად წასული ასულის დიდრონ და შავ თვალთაგან უცნაური შუქი ანათებდა. ეთერის სახე ღრმად შეიჭრა ვანოს არსებაში. ეს გარემოება კიდევ უფრო განუმეორებელ იერს ჰმატებდა მის მწუხარებას და საამურ ხმას, მის „გე-ნა-ცვა-ლეს“. ეთერმა ცრემლიანი თვალები მიაპყრო ღია სარკმელს და სარკმელთან თავისი მეზობლები დაინახა. ნიკა ჯიქაიძის სახლის წინ, მოედანზე მთელი სოფელი შეგროვილიყო. სულგანაბული უსმენდნენ უცხო მომღერალს და ყურთასმენა სავსე ჰქონდათ ტკბილი ჰანგებით. ცნობისმოყვარე მთიელების მზით გატრუსული სახეები მიუახლოვდნენ სარკმელს. გლეხები სარკმელში იხედებოდნენ, ერთმანეთს აწვებოდნენ და ფეხისწვერებზე დგებოდნენ: უნდოდათ მომღერლის დანახვა. ვანომ დაასრულა სიმღერა:

„გე-ნა-ცვა-ლე“.

გიტარა ეთერს გადასცა და შუბლზე აკოცა. კოცნამ ნაღვერდალივით დადაღა გოგონას შუბლი და ნეტარება აგრძნობინა. მერმე ვანომ სარკმელზე მომდგარ გლეხებს გაუცინა და მიესალმა. მეზობლები შინ შემოლაგდნენ, ხოლო გიორგი სარკმელიდან მოედანზე გადახტა და იქ მდგომთ აღტაცებით შეეკითხა:

— როგორ მოგეწონათ ჩვენი სტუმარი?

— ვენაცვალე ხმაშია!

— სალამურია!

— ეთერი დაგვიჩაგრა! — შესძახეს მეზობლებმა და ახალგაზრდა მთიელმა ლექსომ ზედ დაუმატა:

— ჩვენი ჭედილაც დასჯაბნა!

გიორგიმ თავჩაკიდულ და გულჩათხრობილ ჭაბუკს „ჭედილას“ გადახედა, მივიდა და შეეკითხა:

— შენ რაღას იტყვი, ჭედილავ?

ჭაბუკმა ხელის გული ხანჯლის ტარს მაგრად დააბჯინა, ბრაზიანი თვალები მიანათა გიორგის, ჯიქურ შეტრიალდა და წასვლა დააპირა. გიორგიმ მკლავში ჩასჭიდა ხელი მასავით ჭაბუკს და შერისხა:

— ღმერთი არ გაგიწყრეს! ვანო ჩვენი სტუმარია. ვანო საქვეყნოდ ცნობილი მომღერალია! მისი სიცოცხლე ყველა ჩვენთაგანისათვის, ყოველი ქართველისათვის არის საჭირო და სასახელო.

გიორგიმ უამბო მას და ირგვლივ თავმოყრილ მთიელებს, თუ ვინ იყო ვანო და როგორ აფასებდა მას მთელი საქართველო.

— მაშ, რაღად სცემა იმდროულ კაცსა? — შეუტია ჭედილამ. დაჭრილი, შეხვეული ხელი იღლიის ქვეშ ამოიდო და დამალა.

— თქვენ დედა აგინეთ. ჩემი სკოლის ამხანაგი, [illegible] გაუჯოხეთ. მერმე თოფის წართმევაც დაუპირეთ. [illegible]! — აფრთხილებდა გიორგი.

ჩვენ კიდევ დავლიეთ არაყი. ვანო ავაჩქარე, რადგან მზე მთის იქით ჩავიდა და დაღამდა.

სუფრიდან ავიშალენით. უხვს, გულთბილსა და მხიარულ მასპინძლებს დავემშვიდობეთ, მათ ჭირი მოგვჭამეს ხვეწნით: ღამე ჩვენსა გათიეთო. ვანომ გოგონას გადახედა, რომლის სევდიანი თვალები უსიტყვოდაც ამბობდნენ იმასვე, რასაც მშობლები იხვეწებოდნენ. ვანომ კიდევ აღუთქვა ეთერის ტფილისში მოწყობა და კარში გამოვიდა. გიორგი მასთან მივიდა, ხოლო ექო პირისპირ რომ არ შეჰყროდა, მიწურს ამოეფარა. მასპინძელმა ზაქრომ კარებთან არყიანი პატარა ყანწი მიართვა ვანოს. ვანომ გაიცინა. ყანწი გამოართვა, მოედანზე თავმოყრილი ხალხი დალოცა, თუშური ქუდი მოიხადა და გადაჰკრა. გლეხები გარშემორტყმოდნენ და ვანომ მათთან საუბარი გაბა.

სოფელს სავსე მთვარე დაჰნათოდა, ალგეთი გრიალით მიჰქუხდა მთებს შორის და მისი აქაფებული ზურგი ვერცხლისფრად ელავდა. ვანო შესდგა და მოედანზე თავშეყრილ ხალხს „ურმული“ უმღერა:

„აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი,
მერე შვილსა და ცოლსაო“...

ხალხს უცნაური რამ შეემთხვა: თითქოს მთვარით განათებულ მთებში ურმის ჭრიალი გაისმა, შოლტის ტლაშუნი და გლეხის კიჟინაო.

— შენ გაიხარე, შენა! — აღმოხდებოდათ ხოლმე ვანოს „ურმულზე“ სოფლელებს.

ეს ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო. ხალხი მოჯადოებული იდგა და სულგანაბული ისმენდა ქართველი მეურმის სევდიან ღულუნს. ეხლა ჭაბუკი მთიელის ექოს გულიც გადნა და შიგ ბოლმისა და შურისძიების ნატამალიც კი აღარ დარჩა. მაგრამ როდესაც ვანო მასპინძლებს გამოემშვიდობა, ეთერის ხელი ჩამოართვა და თოფი მხარზე გადაიკიდა, ექო აიმღვრა. კისერი წაიგრძელა და მიწურის ყურედან ნადირის მსგავსმა, სისხლით სავსე თვალებმა გამოანათეს. ექო დაუჯერებელ რასმე ხედავდა: ვანო ხელს კიდებდა ეთერს. ქალი კი ინაზებოდა, დაყვავებით და ალერსით შესცქეროდა. ბოლოს ვანომ შუბლზე აკოცა. ისევ ჩაბღუჯა ექომ ხანჯლის ტარი. ვანოს მიერ დაჭრილ ხელზე დაიხედა: მთვარის შუქით განათებულ სახვევზე გამოჟონილი სისხლი ყაყაჩოსავით აჯდა. ვეფხვივით შეჰკრა კამარა. ყორეზე გადახტა და სადღაც მიიმალა.

იფნის ხესთან

მასპინძლებმა და იმათმა მეზობლებმა შარაგზამდე მიგვაცილეს. უკანასკნელად ზაქრო, გიორგი და ეთერი დაგვემშვიდობნენ. როდესაც მანგლისისაკენ მიმავალ გზას დავადექით, ცოტა ხნის შემდეგ უკან მივიხედე და გაოცებული დავრჩი. მთვარისაგან განათებულ იფნის ხესთან ისევ ატუზებულიყო ეთერი. იმ ხესთან, სადაც დაემშვიდობა მას ვანო. უცხო მომღერალს და მონადირეს გასცქეროდა ნაღვლიანი. ყურთასმენა სავსე ჰქონდა ვანოს სიმღერებით.

„რა გული იტევს ამდენ სიმღერას?“ — გაიფიქრა მან. მოაგონდა: „გენაცვალე“, მერმე — „შენ გეტრფი მარად“.

ტუჩები ჩურჩულით შეარხია:

— თითქოს უმღეროდა ქაჯეთის ციხეში დამწყვდეულ ნესტანს.

ეთერი გაინაბა. მთვარიან ღამეში დადუმებულ მთებს გახედა. მოესმა: „აღზევანს წავალ მარილზე....“ და გაიფიქრა: „თითქოს მწყემსები გადმომსხდარან ამ მთის კალთებზე და თავიანთ საამურ სალამურს სევდიანად ატირებენო“.

ფიქრი ალგეთს იქითურ ბილიკზე ატეხილმა ცხენების თქარუნმა შეუკრთო. ორი მხედარი მიაჭენებდა გრძელ-ფაფარიან ცხენს. ერთმა ცხენი შეაყენა. ალგეთზე მოაგდო და ეთერს გადმოსძახა:

— პირშავო ქალავ, ძვირად დაუჯენ იმ მომღერალს შენს კოცნას!

ეთერმა იცნო შაშხანით შეიარაღებული ექო და ლექსო.

შეძრწუნდა და შინისაკენ მოჰკურცხლა.

სოფლელები ისევ მოედანზე იდგნენ. მოჯადოებული იყვნენ უცხო მომღერლით, რომელიც ასე წარმტაცად მღეროდა ამ მთვარიან ღამეს მათთვის ნაცნობ და საყვარელ „ურმულს“. მათი ჟრიამული ალგეთის გრიალზე მაღლა დგებოდა. მაგრამ როდესაც ეთერმა ექოს მუქარა შეატყობინა სოფელს, საამური ჟრიამული უმალვე რისხვად იქცა:

— სტუმარზე ხელი აღმართა?

— თანაც როგორ სტუმარზე!

— ვაი, სირცხვილო!

— მოჰკალ, მოჰკალ, ზაქრო! — გუგუნებდა ხალხი.

ძმათგაფიცულნი

მანგლისისაკენ გამოვსწიეთ. შემოდგომის პირი იყო. ალგეთი ცივი იყო, მაგრამ მაინც ვიბანავეთ. სახსრები გავისწორეთ. დაღლილობა და არყის ალმურიც გაგვიქარდა. ჩიტივით მჩატენი შევიქენით. მანგლისისაკენ ეხლა ჩქარის ნაბიჯით მივდოდით. დაბლა, ყანებისაკენ რომ დავეშვით, ამ დროს ჩვენს წინაშე ვილამაც დაოთხილი ცხენი შეაყენა. შევხედე და თავზარი დამეცა.

— აქა ვარ, გინდა თოფით და გინდა ხმალით გავსწორდეთ! — მიაძახა ვანოს ჭაბუკმა.

— რისთვის? არა გრცხვენიათ, გზაზე ყაჩაღებივით თავს რო გვესხმით თქვენივე სტუმრებს? — ვუთხარი, როცა ექოს შეგობარი ლექსოც მოვიდა.

— თქვენ ჩვენი სტუმრები არ ყოფილხართ, — დაუხმარა ექოს მასავით ჭაბუკი ლექსო და შაშხანა გადმოიღო. ექო ცხენიდან ჩამოხტა.

— რა დაგიშავეთ? — შეუტია ვანომ.

— აი! — დაიძახა ექომ, მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და ვანოს უჩვენა.

— განა მე დაგჭერი?

— შენა!

რა უბედურებას გადავეკიდეთ-მეთქი, გავიფიქრე სასომიხდილმა და ხიფათის თავიდან ასაცდენად დავიწყე:

— შენ შაშხანითა და ხანჯლით შეიარაღებულხარ, ამ კაცს კი მარტოკა სანადირო თოფი აქვს. თქვენი ბრძოლა უსწორო იქნება.

ექომ ლექსოს ხანჯალი გამოსტაცა. მერმე თავისი იძრო, ხელი წვერში წაავლო და ვანოს გაუწოდა ტარით ორთავე:

— აირჩიე!

ვანომ ექოს ხანჯალი აირჩია და თოფი გივის გადასცა. შევძრწუნდი, როგორ დასთანხმდა ხმალში გაჰყოლოდა ექოს, ვერ ამეხსნა.

— ადამიანი არა ხართ!? ეს არის თქვენი სტუმარმასპინძლობა? თუ რამ დაგიშავეთ, მოვინანიებთ, პასუხს ვაგებთ, ფულს მოგართმევთ...

— ფული რა თავში ვიხალო, შე ქალაქის ქალაჩუნავ!? სისხლი ფულზე გაიყიდება? — აგდებულად მომახალა ექომ.

ვანოს მოეწონა, ალბათ, ექოს პასუხი. მთვარისაგან განათებულ მთებსა და ალგეთს გაჰხედა. მთები და ალგეთი სცენაზე დახატულივით თუ ეჩვენენ ამ წუთას. ვინ იცის? სცენაზე არა ერთხელ უბრძოლია მას დაშნით, ხმლითა და დამბაჩით. ველარ ამეხსნა — ამ გარემოებამ, არაყმა თუ რამ გაათამამა. ექომ დაუძახა:

— აბა გამოდი!

მყისვე მიაგება ვანომ ხანჯალი. უკვე დარეკა მთვარის შუქზე აელვებულმა ფოლადმა. სატევრის დარტყმამ ექოს მკლავისა და მაჯის ძალა აგრძნობინა ვანოს. ხელი აუკრეოლა. შიშმა ამიტანა. მთელს ტანზე, ჩემდა უნებურად, მიკანკალებდა დაზიდული კუნთი. როგორ? ამ ვიგინდარა ჭაბუკმა უნდა დაკლას ჩვენი ერისათვის სასიქადულო მომღერალი? მე კი გულხელდაკრეფილი უნდა ვიდგე ასეთ დროს? რა პასუხი უნდა გავსცე ხალხს?

— შესდექ! — შევსძახე ჭაბუკს. მერმე ვანოს მივმართე: — ვანო, დაფიქრდი, რასა შვრები!

— ხელს ნუ მიშლი! — შემრისხა ვანომ.

ლექსომ შაშხანა დამიმიზნა და გამაფრთხილა:

— თოფი დააყენე!

თოფი ხელთ მოემარჯვებინა. ჩახმახზე ცერიც კი დაებჯინა, თურმე უნებლიეთ. აწეული თოფი დავუშვი. შიშისაგან სიკვდილის პირად მისული გივის სახე დავინახე. გივი გაფაციცებით უცქეროდა ვანოს, გასაგებად მებრძოლთ. ექომ დაუნდობლად შეუტია ვანოს. ვანოს სახეზე ლიმილი გაჰქრა. სახე ერთბაშად მოეღუშა და ნადირივით დაიღრიალა:

— არ დაგნებდები!

ხანჯალი გააფთრებით მიმოიქნია. მარჯვედ შეუტია. შევხედე. ველარ ვიცანი: ვანოს მშვიდი, გონიერი და მგზნებარე თვალები ეხლა გაავებული აფთარის თვალებივით ანათებდნენ და ქარქაშიდან ამოწვდილ ხანჯალივით ელვარებდნენ. ვანოს ერთი ჰქონდა მხოლოდ სურვილი: თავიდან აეცილებინა გულის გამპობი სატევარი და თითონვე მოხერხებულად დაერტყა, მკლავი მიეთალა ან მოეკლა მოსული მტერი.

სწორედ ამ დროს მოაგდო გიორგიმ ცხენი. გადმოხტა. გიმნაზიურ ქურთუკზე შემორტყმულ ქარქაშიდან იძრო ხანჯალი და ექოს წინ აღიმართა:

— აბა, გამოდი, ჩემი სტუმრის შემრცხვენო.

ხანჯლები დაატრიალეს. მაგრამ ბრძოლა აღარ დასცალდათ. ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილ დევ-კაცის, ზაქროს შემზარავი ხმა გაისმა:

— დადექ! ჩააგეთ ხანჯალი! — ხელში შაშხანა ეჭირა. ექო წამსვე შესდგა და ხანჯალი ჩააგო. ზაქრო ცხენიდან ჩამოვიდა. ექოს და ლექსოს ხანჯალი ახსნა და თოფები ჩამოართვა. მერმე ჭაბუკები მხარდამხარ გააჩერა. უზარმაზარი თათი წაავლო გამხდარ ნიკაპში ორთავეს. თავები მაღლა ააწევინა. უყვირა და სამართალი გააჩინა:

— ცას შეხედეთ, ლეკვებო! ღმერთი ახსენეთ და პირჯვარი გადაისახეთ: ჩემი სტუმრის განწირვისათვის უნდა გაგათაოთ!

მასპინძლის სასტიკმა განაჩენმა საკვლებით „გამოაფხიზლა ვანო. მივარდა, ზაქრო გამოსწია, ცერთან დაჭრილი, გასისხლიანებული ხელი გაუწოდა ექოს და უთხრა:

— შეხედე: ეხლა მეც შენი სისხლი მმართებს. მორჩა გავსწორდით. მოიტა ხელი, შევრიგდეთ:

ექოს ეთერი მოაგონდა. მაგრამ სისხლის აღების გამო გამოწვეულმა სიხარულმა დასძლია იჭვიანობას. ლომის ლეკვის მაგვარ მრისხანე თვალში ლმობიერი ღიმილი ჩაუდგა.

— გაუწოდე ხელი! — ურჩია ზაქროს მუქარის გამო ზეზეულად გათავებულმა ლექსომ და მხარი წაჰკრა.

— ექომ და ვანომ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

— ძმები ვიყოთ! — უთხრა ვაჟკაცურად ვანომ.

ძმადნაფიცებმა ერთმანეთი გადაჰკოცნეს.

ალგეთის პირად ჩავედით. ვანოს დაჭრილი ხელი გავბანე. პერანგი გავიხადე, დავხიე და სახვევით მაგრა შეუკარი.

ამის შემდეგ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ძმიელებმა ცხენები დაგვითმეს. ასე ინება დევ-კაცმა ზაქრომ. ექომ მანგლისამდე მიგვაცილა. გზაზე სდუმდა. ეტყობოდა, რაღაც „ეუბნებოდა: „ჰო“ და „არას“ თუ აღირსებდა ვანოს შეკითხვებზე. ძველი მანგლისის ეკლესიასთან შევჩერდით.

განშორების დროს ექო უცნაურად გაირინდა აიწურა და საიდუმლო გაუმხილა ვანოს:

— გახსოვდეს, ეთერს ვერვის დაუთმობ.

ვანომ გაიცინა, მხარზე ხელი დაჰკრა და ანუგეშა:

— ეთერის სიყვარულში არ შეგეცილები.

ექო დამშვიდდა. მერმე ღვიძლ ძმასავით ჩაიკრა გულში ვანო და უთხრა:

— არ დამივიწყო. ძმათ მიგულვე. თუ რამ გაგიჭირდეს, მაცნობე და მაშინვე შენთან გავჩნდები. ხელი როგორ გაქვს?

— არა მიშავს რა. ექო, ამ შუაღამისას სად უნდა წახვიდე, ჩემსა დარჩი, — უთხრა ვანომ.

ექომ არ მოისურვა. შეჰპირდა მალე ჩამოვალო. ცხენს მოახტა. სამივე ცხენი გამოიბა სოფლისაკენ გასწია. ასე დაშორდნენ ერთმანეთს ოდესღაც მოსისხლე მტრები, აწ კი ღვიძლ ძმაზე უფრო უტკბესი მეგობრები. ფარიკაობა და მთიელ ჭაბუკთან ძმადნაფიცობა ძალიან მოსწონდა ვანოს. ტკივილისაგან ერთხელაც არ დაუკვნესია. მხოლოდ ესა სთქვა:

— აკი გითხარით, გველეშაპის გულიდან გადმოდენილი სისხლის შადრევანში არ განმიბანია ტანი ზიგფრიდივით და ამიტომ ჩემი სხეული უვნებელი არ არის მეთქი?!

გველი.

მანგლისს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დასცქეროდა. ირგვლივ სიჩუმე და მყუდროება იდგა. ცას გავხედე. ექოსთან ჩხუბი, კენწლაობა, შერიგება და დავიდარაბა, რომელმაც ასე შემაშფოთა ამ რამდენიმე ხნის წინად, არარად მეჩვენა.

ხეივნიდან ქალებისა და გოგონების სიცილ-კისკისი შემოგვესმა. რაღაც უცნაურად გაისმა ამ მთვარიან ღამეში მათი სიცილი. გვირილებით თავმორთული გოგოები ტყიდან გამოვიდნენ მოჩვენებასავით, თითქოს ტყის ფერიები არიანო. მათ მასწავლებელი ივანე საგანელიძე მოუძღოდა. ივანე ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. სნეული ფილტვები ჰქონდა და იმ წელს ისიც მანგლისში ისვენებდა. მანგლისის მიდამოებში დაჰყავდა მოწაფეები ექსკურსიაზე. მზისგან დამწვარი მისი სახე სპილენძისფრად იყო შეღებილი. ქერა თმა წინ გადმოჰფენოდა და გაოფლიანებული ფართო შუბლს მიჰკვროდა. ასეთივე ფერის მოკლე წვერში მოგრძო ნიკაპი ილანდებოდა. სათნოებით სავსე, თაფლის-

ფერი თვალებით მიუძღოდა იგი ქალებს, როგორც ქრისტე ოთხის მოწაფეებს დაპურებულ და მწიფე ყანაში.

ლიტერატურის მასწავლებელს, ამ რომანტიულად და სენტიმენტალურად განწყობილ კაცს კარგად იცნობდა ვანო. იგი განსაკუთრებით მოსწავლე და ჰასაკგადასულ ქალებს უყვარდათ. ქალთა ჯგუფში ივანე საგანელიძის ასულებიც იყვნენ, ქეთო და თამარ, რომელნიც ასე მწუხარედ იმღერიან ტფილისში ვანოს ბინის მეზობლად „გაფრინდი, შავო მერცხალო“-ს.

ივანე საგანელიძე მოწაფეთა შორის იდგა და ადამიანის მაღალ ზნეობაზე ქადაგებდა, თუმცა გვირილებით თავმორთული წარმართი გოგოების აღვირახსნილი კისკისი ნათლად მოწმობდა, თუ რამდენად ეკარებოდა მათ გულს ხელმძღვანელის ზნეობრივი ქადაგება. საგანელიძეს სწამდა, რომ ყოველ ქმნილსა და არსს საკუთარი აზრი გააჩნია, საკუთარი ენა აქვს და რომ „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“, ჩვენი დიდი პოეტების ბარათაშვილისა და ვაჟასი არ იყოს. ამგვარი ქადაგების დროს უხილავი ნეტარება და აგზნება მოიცავდა ხოლმე.

იგი მოგვესალმა. მოაგარაკე გოგოებმა წრე შემოგვარტყეს. გივიმ ჩანთიდან ღალღა ამოიღო და საგანელიძის ქალს უჩვენა. ცოცხალი ეგულებოდა, მაგრამ ღალღა ამდენ დავიდარაბაში მომკვდარიყო. საგანელიძემ ხელში აიღო ჩიტი და ვანო გაჰკიცხა:

— ცოცხალ ქმნილებას არ უნდა ჰკლავდეო!

ღალღის თავ-ნისკარტზე დაკიდებული სისხლის წვეთი ღლისით გახურებულ ქვას დაეცა.

— ღალღა კი არა, კინაღამ მეც არ მომკლეს... — ღიმილით უპასუხა ვანომ და ექოსთან ბრძოლა უამბო.

თუმცა გრძელი სახვევით ჰქონდა შეკრული დაჭრილი ხელი, სისხლს სახვევში მაინც გამოეჟონა.

ვანო იკვეხიდა:

— ჩემს ბიოგრაფიაში ამაზე უკეთესი შემთხვევა არ მეგულება.

გადავწყვიტეთ ექიმის გაღვიძება, რომ გაებანა და ხელახლა შეეხვია ვანოსათვის ჭრილობა.

იმ წამსვე ვანოს პოინტერი დაფეთებული შესდგა შარაგზაზე. ერთ შავ გროვას უვლიდა, კანკალებდა და შიშით ვერ ეკარებოდა. ეს გროვა მე კამეჩის განავალი მეგონა. ძაღლმა ყეფა ასტეხა. გადაფრინდა დაბუდრებულ მწყერჩიტების დამფრთხალი გუნდი. თვალი შევასწარი წყალში ჩაცვივნულ ბაყაყების გაფშეკილ კანჭებს. წყალში ტყლაპანი ისმოდა. ძაღლისაკენ წავედით. ძაღლს ქეჩოზე ბალანი აეშალნა, ტუჩებზე ულვაშები ჯოხებივით დასდგომოდა.

— გველი! — დაიძახა გივიმ.

თოფი მოვიმაჯვე, მაგრამ სროლას ვერ ვახერხებდი, რადგან ძაღლის დაშავებისა მეშინოდა. იგი გარს უტრიალებდა გველს. ვანომ შეს-

ძახა მასთან მისულიყო, მაგრამ არც მას გაუგონია. გვიან გორახი ესროლა. გორახი მოხვდა ძაღლს და მერმე გზაზე დახვეული შავ მურგვსაც. წამსვე მურგვმა თავი ასწია გაარისინა და მისი ტანი მოუსვამსხო თოკივით ჰაერში აილეწა. კუდზე აწვდილმა წივილმა ... ზეაღიმართა, ორკაპი ენა გამოჰყო და შემზარავი სისინი მორთო. შიშმა და მოკვლის სურვილმა აგვიტანა. გულდაგულ დაუმიზნე თოფი და დავცალე. გველის თავი და ტანი საფანტით დაიცხრილა. მიწაზე დავარდა. იკლაკნებოდა. ახლოს მივედით და ქვებით გავათავეთ. მისი დამცინავი თვალი მაინც ღია დარჩენილიყო. ხახაც გაღებული ჰქონდა, თითქო ხითხითებსო და, რაც ყველაზე უფრო მოულოდნელი იყო, საგანელიძემ ყავარჯენის წვერი ჩაარჭო ღია ხახაში და ზიზღით გაუჭეჭყა თავი. გავშალეთ დიდი, ორი ადლის სიგრძე რუხი გველი. გადავაბრუნეთ. მისი მუცელი თითქო ფერადი ქვიშებით მოუჭედნიათო. ცოცხალი კუდი ისევ ერხეოდა. ქვეწარმავლის მიმართ საშინელი ზიზღი ვიგრძენით, რასაც ეხლა უკვე გვიწონებდა ყოველი ქმნილებისადმი სიყვარულის მქადაგებელი საგანელიძე, ხოლო ბუნებისმეტყველი კი თავის ლაბორატორიიდან დაგვითხოვდა ასეთი ზიზღისათვის, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდოდა აგვეკუწა და გვეცემა გველისათვის მანამდე, სანამ არ აღიგვებოდა იგი პირისაგან მიწისა.

დავტოვეთ ბებუთივით გალუნული რუხი გველი, ფერადი კენჭების მსგავსად მოხატული მისი მუცელი ელავდა როგორც კითხვითი ნიშანი ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ.

— კარგია, რომ მოვკალით. გველის მოკვლა მე და ექოს შორის სისხლის აღებასა და შურის მოსპობის სიმბოლოა, — მითხრა ვანომ გზაზე.

— ცრუმორწმუნე ყოფილხარ, — ვუპასუხე მე.

ნაწილი მეოთხე

პროსპექტზე

რადგან იმჟამად კიევის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ამიტომ აგვისტოს დამლევს რუსეთისაკენ გავსწიე. საქართველოდან მწერდნენ: ვანო სარაჯიშვილი სასახელოდ ცნობილი მომღერალი გახდაო. გრიშაშვილის „გენაცვალე“ და შალვა დადიანის „მხოლოდ შენ ერთს“ ვანოს იტალიურ რომანსებისათვის მიუსადაგებია. და აი, ამ რეპერტუარით მთელი საქართველო შემოუვლია. ეს რომანსები თითქმის ისეთივე პოპულარული გამხდარან, როგორც აკაკის „სულიკო“. „მხოლოდ შენ ერთს“ და „გენაცვალემ“ ჩვენამდეც მოაღწია და რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში მყოფი ქართველი სტუდენტებიც ამ რომანსებს ვიმღეროდით. რევოლუციის შემდეგ, 1920 წელს, მენშევიკურ საქართველოში დავბრუნდი.

კვირა დღე იყო. პროსპექტზე ვანო და მისი მეუღლე შემეყარნენ. ვანომ ხელები გაშალა. ამას ვის ვხადავო, იყვირა და მამაპაპურად ისე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადამკოცნა, თითქო ტფილისი მისი საკუთრებაა და პროსპექტიც მისი მამულის ერთ-ერთი შარაგზაა. დიდხანს მიჭერდა ხელს. ხელის ზურგზე ნახმლევი აჩნდა.

— ჭრილობა მოგირჩა?

— მომირჩა, ეხლა სხვა ჭრილობა მაწუხებს.

— როგორ?

ვანომ სიტყვა ბანზე ამიგდო.

— რომ არ მცალია!

— რა ცალი გკიდია?

— დოსტაქარი ევგენი მხეიძე უნდა ვინახულო. მე მის კლინიკაში ვაპირებ მუშაობას.

— ევგენი ჩინებული ადამიანია. გუშინწინ მისი დაბადების დღე იყო და ვახშმათ მასთან ვიყავით, — მითხრა ვანოს მეუღლემ.

— მართლა, ახალი ამბავი გახარო: ეთერი აქ არის. ბიძასთან, შოფერ თედოსთან ცხოვრობს. თანაც კონსერვატორიაში სწავლობს. ამრიგად, ჩემი წინასწარმეტყველება აღსრულდა: იშვიათი ხმა აღმოაჩნდა. მეორე წინასწარმეტყველება კი შემეშალა.

— რომელი?

— გახსოვს გველი რომ მოვკალით, მე გითხარი: გველის მოკვლა მე და ექოს შორის სისხლის აღებისა და შურის მოსპობის სიმბოლოა მეთქი?

— მახსოვს. მერმე რა? მე მაშინაც არაფერი მჯეროდა მაგ ცრუმორწმუნეობისა.

ვანო ფერმკრთალი მეჩვენა. საოპერო თეატრს რომ გავუსწორდით, აფიშაზე წავიკითხე: „კარმენ“.

— ამ საღამოს თეატრში ვიქნები. შენი დონ-ხოზეს ქება მესმის.

— მართალია.მე სხვანაირად ვთამაშობ ეხლა დონ-ხოზეს. იცი: სობინოვი ამჟამად ტფილისში იმყოფება.

— სობინოვი ტფილისშია? — შევძახე სიხარულით.

— ძალიან მაინტერესებს სობინოვის აზრი. დღეს ისიც თეატრში იქნება. საუბედუროდ, ტფილისში არავინ არის ისეთი, რომ ჩემი თამაში შეაფასოს, ივანე და ზაქარია ფალიაშვილის, დირიჟორი სტოლერმანისა და ორიოდე მეგობრის გარდა. შენ დაუნდობელი სკეპტიკოსი ბრძანდები, მაგრამ მაინც ნახე, როგორი დონ-ხოზე ვარ.

— მოვალ, რაღა თქმა უნდა, — მივუგე მე. იგი ჩემს გემოვნებასაც ანგარიშს უწევდა და ამიტომ მისი გამხნევება დავიწყე.

— ჩემი ფასი ჩემზე უკეთ არავინ არ იცის. უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებენო, ხომ გაგიგონია. შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ კატის ყეფის გამგებიც არ მეგულება ჩვენში.

ვანო მარტოობას გრძნობდა იმის გამო, რომ საქართველოში თითქოს არავინ იყო მისი ვოკალური და მსახიობური ნიჭის ნამდვილად შემფასებელი. ის არ ყალთაბანდობდა: პრანჭვა-გრეხის მოყვარული კა-

ცი როდი იყო. მით უფრო დამაინტერესა მის მიერ დონ-ხიხოს განსახიერებამ. რუსეთში ყოფნისას ოპერას ვეტანებოდი. ვოკალურ ხელოვნებისა ზოგი რამ მესმოდა. ვანო ღელავდა. ზომაზე მეტად ჭიჩჭა როგორლაც მხრები, რომელზედაც უხეიროდ ჩამოეკიდა ... პალტო, ეს პალტო და ნაცრისფერი ბუხრის ქუდი პროვინციულ იერს აყენებდა ვანოს და მის სიღარიბეს ამჟღავნებდა. ასეთი იყო მაშინ ბევრი ქართველი მსახიობის, მწერლის მშრომელისა და საზოგადო მოღვაწისა.

— უთუოდ მოვალ ამაღამ თეატრში, — შევპირდი, დავემშვიდობე და პროფესორ მხეიძის კლინიკისაკენ გავსწიე.

პროფესორი ახალგაზრდა დოცენტის მიერ გაკეთებულ იშივათ ექსპონატს ათვალიერებდა კლინიკაში. ოთახში მავთულებით დაჭიმული, ხელოვნურად გამომხმარი გვამი იდგა მამაკაცისა. დოცენტს გვამისათვის გულის ყაფაზი, მუცლის ღრუ განეკვეთა, ტყავი გადაეცალა. შინაგანი და გარეგანი ორგანო, ყოველი ნაკვეთი, ქსოვილი, კუნთი, არტერია თუ ნერვი ცხადლივ სჩანდა წითლად და ლურჯად შეღებილი. მნახველის წინაშე ადამიანის ორგანიზმის სრული ტოპოგრაფიული სურათი იშლებოდა. პროფესორს, ოცდახუთ წელზე მეტი ხნის კაცს, თეთრ ხალათებში გამოწყობილი სტუდენტები ეხვივნენ. იგი ორგანოთა ადგილმდებარეობაზე და მათ ფუნქციაზე უკითხავდა სტუდენტებს ლექციას. სტუდენტთა შორის პროფესორის უმცროსი ძმა კორნელი შევნიშნე. რუსეთიდან იმხანად ჩამოსული ცნობილი დოსტაქარი, პროფესორი ევგენი მხეიძე ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრას განაგებდა და მის საფიქრალ საგანს ახალგაზრდა კადრების შექმნა შეადგენდა.

პროფესორმა ლექცია დაასრულა. იგი, მისი ძმა კორნელი, დოცენტი, მე და სტუდენტები ქუჩაში გამოვედით. პროფესორს ჯარისკაცისმაგვარი ჩექმა, მოძველებული გაქონილი პალტო ეცვა და ადამისდროინდელი ყავისფერი შლიაპა ეხურა. მსახიობივით მძაფრი, კულტურული სახე და უცნაური ძალის მქონე, შუქიანი თვალები რომ არ ჰქონოდა, ჩაცმულობით იგი სოფლის ფერშალს უფრო მოგაგონებდათ. ქუჩაზე მოძველებული, დახეული ტანსაცმელით მიმავალი სხვა მოქალაქენიც შევათვალიერე და გავიფიქრე: „შიმშილ-წყურვილისა და გაჭირვების უნდო ხელი შემოჭრილა ჩვენში და მუშას, მოხელეს, პროფესორს, დოცენტს, სტუდენტს, მსახიობს თუ სხვა პროფესიის ხალხსაც მისი სუსხი დასტყობია“.

პროფესორმა ევგენი მხეიძემ მე და დოცენტი შინ მიგვიპატიჟა სადილზე. ევგენის ბინაზე სოფლიდან ჩამოსული ხალხოსანი და საზოგადო მოღვაწე იონა დაგვიხვდა. იონა ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა, ხელოვნების მოყვარული და ევგენის გულითადი მეგობარი. მას არ მოსწონდა ევგენის ლოთობა და ყოველთვის ჰკიცხავდა, თუმცა ღვინის სმა სრულიადაც არ უშლიდა ხელს სახელგანთქმულ დოსტაქარს ევგენის სწორუპოვრად შეესრულებინა ურთულესი ოპერაცია, თითქოს სიმ-

თვრალეში იგი უფრო ზუსტად, უნაკლოდ, შეუცდომლად ნებისყოფის სრულის დაძაბულობით მუშაობდა. მაგრამ ლოთობა დოსტოევის დიდ ნაკლს შეადგენდა, რა თქმა უნდა და ექიმისათვის მიუტოგებელ სენს წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონ-ხოზე

ოპერის დაწყებამდე ცოტა დრო რჩებოდა. თეატრის ბალთან ჩოხიანი ჭაბუკი და ახალგაზრდა ქალი საუბრობდნენ. ქალი ღელავდა. თვალებს აცეცებდა. ნაცნობს ეძებდა თეატრისაკენ აჩქარებულ ნაბიჯით მიმავალ ამდენ ხალხში. ბოლოს ევროპულ კოსტუმში გამოწყობილ კაცზე შეაჩერა თვალი. ქალი მას აედევნა:

— ბატონო სოლომონ, ვანო სარაჯიშვილის ნახვა ვერ მოვასწარი. იქნებ თქვენ მოუხერხოთ ჩემს ამხანაგს თეატრში შესვლა.

სარაჯიშვილის მათაყვანებელმა ცნობილმა მემუსიკემ სოლომონმა გაიღიმა:

— რომელია თქვენი ამხანაგი? აბა, მალე, გეთაყვა, მაგვიანდება.

ებრაელმა მემუსიკემ, ლმობიერმა და კეთილმა კაცმა სოლომონმა ბუდეში ჩადებული საკრავი მოიმარჯვა, ხელი წაავლო ჩოხიან ჭაბუკს და უკანა კარებიდან თეატრში შეიყვანა. ეს ჩოხიანი ჭაბუკი ექო იყო, ხოლო ქალი — ეთერი. ეთერი ვანოს ნათესავი ეგონა სოლომონს. ხშირად უნახავს ვანოსთან. იცოდა ეთერისადმი ვანოს მზრუნველობა. კონსერვატორიაში მოსწავლე ქალის ხმის ქებაც სმენია და ამიტომ შეუსრულა თხოვნა. ეთერისა და მისი ბიძაშვილის გიორგისათვის ჯერ კიდევ დილით მიუცია ვანოს ბილეთი. ხოლო ექო ნასადილევს ჩამოსულიყო სოფლიდან და უბილეთოდ დარჩა.

ექო ვიწრო ხრახნილი კიბეებით მიჰყვებოდა სოლომონს. ჯერ ზევით მიდიოდნენ და მერმე ქვევით დაეშვნენ. აღარ გათავდა კიბეები, თითქო ექო ლაბირინტში მოექცაო, თავბრუ დაეხვია, სცენა გაიარეს. ბოლოს სოლომონმა ხელი წაავლო ექოს.პატარა კიბე ჩაარბენინა, ორკესტრში შეიყვანა და ბნელ კუთხეში, კედელთან გააჩერა. დარბაზში შესვლისა და ადგილის გამოძებნის დრო აღარ რჩებოდა. ექო ისეთ ადგილზე იდგა, რომ სცენის მარჯვენა მხარეს მოთავსებულ მთავრობის ლოჟიდან და ორკესტრზე გადმომდგარ ქანდარიდან თუ შეხედავდნენ, დარბაზიდან კი ვერა. ექომ ამდენი უცნობი და უცხო საკრავი, ჭიანურები, ვიოლონჩელები, კლარნეტები, ფაგოტები, ფლეიტები, სალამურები და დოლივით გაჭიმული ბარაბანები რომ დაინახა, თვალთ აუჭრელდა. ბოლოს სოლომონი შენიშნა ორკესტრში. უცნაური საკრავი — გობოი ეჭირა ხელში და წინ პატარა მაგიდასავით გაკეთებულ დაფაზე — პიუპიტრზე გაშლილ რვეულში იცქირებოდა. ექომ სცენას, უზარმაზარ დარბაზის ჭერიდან გადმოკიდებულ და ლამპებით გაჩირაღდნებულ ჭაღებს ახედა. ხალხი სკაში შესულ ფუტკარივით გუგუნებდა-

მემუსიკეებმა თავიანთი საკრავის მომართვა დაიწყეს. ქუჩაში უნახავს ექოს სასულე ორკესტრი, მაგრამ ასეთი უცნაური საკრავები: კიბორჩხალივით დაკვარჩხული შავი სალამურები, კაცის ოდენა ვეება ჭიანურები კი არასოდეს. იდგა ყურის წამღები ჭყვიტინა, ტარტიოლა, ფლეიტა, ფრიპინი, ჭიანურისა და სალამურის კვნესა, უცნაურ საკრავთა ღაღანი, ოჩოკოჩის ხმის მსგავსი ღრიალი, გუგუნი, ბღავილი, დიპლიპიტოს კაკანი, ბარაბნების ბრახუნი. „რა ამბავია ეს, დიდება შენს სახელს, ღმერთო!“ — გაიფიქრა ექომ. შეკრთა და გაირინდა. შეშინებული ბალღივით უელავდნენ თვალები. ღერღეტივით მოღერილ კისერზე ღილკილოებით ასხმული ახალუხის სახელო უჭერდა. მღელვარების გამო ხახა უშრებოდა. ნერწყვს ნერწყვზე ყლაპავდა და ჩიყვის ოდენა ხორხი ადიოდა და ჩამოდიოდა. იქვე, ახლოს, ლამაზი ქალი ბროლივით თლილი თითებით უზარმაზარ ქნარის სიმებს სინჯავდა და გაოცებულ მთიელ ჭაბუკს ღიმილით შესცქეროდა. ექომ შენიშნა ამ ქალსა და სხვა მემუსიკეთაც დამცინავი ღიმილი. საშინლად გაწითლდა. დაირცხვინა. კარებს მიატანა თვალი და გაქცევა დააპირა, მაგრამ მემუსიკენი თავთავიანთ ადგილზე დასხდნენ, გასწორდნენ და მიატოვეს მთიელი ჭაბუკისაკენ ცქერა.

ევგენიმ, მე და იონამ პარტერის მეხუთე რიგი დავიკავეთ. დარბაზში სინათლე ჩაქრა. ორკესტრის წინ მაღალი კაცი, დირიჟორი სტოლერმანი ალიმართა. გრძელი ხელები მაღლა ასწია, გაშალა. თითქო ალსავლის კარების წინ ღაღადს აპირებსო. მის ნიშანზე ორკესტრმა უვერტიურა დაუკრა, ჰაერი ტორეადორის საზეიმო მარშმა გააპო. გაოცდა ექო: ეს უცნაური ხმაური და ჯოჯოხეთურ ხმათა აურზაური როგორ საამურ ჰანგებად იქცაო. უვერტიურის დასრულების შემდეგ ფარდა აიხადა. ვანო დონ-ხოზეს ასრულებდა.

ექომ მაშინვე იცნო ოფიცრის ტანსაცმელში გამოწყობილი ვანო, მისი ხმა. გაიღიმა. სმენად და ცქერად გადაიქცა. „როგორ სულგანაბული უსმენს ამდენი ნასწავლი და განათლებული ხალხი. რა დიდი ვინმე კაცი ყოფილა. მე კი მასზე ხანჯალი ავმართე. ვაი, შენ ჩემო თავო, ეს რა სამარცხვინო ამბავი შემემთხვა! თუმცა ხანჯალი რომ არ ამემართა, მასთან ძმათშეფიცული ვერ გავხდებოდი“, — ფიქრობდა ექო და ნეტარებით შეავლო ხანჯალს წითური, ვეება ხელი. ხანჯალზე და წულამესტებზე დაიხედა, პირველად შეირხა ამდენხანს გაშტერებული და უძრავად მდგომი ჭაბუკი იმ ადგილას, საცა დააყენა იგი სოლომონმა. ადგილი მოინაცვლა, მოხერხებულად მიაწვა კედელს და ასე გაჰხედა სცენას. კარმენის სიმღერას რომ ისმენდა, ეთერი აგნოდებოდა. „ეთერი რომ ამ სცენაზე სიმღერას დაიწყებს, მერმე მე ალარ მომხედავს. ან კი რა მისი ტოლი ვიქნები უსწავლელი, სოფლელი გლეხი“, ფიქრობდა წუხილით ექო. ხშირი წარბები შეჰყარა და რაღაც მრისხანედ გაჰხედა ვნებააშლილ, ხალხში გამოჭიანებულ მოცეკვავე ქალს, რომელიც ურცხვად იქნევდა თეძოებს ავხორცივით. დაენანა ექოს ეთერი: ქალაქში და ამ თეატრში რად უნდა გაირყვნასო და სატრფოსადმი ზნეობრივი

მზრუნველობა გულს ჩაესახა. გული სწყდებოდა ნახევრად შიშველ და უზნეო ქალის ცეკვაზე. თითქოს ეთერი ცეკვავსო ვანოს წინაშე. თითქოს ბოშა-ქალი კი არა, ეთერი როკავს, უზნეოდ [illegible] ეფერებს, ყველას სავნებოდ იწვევს და მგზნებარე შავ თვალებს [illegible]ებსო. „ნურმც მოვესწრები მე ამის ნახვას", — გაიფიქრა ექომ. იგი სცენასა და დარბაზს შორის იდგა. სცენაზე ვანო თამაშობდა, ხოლო დარბაზში ეთერი ეგულებოდა და მუდამ ასე დადგება ვანოსა და ეთერს შორის, ოღონდ არ გარყვნილიყო ამ ბოშა-ქალივით ბავშობიდანვე სათაყვანებელი მისი ეთერი.

ოპერის პირველმა აქტმა ჩვეულებრივად ჩაიარა. ოვაციები კარმენის როლის შემსრულებელ ქალს უფრო ჰხვდა წილად და არა ვანოს. ვანოს მაგიერ ვღელავდი.

სოლომონმა მკლავში ხელი გაუყარა ექოს. სცენიდან დარბაზში შეიყვანა და მესამე იარუსის ერთ-ერთ ლოჟაში დასვა. ეხლა მთელი დარბაზი იშლებოდა ექოს წინაშე და ხალხი ზღვასავით ტორტმანებდა. დილამდე რომ ეძიოს თვალით ეთერი ამდენ ხალხში, მაინც ვერ შეამჩნევს. იჯდა შეწუხებული, მაგრამ ლოჟის კარები სოლომონმა შეაღო, გაიცინა და ეთერს უთხრა:

— აი, თქვენი ამხანაგი...

ექო წამოიჭრა. დერეფანში გავიდა. კედელს მიეყრდნენ და ასე დაიწყეს საუბარი:

— ვანო იცანი?

— მაშინვე. ის გარყვნილი ქალი ვინღაა?

— გარყვნილი რათაა?

— როგორ ცეკვაობდა ხომ ნახე?

— კარმენი? მერე რა?

— ნეტავ არასდროს მენახო შენ იმ ქალსავით სცენაზე.

— ჯერ რა დროს არის. კიდევ რამდენი სწავლა მჭირდება!

— ნურასოდეს ნუ მენახოს მეთქი, ქალავ, — უცნაურად უთხრა ექომ.

ეთერი დააშტერდა და რატომღაც ექოს ხანჯლის ტარს მიაშტერა თვალები.

მეორე აქტსაც არ ჩაუვლია მისთვის მაინცდამაინც დიდის წარმატებით. მეორე აქტის დასასრულს სცენაზე საოპერო თეატრის დასის მთელი შემადგენლობა დაეწყო და რუსეთიდან ჩამოსულ სტუმარს, სახელგანთქმულ მომღერალს სობინოვს თბილი შეხვედრა მოუწყო. ფრაკში გამოწყობილი ქერა და ახოვანი კაცის, მომღერლის სობინოვის წინაშე ჯერ რეჟისორი, დირიჟორი, მსახიობები წარსდგნენ სიტყვით და მერმე პოეტი-დეკადენტი პლატონ მოგველაძე, ყალბი ხმითა და ქცევით:

— სახელი იმ დიდი მხატვრისა და მსახიობისა, რომელზედაც მოგახსენებთ, არის ვირტუოზი ტენორი, ბულბულის ყელის მქონე, სახელგანთქმული და გენიოსი მომღერალი: სო-ბი-ნოვ, — ისეთი ისტერიული

ხმით შესძახა ევროპულ ტანსაცმელში მოპრანჭულმა პოეტმა, თითქოს არბიტმა მოჭიდავეთა პარადი გახსნა და ფრანგული ჭიდაობის დიდი ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი გამოაცხადაო. ქალებმა [illegible] თაიგულები მიართვეს. პოეტმა მოგველაძემ ხალხში [illegible] საჯაროდ შემეკითხა:

— როგორ გამოვაცხადე სობინოვი? ღირდა თუ არა ერთ კარგ სონეტად ეს გამოცხადება?

ჩემს მაგიერ მისმა მეგობარმა უპასუხა:

— გენიალური იყო.

პოეტმა შავი თვალები დააბრიალა და კმაყოფილების ღიმილმა შეუტეხა მსახიობივით დაძაბული ბაგეები.

ვანო მოწყენილი იდგა. სახეზე შევნიშნე, რომ კმაყოფილი არ იყო თავისი ამაღამდელი თამაშით. რა დღეშია მეთქი, გავიფიქრე და გავშორდი. დადუმებულ დეკორაციებს, ხარიხებს, ბუტაფორიას, ფარდებს ავხედე და სიცივე ვიგრძენი. ეს ჩემი ნაცნობი განცდაა. ასეთი განცდა მეწვევა ხოლმე ყოველთვის, როცა თეატრის ცარიელ სცენას, კულისებს და ბუტაფორიას შევხედავ, იმ დადუმებულ სცენას, სადაც ადამიანთა ცხოვრებას და მათ ვნებებს გვიჩვენებდნენ ამ რამდენიმე წუთისა თუ საათის წინ. დერეფანში ესპანურ ტანსაცმელში გამოწყობილი, შენიღბული კაცები და ქალები ფუსფუსებდნენ, რომლებიც ტიკინებს უფრო ჰგვანდნენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს. უჩუმრად შევაღე პატარა ოთახის კარები.

ვანო სარკესთან იჯდა. ოფიცრის ტანსაცმელი გაეხადა. კონტრაბანდისტის ტანსაცმელი ჩაეცვა: უბრალო ხალათი, ფართო შარვალი, წელზე ბოლწეულის ყვავილის ფერი ფართო ქამარი-შარფი შემოერტყა, ქამრის სათავეში დამბაჩა და სატევარი ჩაერჭო. იდაყვებზე დაყრდნობილ ხელების გულზე დაებჯინა ნიკაპი და უცნაურად ათვალიერებდა სარკეში ანარეკლ დონ-ხოზეს: თითქოს გონების თვალით სინჯავს გრიმით შეცვლილსა და სხვაში გადასულ თავის სახესო. ამოწმებდა სახეცვლას.

თვალი შევასწარი დამუნჯებული მისი სახისა და ცრემლიან თვალთა ანარეკლს სარკეში. დამინახა. თოფნაკრავივით შემოტრიალდა სკამზე:

— რას ამბობენ?

— ხალხს ძალიან მოსწონს შენი თამაში.

მას ყველაზედ უფრო რუსეთიდან ჩამოსულ სახელგანთქმულ მომღერლის სობინოვის აზრი აინტერესებდა ამალამ.

— ნუ მანუგეშებ! ოფიცრის ცალულებში მე უხერხულობას ვგრძნობდი და მგონი როლი ჩავაფლავე, — ჩაიქნია ვანომ ხელი და რკინის გალიაში გამომწყვდეულ ვეფხვივით დაიწყო პატარა ოთახში ჩქარი სიარული აქეთ-იქით.

სარკეს რომ ჩაუვლიდა, წამით შეჩერდებოდა, თავის სახეს დააცქერდებოდა ბრაზიანი თვალებით. „არ დაგნებდები“ — შესძახებდა თავისავე სახის ანარეკლს. თითქოს თავის თავს ებრძვისო. სატევრის ტარზე

ხელს იტაცებდა და ისევ იწყებდა ოთახში ბორიალს. — რა უნდოდა ეთქვა ამ სიტყვებით „არ დაგნებდები", — ვერ გავიგე. ვატყობდი: გონება ველარ იოკებდა მის გრძნობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაოდ ღელავდა: რუსეთიდან ჩამოსულ გამოჩენილ მომღერალს სობინოვს ძალიან მოსწონებია ვანო, შეუქია, მაგრამ მსახიობს არა სჯეროდა. სობინოვი კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის გვერდით იჯდა ლოჟაში, როდესაც ვანომ — დონ-ხოზემ — კარმენს მუდარით მიმართა: „ხედავ, რა წმინდათ ვუვლი ყვავილს, რომელიც შენ მე მაჩუქე", სობინოვი გაირინდა. ყოველი ფრაზა ამ არიისა განუმეორებელი ოსტატობით, ძალით და გრძნობით იყო თქმული, თითქოს ვანო-დონ-ხოზე სულისა და გულის ამოღებას აპირებს კარმენის ფერხთ წინაშე მისატანადო.

ამ არიისაგან მიღებული ესთეტიური სიამოვნების გამო სობინოვს, ამ ჯადოქარ ტენორს, ყბაზე კუნთი შეუტოკდა, თვალები ნაკვერცხლებათ აღენთნენ და მაგრა მოკუმული ბაგით წასჩურჩულა ფალიაშვილს:

— შეუდარებელია, წარმტაცია!

ანტრაქტის დროს ზაქარია ფალიაშვილმა უამბო ეს ვანოს.

ეს დიდი ჯილდო იყო. მაგრამ ვანო მაინც ღელავდა, რადგან, მისი აზრით, დღევანდელ სპექტაკლში მან ვერ შესძლო შესაძლებლობათა სრული გამომჟღავნება. მისი დონ-ხოზე როდი იყო პროსპერ მერიმეს მიერ დახატული ველური ბასკი, კარმენს სიშმაგემდე შეყვარებული, უგონო და უნებისყოფო ეფრეიტორი, აწ კი ველად გაჭრილი ბანდიტი და კონტრაბანდისტი. ვანოს დონ-ხოზე ისეთი ადამიანი იყო, რომელშიაც, უსაზღვრო სიყვარულის გამო, გონება გრძნობას ებრძვის და დასასრულ პატივმოყვარე, გააფთრებული ხვადი იმარჯვებს.

საფინალო სცენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვანომ აქ იპოვა თავისი თავი და შესძლო შინაგანად მონახული სახის გარეგნული ხორცშესხმა. შესანიშნავი იყო იგი არა მარტო როგორც ვოკალური ხელოვნების დიდი ოსტატი, არამედ როგორც მსახიობიც. ჩვენ მოწმენი გავხდით დონ-ხოზეს მიერ კარმენთან უკანასკნელი და განუმეორებელი შეხვედრისა. აი, როგორი იყო ეს შეხვედრა.

კარმენის მიერ უარყოფილი სდგას ვანო — დონ-ხოზე ცირკის კარებთან, წინ ეღობება სატრფოს. არ უნდა კარმენი შეხვდეს ტორეადორს, გამარჯვებულ პიკადორს. სატრფო ველარ ამჩნევს მის სახეზე ალბეჭდილ სიკვდილის ნიშანს. თვალები ქალისა ამჩნევენ მხოლოდ აფრიალებულ წითელ ზეწარს, რომლითაც ტორეადორი ახელებს და აწვალებს გაშმაგებულ ველურ ბულას. თვალები ქალისა ხედავენ მხოლოდ არენის სილაზე დაღვრილ სისხლს, ტორეადორის შუბის, დაშნის წვერს და სურს მივიდეს სავნებოდ გამარჯვებულთან. ხელები ვერ იკავებენ ბოშა-ქალის გრძნეულ ტანს. არაბული ცხენივით უთრთიან ქალს ნესტოები. მენადების ჩირაღდანივით კიაფობენ მისი თვალები. მწიფე ბროწეულივით გაპობილსა და სველ ბაგეებზე ისე ადგება ხარხარი, როგორც ზღვის ნაპირს ქაფიანი ტალღა. სატრფომ ვერ შეიგნო, თუ რა მსხვერპლი მიიტანა დონ-

ხოზემ მის ფეხრთ წინაშე: სამშობლო, დედა, მოვალეობა, იდეალი, — ყოველივე ეს მხოლოდ შინაარსისაგან დაცდილი, უქმი და ცარიელი სიტყვებია ეხლა მისთვის. უკანასკნელად ემუდარება დონ-ხოზე:

— კარმენ, დრო კიდევ არის, დაფიქრდი!

ამაოდ: ცირკიდან ისევ ნაძირალების ზეიმი, ყვირილი, ყიჟინა, სტვენა და ბრბოს მიერ სათაყვანებელ გმირად ქცეულ ტორეადორისადმი მიმართული მარში მოისმის. კარმენი მხოლოდ იმ ზეიმითაა მოჯადოებული და სამუდამოდ სტოვებს უარყოფილ დონ-ხოზეს. ვანოს ხელმკლავი ჩამოსცვივდა უმწეოდ. ისე დაეკიდა ტანზე, ვით მუხას ქარიშხლისაგან მოტეხილი ტოტები. სდგას სისხლისაგან დაშრეტილი, ულონო ჩონჩხი, გაშიშვლდა პირველყოფილი ბუნება ქალისა, ადამიანისა, და დონ-ხოზე ქამრის სათავიდან სატევარს ამოიტაცებს, რათა ჩასცეს იგი, მაგრამ ვის? კარმენს — თვით სიმღერას? კარმენს—ზღვას დაუშრეტელს? კარმენს — თვით ბუნებას? ქალს წინ გადაუდგება გულგაღეღილი, ცირკში შესავალ კარებთან გადაეღობება, ბრაზიანი ვეფხვის თვალებს მიანათებს. უარყოფილი სიყვარული შმაგად აქცევს მას, და, აი, გონება-დაბნელებული დონ-ხოზე -- ვანო ხალათს გადაიხევს, თმაგაწეწილი, წელში მოხრილი და მოღუნული ნელა ეპარება ბებუთით ხელში კარმენს, თითქოს ვეფხვივით ემზადება და კამარა უნდა შეჰკრასო. დარბაზი სულგანაბული და გაგუდული ელოდება დაინახოს ეს უკანასკნელი ნახტომი.

თეატრის დარბაზის გუმბათი ტაშისცემისაგან კინაღამ არ ჩამოინგრა.

შავ ფრაკში გამოწყობილი, მაღალი და ქერა კაცი — სობინოვი ლოჟაში იდგა. სცენისაკენ გადახრილი თავშეუკავებლად უკრავდა ტაშს, თანაც ფალიაშვილს და მსახიობებს გასძახოდა:

— ასეთი სწორ-უპოვარი და გრძნობით სავსე ხმა, ასეთი გაგება როლისა, ასეთი თამაში და სამხრეთული ტემპერამენტი მე ჯერ არსად არ მომისმენია, არსად არ მინახავს!

და როდესაც ხალხი დაიშალა და დარბაზიდან გავიდა, მხოლოდ ერთი ქალი-ღა შერჩა ქანდარას, უმოწყალოდ უკრავდა ტაშს, დაბნელებულ დარბაზიდან გასცქეროდა ფარდა-დაშვებულსა და აწ დადუმებულ სცენას. ზოგიერთებმა პალტო მკლავზე გადაიკიდეს, ლოჟაში შევიდნენ. ქანდარას გახედეს და ქალს დასცინეს. ხალხის სიცილზე მეც სასწრაფოდ გავუყარე მკლავი პალტოს სახელოში, ლოჟაში შევედი და ქანდარაზე დარჩენილი ლამაზი გოგონა, ორიოდე მისი ამხანაგი და ჩოხიანი ჭაბუკი დავინახე. გოგონამ შეგვამჩნია, ხარხარი გაიგონა, შეკრთა, ტაშისცემა შესწყვიტა და დარბაზიდან დარცხვენილი გაიქცა.

ვესტიბიულში მე და დოსტაქარს ევგენის ვანომ ხელი წაგვავლო და გვითხრა:

— არსად გაიბნეთ, ვახშამზე ერთად უნდა წავიდეთ!

— ალბათ, მსახიობები შეიკრიბებით ვახშამზე და ჩვენ ექიმები ზედმეტი ბარგი ვიქნებით, — შენიშნა ევგენიმ.

— აბა, ეგეთები არ იყოს! — იავარად უპასუხა და გაიცინა ვანომ. ევგენიმ ირონა გააცნო.

— ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დონ-ხოზე მოვისმინე. — ბედნიერი საზრდო დიდხანს მეყოფა სოფლად, — უთხრა [illegible] ხელი მაგრა მოუჭირა და მადლობა გადუხადა.

ვანომ დარაჯად თამარი დასტოვა ჩვენთან და დირექტორის კაბინეტისაკენ წავიდა. ქანდარაზე მარტო დარჩენილი გოგონა და ჩოხიანი ჭაბუკი შეეყარნენ. ვანომ ხელი ჩამოართვა, ხელი მოჰხვია ორთავეს კეფელთან მიიყვანა და გულთბილი საუბარი დაუწყო. ხალხი, ნაცნობები და ტოლები გარს შემოერტყნენ. თითქოს მეცნობოდა ეგ ლამაზი, მალალი და ტანკენარი გოგონა, მაგრამ ვერ კი მივმხვდარვარ — სად მენახა. ვანომ დამიძახა:

— აბა, დააკვირდი, ნუთუ ვერ იცანი ჩვენი მასპინძლის ზაქროს ქალი! და ჩვენი მეტოქე ეკო?

— ეთერი! ეკო! — ისე შევძახე, რომ ხალხის ყურადღება მივიქციე. ჩემ წინ იდგა სახე-ალანძული, დარცხვენილი ნორჩი ქალი, მოწაფესავით ხელებ-დაშვებული. მღელვარებისაგან ცალ თვალში სიწითლე ჩასდგომოდა, გაიცინა და მშვენიერმა, გამსჭვირვალე კბილებმა ელექტრონის შუქზე კრთომა გამოსცეს.

— ვინ არის ეს მოწაფე ქალი? —

— ვანოს ნათესავია!

— როგორ გაწითლებულა!

— საცოდავი! — გაისმა ხალხში.

ეთერი უფრო გაწითლდა, ტანამართულს, მკერდავსილსა და შავი დაგრაგნილი ნაწნავებით ჩემს წინაშე გაჩერებულ მთიელ ქალს ავხედე. მომაგონდა ნადირობისას მთიელთა სოფელში გაცნობილი თხუთმეტი წლის წარმტაცი გოგონა, ვანოს სიმღერით მოჯადოებული რომ იდგა ბუხართან, თეთრი ჩითის კაბა ეცვა და ზედ შვინდისა და კუნელის მწიფე ნაყოფივით დასცვენოდა წითელი წინწკლები. „როგორ გაზრდილა, დაქალებულა“, — გავიფიქრე და ვუთხარი:

— ეთერ, თქვენი ქება გავიგონე.

— ო, შენ არ იცი: დადგება დრო, მე და ეთერი ერთად ვიმღერებთ ამ თეატრში და მაშინ ნახეთ.

— ნამდვილი აბესალომი და ეთერი იქნებით! — შევნიშნე ვანოსა და ეთერს.

ეკომ თავი დაჰხარა. თვალი შეაპარა ეთერს, თითქოს ეხვეწებოდა: ამათ ლაპარაკს ნუ დაიჯერებო.

ვანოს ზაქარია ფალიაშვილმა წაავლო ხელი:

— კაცო, სადა ხარ? სობინოვი გელოდება.

— დაიცადოს რა! — იხევ იავარად, ტეტიასავით მიუგო სიტყვა ვანომ და სოფლელივით გაიქნია მხრები.

მას უყვარდა ხშირად გლეხივით მარტივი ლაპარაკი, უბრალო ქცევა და მაშინ ვერავინ იტყოდა, რომ ჩემს წინაშე ცნობილი მომღერალი, მსახიობი სარაჯიშვილი დგასო. იქნება ეს ყველაზე უფრო ბუნებრივი მისი სახე იყო. თუმცა ძნელია იმის თქმა, თუ სად ეწყება და სად თავდება მსახიობის ბუნებრივი სახე და ნიღაბი.

— აბა, შენ იცი, ეთერ ქალო, თუ არ შემარცხვენ და გულმოდგინედ იმაცადინებ!

— მე თქვენ არ შეგარცხვენთ, — ბავშვივით გულუბრყვილოდ, ბეჯითი მოწაფის იერით და დარწმუნებით მიუგო კონსერვატორიაში მოსწავლე მთიელმა ქალმა.

ვანომ მხარზე ხელი შემოჰკრა და მერმე ექოს შეეკითხა:

— როდის ჩამოდი სოფლიდან? რა ამბავია?

— დღეს ჩამოველ, ვანო. მშვიდობაა...

ექო განცვიფრებული მიშტერებოდა. უკვირდა: წელან ვანო ჯარისკაცი იყო, ყაჩაღი, სატრფო შემოაკვდა. ეხლა კი ისევ დამშვიდებით ლაპარაკობს და ჩვეულებრივი ვანო არისო. ვანო გაოცებულ ჭაბუკს გაეხუმრა:

— ექო, რა ქალი მოვკალი, არ შეგეცოდა?

ექომ მშვიდად და დარწმუნებით უპასუხა:

— ის ქალი ცოდვა არ იყო. კარგი ჰქენ, რო მოჰკალი.

— რას ამბობ, ექო? — არ დაეთანხმა ეთერი და ისევ შეაჩერა თვალი ექოს ხანჯალზე.

ვანოს მიერ კარმენის მოკვლამ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ექოზე.

იგი ოპერის სიუჟეტს, ამბავს და უკანასკნელ ფაქტს ისე იღებდა, თითქო ცხორებაში მომხდარი ნამდვილი ამბავი ყოფილიყოს.

ძალიან დამაინტერესა ამ მთიელი ჭაბუკის შეხედულებამ, მინდოდა გამეგო, თუ როგორ ითვისებდა იგი მხატვრულად განზოგადოებულ ქალის კარმენის სახეს. მისთვის გაუგებარი დარჩა ბოშა-ქალის მგზნებარე ბუნება და თავისუფალი სხყვარულის სურვილი. იგი მთის ადათებისა და ტრადიციების მიხედვით სინჯავდა კარმენის საქციელს. ამიტომ ჰქოლავდა ქალის უზნეო ბუნებას, აღვირაშლილობას და მიჯნურისადმი ღალატს. ექომ მრისხანე განაჩენი გამოიტანა:

— მასეთი გარყვნილი, მრუში და მოღალატე ქალი არ უნდა აცოცხლო...

ვანოს ჯერ გულიანად გაეცინა, მაგრამ რისხვასავით ტანაწურულ ჭაბუკის თვალებს რომ შეხედა, სიცილი მიატოვა. თითონაც მოეღუშა სახე. ექოს და ეთერის დაემშვიდობა და ზაქარია ფალიაშვილს გაჰყვა. „მშვიდობითო“, — მომაძახა ეთერმა და თავის ტოლებს გაეკიდა, რომელთაც შურდათ ეთერისა და ვანოს ნაცნობობა და მათი ასეთი მეგობრული ურთიერთობა.

მთებისაკენ

ექო და ეთერი შინისაკენ წავიდნენ.

ეთერი საბურთალოზე ცხოვრობდა, ბიძის შოფერთან ერთად. ბინაზე. ვანოს გამარჯვებაზე და ზეიმზე ლაპარაკობდა ეთერი. აღტაცებული იყო. ვანოს ხმა მოესმოდა და თვალს არ შორდებოდა დონ-ხოზეს სახე. ენა წყლიანი ექო რატომღაც სდუმდა. ეთერი მიხვდა, რომ რაღაც აწუხებდა მას. ბოზარჯიანცის ქარხანას რომ გაცდნენ და მდინარე ვერაზე აგებულ ხიდით გავიდნენ, ექო შეჩერდა. ჩაბნელებულ ხევებსა და მთებს გაჰხედა. წამსვე მოაგონდა სოფელი, ბავშობა, მდინარე ალგეთი და პირველი კოცნა, რომელიც უძღვნა მან ალგეთის ნაპირას ეთერის. მაშინ უბრალო ჩითის კაბა ეცვა ფეხშიშველ ეთერის, და ზედ შვინდისა და კუნელის მწიფე ნაყოფივით ჰქონდა დაცვენილი წითელი წინწკლები. ეხლა კი ქალაქურად მორთულა. ევროპული კოფტა აცვია. შიშველი მკერდი უჩანს. წარმტაცი ყელი მოუღერებია. ურცხვად იხედება. მაღალ ქუსლებზე შემდგარი ეს ქალი ექოს თვალებს ეუცხოვება. ექო ეთერის დააცქერდა და სოფლური მოგონებანი გაქრა. ეხლა ფეხშიშველი, უბრალო ჩითის კაბიანი სოფლელი გოგონა კი არ იდგა მის წინაშე, არამედ სცენაზე ამაღამ მოცეკვავე კარმენის მსგავსი ქალაქელი ქალი. დიდათ ამსგავსა ექომ ეთერი კარმენს. ისევ მოაგონდა თეატრი, ნახევრად შიშველი ბოშა-ქალი, ასე ურცხვად რომ როკავდა და უზნეოდ არხევდა თეძოებს.

— როგორ მიცქერი? — შეეკითხა ეთერი დადუმებულ ექოს და ისევ შეაჩერა თვალი მის გაკრიალებულ ხანჯლის ტარზე. ექომ ამოიოხრა, თითქო გული თან ამოატანაო. დიდხანს უცქირა ეთერის და ნაღვლიანად უთხრა:

— ან რად მოვიდა ჩვენს სოფელში შენდა მაცდურად და ჩემს დასაღუპავად ვანო. თითქო მომტაცა, გულისა სწორო, შენი თავი და ერთურთისაკენ სავალნი გზანი გაჰყარნა.

— რად ამბობ მაგას, ექო?

— საქმისთვის. შენ მალე დამივიწყებ და შესაძლოა არც კი მიკადრო, ჩემთან სიარულიც ითაკილო.

— მაგას რას ამბობ. აბა, შენს თავს რა დამავიწყებს!

— ეთერი, ყური მიგდე: მამაჩემს ჩემს მეტი არავიან არა ჰყავს. არც თუ ღარიბი კაცია. მე ცხვარს გავიჩენ... მკლავში ძალა მაქვს. დღედაღამ ვიმუშავებ და როგორც დედუფალს ისე შეგინახავ, მოშორდი აქაურობას. შენ ამ ქალაქში და თეატრში გაირყვნები. მე ვიცი. ეთერი...

ეთერის სოფელი მოაგონდა, მთები, ალგეთი. ექოს მამა და პაპა. მთის კალთებზე მოფენილი ცხვარი. ჩობანი. ჩაღამებულ ხევიდან სტვენა და ძაღლის ყეფა შემოესმა. ამ ხევისა და მთებისაკენ მიიხედა. თვალზე ცრემლი შენიშნა ექომ.

— მითხარ პასუხი, ქალავ! — შეეხვეწა ექო. ეთერი ხანჯლის ტარზე დადებულ ექოს ვეება ხელს შეეხო. თვალი გაუსწორა და მადლიანად უპასუხა:

— შენ კარგი კაცი ხარ, ექო...

ექომ ხელი მოჰხვია და თავზე აკოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკეტი

ვახშამზე პროფესორ მხეიძისა, იონასა და ჩემს გარდა ვანოს სობინოვი, ზაქარია და ივანე ფალიაშვილები, დირიჟორი სტოლერმანი, მეგობარი და ნაცნობი მსახიობები კაცები და ქალები მიუპატიჟებია. სწორედ რომ ვთქვათ, ეს ვახშამი მასპინძელმა ვანო სარაჯიშვილმა საპატიო სტუმარს სობინოვს გაუმართა, მაგრამ სობინოვისათვის გამართული ვახშამი ვანოს ზეიმად გადაიქცა. დეკადენტურად მორთულ რესტორანის „ქიმერიონის“ დარბაზში გამართულ ვახშამზე პოეტმა მოგველაძემ ვანოს სადღეგრძელო დალია და ასეთი სიტყვა წარმოსთქვა:

— ბიზემ თავის სწორუპოვარ ოპერაში „კარმენ“-ში საუკუნეების მანძილზე არსებული დაპირისპირება მოგვცა მამაკაცისა ქალთან და ამათი სახით: კულტურისა ბუნებასთან. ბუნების წინაშე ადამიანთა კულტურა არარაა და უმწეო, ისევე, როგორც კულტურის ადეპტი — მამაკაცი ბუნების ადეპტის — ქალის წინაშე. დონ-ხოზეს უმწეობაში კარმენის წინაშე ვანომ სწორედ ეს დაპირისპირება დაგვანახვა და ადამიანში ვაჟური და ქალური საწყისის ბრძოლა განგვაცდევინა. ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელში“ სიბრძნით აღჭურვილ გმირის მინდიას განზრახვებსაც წინ ელობება ქალი-მზია. ოჯახი, ბავშვები, სქესი. მინდიას ტრაგიული დასასრული მზიამ გამოიწვია. კარმენი, ვნება აშლილი მესალინა, გადამთვრალი აღავა, მენადები, ობობა, ვამპირი. აი, ნამდვილი სახე ქალისა. ქალი — სქესი და მამაკაცი — გონება საუკუნეების მანძილზე ებრძვიან ერთმანეთს. — ამბობდა დეკადენტი პოეტი. რესტორანის „ქიმერიონის“ მოხატულ კედლებს გავხედე და ჩემს ირგვლივ საოცარი სურათები აღიმართნენ სუდეიკინის, ზდანევიჩის და გუდიაშვილის მიერ შესრულებული: ქალი — ობობა, ქალი — ვამპირი, ქალი — გადამთვრალი მენადა, ძუძუგაშიშვლებული, აღვირახსნილ ქალთა და კაცთა ქეიფი და სქესობრივი შაბაში.

— აი, თანამედროვე მხატვრობა!, — გულდაწყვეტით შენიშნა იონამ ექიმს ევგენი მხეიძეს.

— ავადმყოფობაა. — უპასუხა მან.

ვანომ კი ისევ გულუბრყვილოთ და უმწეოთ დაახამხამა თვალები, რომ პოეტის სიტყვები სჩანს ეუცხოვა და ჭკუაში არ დაუჯდა. „აბესალომ და ეთერის“ ავტორმა, კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა კი ბიზეს ხსენებაზე მხრები აიჩეჩა, თავის ახალ ოპერის „დაისი“-ს შესახებ დაიწყო ფიქრი, რომლის პარტიტურა ესეც — არი გადასცა დირი-

ჟორს სტოლერმანს. დირიჟორმა აღელვება შენიშნა კომპოზიტორს. ეხლა სობინოვი მიირთმევდა ვანოს სადღეგრძელოს:

— იშვიათია ისეთი ბედნიერი შეხვედრა, როდესაც დიდი მომღერალი, ამავე დროს დიდი მსახიობიც იყოს. მაგალითად: ... ვანო წარმტაცია, როგორც მომღერალი ასევე, როგორც მსახიობიც. თუ როგორი მსახიობია ვანო ეს ყველა ჩვენთაგანმა დაინახა დღეს, მაგრამ მე დღეს ისიც დავინახე, რაც ვანოს ტენორს სხვა ტენორებისაგან ანსხვავებს. ვანოს ხმას ისეთი განუმეორებელი ლირიზმი, უხილავი ძალის მქონე ფლუიდები ახლავს, რომ იგი ბუნებისგანაა მომადლებული და ხელოვნურად მისი მიღწევა შეუძლებელია ისევე, როგორც ადამიანის მიერ ბულბულივით სტვენა. იცოცხლე, კუნაკო! დაიძახა სობინოვმა. ვანოსთან მივიდა, მკლავში ხელი გაუყარა. ერთბაშად დასცალეს ჭიქები და რუსეთისა და საქართველოს სახელგანთქმულმა მომღერლებმა ერთმანეთი გადაჰკოცნეს. ტაშის ცემა ატყდა. სობინოვის პატივსაცემად გამართულმა ვახშამმა ბანკეტის ხასიათი მიიღო. რადგან ბანკეტზე მსოფლიოში ცნობილი მომღერალი, დიდი გემოვნების მქონე და მუსიკის მცოდნე ადამიანი იმყოფებოდა, ამიტომ კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი როიალთან მივიდა, ფრაკის კალთები აიკეცა, დაჯდა ახალ ოპერიდან „დაისი"დან ზოგიერთი ადგილები დაუკრა. ვანომ ცნობილი არია „თავო ჩემო" იმღერა.

მკერდზე დაშვებული, მკრთალი სახე ასწია, მუსიკალური იარალის გობიოს ბოლოსავით წარზიდა წინ მსუქანი ტუჩები და გლოვით სავსე, საამო ხმა გამოსცა: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია". თითქოს სამშობლო მთებსა და მთელ ქვეყანას ეთხოვებაო. თითქო მსახიობმა შეიპყრო გრძნობა და ვით საყვარელი ატარა ბავშვი გულში ჩაიხუტაო. სობინოვის თვალზე ცრემლი შევნიშნე. მოქეიფე პოეტები, სამხედრო პირები, მოქალაქენი სულგანაბული უსმენდნენ. მთელი დარბაზი გაინაბა, თითქო მიიწურა, გადნა და ჰაეროვან ფალცეტს ცისკენ გაჰყვაო. გამიგონია კომპოზიტორმა ვერდიმ თეატრს, დირიჟორს და მსახიობებს მოსთხოვა მისი „რიგოლეტოს" ცნობილი არია „ლამაზი ქალი". პირველ სპექტაკლამდე საიდუმლოდ შეენახათ და არავისთვის არ ემღერნათ. მაგრამ ზაქარია ფალიაშვილის „დაისი"-ს შესანიშნავი და სასახელოდ ცნობილი არია „თავო ჩემო" ოპერის დადგმამდე გამჟღავნდა.

მსახიობის ალსარება

გარეთ თოვდა. ვანომ ეტლი დაიქირავა, თამარი და ქალები შინ გაისტუმრა. სობინოვი სასტუმროში მივაცილეთ. იქ კიდევ გადაჰკოცნეს შემთვრალმა მომღერლებმა ერთმანეთი. მე და ვანო მარტო წამოვედით. ვანოს ეტლის დაქირავება შევთავაზე, მაგრამ მან ალექსანდრეს ბალთან ჩაუხვია, მკლავში ხელი წამავლო და მითხრა:

— წამო, ხაში ვჭამოთ.

ვორონცოვის ხიდი რომ გავიარეთ, ვანო შეჩერდა. ვორონცოვის ძეგლს შეუკურთხა. მერე რესტორანი „ტილიპუჭური" გავიარეთ და იოსებაშვილის სარდაფში ჩავედით.

— გიგოს გაუმარჯოს! — კიბიდანვე ჩასძახა ვანომ დამლოდარს.

— ვანოს გაუმარჯოს. — სიცილით შეგვეგება გახარებული დახლიდარი. ჩასუქებული, შავგვრემანი და ხალიანი ვაჟკაცი.

— კარგი ხაში თუ გაქვს, საჩვენო?

— მირონისა მაქვს. ვანო ჯან! სწორედ სათქვენოა. სარდაფში ხელოსნები და მეტაჭკეები ისხდნენ. ისინიც მიესალმნენ ვანოს. ვანო სამზადის კედელში გამოჭრილ ფანჯარას მიადგა და მზარეულს დაუძახა:

— დიმიტრი, ხაშზე როგორა ხარ! გიგო აქებს, კარგიაო, მაგრამ ხომ იცი ჩარჩია, ეგ სახეძაღლი, მართალს არ იტყვის....

ჭარხალივით წითურმა, ჩასუქებულმა და ჭორფლიანმა მზარეულმა ქვაბს სახურავი აჰხადა, შიგ ჩაიხედა და დაიძახა:

— იფ, იფ, იფ!

— აბა, ორი მათლაფა დაასხი.. ჭაჭის არაყი გექნება..

— დაბრძანდით, ყველაფერიცა მაქვს. თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი.. ორი ხაში ნივრით! — დაიყვირა გიგომ.

პური ხელით დავგლიჯეთ. ხაშში ჩავყარეთ და ჩავაბუჟბუჟეთ. მერმე ჭიქები ერთმანეთს დავაჯახეთ და არაყი გადავკარით.

— ეტყობა, სობინოვს მოვეწონე დონ-ხოზეში. ყბედობაში ნუკი ჩამომართმევ და აბა, კავარდაოსში მნახოს ვინა ვარ. ნადირში მნახოს ვინა ვარ. ჰერცოგში, რაულსა და რადამესში მნახოს ვინა ვარ!

— კმარა... ვანო სარაჯიშვილი სადღაა?

— აქა ვარ! ჯამბაზი ვინმე, ყანდაშვილის სარდაფში... ხელი სახეზე მოისვა, თითქო ნამდვილ თავის სახეს სინჯავსო და მერმე დაიძახა: — სახე მეწვის... როგორ მოგეწონა ჩემი გრიმი?

— შენი გრიმიცა და გმირიც ძლიერ მომეწონა.

დამაცქერდა დიდრონი და უცნაური თავისი შავი თვალებით. ზანგივით მსუქანი და ვნებიანი ბაგე გახსნა. თეთრი კბილების რკალი გამოუჩნდა. ბუხრის ქუდი მოიხადა. გიშერივით შავსა და ხუჭუჭს თმაზე გადაისვა ხელი.

— ნახმლევი კარგად დაგტყობია!

— გახსოვს? ეს როგორი შემთხვევა იყო! ზაქროს რომ არ მოესწრო, ნეტავ ექო მაჯობებდა?

გაჯობებდა, მაშ! იგი აკვნიდანვეა თოფსა და სატევარს შეჩვეული. ვეფხივით მარდია, ღმერთს უნდა უმადლოთ, ზაქრომ რომ მოგვისწრო.. ექო კარმენის სატრფო როდია, სცენის ტიკინა, ბანდიტი, შენი მეტოქე, რომელიც შენ დღეს დასჯაბნე და დანით გაათავე.. ო, რა შიში ვჭამე!' ეს რა შეგვემთხვა?

— სამაგიეროთ ეთერის ვერასოდეს ვერ შეხვდებოდით.

— როგორი ლამაზი ქალი დამდგარა! ვანო, ჩემს თვალს არაფერი გამოეპარება. ჩემის აზრით ეთერის უყვარხარ შენ.

— რა შენი საქმეა. ვინ გეკითხება, სხვის საქმეში რომ ერევი?? — გაიცინა ვანომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მიპასუხე: მართალია თუ არა?

— მართალია. — ვანო ჩემკენ მოიწია და ხალისით დაიწყო:

— ექოსა და ეთერს შორის დიდი ზღვარი გაითხარა. ეთერის ჩინებული ხმა აქვს, კარგი მომავალი. ნიჭიერი ქალია და იცი, მას მალე სცენაზე იხილავ.

— ვანო, გახსოვს შენ რომ ექოს შეჰფიცე? როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ხშირად მესტუმრება ხოლმე, ძმობას მეფიცება. მზად არის ჩემი გულისათვის ასი კაცი მოჰკლას და დასჩეხოს, კარგია: არც ერთი მტერი და მოსისხლე არა მყავს. თორემ სიცოცხლეს გამოასალმებდა.

— ერიდე,

— რათაო?

— ეთერზე თუ შეეცილე, არ დაგზოგავს.

ვანომ ხელი ჩაიქნია.

ამ დროს მეზურნეებიც მოვიდნენ და ვანო იმათ მიესალმა. მივიდა. დოლი აიღო და მოხუც მეზურნეს გვერდით მიუჯდა. მოხუცმა დუდუკი გააწყო, გაიღიმა და ვანოს შეეკითხა:

— რა დაუკრა, ვანო ჯან?

— ეთიმ გურჯის...

დახლიდარი გიგო იოსებაშვილი, მზარეული დიმიტრი ადეიშვილი და სუფრაზე მომუშავენი დარბაზში გამოვიდნენ. მოლიმარ სახით დაეცქერდნენ ვანოს...

მოქეიფენიც სმენად იქცნენ. ცნობილმა მეზურნემ კაპლო ზურიაშვილმა ჩაჰბერა, მსუქანი ლოყა გაებუშტა და დუდუკი ააკვნესა. ვანომ ბაიათი წამოიწყო.

...„კარგი იყო არ მენახე თავიდან...“

მსმენელებმა დარბაზი გააყრუეს ტაშისცემით.

— ვანო რომ იმღეროდეს შიქასტებსა, აბა მაშინ ნახე ლუკმა პურის დაკარგვა! — გაეხუმრა იოსებაშვილი მოხუც მეზურნეს კაპლო ზურიაშვილს.

კაპლომ ქუდი მოიხადა და ვანო დალოცა:

— შენ იხარე და გაძეხი წითელი მზითა და მწვანე ბალახითა, ვანო ჯან!

ვანომ მეზურნეებს სუფრა გაუშალა და მათთან ქეიფი დავიწყეთ. მერმე ვანო ისევ თავის მაგიდასთან დაჯდა. არაყი მოითხოვა და საიდუმლო გამიმხილა.

— იცი, ამ ერთი თვის წინად „აბესალომ და ეთერში“ ვიმღეროდი. აბესალომისა და ეთერის მიჯნურობაში ჩემი და ეთერის თავგადასავალი მეჩვენა.

— აბა რა აქვს საერთო აბესალომ და ეთერზე ბ[illegible] ზღაპარს შენს თავგადასავალთან?

— რატომ? ზღაპარსა და მითში ხშირად სრულიად რეალური ამბავია გამოვლინებული, აბა, დააკვირდი. აბიო მეფის შვილი აბესალომი და მისი ვაზირი მურმანიც ხომ ნადირობის დროს წააწყდნენ ლარიბი გლეხის შვილს, ულამაზეს ეთერის? აბესალომს შეუყვარდა ეთერი და მერმე ხომ იცი რაც მოხდა?

რადგან იმ ნადირობის დროს, როდესაც ვანო ეთერის შეეყარა მეც ვიყავი, ამიტომ გავეხუმრე:

— ნეტავი მურმანი მე ხომ არა ვარ?

— კარგია ერთი ნუ ოხუნჯობ, ჩემი მურმანი შენ კი არა, ექოა.

— თუ ექო მურმანია, შენი საქმე დაღუპულა, უბედურება გელის.— განვაგრძობდი კვლავ ოხუნჯობას, მაგრამ ვანომ მოიწყინა, ხანგრძლივ დააცქერდა არაყის ცალიერ ჭიქას განცვიფრებულ და გაშტერებულ თვალებით. გამიკვირდა: მართალს ამბობს, მეთამაშება, მცდის თუ ზომაზე მეტად დაითრო მეთქი.

— სხვათა გრძნობის და თავგადასავალის განცდა, მსახიობობა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე საკუთარისა, — დაიწყო ვანომ რა წამს ეს შევიგნე და განვიცადე, ჩემი სიმღერა და თამაშიც შეფერხდა.

— სწორედ ეგ თამაში და სახეცვლაა მსახიობისათვის მიმადლებული ნიჭი.

— ნეტავი იცოდე როგორ მომწყინდა მუდამ სხვათა განსახიერება! — ისევ ჩაიქნია ვანომ ნახმლევი ხელი და სახე დაელმიჭა წუხილით, რისთვის ღელავს, რისთვის სვამს ამდენს მეთქი, გავიფიქრე და მისი გაფრთხილება დავიწყე:

— ვანო, ღვინო და არაყი ძლიერ ვნებს ხმას. მით უმეტეს ტენორს.

ვანომ აღარ მაცალა:

— ვიცი რისი თქმაც გსურს. მაგრამ იცოდე, თუ ხანდახან ჩემს მარცხზე ლაპარაკობენ, თუ ჩემი ხმა ამ ბოლო-დროს მოისუსტებს, ამას თავისი მიზეზი აქვს.

— რა მიზეზი?

— ეთერის სიყვარული..

— ვერ გამიგია მართალს ამბობ თუ მაპამპულებ. რა შენი საქმეა უბრალო ვილაც მთიელი გოგო? განა ქალები ცოტაა?

— ვინ ქალები? მსახიობები ხომ არა? იმათ ნუ გამაგონებ. მომბეზრდნენ. მე რაც ქალები მინახავს, ყველა ისინი უგულო და უსულო ტიკინებია, რომლებშიაც მარტოკა ცალიერი სქესი მეტყველებს, შენ იცი რა ქალია ეთერი: უბრალო, უშუალო და შეურყვნელი .

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეთერი უბრალო, ნიჭიერი და ლამაზი ქალია, მაგრამ, ვფიქრობ, შენი შესაფერი არ უნდა იყოს?

— შესაფერი რას ნიშნავს?

— თანატოლს, ღირსეულს.

— ცრუ აზრია. მე პირველად განვიცადე ნამდვილი გრძნობა მიჯნურობისა. „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი“ მართალი უთქვამს შოთას.

— მე ხომ სიძვაზე არ მოგახსენებ!

— მე რაც ქალები მინახავს, ყველა შენიღბული, ბილწი და მრუში აღმოჩნდნენ.

— საუბედუროდ მსახიობები, უმრავლეს შემთხვევაში, ასეთები ხართ.

— ძველი და ცრუ შეხედულებაა, ეხ, თქვენ განა იცით მსახიობის ვაება?

— რა ვაება?

— მე მოჩვენებათა სამყაროს და გამოგონილ პირთა განსახიერებას გადავყევი და საკუთარი ჩემი სახე დავკარგე. საკუთარი გრძნობის განცდა სადღაა? შენ იხარე და გაძეხი წითელი მზითა და მწვანე ბალახითაო, როგორ დამლოცა კაპლომ, ხომ გაიგონე?! მაგრამ მე განა მეცალა წითელი მზითა და მწვანე ბალახით გახარებისა და გაძღობისათვის? მე სხვათა მაგიერ ვეგებებოდი წითელი მზის ამოსვლას. სხვათა მაგიერ დავსტიროდი მის დაკარგვას. სხვათა ყურებით ვისმენდი ძმათნაფიცობას, ღალატს, მიჯნურთა მწველ სიტყვებს, სიხარულს და ბოლოს გაქრა გრძნობა, განიძარცვა საკუთარ თვალთა ხედვა და საკუთარ ყურთა სმენა. გული გაცივდა....

ძლიერ გამიკვირდა ვანოსგან მისთვის ასეთი უჩვეული ქართული. ის უფრო ზერელე კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ნამდვილად ასეთი კი არ იყო. შევნიშნე:

— შენ სულიერ დიდ გარდატეხის წინაშე დამდგარხარ.

— ეხლა, როდესაც ჩემს განვლილ გზას თვალს ვავლებ — მიპასუხა ვანომ — ვრწმუნდები, რომ მე თითონ არაფერი მიგრძვნია. მე თითონ არაფერი არ განმიცდია. მე მხოლოდ გამოძახილი ვიყავი სხვათა გულის თქმისა და შეთხზულ გრძნობებისა.

მსახიობობით დაღლილი მსახიობისვე აღსარება მეუცხოვა, მაგრამ ვანომ თვალები შემომანათა და ისევ უცნაურის ხმით დაიწყო:

— იცი თუ არა შენ მსახიობის ვაება? მე მინდა განვიცადო საკუთარი ცხოვრება, საკუთარი ტანჯვა, აღტაცება და სიყვარული.

როგორ მიიყვანა ამ დასკვნამდე უბრალო, გულუბრყვილო მთიელი გოგონას სიყვარულმა მეთქი — გავიფიქრე. ვანო კი ისევ უჩვეულოდ, შთაგონებული ლაპარაკობდა თავისთავზე:

— ვანო დიდი განცდის მასხიობი არისო, გამიგონია. მსახიობი ესე იგი: ჭურჭელი ვარ, ანუ საშუალება სხვათა თვისებების, გრძნობების და

განცდათა გადმომცემი. კოკა გახლავარ. კოკასა შიგან რაცა დგა, იგივე გადმოდინდებისო, ხომ გაიგონია. წინანდალი, მუკუზანი, კარდენახი, რომლითაც გინდა იმით ავივსები და მერმე დავიცარიელებ და ცარიელი.

— ასეთია აქტიორის და არა მარტო აქტიორის, ხელოვანთა ბუნებაც. რას იზამ!

— ხშირად რომელიმე როლის შესრულებისას, მე შემიმჩნევია: მაყურებელს უტირნია ან კიდევ აღტაცება და სიხარული განუცდია..

— შენ ამით უნდა ამაყობდე. თქვენ ნამდვილი აქტიორები ხალხს ატყვევებთ.

— ვატყვევებთ თუ ვატყვილებთ? პროვოკატორები ვართ რაღა!

— არა. პროვოკატორი მაშინ არის კაცი, როდესაც სცენიდან ცხოვრებაში გადმოაქვს აქტიორობა.

— შესაძლოა მე ჩემი აქტიორობით და სიმღერით გავუღვიძე ეთერის ჩემდამი სიყვარული. მაგრამ ცხოვრებაში მე მის წინაშე არასოდეს არ მითაღლითნია და არც არაოდეს არ ვითაღლითებ. მინდა ვიყო მისთვის ნამდვილი ადამიანი და არა აქტიორი. მე ნამდვილად მიყვარს ეთერი და არა მსურს მის წინაშე ნიღაბი ვატარო. ცოდვაა. ეს სატანიზმი და მართლაც პროვოკატორობაა. ცხოვრება სცენაზე უფრო მაღლა დგას მაინც.

— არა მარტო ცხოვრება, არამედ ხელოვნებაც სცენაზე უფრო მაღლა დგას. სცენა პირობითია და ხელოვნების შემზღუდველი.

— ეს შენ გაგიმარჯოს. ჩემი ცხოვრების მესაიდუმლეს.

ვანომ არაყი გადაჰკრა. ცხვირზე პურის გული მიიდო. უყნოსა. მისი თვალები შუქნაკრავ ამეთვისტოსავით კიაფობდნენ და მე მივხვდი, რომ იგი ეხლა არ სახიობობდა.

— წავიდეთ. — დაიძახა მან და ერთბაშად წამოიჭრა — ეთერი უნდა ვნახო ამ დილით.

სარდაფიდან რომ ამოვედით, სავსებით გათენებულიყო. დედამიწაზე ნახევარი ადლი თოვლი იდო. ალექსანდრეს ბაღში დაბუქული ნაძვის ტოტები მიწამდე დახრილან. ხეთა შორის რძისფერი ბურუსი და უმძაფრესი სიჩუმე ჩამდგარიყო. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა და ისევ გულდაგულ თოვდა. ბარდნიდა. ვანო შეჩერდა, ბუხრის ქუდი, კრაველის საყელო თოვლით გადაჰპენტოდა. ბაღს გაჰხედა და წამოიწყო: „ზამთარია...აა, ჰე!“ — მერმე ერთბაშად შესწყვიტა სიმღერა. ამოსუნთქვისას ორთქლმა შადრევანივით გააპო ჰაერი და ირგვლივ ღვინისა და არყის სუნი დააყენა. ვანოს მკლავში ხელი გავუყარე და პროსპექტზე ამოვედით. ეტლი დაიქირავა.

— საბურთალოზე! — შესძახა მეეტლეს.

— საბურთალოზე რა გინდა?

— ეთერი!

გაკვირვების ნიშნად მხრები ავიჩეჩე. ასე ადრე უხერხულია ქალს კარზე მიადგე და ისიც ნაღვინები მეთქი — ურჩია. არ მისმინა:

— მე მინდა ერთი წუთით ვინახულო მხოლოდ ეთერის სახე.

შოფერის ბინაზე.

ეტლი პატარა სახლის ეზოსთან გაჩერდა. ვანომ ეტლიდან შეაღო. ჭიშკრიდან სახლამდე ახლად დანათოვ ეზოში პატარა ფეხის ნაკვალევი ჩანდა. ეს ეთერის ნაფეხურები არისო, მითხრა ვანომ.

გაზაფხულზე აყვავებულ და აბრიალებულ ტყემალივით იდგნენ ბაღში ჭერამის, ალუბლისა და ვაშლის დანათოვი ხეები და, პატარა სახლის აივანზე ასული ვანო რომ დავინახე, პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“ მომაგონდა რატომღაც, თითქო სატრფოს მოლოდინით გულმოკლულ ბატერფლეის ეზო გაუვლია, შინ შესულა და ფანჯრის მოხატულ ფარდას გადასწევსო. მართლაც, ეთერიმ ფარდა ასწია და ფანჯარაში მტრედივით გამოიხედა. გაოცებული დაგვაცქერდა. გვიცნო და უმალვე მოშორდა ფანჯარას. მერმე კარები ბიძა მისმა — შოფერმა თედომ გამოაღო. მოგვესალმა ახოვანი ვაჟკაცი. აივანზე მისი ცოლი, შვილი გიორგი და ძმისშვილი ეთერიც გამოვიდნენ. ნივრისა და ღვინის სუნი ეცა თედოს. გაიღიმა და შეგვეკითხა:

— სად ყოფილხართ ამ დილით, ვეფხვებო?

— ვქეიფობთ, თედო ჯან, იოსებაშვილის სარდაფიდან მოვდივართ — ავარასავით მიუგო ვანომ.

— გაამოთ. სტუმარი ღვთისაა. მობრძანდით.

— შინ ვერ შემოვალთ.

— ჩემს სახლში განა არ შემოისვლება?

— აბა რას ამბობ? როგორ თუ არ შემოისვლება, განა თქვენსა არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩვენ ორი წუთით გეახელით მხოლოდ.

ვანომ ეთერის გადახედა. ქალი შეკრთა. ისე ერთბაშად გაწითლდა, თითქო მუგუზალს დაუბერა, და ცეცხლმა მიანათა თეთრ სახეზეო, გაფართოებულ თვალების გარსს ცისფერი დაეტყო შეშინებული შველივით. თვალები ვანოს მიაპყრა და დარცხვენით, თითქო ეხვეწებოდა: ამ დილით რისთვის მოხველი, განა ბიძა ჩემი ვერ მიხვდება, შემიბრალეო. თავი დაჰხარა. კდემამოსილი ქალის მორცხვობამ გული აუჩუყა ვანოს. კიდევ უფრო მოეწონა ეთერი. შეეცოდა და უხერხულობა განუქარვა.

— თედო, ამაღამ შესაძლოა ბაქოში გავემგზავრო. აღარ მეცლება. მინდოდა გამეგო როგორ სწავლობს კონსერვატორიაში ეთერი. და მისთვის შემოგიარეთ ასე ადრე. ხომ არაფერი აკლია ან ხომ რაიმე არ უფერხებს მაცადინობას?

— არაფერი არ მაკლია, ბატონო ვანო, რასა ბრძანებთ. — უპასუხა ეთერიმ.

— მობრძანდით, შინ მოილაპარაკეთ. რაღა ადრეა: მალე ცხრა საათი გახდება. ჩვენისთანა უსაქმო ხალხის აყოლა შენ არ გარგია, თედო ჯან. სამუშაოზე დაგაგვიანდება. — გაიპატიჟა თავი ვანომ.

— დამცინი კიდეც, გადიხარხარა თედომ და მიუგო — არა, უშავს. გარაჟის გამგე დღეს სხვას გაუშვებს ჩემს მანქანაზე. მობრძანდით, ერთი ჭიქა ღვინო დალიეთ, სახლი დაგვილოცეთ.

— კურთხელ იყოს ეგ სახლკარი და ეგ წმინდა ოჯახი, ალა, დავლოცე. შინ კი ვერ შემოვალ. ჩვენ სმა-ჭამა არ გვაკლია. მთიელთა სტუმარმასპინძლობა უნდა დაივიწყო, თედო ჯან.

— მობრძანდით. რასა ბრძანებთ. ტყუილია. ისე არ გაგიშვებთ. — დაიძახა ტყავის შავ ქურთუკში გამოწყობილმა თედომ და ჩაჟანგული, ბენზინითა და მაზუთით გაზუზნული ვეება ხელი წაგვავლო მკლავში.

რაღა ჯანი იყო: შინ ვეახლეთ.

თედოს სამი პატარა ოთახი ექირა: სასტუმრო, სასადილო და საძინებელი. ჩვენ სასტუმროში შეგვიყვანა. სასტუმროში ორი ტახტი იდგა ფარდაგდაფენილი. ერთის წინ — მრგვალი მაგიდა, მერმე ეტაჟერი, პატარა საწერი მაგიდა და პიანინო, რომელზედაც ეთერი უკრავდა, ვარჯიშობდა: მუსიკაში მიცემულ გაკვეთილებს ამზადებდა. ეტაჟერი და პატარა საწერი მაგიდა გიორგის წიგნებით იყო სავსე. იგი სამკურნალო ფაკულიტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო. მე და მას შორის უმალვე გაიბა საუბარი მედიცინაზე, ტოპოგრაფიულ ანატომიის პროფესორზე. დოსტაქარზე ევგენი მხეიძეზე, რომლითაც ისა და მთელი სტუდენტობაც მოჯადოებული იყვნენ.

ვანო ეთერის მიუჯდა გვერდით და კონსერვატორიის ამბები გამოჰკითხა. ცოტა ხნის შემდეგ თედომ გიორგის დაუძახა, ნაცნობ მეყასბესთან და მეღვინესთან გაგზავნა სამწვადე ხორცისა და სარდაფიდან ღვინის მოსატანად. თედოს ესახელებოდა ვანოს სტუმრობა. ვანო ოპერებზე ესაუბრებოდა ეთერის. უხსნიდა თუ როგორ ესმოდა მას ესა თუ ის როლი. დილის 11 საათი იქნებოდა, როცა თედომ მაგიდაზე მიგვიწვია. ერთი ბოთლი რომ დავცალეთ, აივანზე ნაბდიანი კაცი ამოვიდა. მერმე ფანჯარას მოადგა, თვალები ხელით მიიჩრდილა და ოთახში შემოიხედა.

— ექო! — დაიძახა გიორგიმ და კარებისაკენ მიიჭრა. ექომ ნაბადი მოიხადა. შავ ჩოხაში იყო გამოწყობილი. სველი სახე ცხვირსახოცით მოიწმინდა და გიორგის შეეკითხა:

— ვინ არიან?

ეკალივით მოხვდა გულზე ვანოს სახელი ექოს. — ამ დილით აქ რა უნდაო. — გაიფიქრა. ქამარხანჯალი გაისწორა. ჩოხის სახელო აიკაპიწა, მხრები აიწურა და ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა. წამოვიშალეთ და შეძახილით მივესალმეთ, მაგრამ ექოს წარბი არ გაუხსნია. ტანწერწეტი იყო, მაგრამ ტანთან შედარებით ფეხები მოკლე ჰქონდა. ვეება წითელი ხელებიც არ შეეფერებოდნენ მის ტანსა და გამხდარ სახეს, არამედ გაცილებით უფრო ზორბა ვაჟკაცს. შემოსვლისთანავე ისე მრისხანედ გადახედა ეთერისა და ვანოს გაუტეხელმა და ჯმუხმა ვაჟკაცმა, თითქო მისმა თვალებმა ბუდიდან ამოწვდილი სატევრის ელვარება და კრთობა გამოსცესო. ექოს ეჭვების დასადასტურებლად სავსებით საკმა-

რისი იყო თედოსთან ამ დილით ვანოს სტუმრობა და ეთერის გვერდით ჯდომა.

ეთერი უკვე სავსებით დაქალებულა და ისეთი [illegible] გამხდარა, რომ ექო ქვეყანას დასთმობდა, მას კი არასოდეს. [illegible] ეთერისათვის ეხლა დიდი ვაიუბედურება. ეთერი მართლაც ქალაქელ ქალს დამსგავსებია სავსებით, ექო კი ისევ ის მთიელი, სოფლელი ჭაბუკი იყო, რომელიც ნადირობის ჟამს შეგვეყარა, მთის ადათის, კანონის და ზნეჩვეულებათა მადევარი. იგრძნო ჟამთა ვითარების გამო შექმნილი სხვაობა თავის თავსა და ეთერის შორის და ამან შეაძრწუნა. ნაძალადევად გველაპარაკებოდა და იღიმებოდა შუბლმოღრუბლული, ჭიუქი და კარჩაკეტილი მთიელი. შემოსვლისთანავე დაარღვია მან თედოს ოჯახში შექმნილი შეხმატკბილებული, მხიარული საუბარი, განწყობილება და თან შემოიტანა მთის ადათი, კანონი და რისხვა. მიუხედავად ამისა, ვანო მაინც კარგ გუნებაზე იყო, ეთერი ეხვეწებოდა:

— ბატონო, ვანო, გვიმღერეთ რაიმე.

— ჯერ შენ იმღერე, — უპასუხა ალერსიან ღიმილით ვანომ.

— ჩემი სიმღერა რა გამოსაჩენია.

— მინდა მოვისმინო, შენი ხმა, როგორ ჟღერს, როგორ წარჩინებას მიაღწიე!

სთქვა ვანომ და პიანინოსთან მივიდა. აკორდები აიღო და ისე დაუკრა აკომპანიმენტი, თითქო პიანინოს სიმებს კი არა ჩონგურს აჟღერებსო. ეთერიმ ტანსაცმელი გაისწორა, მოწაფესავით გაფითრდა, ჩაახველა და აბესალომის დის მარიხის სიმღერა დაიწყო, რომელიც გრაციოზული და მხიარული, იტალიური კანცონეტტაა მართლაც ნამდვილი. მისი მელოდია მოქნილია, ნაზი და მშვენიერი. ეთერი სავსებით ჩაწვდენია ოპერაში მოცემულ მუსიკის შინაარსს და მის ხასიათს. თავისი შესანიშნავი ხმით იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა ვანოზე. კონსერვატორიის მოწაფეს დიდ შედეგებისათვის მიუღწევია. ვანო ნასიამოვნები დარჩა, იღიმებოდა, უხაროდა შოფერის თედო ჯიქაიძის ღარიბულ ოჯახში მომღერალ მთიელ ქალს რომ უსმენდა. წინდაწინვე გრძნობდა ალბად, რომ მომავალში ეთერისთან ერთად იმღერებდა ქართულ ოპერაში. როგორ გაზრდია და გაუვარჯიშებია ეს წარმტაცი ხმაო — ფიქრობდა, როდესაც ეთერიმ თავისი კანცონეტტა დაამთავრა: „საყვარელო გულისა, დამწვარ, დადაგულისა“, — ვანო წამოიჭრა, ხელი ჩამოართვა ეთერის, თვალებში ხანგრძლივ ჩაჰხედა:

— გილოცავ გამარჯვებას, — შესძახა, ეთერიც ალერსიანად შესცქეროდა ეხლა მას.

ექომ, ვანოს მიერ დაჭრილ ხელზე დაიხედა, მაგრამ იარისა და სისხლის ნაცვლად შეხორცებული ნახმლევი ეტყობოდა მხოლოდ.

„ნუ-თუ ვანომ ფიცი გასტეხა“ — გაიფიქრა და გადასწყვიტა ვანოს და ეთერის მოლაპარაკებოდა დღესავე.

მე შევნიშნე, თუ როგორ ჩაჰბღუჯა ბრაზის გამო სატევრის ტარი მალულად ექომ და გავიფიქრე: „საწყალი, ნუ თუ ვერა ხედავს რა ბღვარია გათხრილი მასა და ეთერის შორის? ექო გაზრდილა, დაეაკაცებულა, მაგრამ მთიელი ჭაბუკის გონება და გრძნობა ერთ ფერად ... გაყინულა. ეთერის კი დღესა თუ ხვალ საოპერო თეატრში მიიწვევენ. ვინ იცის იქნებ, ქალის ეს მიმადლებული ნიჭი ეზიზღებოდა კიდეც ექოს, ამჟამად, რადგან იგი შეიქნა მასთან დაშორების საბაბი!

მარტო-სულივით იდგა კუთხეში უძრავად გახევებული ვაჟკაცი. არვინ აქცევდა მას ყურადღებას. ეთერი მშვენიერს სახეს და ვანოს აცქერდებოდა, იმათ ქცევასა და ლაპარაკს რომ ხედავდა და ისმენდა, განწირულებას გრძნობდა და გულში ფიქრობდა: „რისთვის მღალატობ, პირშავო, ქალავ?“.

ვანომ ისევ აიღო აკორდები. ეთერისა და ჩემი თხოვნის თანახმად „მხოლოდ შენ ერთს“ — იმღერა. თითონვე უკრავდა აკომპანიმენტს და კლავიშებზე ხანდახან თუ გადაიტანდა თვალს. ისე კი პიანინოსთან მდგარ ეთერის მისჩერებოდა, თითქოს მას უძღვნის ამ სიმღერასო. გრძნობით სავსე თვალები განაბა, მსუქანი ბაგეები გობოის ბოლოსავით წარზიდა წინ და საამო ხმით მიჰმართა ეთერის: „საფლავშიაც, აქაც იქაც“ და შემდეგ ხანგრძლივ და წარმტაცად ჩაარაკრაკა: „შენთან ერთად, შენთან ერთად“. ისე გაიმღერა და გააგრძელა ეგ სიტყვები ვანომ, თითქო დასასრული აღარ უჩანს, ვანო სულსა და გულსაც თან გაატანს და მშვენიერ ეთერს ჩააბარებსო.

სიყვარული კაცს რომ აამაღლებს, ეს ძველი ჭეშმარიტეებაა. მით უმეტეს ისეთ მგრძნობიარე ადამიანზე, როგორიც ვანო იყო, უნდა მოეხდინა მას თავისი ცხოველმყოფელი გავლენა. შესაძლოა არასოდეს აღარ უმღერია ვანოს ისე კარგად და წარმტაცად ეგ რომანსი, როგორც ამჟამად. ყველანი მოჯადოებული იდგნენ, ცქერად წასულნი. შოფერის თედოს თვალშიაც კი ცრემლი ჩამდგარიყო. ეთერი სიყვარულის ვნებისალში ეხვეოდა. ნეტარი სითბო იღვრებოდა მის კენარ ტანში. ტანთ ჟრუანტელი უვლიდა. პატარა სწორი ცხვირის ნესტოები პეპელის ფრთებივით უთრთოდნენ ხშირი სუნთქვის გამო. მოჯადოებული მისჩერებოდა მომღერლის ლამაზ და საყვარელ სახეს, უცნაურ თვალებს. ღაწვებზე ცეცხლი ეკიდებოდა. მაღალი მკერდი ეხრებოდა და ზედ ორი დაგრაგნილი შავი ნაწნავი ეყარა, ბოლოს შეირხა მისი ტანი. ქალი დაბარბაცდა და, როდესაც სიმღერა დასრულდა, მთვარეულივით მივიდა ვანოსთან. ხუჭუჭ თმაზე თეთრი და ნაზი ხელი გადაუსვა. ვანომ ხელი დაუჭირა და ზედ აკოცა. გაოცდა ექო მარტო-სულივით ატუზული კედელთან. ყველაფერი გათავდაო, გაიფიქრა მან. ფერმკრთალი შეიქმნა და ნერწყვს ყლაპავდა ხახა გამშრალი. ღერღეტის მაგვარ გრძელ კისერზე ღილკილოებით ასხმული ახალუხის საყელო ჰქონდა შემოჭირებული და ამ გრძელ ყელზე ჩიყვივით ამობორცვილი ხორხი ადიოდა და ჩამოდიოდა. ყელში ცრემლები ებჯინებოდა. ვანოს და ეთერის გადახედა და მისმა თვა-

ლებმა ქარქაშიდან ამოწვდილი სატევრის ელვარება გამოსცეს. ისევე. მისი ისედაც მოკაუჭებული ცხვირი არწივის ნისკარტს მიემსგავსა. ბაცი, მოუსვენარი და ტყვიასავით მალი თვალები თითქო შეშფოთებულ ადგილებში იხედება და ისე უცქერის ხან ეთერის და ხანაც ვანოს — თავ-ფეხ გასცვენოდა ჯერ კიდევ ჭაბუკს და მელოტი თავი ლეკვივით გადაეხოზრა. მერმე თანდათან დაცხრა და ბრაზისაგან გაიგუდა. შემეცოდა.

მეტოქენი

ეტლში ჩავსხედით, ექო წინ დაჯდა. ნაბდის გაჭიმულ და განიერ მხრებით დაჰფარა მეეტლე. თვალებზე ბუხრის ქუდი ჩამოეფხატა გვათოვდა და ექო ამ დანათოვ ბუხრის ქუდში, ამ განიერ და გაჭიმულ მხრებიან ნაბადში მაღალ მთასავით ამართულიყო ჩვენ წინ მყინვარივით მრისხანე, ცივი და მიუკარებელი.

— ძმას ქალს ართმევდე განა ფიცის გატეხა არაა!? — უმწეოდ ჩაილაპარაკა ვაჟკაცმა.

— შენი ქალი ხომ არ არის, სიტყვა ხომ არ მოუცია შენი ცოლი უნდა ვიყოო.

— იქნების მამცა.

— ტყუილია, — იყვირა ვანომ. შუბლმოღრუბლულ ექოს სახეს შევხედე და ვანოს იდაყვი მივაჭირე რათა დამეწყნარებინა. მაგრამ ვანოს მოსწყინდა ალბათ ექოს წინაშე ორჭოფობა, თვალთმაქცობა და ისევე გადაჭრით მოახსენა:

— ვისაც თავად ეთერი აირჩევს, იმისი იყოს — ყაბულს ხარ?

თუ როგორი სასტიკი არჩევანის მოხდენა შესთავაზა ამ სიტყვებით არც კი უწყიდა ვანო. ექომ თვალი ველარ გაუსწორა. ვანოს უპირატესობა იგრძნო. დაირცხვინა. თავი ჩაჰკიდა და ასე უთხრა:

— ეთერი რა შენი ტოლია: შენ ნასწავლი და დიდი კაცი ხარ...

— ეთერი ჩემი ბედია.

— მართალს ამბობ?

— მართალს მოგახსენებ.

— თავი არ წააგო! — ერთბაშად აენთო ექო. ვანო არ დაერიდა:

— მემუქრები კიდეც? რა გაეწყობა. იცოდე: არც ისე ძვირად მიღირს ეს გოგრა!

ექო დაცხრა. მოაგონდა წუხანდელი საარაკო წარმოდგენა. ზეიმი. ვანოს სიმღერით და თამაშით მოჯადოებული, აღტაცებული საზოგადოება. ბრწყინვალე დარბაზი. მოაგონდა სოფელში ვახშმობის დროს გიორგის მიერ თქმული სიტყვები: „ვანოს სიცოცხლე ყოველ ქართველისათვის არის საჭირო და სასახელო“. ჩაფიქრდა და მუდარით უთხრა:

— შენი თავი მარტოკა შენ როდი გეკუთვნის. საქმეს დაუკვირდი და ასწონდასწონე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამეხარდა: კარგია რომ ბოლოსდაბოლოს შეუგნია ამ მთიელ ჭაბუკს თუ ვინ არის ჩვენთვის ვანო. ვანომ კი გაიღიმა, ხელი ჩაიქნია და ამრეზით უპასუხა:

— ჩარჩი ხომ არა ვარ, გრძნობებიც ავწონ-დავწონ.

— ვანო, დამითმე, ეთერი, ყელ არ გამომჭრა! — რაღაც უცნაურ მუდარით გაუმეორა ისევ ექომ.

— მაგას ვერ შეგისრულებ. სხვა რამ მთხოვე, და თუ გინდა თავს განაცვალებ.

— გააჩერე ეტლი. მე აქ ჩამოვალ. — სთქვა ექომ. ეტლიდან გადახტა და ასე გამოგვემშვიდობა.

— ვანო, დაფიქრდი. რას გადაჰკიდებიხარ ამ მთიელ ჭაბუკს. რა შენი ტოლია?

— როგორ გავათავო მე ეს კომედია. .განა მე დამნაშავე ვარ. ეთერი ცოლად როგორ გაჰყვება ექოს. აბა, დაფიქრდი.

— შენც არ შეირთავ ეთერს.

— რატომ?

— ვიცი მე. შენ ცეცხლს ეთამაშები.

— მიჯნურობა ცეცხლია თავად.

ნაწილი მესამე

რა დაემართა?

ერთხელ მე და ეთერი პარტერის პირველ რიგში ვისხედით და „აბესალომ და ეთერს“ ვუსმენდით.

ფარდა აიხადა. ტყის ბოლოს მიწური სახლის კუთხესთან დახეული ჩითის კაბით ატუზული ღარიბი გლეხის ქალი, ულამაზესი ეთერი. დედინაცვალი გამეტებით სცემს და ეთერი გულამოსკვნილი დასტირის თავის შავბედს: ნეტავი ვინმე გამოჩნდებოდეს ჩემი ასეთი ყოფისაგან გამომხსნელიო. და გამოჩნდნენ კიდეც უცხო მონადირენი: აბიო მეფის შვილი აბესალომი და მისი ვაზირი, დიდი-მოურავი მურმანი. ეთერის სილამაზე ორთავეს აჯადოებს.

ხშირად ვესწრებოდი ამ ოპერას და პირველ მოქმედებისთანავე მაგონდებოდა ხოლმე მთიელთა სოფელში, გლეხის ზაქრო ჯიქაიძის სახლში, გაცნობილი ხუთმეტი წლის წარმტაცი გოგონა ეთერი, ვანოს სიმღერით მოჯადოებული რომ იდგა ბუხართან, თეთრი ჩითის კაბა ეცვა და ზედ შვინდისა და კუნელის მწიფე ნაყოფივით დასცვენოდა წითელი წინწკლები. ეთერის გადავხედე. იგი ისევ ვანო სარაჯიშვილის სიმღერით მოჯადოებული იჯდა სავარძელზე ჩემს გვერდით. ვანო — აბესალომი პირველ არიოზოს მღეროდა ჩვეულებრივი თავისი ნათელი, მეტყველი ხმითა და მომხიბლავი ტემბრით. ვინ იცის რას ფიქრობდა ამ დროს მთიელი გოგონა! გრძელი წამწამები დაახამხამა და უმალვე მომაგონდა რუსთველის მშვენიერი შედარება: „ჰხრის ყორნისა ბოლოფრთათა“. მერმე კაეშნით მიბნედილი შავი და დიდრონი თვალები ქალისა უხილავ ცეც-

ხლით აღენთნენ. თავი სცენისაკენ გაეშვირა, თითქო გედიგით მოღერილი ყელით მაცქერალი გოგონა ესეც არის მოსწყდება პარტერის სავარძელს და სცენაზე გადაიფრენსო. უცნაური ამბავი მოხდა. ვანომ პარტერისაკენ გამოიხედა, ცქერად-წასული ქალის სახე დაეწვა პარტერში. იმის მაგიერ რომ სცენაზე აბესალომის ამალის ბრწყინვალებით შეშინებულ ეთერისათვის მიემართნა, გაიღიმა, ორკესტრისაკენ წაშოვიდა და მთიელ გოგონას დააცქერდა, თითქო მას უმჟღავნებს სიყვარულს ჭეშმარიტად პოეტურ, მშვენიერ სიმღერითო. პარტერში ხალხი შეიშმუშნა და ჩოჩქოლი ატყდა. რა არის ეს? ამ სიმღერით მას სცენაზე მდგომ ეთერისათვის უნდა მიემართნა და არა პარტერისათვის. ეს საშუალო საუკუნეების ცრუკლასიკური მანერაა სიმღერისა, რომლის თანახმად მომღერალი მუდამ პარტერს მიჰმართავს სიმღერით და არა მას, ვისაც ეს სიმღერა ეკუთვნის, სარაჯიშვილი არასდროს არ ყოფილა ასეთი სკოლის მომღერალი და მსახიობი. არასოდეს არ ყოფილა ისეთი მომღერალი, რომელიც შინაგან წვას კი არ განიცდის, არამედ მხოლოდ ის ახსოვს, რომ ამა თუ იმ ბგერაში ხმამ არ მიმტყუნოსო. ვანო სარაჯიშვილი მართლაც ულრმესი განცდის და შინაგანი წვის მომღერალი იყო. დირიჟორი ივანე ფალიაშვილი განცვიფრებული მისჩერებოდა მას და ფიქრობდა: რა დაემართა, საით იცქირება, რიტმს რად ურევს, ხმა რისთვის ღალატობსო? ეს წმინდა წყლის ჩავარდნა იყო. მსახიობური მეტყველება, მიმიკა, სცენისათვის საჭირო მიხვრა-მოხვრა, ჟესტიკულაცია ჩვეულებრივ ადამიანის ქცევად შეეცვალა. არავინ იცოდა, ის გარემოება რომ სცენური ეთერის ნაცვლად, პარტერში მჯდომი ეთერის რეალური სახის განცდა იყო ამ წუთას ვანო სარაჯიშვილის ჩავარდნის მიზეზი და არა მხატვრული განმსჭვალვის უქონლობა და განსაცვიფრებელი, უებარი ხმის დაკარგვა, ეს გარემოება მხოლოდ მე ვიცოდი. ხალხი ლოჟებში, პარტერში სკამებიდან დგებოდა ეთერის და ჩემსკენ იხედებოდა. შევწუხდი. ამ დროს ჰაერი მურმანის მრისხანე ხმამ გააპო. ეს ინაშვილი იყო. ვანო უმალვე გამოერკვა. პირველი მოქმედება ვანო სარაჯიშვილის მარცხით დასრულდა. ფარდა დაეშვა.

ფოიეში

ექო თეატრში იყო. მთიელ სტუდენტებს, თავის ამხანაგს შადურს ახლდა. ქანდარიდან ვანოს შეხედა. იგი სცენიდან უცქერდა ეთერის და ძლიერ გაეხარდა ვანოს მარცხი: გასწირა ძმათგაფიცული. ანტრაქტის დროს მუსიკის მცოდნეთა და მოყვარულთა საუბარს დაუგდო ყური ფოიეში:

— ვანო შეუძლოდ ყოფილა და სხვისი მაგიერობა უკისრია მაინც. — განაცხადა ვექილმა ესტატე მაყაშვილმა და ქარვის მუნდშტუკი ჩაიდო პირში. იგი ევროპელს ჰგავდა. საჩვენებელ თითზე უზარმაზარი ბეჭედი წამოეგო.

— შეუძლოდ კი არა, ხმა აღარ ჰყოფნიდა, დირიჟორს მისჩერებოდა და პარტია ჩააფლავა. — მიუგო მუდამ დღე თეატრში მოხეტიალემ, უპროფესიომ და ბებერი ხარივით კისერდანაოჭებულმა — იგი სპეკულიანტი იყო და საზღვარგარეულ ნამყოფი.

— მე მიკვირს აქნამდეც რომ შერჩა ხმა. ლოთობს და ქალებს გადაჰყვა. — ჩაერია საუბარში ოდესღაც მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი აწ კი ბუხჰალტერი და თავის თავით კმაყოფილი ფილისტერი.

— ვანო სარაჯიშვილი სიმღერის კულტურის მხრივ უცოდინარია. მას ხანგრძლივი და მკაცრი დისციპლინარული სკოლა არ გაუვლია სიმღერისა. მაგალითად, დიდებული რუბინი სრული ცამეტი წელიწადი სწავლობდა სიმღერას. ჭორავდა სარაჯიშვილს და ვოკალურ ხელოვნების შესახებ ყურმოკრულ ცნობებს აწვდიდა ხალხს კონსერვატორიიდან უნიჭობის გამო გამორიცხული ყოფილი ოფიცერი, აწ კი ქართველ მომღერალთა ნაკლებობის გამო საოპერო თეატრში მოწვეული ფრანტი-სკეპტიკოსი. მას ახალ მოდაზე შეკერილი კოსტუმი ეცვა, რომელიც სრულიადაც ვერ შველოდა მის გამოთაყვანებულ სახის მეტყველებას.

— შე კაცო, მას რომ იტალიური ვოკალური ხელოვნების სკოლა არ გაევლო, მაშ საიდან ექნებოდა ასეთი განსაცვიფრებელი და უებარი bel-canto? — მიუგო ექიმმა ევგენი მხეიძემ. იგი მაღალი გამხდარი კაცი იყო. შავგვრემანი და მძაფრი სახე გაპარსული ჰქონდა. თვალები შავი — დიდრონი და გონიერი.

— bel-canto კი არა, ის არ გინდათ? — განგებ დაარბილა ზედმეტად და დასცინა ამ სიტყვას ყოფილმა ოფიცერმა, ფრანტმა — სკეპტიკოსმა.

— ამ ბოლო დროს ყელში იმღერის, იხრჩვება და „მამლებს უშვებს".

— მაღალი რეგისტრები არ უვარგა, ფალცეტით იმღერის და თხასავით კიკინებს.

მართალია, მაღალი რეგისტრები არ უვარგა. მაღალ ნოტებს ვეღარ იღებს — ჭორავდნენ სარაჯიშვილს შურით აღსავსენი.

საქმე მაღალი ნოტების აღებაში როდია, ზოგიერთს ჰგონია: მომღერალი ისაა, ვინც უფრო მეტად იყვირებს. — „ვირივით" მეთქი მინდრდა მეპასუხა ჭორიკანებისა და ინტრიგანებისათვის, მაგრამ ქალებისა და უცხო პირებისა დამერიდა.

ამ საუბრიდან ექიმ ვანოსათვის დამამცირებელი სიტყვებს შეუყარა თავი. შეუყარა თავი იმისათვის, რომ ეთერისათვის ეთქვა და როგორმე ვანოსადმი ქალის გრძნობა დაეცხრო. მაგრამ ამაოდ ცდილობდა სიყვარულის გამო სიშმაგემდე მისული მთიელი ჭაბუკი. ვანო სარაჯიშვილს მრავალ ღირსებასთან ერთად ერთი თვალსაჩინო თვისებაც გააჩნდა. მართალია ამ ბოლო დროს ვანოს ხანდახან ხმა ჭღალატობდა, მარცხს განიცდიდა, მაგრამ რომელსამე ადგილას მოულოდნელად გაიელვებდა და სავსებით დაჰფარავდა ხოლმე მარცხს.

ზეიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბესალომისა და ეთერის ქორწინების შემდეგ მურმანი ჯადოსნურ თილისმით სწამლავს ეთერის და ქალის სილამაზე დღითი-დღე სჭკნება. მისი სნეულების განსაკურნავად აბესალომი მზად არის ქვეყანა შესძრას და მთელი სამეფო დასთმოს. ეთერის განმკურვნელი წამალი კი მხოლოდ მურმანმა იცის, მაგრამ ამისათვის საჭიროა ეთერი თავის მიჯნურს და გულისწორს — აბესალომს განშორდეს.

ორკესტრში გაისმის აკორდების ქვითინი, ტირილი ჭიანურებისა. მოსთქვამენ ალტები და ვიოლონჩელები. ეთერის წინაშე სდგას აბესალომი და მის არიაში ულრმესი მწუხარება გაისმის. შემდეგ ვანოს — აბესალომს ეს მწუხარება ნამდვილ ტრაგედიამდე აჰყავს. ეთერი მუხლ-მოდრეკილი ეხვეწება აბესალომს გაუშვას იგი მურმანთან. ამ ხვეწნას იმეორებს მომღერალთა გუნდი. ეს ტრაგიული სცენა, ისე როგორც აბესალომის ეთერთან განშორების სცენა, უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზე, აბესალომი იძულებულია დასთმოს ქალი — ეთერი. „ჰეეიჰ, ვის გინდათ ქალი ეთერი!" — გაისმის ოხვრით მიმართვა აბესალომისა. ეს წარმტაცი ადგილი ყოველთვის წარუშლელი დარჩება მეხსიერებაში ვისაც კი ვანო სარაჯიშვილისათვის მოუსმენია. ეს მიმართვა და აგრეთვე: „მურმანო, აჰა ეთერი! — უშესანიშნავესი ადგილებია ოპერისა და ისინი ვანო სარაჯიშვილის ჯადოსნურ ხმისა და ტემპერამენტის წყალობით მაგიურ ზეგავლენას ახდენს ჩვენზე, და მთელს დარბაზზე. ეთერიმ მალულად მოიხოცა ცრემლები ცხვირსახოცით. ნეტა ვიცოდე ვისმა უბედურებამ აატირა მაშინ ეთერი: აბესალომისა თუ ეთერის უბედურებამ?

ამის შემდეგ ვაზირს, დიდ ვაჟკაცს, გმირსა და მოურავს — მურმანს ცამდე მაღალ ბროლის ციხეში მიჰყავს ეთერი. ეთერი მურმანის ციხეში ინკურნება, მაგრამ თავის მიჯნურს აბესალომს ვერ ივიწყებს და გულმოკლული ქალი მდუღარე ცრემლებს აფრქვევს. ეთერზე ფიქრმა და კაეშანმა აბესალომიც ლოგინად ჩააგდო. სნეული აბესალომი ტახტევანზე წევს და ისევ საამური ხმით ემუდარება მურმანის ბროლის ციხეში გამომწყვდეულ ეთერის გამოვიდეს მის სანახავად. უღონოდ ქმნილ აბესალომის ხმას ძალა გამოჰლევია. კვლავინდებურად ვეღარ გაისმის და ვშიშობ მომჯობინდეს ამიერიდან აბესალომი, თუნდაც რომ შეასვას მურმანმა ინდოეთიდან მოტანილი უკვდავების წყალიც-კი. იწყება ვოკალურ ხელოვნებაში სწორუპოვარი დუეტი აბესალომის და მურმანისა. ეთერისთან დროებით შეყრის შემდეგ აბესალომი კვდება.

დარბაზი ტაშის-ცემით ჩამოინგრაო, იფიქრებდით; ვანო სარაჯიშვილის სახელს იძახდნენ დიდხანს.

საბურთალოზე

სპექტაკლის შემდეგ ვანომ მე და ეთერი გვინახულა. ეთერისადმი ამ ღამით ვანო არაჩვეულებრივ ალერსიანი იყო. საიდუმლოდ გაუხსნია, თუ რა იყო მიზეზი პირველ აქტში მისი მარცხისა. ის ამ მარცხის გამო მაინცდამაინც არ სწუხდა. ეთერი დაუტკბა, „ძვირფასო“ — წამოსცდა კიდეც, მე ექოს მივყვებოდი და საუბრით მივუახლოვდი იმ ადგილს, საცა ოლლას და წყნეთის ქუჩა იყრებიან. ექო რატომღაც სდუმდა, ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ექო და ეთერი საბურთალოსკენ წავიდნენ. ეთერი სწუხდა რომ ის გახდა მიზეზი ვანოს მარცხისა. ამაზე ფიქრობდა და არ უწყიდა რომ ექოს გულში სულ სხვა ფიქრი და ცეცხლი ტრიალდება ამჟამად. მოულოდნელად უთხრა ეთერს.:

— ესეც შენი სწორუპოვარი მომღერალი.

— ვიზე ამბობ? — შეკრთა ეთერი.

— ვანოზე მოგახსენებ. — ეთერის ეწყინა ასე აგდებულად როგორ ბედავს ვანოზე ლაპარაკსო, ერთი შეხედა, მერმე თავი ჩაჰკიდა და ნაღვლიანად უპასუხა:

— ვანო ამ ბოლო წლებში ძალიან ბევრს მუშაობს. უამრავ ოპერებში გამოდის. დღეს სხვას უნდა ელმერნა, მაგრამ ავად გამხდარა, ვანომ, თითონაც შეუძლოდ მყოფმა, მისი მაგიერობა იკისრა. ასეა ყოველთვის, ყველა სარგებლობს მისი გულკეთილობით.

ექომ რალაც ბოროტად დაიწყო ლაპარაკი:

— ვიცი მე რაც შეუძლოთ ბრძანდებოდა. ხმა არ ჰქონია, უსწავლელი ყოფილა და ამდენ ხანს ხალხს ატყუებდა თურმე. ლექსოს განა ვანოზე ნაკლები ხმა აქვს?

— რად ამბობ მაგას?, გაჩერდი, — ჩაჰქოლა ეთერიმ. და ბრაზით გადახედა. მასთან სიარულიც კი შეეზიზღა. არ უპასუხებდა, კარგად იცოდა თუ რაოდენი მღელვარება გამოუცდია ვანოს ცხოვრების გზაზე საზიზღარი ინტრიგებისა და ამხანაგთა შურის გამო. ეხლაც ალბათ შურიან ხალხის ლაყბობისათვის მოუკრავს ყური ექოსო — ფიქრობდა ეთერი. სწამდა რომ ჩავარდნა ყოველთვის იქნებოდა ვანოს მიერ გამოსყიდული დიდი მხატვრული გამარჯვებით. ისე როგორც ამალამ. ის აწუხებდა მხოლოდ რომ ასეთი ჩავარდნები კიდევ უფრო მეტ საბაბს აძლევდა ინტრიგანებს და შურით სავსე ადამიანებს ჭორიკანობისათვის. ეს კი ვანოს აღელვებდა და დაღს ასვამდა მის ფიზიკურ და სულიერ რაობას. ამიტომ ვანოზე ძვირის თქმას ვერ ითმენდა ეთერი. ოლლას ქუჩაზე, საბებიო ინსტიტუტთან შეაჩერა ექომ. უხეშად მოჰკიდა ხელი და შეეკითხა:

—რამ დაგადუმა? ხმა აიმაღლე. მემდური თუ? ვანოზე ცუდის გაგონება არა გსურს?

— არა მსურს, — შესძახა ეთერიმ, და შეყრილ წარბების ქვეშ ყაჩაღივით ანთებულ თვალებში ჩახედა.. თითქო პირველად შეამჩნია ექოს

სახეზე არწივის ნისკარტივით მოკაუჭებული თხელი ცხვირით. ტანთ გააჟრჟოლა და ნაბიჯს აუჩქარა.

— დაიცა — დასჭყივლა ექომ და ისევ სტაცა ხელი. — რასა ცხარობ? განა ჩემი აზრი მოგახსენე ვანოზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შაშ ვისი?

— ხალხისა. თეატრში ერთხმად ამბობდნენ; ხმა დაჰკარგა და ეხლა სიმღერის მაგიერ თხასავით კიკინებსო. — გაიღიმა ექომ. ეს ღიმი ეკალივით დაესო გულზე ეთერს და თვალთ დაუბნელდა:

— მერმე, შენ გაგეხარდა, ძმათ-გაფიცულს?

— რათ უნდა გამხარებოდა! — აიწურა მხრები ექომ. ბუხრის ჭუდი მოიხადა და გაწითლებული ვეება თათი გადაისვა გადახოზრილ თავზე. ეთერიმ ისევ ზიზღით შეხედა და მოუჭრა:

— ექო, თავი გამანებე. — ჯიქურ შეტრიალდა მთიელი ქალი და შინისაკენ ჩქარი ნაბიჯით გასწია. ექო სახტად დარჩა. კარგა ხანს იდგა ხის ძირას გაშტერებული ჭაბუკი.

შამოდგომა იყო, სექტემბერი თავდებოდა, მაგრამ ქალაქში მაინც საშინლად ცხელოდა. შუადღისას წვიმა მოვიდა და შესამჩნევად აგრილდა. გათავდა თბილისის სიცხე და ხვატი. გრილი საღამო იყო. ეთერი საბურთალოსკენ მიმავალი გზით მიდიოდა. მდინარე ვერისაკენ დაეშვა დაღმართით. პატარა ხიდზე შეჩერდა. წვიმის შემდეგ მდინარე ადიდებულიყო და ხევში გრიალით მიდიოდა. უზარმაზარი ჭანდრები და ალვის ხეები შრიალებდნენ. ღრუბლები გარღვეულიყო და მთვარის შუქზე ვერცხლისფრად შელებილ კენწეროებს მიაშტერდა ეთერი. იგი ისევ ვანოს შესახებ ფიქრობდა. უკან ფეხის ხმა შემოესმა. ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნის წინ მომავალი ექო დაინახა. იგი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა. რისხვასავით აწურული, ტანწერწეტი. წელს ზევით გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე წელს ქვევით. მოკლე ფეხებზე წუღამესტი ეცვა, და თითქო დევკაცის შიშველი ფეხის გული მიწას ძლიერად ეცემა, და ბიჯების დროს დედამიწა გუგუნებსო. ეთერი შეკრთა და რატომღაც ადგილიდან ველარ დაიძრა. გულისძგერა აუვარდა, ნაბიჯები ახლოვდებოდა. ეხლა უფრო ძლიერად ისმოდა დედამიწის გუგუნი და მიხვდა ეთერი, რომ ვერსად გაექცეოდა მრისხანე ექოს ნაბიჯებს. ქამარ-ხანჯალით შემორტყმულ ექოს ვიწრო წელისა და ტანის მიმოტანაში სიავე ცნაურდებოდა. ეთერიმ ძალა მოიკრიბა და ექოს შეეფეთა:

— რას მომდევ, ნუ მაწვალებ, თავი გამანებე, დამასვენე.

— ეთერი, შამომხედევი. — შესძახა ექომ და სიტყვა ყელში გაეჩხირა.

— რა გნებავს?

— ეს უკანასკნელი ჩვენი შეხვედრაა. მითხარი: ვანოს სიტყვა მიეცი თუ არა, ცოლობაზე? — ღერღეტის მაგვარ გრძელ კისერზე შემოჭირებული ჰქონდა ღილ-კილოებით ასხმული ახალუხის საყელო და ეთერიმ

შენიშნა, როგორ ადიოდა და ჩამოდიოდა ლაპარაკის დროს ამობურცული ხორხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე გათხოვებას არ ვაპირებ.

— ჩემი ხარ, ქალავ! იცოდე!

— მე შენი ცოლი ვერ გავხდები, ექო.

ექო შეკრთა და კინაღამ არ ჩაიკეცა, ხიდის მოაჯირს მიაწყდა, თითქო სიტყვის მაგიერ მკერდში ტყვია მიარტყესო. თითქო ეხვეწებაო ისე უთხრა ეთერიმ ექოს:

— მე ის არა ვარ, მთაში რომ ბავშვი გახსოვარ. ექო, ჩემი გზა სულ სხვაა, ქალაქი, სწავლა, თეატრი. აბა, დაფიქრდი.

— ქალაქში რად უნდა გაირყვნე?

მთვარეს ღრუბელი წამოეწია. ქალაქის ირგვლივ დამუნჯებული და ჩაღამებული მთები იდგნენ. ფიქრის-გორა წყვდიადს მოეცო, ხოლო საბურთალოზე ოდნავ მბჟუტავი სანთლებით განათებული და მათზე წამოსკუპებული პატარა სახლები ქოხებს გვანდნენ. მდინარე ვერის გრიალმა და ამ ქოხებმა სამშობლო სოფელი, მდინარე ალგეთი მოაგონეს ისევ ეთერის. არწივის მრისხანე ყივილი და ძახილი შემოესმა თითქო. მოაგონდა: უცხო მონადირისა და მომღერლის წასვლის შემდეგ ექომ რომ ცხენი მოაგდო ალგეთზე და ნაპირს იქით მდგარ ეთერის გასძახა: „პირშავო, ქალავ, ძვირად დაუჯენ იმ სტუმარს შენს კოცნას“ ექოს შეხედა და ისევ ტანთ შეაჟრჟოლა. იდგა ექო მთასავით შუბლმოღრუბლული, ჟამგადასულ ღორღივით და სალ-კლდესავით ჩაჟანგებული, და მიხვდა ეთერი, რომ ექოს სახით მის წინაშე აღიმართნენ მთის უმოწყალო კანონები და დრომოჭმული ადათები, რომლებიც ისევ იმ დამუნჯებულ და ჩაღამებულ მთებისაკენ ეძახიან მას. ვერის ბაღებში სანთლები ბჟუტავდნენ, დაფა-ზურნის ხმა და ლოთების კიჟინა მოისმოდა, შორს კი ლამპებით გაჩირაღდნებული ქალაქი გუგუნებდა, ქალაქი, რომელიც ეთერის იტაცებდა, ახალ ცხოვრებისათვის სავალ გზას სთავაზობდა. კარგა ხანია რაც შესდგა ფეხი ეთერიმ ამ გზაზე. მაგრამ აი, მთიდან ჩამოსული ექო უკან დაედევნა, აღარ ეშვებოდა. აჩრდილივით უკან დევდა, მუდამ მასთან იყო, საშველს აღარ აძლევდა. მაჯლაჯუნასავით აწვებოდა, მის სიქალწულეს და სილამაზეს სწამლავდა და აჭკნობდა. მაგრამ რა ექნა თვით ექოს თუ კი გულში მიჯნურობის გრძნობა გიზგიზებდა!!

ეთერის გარკვეული პასუხის გაცემისა ეშინოდა აქნამდე და ექოც მთაში აღარ ბრუნდებოდა. საშინელ განსაცდელში ჩავარდა საწყალობელი ეთერი. მთაში ბავშვობიდანვე შეზრდილ ექოსათვის შეურაცყოფის მიყენებას ერიდებოდა. ვანოს კი დღითი-დღე უფრო იზიდავდა ეთერის შვენიერება და სილამაზე. ეთერი გრძნობდა ამას. ამიტომ გადასწყვიტა ამ ღამით ექოსათვის გადაჭრილი პასუხი გაეცა:

— შენ შენი გზა მოსძებნე, ექო, მე ჩემი უკვე მოძებნილი მაქვს, მე თავისუფალი მინდა ვიყო და ისე ვიარო ამ გზაზე, როგორც მსურს. — უთხრა ეთერიმ. და წასვლა გააპირა, ექომ მკლავში წაავლო ხელი:

— ვერ გაგიშვებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერიმ ხელი გამოსტაცა, გააფთრებული ძუ-ვეფხის მზგავსი თვალები მიანათა და უყვირა:,

— რა გინდა? — ექომ მკერდზე მიიკრა და შეჰვედრა:

— ცოლად გამომყევ, ქალავ!

— არას დროს — ხელი ჰკრა მკერდში ეთერიმ და მოიშორა.

— მაშ, ველარც ვანოს დარჩები.

— მე არავისაც არ დავრჩები.

— სიტყვა რო მამეც, შე პირშავო!

სილა გააწნა. ქალი გაექცა. ხიდის ახლო, ქუჩის შესახვევში, სადაც სახლს აშენებდნენ და აგური ეწყო, იქ მიიმწყვდია ექომ. ხანჯალი იძრო, თმაში ხელი სტაცა... ქალის გულშემზარავმა კივილმა ღამე გაარღვია. მისი გამოძახილი ჩაბნელებულ ხევსა და მთაში გაისმა მრავალ-გზის. ვერის ბაღში მოქეიფენი გზაზე გამოცვივდნენ. დუშეთისა და ყაზბეგისაკენ მიმავალი ჩალვადრებიც შეჩერდნენ.

სახეცვლა.

ეთერი საავადმყოფოში მიიტანეს. შოფერმა თედომ იმ ღამეს საავადმყოფო თავდაყირა დააყენა. მომხდარი უბედურება მე და ვანოს დაუყოვნებლივ გვაცნობა. მე და ვანომ პროფესორს, დოსტაქარს ევგენი მხეიძეს გაუარეთ და ყველანი ერთად გავეშურეთ მიხაილოვის საავადმყოფოში. საოპერაციო მაგიდაზე იდო ჯერ კიდევ ცოცხალი ასულის შიშველი ტანი. ტანი კენარი, წარმტაცი და მშვენიერი.

მარჯვენა ძუძუზე მოზრდილი იარა აჯდა ექოს მიერ დარტყმული სატევრის წვერი მკერდის ძვალზე, ყაფაზზე დაცურებულა, ნეკნებს შორის შესულა და ფილტვი დაუზიანებია. ასულის წარმტაცი, თეთრი და მშვენიერი აღნაგობის სხეული უძრავად ესვენა მაგიდაზე. ქალს თავი გვერდზე გადავარდნოდა და გიშრისფერი თმის ნაწნავი იატაკამდე ჩამოსცვენოდა. დაჭრილი შველის მაგვარი თვალები უკვე სიკვდილის სუნთქვით იყო დაორთქლილი, მიმქრალი, გაშტერებულ და გაოცებული. დოსტაქარი ევგენი მხეიძე თავს დასტრიალებდა. ცხვირის გაბერილ ნესტოებზე და ტუჩებზე სისხლი შევნიშნე. „მორჩა, ველარ გადარჩება“ მეთქი გავიფიქრე, მაგრამ დერეფანში ფანჯარაზე დამხობილი და გლოვით გულმოკლული ვანო რომ დავინახე დავაიმედე:

— იოლი ჭრილობაა და უთუოდ გადაიტანს.

— მოჰკლა იმ მხეცმა, მოჰკლა, ჩემი ბრალია. — ამოიგმინა ვანომ, თავში ხელი იტაცა, დერეფანი გაირბინა, ბნელ კუთხეში კედელს შუბლით მიებჯინა და ბავშვივით აქვითინდა.

თედო გაშტერებული იდგა ერთხანს დერეფანში. მერმე ცბილების ლრეიალით მოსწყდა ადგილს. კაბინაში შევარდა და საოცარი სიჩქარით მიუშვა მანქანა. გვერდზე შვილი გიორგი ეჯდა. კარგი რომ ექო მიმალულიყო და სამაგიეროს ვეღარ გადაუხდიდნენ ეთერის მკვლელს.

ათი დღის განმავლობაში ძაფზე ეკიდა ეთერის სიცოცხლე. მეთერთმეტე დღეს უკეთესობა დაეტყო. ამ სავალალო შემთხვევამ კიდევ უფრო მეტად შეაყვარა ეთერი ვანოს. ყოველდღე დაიარებოდა საავადმყოფოში. როდესაც ეთერის უკეთესობა დაეტყო და იქვე, სასტუმალთან მჯდომ ვანოს თვალები მიაპყრო, ვანომ მხოლოდ მაშინ მიხვდა თუ რამდენად გამოცვლილიყო ეთერის ლამაზი სახე. ამ ცვალებადობის შეგნება დღითიდღე ძლიერდებოდა ვანოში. გულუბრყვილო მთიელი გოგონას სილამაზე სხვაგვარ სახეს ღებულობდა თითქო. მანამდე ხელსახები ეთერის სილამაზე — ვანოს აზრით—ძლიერ წააგავდა ბერძენთა მშვენიერი თეთრი ქალების, ღმერთ-ქალების გარეგნულ სილამაზეს. ეხლა კი მის ლამაზ სახეს განვლილი სულიერი მღელვარების, ტკივილისა და კაეშნის ელფერი ჰმოსავდა. ნაზი მშვენიერება და კაეშანი დასტყობია მის მიბნედილ თვალებს. ეგ ნაზი მშვენიერება დასტყობია არა მარტო მის თვალებს, არამედ რბილსა და მინაზებულ თეთრ ხელებს. სხეულის ყოველ ხაზს და ნაკვეთსაც კი. ეგ მშვენიერება შინაგანი მისი არსებიდან მომდინარეობდა და მის ლამაზ სახეს და სხეულს გაფაქიზებულ სინატიფეთ ზედ ეფინებოდა. ვანო ნათლად ხედავდა ეთერში სილამაზის ამ სახეცვლას, და რადგანაც იგი ხედავდა, ამიტომ თავისებურად განიცდიდა. ამ ნაზმა მშვენიერებამ და კაეშნიანმა ელფერმა კიდევ უფრო შეაყვარა მანამდე გულუბრყვილო მთიელი ქალი.

ვანოს შეუყვარდა ეთერის გამო განცდილი მწუხარება, დაღვრილი ცრემლები. შეუყვარდა განვლილი გზა, ქვეყანა ეთერში განსახიერებული. ეთერი იქცა მისთვის ღვთაებათ, უმაღლეს მიზნათ, რომლისკენაც ისწრაფოდა ბავშვობიდანვე სილამაზით მოჯადოებული მისი არსება. და აი, ასეთ ქალს ჰკარგავდა იგი. დიდი იყო გლოვა, თითქო ისევ გაძარცული და ხელმოცარული რჩებოდა ამა ქვეყნად.

თერთმეტი დღე არ უმღერია ვანოს, თერთმეტი დღეს არ მისულა საოპერო თეატრში. ღვინის სმას უმატა. იოსებაშვილის სარდაფში ჩადიოდა, სადაც ბედის მოძულე, აყლაყუდა, ტლანქი და პამპულა ლოთები ეგულვებოდა, სადაც სალახანა ვიღაც გეო-ბულბულა „ჭიკჭიკებდა“: ენას მოკეცავდა და ასე უსტვენდა. მერმე ავყია და უხავსო ხალხის სიმღერები დაიწყებოდა. დუდუკი, დოლი გამყივანი და ყურთასმენის შემაძრწუნებელი ხმა. და როდესაც ლოთთა კიჟინის და გაგიჟების წუთები დადგებოდა, ვანო ერთბაშად მოიწყენდა. აი, მას აგონდება თითქო სცენაზეა, აბესალომის როლში. აგონდება როგორ დაინახა პარტერში ეთერი. მისი გაოცებული და უნაზესი სახე. მოაგონდა როგორ ვერ მოაშორა ამ ზღვა ხალხში ეთერის სახეს თვალი, მოაგონდა და თითქო მისი გული სისხლით გაიღვარაო. წამოვარდა და შინისაკენ გასწია.

უცნაური რამ დასჩემდა ამ ბოლო ხანს ვანოს. ოთახში დაწვებოდა. ირგვლივ სიჩუმე დამკვიდრდებოდა და როდესაც თვლემა შეეპარებოდა, ამ დროს ნაცნობი ასულის ხმა შემოესმოდა, თითქო საამური და ნაცნობის ხმით ნათლად დაუძახაო: „ვანო, ვანო". აგერ ის ნაცნობი ასული დგას, მისი ლამაზი სახეც აშკარად ჩანს და ვანო უმალვე წამოიჭრება, თვალს გაახელს, მაგრამ ეთერის ნაცვლად მხოლოდ შიშველი კედელია მის წინაშე.

ღამე იყო. ღამის მოახლოვება უცნაურად განიცადა ვანომ: თითქო შავნაბადა ღამე ისე დაეშვა მიწაზე, ვით გოლიათი მიტეხილი ფრთები არწივისო. ირგვლივ იდუმალი რაღაც სიჩუმე დამკვიდრდა. მხოლოდ მეზობლის მასწავლებელ ივანე საგანელიძის ასულები „გაფრინდი შავო მერცხალოს" ჰგალობენ ისევ ჩუმის ხმით და მამა ბანს ეუბნება. სიმღერა შორიდან მოისმის. ისე, თითქო მომღერალთა ხმა გვირაბიდან ამოდისო. ვანო საოცარ ამაოებას ჰგრძნობს. ბოლოს შეწყდა სიმღერა მის ოთახში ბნელა. ისევ საშინელი სიჩუმე მკვიდრდება და მხოლოდ ჩვილი ბავშის კივილიღა გაისმის ღამეში და მალე ისიც ქრება. წევს ვანო უნუგეშო, განწირული და მყისვე მის ოთახში ამ შუაღამით ისევ ის ნაცნობი ასული აღიმართა. სვეტიცხოველის მსგავსად დგება კედელთან. ვანო ისევ წამოიჭრება: მის გულს სასწაულის შიში ზარავს. მაგრამ ასული მოალერსე ღიმილში ფარავს ნაცნობ სახეს და ასე გადაავლებს თვალს ვანოს წამებას. ო, რა ნათლად ხედავს ვანო ეთერის სახეს: სატრფოს თვალები შავი არის — ვარსკვლავთა ბრწყინვა. მისი წარბები წარზიდული — მერცხლის გაფრენა, თითქოს ეგემნოს ზღვათა გმინვა და მდინარენი. ნიკაპი ორად გაყოფილი — პეპელის ფრთები. შუქდაფენილი მისი ლოყა — უმანკო ბავშვი. და გრძნობათა ესდენ მოზღვავებას ველარ იტევს გული. უცქერის ირემივით ყელმოღერებული სახე და სიყრმიდანვე ნაცნობის ხმით ეძახის სახელს: „ვანო, ვანო". დილის მზესავით აყვავებულ თვალებს ახელს ვანო. უნდა ხმა გასცეს, მიეკაროს ან სცეს თაყვანი ასულს. მაგრამ გაქრება უჩინარად გულისა სატრფო და ეს, ქვეყანაც აკვანივით ირწევა.

ვანო წამოიჭრა. ტანთ ჩაიცვა საჩქაროდ და ეთერის სანახავად გასწია. არვინ იცოდა ვანოს ცხოვრებაში მომხდარი ეს უცნაური ხილვა და მისი მეობის ცვალებადობა, სახეცვლა.

ოარი სამყარო

დიდის ამბით ამზადებდნენ ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი"-ს ახალ დადგმას. უვერტიურა გათავდა. ფარდა აიხადა. რეჟისორი წუწუნავა ამფითეატრიდან გაჰყურებდა თავის ახალ დადგმას. დეკორაციებს, მიზანსცენებს ამოწმებდა. ცალ თვალზე მონოკლი გაეკეთებინა. მსახიობივით პირგაპარსული იყო და საშუალო საუკუნეების პარიკისოდენა შავი ჯინჯილა თმა თავზე ეყარა. სცენაზე მიწურ სახლთან

ატუზული ეთერი ყურს უგდებს ტყის ტევრიდან მომავალ მონადირეთა გუნდის ვაჟკაცურ სიმღერას. მისი გამოჩენისას ორკესტრში ბაკურავნი ჰანგი, მელოდია გაისმის, მწუხარე ფერებით შეზავებული. ეთერი იწყებს შესავალ არიას თავის ობლობისა და შავბედის გამო. [illegible] ევკრთი და ისევ მომაგონდა მთიელი გოგონა ეთერი, ვანოს სიმღერით მოჯადოებული რომ იდგა ბუხართან. ჩითის კაბა ეცვა და ზედ კუნელისა და მწიფე შვინდის ნაყოფივით დასცვენოდა წითელი წინწკლები. საყვირებისა და ვალტორნების ხმაზე ტყიდან მშვილდ-ისრებით შეიარაღებული მონადირენი გამორბიან და მათ შემდეგ აბიო მეფის შვილი აბესალომი და მისი ვაზირი მურმანი. ვანო სარაჯიშვილის შექმნილი სახე მეოცნებე აბესალომისა დაპირისპირებულია მურმანის ვაჟკაცურ, მედგარ და ძლიერ ადამიანის სახესთან. თითქო მათი გამოჩენისას ორკესტრიდან წამოსულმა ხმებმა სცენაზე გაშლილ ბუნებას ნათელი მოჰფინესო. აბესალომისა და ეთერის სულიერი თვისებები აქავე ეხმიანებიან ერთმანეთს. ორივენი ისინი გრძნობენ ობლობას: აბესალომი ოქრო-ვერცხლით მორთულ, ბრწყინვალე სასახლეში მეფისა, ეთერი კი — ტყის მჭრელის ღარიბ ქოხში. ეთერის სილამაზე აჯადოებს აბესალომს, მაგრამ მაშინვე იღვიძებს მურმანის ბნელი ვნებაც. წარმტაცი, პოეტური სიმღერით აბესალომი უმჟღავნებს სიყვარულს მისი ამალის ბრწყინვალეებით შემკრთალ ეთერის. იწყება ზაქარია ფალიაშვილის ოპერის შესანიშნავი ადგილი: დიალოგი, რომელიც არაერთხელ შეუსრულებია ბრწყინვალედ ვანო სარაჯიშვილს, მაგრამ აი, იგი მიუახლოვდა ეთერს, ხელი მოჰკიდა, თვალებში ჩააცქერდა და გაირინდა. ისევ ველარ აჰყვა ორკესტრს მაშინ, როდესაც მისი ჯერი იყო, ისევ დააგვიანა, სიმღერის მთელი მუხლი გამოსტოვა. მომღერალი ქალი შეკრთა და დირიჟორისაკენ მოიხედა. ვანომ ხელი მოხვია და დარბაზმა ნათლად გაიგონა ჩვეულებრივი, სალაპარაკო ენით თქმული ვანოს სიტყვები:

— ნუ ღელავ.

— სკანდალია, — გაისმა დარბაზში.

— რა დაემართა?

— ხმა დაჰკარგა.

— ლოთობს და იმის ბრალია.

რაღას უყურებენ, დაუშვან ფარდა.

თავზარი დამეცა. წუწუნავამ მონოკლი მოიხადა, გაფითრდა, კარში გავარდა, დერეფანში ლოჟიდან გამოსული ზაქარია დაეჯახა და ორთავენი სცენისაკენ გაიქცნენ. ამდროს ჰაერი მურმანის მრისხანე ხმამ გააპო: ინაშვილი შეეცადა ვანოს საშინელი მარცხი და სირცხვილი გამოესწორებინა. ამ მსახიობურმა თანაგრძნობამ ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქო ჯარისკაცს თანამებრძოლი ამხანაგი მოუკლეს ომში და მან დაიჭირა მისი ადგილიო.

მყისვე მომაგონდა ვანოს სიტყვები: „იცი თუ არა შენ მსახიობის ვაება?“ და მივხვდი მაშინ ვანოს მარცხის მიზეზს, ნამდვილ ადამიანურ

სახისა და მსახიობის ნიღაბს შორის არსებულ სხვაობას. ცხოვრებისა და ხელოვნების შორის არსებულ საზღვრებს, ულრმესი მწუხარების დროს სიმღერა შეუძლებელია, ისევე როგორც გარდაცვლილ დედასან ღვიძლი შვილის კუბოს წინაშე სიტყვის თქმა, ან კიდევ ამ ... ...

კარებში შევიდა. ჩაბნელებული ხის კიბე აიარა, ფეხი წაიკრა და ქშეენით ავიდა მეორე სართულზე. გული ამოვარდნას ლამობდა საგულედან. ხელი მკერდზე დაიდო და გაიფიქრა „ჩემი დღეებიც დათვლილი არისო". ზარი დარეკა. თამარმა კარები გაულო. მეუღლე ექიმის მოსაფალად წასულიყო. ზაქარია შესვლისთანავე შეეკითხა თამარს:

— როგორ არის?

— ცუდათ. — უპასუხა მგლოვიარე ქალმა და დარბაზში შეიყვანა. დარბაზში ნავთის მაღალი ლამპა ენთო. უცნაურად გამოიცქირებოდნენ კედლები: ზედ მკრთალი შუქისაგან ანარეკლი ლანდები ლიცლიცებდნენ და კედელზე გაკრული შპალერი ბაბილონის ზღაპრული ბაღივით გაშლილიყო. სდუმდა თავდახურული ყორნისფერი როიალი, თითქო ქვეყნად არსებული ყველა საამო ჰანგები კუბოში ჩაუსვენებიათო. ზაქარია და თამარი მრგვალ მაგიდასთან შეჩერდნენ. ვანოს პოინტერმა სტუმარი დაჰყნოსა. იატაკზე დაფენილ დათვის ტყავზე წამოწვა. წინ გაშვერილ ფეხებზე დასდო თავი. ცრემლიანი თვალები დახუჭა, ღრმად ამოისუნთქა, კუთვა დაიწყო, თითქო ყველაფერი ესმის და ყველაფერს განიცდის რაც კი ამ სახლში ხდებაო. ვერასოდეს ველარ მოისმენს იგი სანადიროდ წასული ვაჟკაცი ქიზიყელის თოფის გასროლას.

— რას ამბობენ ექიმები? — შეეკითხა თამარს ზაქარია. სავარძელზე დასხდნენ ჩურჩულით საუბრობდნენ. თამარი გადიხარა, გატანჯული სახე ახლოს მიიტანა ზაქარიასთან და დაიწყო:

— ოპერაციაზე, როგორც იცით, უარი განაცხადეს ექიმებმა: ვერ გადაიტანსო. მერმე არც არიან დარწმუნებული ოპერაცია რამეს უშველის თუ არა...

— დალახვროს ღმერთმა, რატომ არ უნდა იცოდნენ ექიმებმა თუ რა უშველის ავადმყოფს? — ჩაიჭნია ხელი ზაქარიამ.

— ბატონო ზაქარია, ღვიძლი, თირკმლები, კუჭნაწლავები, არაფერი არ უვარგა მაგ საცოდავს. საშინელი ტკივილები დაეწყო. თავდალმა დაწვება და იდაყვებზე დაყრდნობილი კვნესის. იდაყვები დაუშავდა, ტყავი გადაძვრა და შავი სისხლი ჩაუდგა ეხლა იდაყვების ტკივილებიც მიემატა. ტკივილების გასაყუჩებლად წამლებს შეეჩვია და ისინი აღარ მოქმედებენ.

— ბარაქალა მის მეუღლეს და თქვენც თამარ, ასე რომ უვლით. — სთქვა ზაქარიამ და მადლობის ნიშნად თამარს ხელზე აკოცა. საშინელი კვნესა შემოესმა. თამარი წამოიჭრა და ფეხაკრეფით წავიდა კარებისაკენ. ზაქარიაც მიჰყვა.

ვანოს თხოვნის თანახმად, შანდალში ჩადგმული სანთელი ძლივს ანათებდა ოთახს. ვანო მაღალ და ფართო საწოლზე იწვა. სასთუმალთან მომვლელი ქალი უჯდა. როდესაც თამარი შევიდა, ქალი წამოდგა, ზაქარიას მიესალმა და ფეხზე გაჩერდა. ქალებმა რაღაც ანიშნეს ერთმანეთს ავადმყოფის გამო, მაგრამ ზაქარიამ ეს ნიშნები ვერ გაიგო. ავადმყოფს მიუახლოვდა, დაიხარა და სახეზე დააცქერდა. თეთრ ბალიშზე გალურ-

ჯებული, ლოყაჩაცვენილი, გაუპარსავი და გამხდარი სახე ესხენა. წვერში თეთრი შეპარვია. ხუჭუჭი თმაც მეტად გაზრდია. ვანოს ლამაზი და წარმტაცი სახე მიცვალებულის სახედ ეჩვენა ზაქარიას. ვანომ თვალები გაახილა. ეს ოდესღაც მგზნებარე, შუქიანი და უცნაური თვალები ეხლა ნაღველგადასხმული, ბაიასავით ჩაჰყვითლებია და მიჰბეჟუტვია. ზაქარიამ დიდი ცვლილება დაინახა, შეშინდა და გაფითრდა. აბრეშუმის საბანზე დასვენებულ, გამხდარს და ცივი ოფლით შეეოინილ ხელს შეეხო. ვანომ არ უპასუხა. წუხილით შესტეხა სახის კუნთები. ფეხები მოღუნა, აბრეშუმის საბანი გაძვალტყავებულ მუხლებით მაღლა ასწია, თვალები დახუჭა. სახე ტკივილით დაელმიჭა, დაიკვნესა და თავი კედლისაკენ გადააგდო, წამსვე საწოლთან მდგომი მომვლელი ქალი ადგილიდან მოსწყდა, ვანოს მივარდა, დაიჩოქა, ხელი ხელში ჩასჭიდა და სახეზე დააცქერდა. აქედან თამარი მიეშველა. ზაქარიამ ვერც ეხლა გაიგო ქალთა უცნაური ნიშნებისა და მოძრაობის მნიშვნელობა. დაბნეული, უმწეოდ იდგა ავადმყოფის წინაშე, მაშინ როდესაც ქალები საზრიანად მოქმედებდნენ და ეხლა ვანოს თავდალმა გადატრიალებას აპირებდნენ. ავადმყოფი მხოლოდ თავდალმა და იდაყვებზე დაბჯენილი თუ გაუძლებდა ღვიძლისა და ნაწლავებისაგან მოგვრილ, საშინელ ტკივილს. ტკივილში, როგორც ჩანს, წამიერ გადასერა ავადმყოფის სნეული შიგნეულობა. ვანო ერთბაშად დაწყნარდა. სიმწრის ოფლი მოიწმინდა შუბლზე. ცრემლიანი თვალი დახუჭა. დადუმდა. ეტყობოდა მძაფრად ფიქრობდა, რადგან სახეს ჭმუხვნიდა და გაფანჩულ წარბებს არხევდა. ცოტა ხნის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად გახსნა ბაგენი და ესოდენი ნაცნობი, საამური, კაეშნითა და მწუხარებით სავსე ხმით გააბა: „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“... თითქო მსახიობმა შეიპყრო გრძნობა და ვით საყვარელი, ჩვილი და ღვიძლი ბავშვი გულში ჩაიხუტაო, თითქო საკუთარ თავს, სამშობლოს და მთელ ქვეყანას ეთხოვებაო. თვალდახუჭული მღეროდა. ეს უკანასკნელი მისი სიმღერა იყო, საკუთარი თავის გამოტირილი. სულგანაბული უსმენდნენ. არასოდეს არ უმღერნია მას ასე წარმტაცად და ნაღვლიანად. ნეტავი თუ ვინმე გაიმეორებს ოდესმე სიკვდილის წინ თქმულ ამ სიმღერას ამგვარად. ზაქარიას ცრემლი მოერია. მოტრიალდა და მხოლოდ ეხლა შენიშნა ვანოს ოთახში შემოსული და კედელთან ატუზული ჭაბუკი, რომელსაც ბუხრის ქუდი მოეხადა, ლეკსავით გადაოზრილ თავზე, წითელი, ვეება ხელი აეფარებინა სახეზე. მწარედ ქვითინებდა ვანოსთან ძმათშეფიცული მთიელი ვაჟკაცი.

ვანომ დიდრონი, უცნაური თვალები გაახილა და დაინახა შავებში ჩაცმული, მომვლელი ქალი, იცნო და როგორც გობოის ბოლო ისე წარზიდა წინ ბაგენი. ქალს სიყვარულით და მუდარით მიაძახა, თითქო გაიმღერაო:

— ე...თე...რი...

წამოიწია. ქალი დაიხარა და ვანომ შუბლზე აკოცა. მერმე ვანო ულონოდ დავარდა საწოლზე.

„ეთერი“ — უკანასკნელი მისი სიტყვა იყო. ქალმა ხელზე აკოცა. შუაზე გაყოფილი, გიშრისფერი თმა ჩამოეშალა. მაჯისსიმსხო ნაწნავები ვანოს ულონო და გამხდარ ხელზე დაეცა. ქალმა გრძელი წამწამებით დაჩრდილული თვალები გულისტკენით, წუხილით, მუდარით და კიდევ რაღაც გამოუთქმელ შინაარსით განაბა, თითქოს ეხვეწებოდა: მითხარი, მიბრძანე ძვირფასო, და რა არის ისეთი მე რომ არ შეგისრულოო. მაგრამ, პასუხის ნაცვლად, ვანომ თვალები დახუჭა. ქალი ხანგრძლივ დააცქერდა. ეხლა ვანო ნამდვილ მიცვალებულსა ჰგავდა და, როცა ქალის დახრილ წამწამებს მარგალიტის მძივივით დაეკიდა მხურვალე ცრემლი, — კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილისათვის ალბათ უფრო ნათელი გახდა მითიური აბესალომი და ეთერის მიჯნურობა, მისი რეალური გამოვლენა და ნამდვილი აზრი.

ვანოს სტიპენდიით კონსერვატორიაში მოსწავლე მთიელ ქალს ეთერის უკვდებოდა საყვარელი აბესალომი — სახალხო არტისტი ვანო სარაჯიშვილი.

უკვე რამდენი ხანია არ მოშორებია მის საწოლს, გულდამწვარი, ერთგული მთიელი ქალი!

სახედალეულ და გალურჯებულ მომაკვდავის საწოლთან ულამაზესი ჭაბუკის — ლეონგრინის სურათი ჰკიდია. ჯანლონით სავსე გმირი — ჭაბუკი რკინის პერანგითაა შეჯავშნული. თავზე ჩაფუტი — სამფა სავარცხალით დამშვენებული, წარმტაცი მუზარადი ჰხურავს. მისი ჯავშანი ვერცხლისფერია, თევზის შუქნაკრავი ქერეჭივით, სადაფისფრად გაბრწყინვებული და მოლივლივე. ეს ჭაბუკი ვანოს სურათია ლეონგრინის როლში, თითქო უმღერისო გულისა სატრფოს:

„შენ ნურასოდეს ნუ მკითხავ, —
საიდან მოვალ. რა მქვიან“...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

ჩაის კრეფა

რა მოღელავს? გაზაფხულის ნიავია,
თუ სიცოცხლის სუნთქვაა და მღერის ნებით?
საალერსო ბარათებს თუ მიგზავნიან
ჩაის ველზე მოშრიალე ხეივნები!

ფერთა ხავერდს ხალიჩებზე უხვად შლიან, —
გზას მივჰყვები, შორს ზღვა მოსჩანს მინანქრული...
აი, ხედავ, ჩიტებსაც კი უსწავლიათ
ეს გურულად მოჭიკჭიკე კრიმანჭული!

სერზე ბუჩქებს აბიბინებს ფენისფენად
ნაზი თრთოლვა, ალისფერად ანანთები;
შვენის მკრეფავ ქალიშვილებს, შვენის ყველას
თეთრი ქუდი და ხელთ თეთრი კალათები.

აგერ ორმა შეისვენა ვერხვის ჩრდილში.
ხმა მოესმა, თუ შეირხა ჩაის ვარდი?
— „იცი, ციცავ, რაფერ მიყვარს მე ის ბიჭი?
რომ შემეძლოს, ცოცხლად გულში ჩავისვამდი!“...

წამოდგნენ და... როს ფარდულში დადგა ხვავი,
ქალმა ვაჟკაცს შეაელვა თვალი ჩუმად;
ბრიგადირმა ეს ნანატრი სანახავი
გულს ჩაიკრა შიგ ანთებულ ალის უმალ.

ჰკრეფს და მაინც აღარ უჩანს სიცილს ბოლო.
სურნელოვან ფოთლის ხვავის მოჰქრის ქარი.
ორმა გულმა, ორად-ორმა იცის მხოლოდ,
რომ ამურმა გახსნა მათი გრძნობის კარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზრიგოლ ცეცხლაძე

პოეზები აჭარელ ქალთა სკოლაში

გაილო კარი და უეცარად
ჩვენ შევეფეთეთ ტაშების გრიალს! —
ჩვენ შევეფეთეთ სახსოვარს მარად,
გულითად სალამს და თვალთა ცქრიალს.

თითქოს დარბაზში ტალღა აგორდა,
ზედ სიხარულის დასცურავს ნავი.
წინ წამომდგარა გოგონა კოხტა,
მხრებზე უბრწყინავს გიშრის ნაწნავი.

ჩვენი ოცნება მას უალერსებს,
შერმისს იმედი სურს მასში სახოს.! —
ის კი გვიკითხავს ჩვენსავე ლექსებს,
რომ ჩვენი გული ააცახცახოს.

ახლა მეორემ სიტყვით მოგვმართა,
ყაყაჩოს ფერი ღაწვებს ედება,
გვთხოვა ხასანის გმირ მეომართა
ქალმით დახატვა, ლექსით შექება.

ო, რა შორს მოსჩანს ბნელი წარსული,
ოცი წლის იქით რაცა ხდებოდა:
როს აჭარელი ტურფა ასული,
— უმზეო ვარდი — ჩადრ ქვეშ ჭკნებოდა.

როგორ ივსება პოეტის გული
ზალისით ტრფობით და იმედებით,
რა რიგად გვინდა, თვალით ნახული
ავსახოთ ჩვენი შემოქმედებით.

ბათომი 1938 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე საჯაია

წყარო

შევდივარ მწვანით დაბინდულ ტყეში:-
წყარო კისკასებს, ტყე კი წყნარია...
კრიალა წყალით ავივსე პეშვი
და ვთქვი: ესეც, ხომ ჩვენი წყალია!

ჩვენია, მკერდზე გადამასხურეთ,
სხვა მოტრფიალე ვინ დარჩენია! —
ჩემთვის ენძელებს, ქერა ასულებს
ბილიკზე მწვანე გაუფენიათ.

ჩვენია, ვარდებს ფერად-ფერადებს
ჩერო და წყარო აურჩევიათ.
ჩვენი ქვეყანა მთიდან ველამდე
და გაზაფხულიც მხოლოდ ჩვენია

დავხუჭავ თვალებს: ეშხით დამთვრალი
მე, ჩემს სამშობლოს მივიკრავ გულთან
ძმებო გული მაქვს ცამდე მართალი
და მთის წყაროზე ათასჯერ სუფთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა

რაინდული რომანი. *)

XV

მეორე წლის შემოდგომამდის ბნელში ისხდნენ მამამზე და ბორდოხან. თერთმეტი თვე მიიწურა და უკვე მაცნენი უნდა დაეგზავნათ, წლისთავისათვის მოეწვიათ მოტირალნი და მოზარენი, სწორედ იმ ღამეს უსიამო სიზმარი ნახა მამამზემ.

ბაბილეულ საძვალეში, ჭიაბერის სამარხის ლოდზე ისხდნენ ვითომ ოგი და ტოხაისძე, საფლავის ჯვარს შესცქეროდნენ დამწუხრებულნი.

ეს აღარ იყო უბრალო ქვის ჯვარი, რომელიც ბორდოხანმა აღამართვინა კალატოზებს, არამედ კლარჯეთელი ძველი ცხოველი.

მიწაში ფესვები გაედგა ჯვარს და გაზრდილიყო, კაცის სიმაღლე გამხდარიყო. მაჯის სისხო ვაზი შემოხვეოდა გარს.

დააცქერდნენ: რქა აეყარა ვაზს.

გაოცდა მამამზე: ვინ დარგაო ძელი ცხოველი ჭიაბერის საფლავზე? აღგნენ, მიეხალნენ.

შეირხა რქანაყარი ვაზი.

დახედეს: აღარც ვაზი იყო სადმე აღარც რქაი.

შეტოკდა უზარმაზარი გველი, გარს შემოეჭდო ჯვარს, წაიგრძელა, წაიგრძელა კისერი, გაასავსავა თავი და ორკაპიანი ენით მისწვდა ღრუბლიან ცას.

გაიძრო ტოხაისძემ ჭიაბერისგან ნაჩუქარი ხმალი და თავი წააცალა უხსენებელს.

მიწაზე დაეცა გველისთავი, პირი დააბჩინა და იქედნურად იცინის..

გამოეღვიძა მამამზეს, ადგა, სარკმლის ხვრელთან მივიდა.

ცისკარი მოსდგომოდა ბნელ სავანელს.

ავადმყოფი ბორდოხან ბორგავდა თივაზე.

შავლეგ ტოხაისძე იხმო მამამზემ, სიზმარი უამბო.

სთხოვა: წამიყვანეო ჭიაბერის საფლავზე.

ციხის ეზო გადაიარეს.

---

*) იხ. მნათობი № 10

ბნელში ჯდომას უცნაურად შეეცვალა მოხუცი. ნამჭვარტლარ მატყლივით გახდომოდა თმაწვერი. ძლივს მოკელანობდა ცალკერძ სახლთხუცესის მხარსა, ცალკერძ შინდის ჯოხს დაყრდნობილი.

მწუხარება მკერდზე მიყრდნობოდა საგოდებელ შიდუმალს. ხავს დაეფარა წინაპართა საფლავები, შექანებულიყვნენ ქვის ჯვრები, სვიას, ხვიარას და კაჭაჭს მოეცვა ლოდები, ალვის ფოთლები მოწყენილად სცვივოდნენ მიწაზე.

განცვიფრდა მამამზე, ახალი სამარხი რომ ვერსად იპოვნა, ერისთავთ-ერისთავებისა და მათ თანამემცხედრეთა ხავსმოდებული ლოდები ეყარნენ ირგვლივ.

თავზე წაადგა ჭიაბერის საფლავს, ჯოხით გადაფოცხა ფოთლები.

შეშფოთდა მამამზე.

ვინ მოიპარაო ლოდი? სიზმარი ენიშნა ანაზდად.

მე ავიღეო ლოდი, გამოუტყდა ტოხაისძე.

შესცქერის გაოგნებული მამამზე ტოხაისძეს და ასე ჰგონია გაგრძელდაო წუხანდელი სიზმარი.

„ეს ხომ პაპი ჩემის, გვარამის ლოდია შავლეგ“,

„დიახ, ეს გვარამის ლოდია, პაპის შენისა, ერისთავთ ერისთავო“.

„ჭიაბერის ლოდი რალა იქნა შავლეგ?“

გადავმალე ერისთავთ-ერისთავო ჭიაბერის ლოდი“.

„რადა ჰქენი ეს შავლეგ?“

„საჭიროდ ვცანი და იმადაც ერისთავთ-ერისთავო“.

„როგორ თუ საჭიროდ სცანი?“

„რა ვიცი, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე“;!

„რას რომავ ბედშავო შავლეგ?“

„სიბრძნის დედაა სიფრთხილე ერისთავთ-ერისთავო“.

„გარკვევით თქვი რისი თქმაც გწადის?“

„სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ყოველივე ერთად არ ითქმის ერისთავთ-ერისთავო“.

„მაინც?“

„განა არ იცი, გიორგი მეფე გულმხეცია, თუ საქმე მისჭირდა და ცოცხლებს ვერა დაგვაკლო რა, მიცვალებულზე იძიებს შურს“.

მამამზეს მუხლი მოეჭრა, პაპისეულ ლოდზე ჩამოჯდა, ხელის გულზე ყბა დააყრდნო, და მიწას დააჩერდა მდუმარედ:

„განა არ გახსოვს ერისთავთ-ერისთავო ხურსი აბულელი სარკინოზებთან რომ გაექცა მეფეს, ციხე წარუღო, ხურსის ვაჟების ძვლები ამოსთხარა აბულელთა საძვალედან, ღორსა და ძაღლს ათრევინა“.

„ჰო მაგრამ, მეფე შეგვირიგდა აკი, ჭიაბერის ტირილს დაესწრო, ორმოცზედაც აქ იყო“.

„ამის მიზეზი სხვა იყო ერისთავთ-ერისთავო“.

„მაინც რაო?“

„სხვას ვინმეს უჭვრეტდა ჭიაბერის ტირილზე მეფე“.

???

„ვის გულისხმობ მაინც?“

„შორენას, კოლონკელიძის ქალს“.

„ნუ თუ ასე გულბოროტია გიორგი? არა, ამას ვერ [illegible] ვერ [illegible] ავრლეგ, ისე გულწრფელად მისტიროდა იმ დღეს ჭიაბერს“.

„სტიროდაო? ეგ რად გიკვირს ეს ერისთავთ-ერისთავიო? მკვლელებსა და ლოთებს ასე სჩვევიათ, ჯერ ღვინითა და სისხლით გაილეშებიან, შემდგომ ამისა მოჰყვებიან ცრემლების ნთხევას“.

„რას ამბობ შავლეგ?...

მკვლელიო? რა ბრალი მიუძღვის მეფე გიორგის ჭიაბერის სიკვდილში? ძელი ცხოველის რისხვამ იმსხვერპლა ჭიაბერი“.

„ძელი ცხოველის რისხვამო? ნუთუ შენაც გჯერა ეს ზღაპარი ერისთავთ-ერისთავო, მსტოვარმა ბერებმა გაავრცელეს იგი ქორსატეველას ციხეში.

თუ მაგ ჯვარს შერისხვა შეეძლო, თალაგვა კოლონკელიძე უნდა მოეკლა უწინარესს ყოვლისა, ფხოველთა ამბოხი თალაგვამ წამოიწყო აკი?“

მამამზე დადუმდა, ისევ დააშტერდა ჭიაბერის საფლავს.

„გარკვევით თქვი, რისი თქმაც გინდა შავლეგ?“

„გიორგი მეფემ და ზვიად სპასალარმა მოჰკლეს ჭიაბერი! ამის თქმა მინდოდა ერისთავთ-ერისთავო, სხვა არაფერი“.

„ღმერთს ნუ ჰგმობ უსაფუძვლოდ შავლეგ“.

„საფუძველს თუ მოიკითხავთ, ეგეც ხელთა მაქვს ერისთავთ-ერისთავო“.

„რა საფუძველი?..“

„პირუთვნელად მოგახსენებ, სანამ ბორდოხან შენი თანამემცხედრე ბნელსა ზის, ძელი ცხოველის ჯვართან მიმიყვანე და ყოველივე ნათელს ვყოფ შენს თვალ წინ“.

გაოცდა მამამზე, რალაც საშინელი და გაუგონარი მზაკვრობისათვის უნდა აეხადა საფარველი შავლეგს.

მამამზემ იცოდა გულმხეცი რომ იყო გიორგი მეფე, მაგრამ თუ მას ფარისევლური ცრემლების ნთხევაც შეეძლო, ეს არ ეგონა მას!

მის ხელში დავაჟკაცდა გიორგი, ტლანქია იგი და გულზვიადი, მაგრამ მლიქვნელიც თუ იყო, ეს არ იცოდა მამამზემ.

ციხე-დარბაზში რუსუდანსა და კატაის ეძინათ ჯერაც, როცა მამამზემ და ტოხაისძემ დიდი დარბაზი გაიარეს და ჭიაბერისეულ საწოლში კარი გადაიკეტეს, ტოხაისძე ჯიქურ მიეჭრა ძელი ცხოველის ჯვარს.

მამამზეს შვილივით ჰყავდა იგი გამოზრდილი და შეძრწუნდა, როცა ტოხაისძე ასე უშიშრად მიეახლა „სასწაულთმომქმედ კლარჯეთელ ჯვარს“. არ იცოდა თუ რას მოიმოქმედებდა ტოხაისძე, ხელი არ ახლოვო, უნდა ეყვირა, მაგრამ ცნობისწადილმა შეიპყრო და შეიკავა თავი.

ტოხაისძემ გადმოიღო ძელი ცხოველი, ტაბლაზე დაასვენა. ლუსკუმა გახსნა, და ჯვარი ამოიღო, სუნი უდინა და ისევ დაასვენა ტაბლაზე.

„აბა მობრძანდი ერისთავთ-ერისთავო და უყნოსე ამ ჯვარს“.

მამამზე წამოდგა, გარღვეულივით დაბარბაცდა, მაგრამ ლონე მოიკრიფა, მიეახლა, დასწვდა და უყნოსა ჯვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნი თუ მოგდისო? ეკითხება ტოხაისძე.

„სუნი დიახაც უდის, მერმე რა? შესაძლოა ეგ ოფლის სუნი იყოს, ადამიანის ოფლის სუნი, ხანგრძლივად ნახმარსა და ნაამბორებ ჯვრებს რომ უდის, იმგვარი. სხვა რამ სუნიც რომ უდიოდეს, მერმე რა?“

„რაო და მე იმას მოგახსენებთ, ეს ჯვარი მოწამლულია ერისთავთ-ერისთავო“.

„რას ბოშავ შავლეგ, გონს მოდი ბედშავო“.

„მე იმას მოგახსენებთ, რომ ეს ჯვარი მოწამლულია, სხვას არაფერს“.

„ყველა, ყველა, მაგრამ მელქისედეკ კათალიკოსი ამას არ იკადრებდა. როგორ? მელქისედეკმა ეს იცოდა და განზრახ აამბორებინა ჭიაბერს?“

„არა, შესაძლოა ეს არ ცოდნოდა მელქისედეკს, მაგრამ იგი რეგვენია მხოლოდ. მელქისედეკი ამ ჯერად ბრმა იარაღი იყო მეფისა და სპასალარის ხელში“.

„არა, შენ სცდები შავლეგ, ჩვენ ხომ ვიცით, კოლონკელიძეც ეამბორა ამ ჯვარს, მაგრამ არა ვნებია რა“.

„ეგ მეც ვიცოდი ერისთავთ-ერისთავო, ამიტომაც დაგეთხოვეთ გასულ კვირას, კვეტარის ციხეში გახლდით, თალაგვას წვრილად გამოვკითხე. კოლონკელიძეს ლუსკუმისათვის ამბორუყვია მხოლოდ.

ხოლო ჭიაბერს... ხომ გახსოვს დიდ დარბაზში, ჩვენს თვალწინ გააბსნევინა მელქისედეკმა ჯვარისმტვირთველს ვაშკარანები, ხოლო ლუსკუმა თავათ გახსნა, ძელი ცხოველის ჯვარი ამოიღო და ტუჩპირამდის მიუტანა ჭიაბერს.

გველცემულივით წამოიჭრა მამამზე.

„შენი ნათქვამი მეჭეშმარიტა შავლეგ, მაგრამ როგორ შევამოწმოთ მოწამლულია თუ არა ჯვარი?“

„ბრძენთა ხმობა არ დაგვჭირდება ერისთავ-ერისთავო. ჭიაბერის შავი მწევარიც იოლად გამოარკვევს ამას. ეს ძაღლი სიცოცხლეში უერთგულესი იყო, მაინც სიკვდილის პირზეა ბედშავი, უკანასკნელად დაუმოწმებს თავდადებას პატრონს“.

ესა სთქვა და დარბაზიდან გავიდა ტოხაისძე.

შეძრწუნდა მარტო შთენილი მამამზე. თვალი დაადგა ძელი ცხოველს. ჯვარი თუჯისფრად იყო გამხდარი, საუკუნეთა მანძილზე ნალოშნს ალაგ ალაგ სიშავე გადაცლოდა, სწორედ იმ ადგილებზე სადაც უკოცნიათ იგი, იმ ადგილზე სადაც ჭიაბერი ეამბორა უკანასკნელად.

მიუახლოვდა მამამზე ჯვარს.

მივალ და ვემთხვევიო, ეს ბოლოს მოვუღებო გაგრძელებას იმ საშინელი სიზმრისას, რომელსაც ცხოვრება ერქვა, მაგრამ უკუიქცა, ეს უნდოდა: ღვთისა და კაცის მუხანათობაში დარწმუნებულიყო სავსებით.

შემდგომ ამისა... შემდგომ ამისა, ახალი მიზანი ექნებოდა მის ცხოვრებას, — ჭიაბერის სისხლის აღება.

ჰაერი ეცოტავა, წამოდგა, სამზერთან მივიდა. აქედანაც მოსჩანდა წინაპართა საძვალე და ძველთა ძველი სამლოცველოს ნანგრევები, აჩქარებულა ტოხაისძე, სანამ მამამზე ცოცხალია, ჭიაბერის საფლავს ვერავინ შებღალავს. გამობრუნდა, თვალი გადაავლო ჭიაბერისეულ სამოსს ზეზისას, მის თორსა და მის მუზარადს, კედელზე დაკიდულ ქეიბურებსა და ხმლებს.

„მე მოვეკალი იმ ოხერ ჯვარს, შვილო, და შენ აგელო ჩემი სისხლი, აჰ, ნეტავ მართლაც...“

ტოხაისძე აღარსად სჩანდა, მთელ საუკუნოდ მოეჩვენა წამი.

კარი შემოაღო შავლეგმა. შავი მწევარი მოჰყავდა საბელით. მოდიოდა შავი მწევარი, სიზმარში ნახულ გველივით მოიკლაკნებოდა იგი.

ტოხაისძემ ქონის ნაჭერი ამოიღო ჯიბიდან და გაუსვა ძელი ცხველს სწორედ იმ ადგილზე, სადაც აჩნდა მრავალგზისი ნაამბორევი. ზედ ცხვირთან მიუტანა მწევარს ჯვარი. ძაღლმა დაჰყნოსა იგი, სისხლისფერი ენით გალოკა ძელი.

შავლეგ ტოხაისძემ აიღო ჯვარი, ისევ ლუსკუმაში ჩასდო და ტაბლაზე დასდო.

„ქრისტეს ჯვარი იყო ჩვენი ხალხის უბედურების მიზეზი მთავარი. ამ ბოროტების სათავე ბიზანტიონია, ერისთავთ-ერისთავო.

დამპალი ქალაქია ბიზანტიონი. ბასილი კეისრის სასახლეში ბევრი რამ გავიგეთ ჭიაბერმა და მე. თვალების დაბნელება, ადამიანის ცოცხლად დამარხვა, ძელზე გაყვანა, მოწამლვა, ორივე ხელის მოჭრა და მკვლელის მიჩენა, ეს ყოველივე ბიზანტიონში ისწავლეს ჩვენმა მეფეებმა. ბასილი კეისარმა ცეტინიუმთან ბრძოლის მეორე დღეს 15 ათასს ბულგარელს დასთხარა თვალი.

ახლა უფლისწული ბაგრატი ჰყავთ მანდ ბერძნებს მძევლად, იქ უკეთესს ამბებს ასწავლიან მას და როცა იგი მობრუნდება, მაშინ გვიხაროდეს...

შემზარავი სისასტიკე გამოიჩინა თავათ გიორგი მეფემ ოლთისში, ათასზე მეტ ბერძენ მონასპას თვალები დასთხარეს, ორი ათასს ტყვეს თავი წააცალეს, სამასი ტყვე ცოცხლად დამარხეს.

დამპალი ქალაქია ბიზანტიონი, გარყვნილებისა და მუხანათობის ბუდე. სამი თვე ემზადებოდა ბასილი კეისარი სარკინოზების წინააღმდეგ სალაშქროდ. სასახლეში ვცხოვრობდით ჭიაბერი და მე, ერთი სომეხი დაგვიმეგობრდა ანისელი, ის გვიამბობდა ყოველივეს წვრილად.

საეკლესიო კრებები მიდიოდა იმ ჟამად. ორი თვე გაგრძელდა ერთი. ეს გამოჩერჩეტებული პატრიარქი სრულიადის აღმოსავლეთისა, ქორეფისკოფოსები, ეპისკოფოსები, სწავლულები და ბერები ორი თვე ზედ ასქდებოდნენ ურთიერთს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენ ანგელოსს დაიტევს ნემსის წვერი?

კეისრის სასახლე ომის სამზადისში იყო, მაინც ამ კრებებს ესწრებოდა დიდი და მცირე. სარკინოზების საფრთხე კარზე იყო მოსული.

წევსო თუ სდგასო მამაღმერთი? შეუძლია თუ არა ღმერთს უმამოდ შვილი გააჩინოს უველოდ მთა, — ან მეძავი აქციოს ქალწულად?

ყველა ამის გამო ქაქანებდა და კამათობდა. ეს იყო...“

შავლეგ ტოხაისძეს სიტყვა პირში გაუწყდა, შავი მწევარი უეცრად წაიქცა და დაიწყო ფხარკალი, ისევ აიღო თავი, წინა თათებზე ზეწამოიწია, იატაკზე დაეცა კვლავ, ტარაბუასავით დატრიალდა რკალივით მოდრეკილი, პირიდან დუჟი მოსდიოდა კარაქის ფერი და ხაოდა საწყალობელად.

მამამზე და ტოხაისძე თავზე დაადგნენ სულთმობრძავ ცხოველს.

წინა თათების ჭანგებით ფხაჭნიდა იგი იატაკს, მერმე უკანა ფეხები შეატოკა, შეატოკა და კვლავ ასტეხა ფხარკალი, უკანასკნელად დაიწკმუტუნა, წაიგრძელა კისერი, ცილისფერი გუგები შემოაშტერა მამამზეს და ტოხაისძეს, მინებდა სიკვდილს.

„ახლა ხომ გჯერა ერისთავთ-ერისთავო, ქრისტეს შჯული დიაცების და ბალღების თვალის ასახვევად რომ გამოუგონიათ ხუცებს?“

ორივე ხელის გული შუბლზე იტკეცა მამამზემ: ავაიო წამოიძახა და წელში მოდრეკილი ჩამოჯდა სელზე.

ტოხაისძე დარბაზიდან გავიდა და როცა მწევრის ლეში გაიტანეს, იგი კვლავ მობრუნდა.

თავი აიღო მამამზემ:

„შენ მართალი ხარ, შავლეგ, ცამდი მართალი, დიაცებისა და ბალღების მეტს არავისა სწამს ჯვარი“.

„შესაძლოა, მაგ გამოყრუებულ კათალიკოსს და ორიოდე ბერს მცხეთაში...“

„შესძალოა“...

მცირე ხანს ორივენი სდუმდნენ, ბოლოს მამამზემ დაარღვია დუმილი:

„არც გიორგი მეფეს სწამს ქრისტე და მისი ჯვარი. ბასიანთან ომის დროს კეისარმა ითხოვა მშვიდობა. ზავის წერილი მიუგზავნა გიორგიმ, შემდგომ ამისა განავლინა მეფემ ზვიადი, დალაშქრა ზვიადმა კიდე ბასიანისა და აოტნა ბერძენთა სპანი.

ბასილი არ მოელოდა ქართველთაგან მუხანათობას. ბრძანა კეისარმა ჰოროლის წვერზე დაკიდება ზავის წერილისა.

აღმართა ჰოროლი და სთქვა:

„იხილე უფალო წერილი ესე და საქმენი რომელსა იქმან“.

შემდგომ ამისა, გადმოიღო კეისარმან ძელი ცხოველი, დააჭდო მიწაზე და შეჰლაღადა: „უკეთუ მიმცე ხელთა მტრისასა, აღარა თაყვანიგცე უკუნისამდე“.

მერმე ის იყო, ჩვენ დავმარცხდით, უკუვიქეცით და ოლთისი გადავწვით გზაში. ქალაქიდანაც არ ვიყავით გასული, მოახსენეს მეფეს, უფ-

ლის სახლი იწვისო, გიორგიმ გადახედა ცეცხლშემოგზნებულ ეკლესიას, ზვიადს უბრძანა ჩააქრობინეო, მერმე ცხენს დეზი ჰკრა.

მე გვერდით მივსდევდი ცხენდაცხენ; გადმოიხარა ჩემკენ და მეუბნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჰოი, რა უწყი თუ რა არის კონცხსა მას, ან რასა ვცემთ თაყვანს?“

ესა სთქვა და ცეცხლში გახვეულ საყდარს მიჰხედა უკანასკნელად.

ადგა მამამზე, ჭიაბერისეული მუზარადი და ხმალი გადმოიღო, ტაბლაზე დასდო და ეუბნება ტოხაისძეს:

„შემომფიცე შავლეგ, ჭიაბერის სისხლი ავიღოთ. შენ ჭიაბერის ძუძუმტე ხარ და ფიცვერცხლი გაქვს მასთან ნაჭამი“.

„მე იმ დღეს შევფიცე მის საფლავს, როცა პაპისეული ლოდი დავდევი ზედ.

არ გვინდა ქრისტეს ჯვარი, არ გვინდა მეფე გიორგი, არც ზვიად სპასალარი, არც მელქისედეკ კათალიკოსი. მცხეთა და უფლის ციხე ისეთივე ბუდეა გულარძნილობისა, როგორიც ბიზანტიონი.

ბერძნებს ეს უნდათ, ჩვენი ბომონები ვგმოთ და მათ ეკლესიებში ვილოცოთ, წინაპართა ჩვენი სალოცავები შეგვიმუსრეს, თავიანთი ხატები და ჯვრები შემოგვაჩეჩეს ხელში.

ბერძნებს ეს სწადიათ ჩვენი ენა დაგვავიწყონ და თავიანთი შემოგვჩარონ პირში, ჩვენი წარსული დავივიწყოთ და მათი შევისწავლოთ, ჩვენი სამოსი შემოგვაძარცვონ, მათი ჩავიცვათ, თუ ჩვენი კერპები ვახსენეთ და მათი დავგმეთ, მყისვე პირზე აკერიათ: „მკრეხელი, მწვალებელი და მსტოვარი“.

ამიტომაც გვინდოდა მე და კოლონკელიძეს მეფე გიორგი შეგვეპყრო, ჭიაბერი ტახტზე დაგვესვა. მცხეთას ავიღებდით, უფლისციხეს შემოვეწყობოდით, თმოგვის ციხეს ავიღებდით და ციხეს ფანასკერტისას, დედოფალს ბედიის მონასტერში დავამწყვდევდით, ამირას ტფილისიდან გავაგდებდით, არმაზსა და ზედაზენს აღვადგენდით, მელქისედეკ კათალიკოსსა და მის შავჩოხიან მსტოვარებს ქართლოსის საფლავზე დავაკლავდით, მაგრამ შენ ტყვედ გვეგულებოდი მცხეთაში, მე იმ თავიდან არ მომწონდა ახალწელს სადარბაზოდ მცხეთაში წასვლა“.

„ვაი ჩემს თავს“ სთქვა მამამზემ, შუბლზე შემოიკრა ხელის გული. ნეტავი წამოსულიყავით და ჩემთვის წაეჭრა მეფე გიორგის თავი. იმ ტიალ დათვს არ გადავყროდი, ნადირობის დროს გავექცეოდი უთუოდ“.

„თავათ მეფეც ბიზანტიონის მტერია, მაგრამ დაბნეულია გიორგი. მელქისედეკ კათალიკოსსა და ფარსმან სპარსს შორის ირყევა მუდამ.

ზოგს ასე ჰგონია: კოლონკელიძის მიერ შემუსრული ხატების ბედი აწუხებდა გიორგის. ჭიაბერი რომ შორენას ირთავდა, ეს ახელებდა მეფეს.

შარშანწინ მცხეთობას ნახა შორენა პირველად. სავსებით გადაავიწყდა, რომ იგი მეფე იყო და თავდაჭერა მართებდა. კათალიკოსი და დედოფალი ტაძრეულს შეატოვა, ყმაწვილივით აგვეკიდა მე და ჭიაბერს.

როცა წამოსვლა დავაპირეთ, შორენას მიეჭრა, ცხენზე ბიცლაში უშველა თავათ, შემდგომ ამისა, უნაგირზე გადამჯდარ ქალს მისწვდა, ცხენი იფარა, საწმერთულის[1]) ტოტი აუწია და აკოცა. ... ჭიაბერს ეს არ დაუნახავს, რადგან იმ წუთში ჯდებოდა ცხენზე.

ჭიაბერის ტირილში მე თვალს არ ვაშორებდი მეფეს, იგი შეფარვით უჭვრეტდა მგლოვიარე ქალს, ორმოცზედაც იმიტომ მოვიდა, შორენა ენახა ხელახლა".

წამოდგა მამამზე ერისთავი, ჭიაბერისეული ხმალი აიღო ხელში, ნოხით დაფარულ ტაბლაზე დაარჭო წვეტით და ტოხაისძეს უთხრა:

„შემომფიცე შავლეგ, მხოლოდ იმისთვის ვიოცხლოთ, ჭიაბერის სისხლი ვაზღვევინოთ მეფე გიორგის".

„ვფიცავ წინაპრების ჩვენის სალოცავს, გველსავით წავაცალო გიორგი მეფეს თავი".

ესა სთქვა შავლეგ ტოხაისძემ, დაიჩოქა და ზეასწია თავისი გაჯაგრული, შავი მარჯვენა.

ენიშნა მამამზეს სიზმარი.

მეორეს დღესვე კოლონკელიძესთან გაგზავნა შავლეგ ტოხაისძე, რათა ყოველივე წვრილად მოეხსენებინა ტოხაისძეს მისთვის. დასთქვეს: ჯერ ეკლესიებისა და ხატების შემუსვრას დაიწყებდა კოლონკელიძე, მერმე არაგვის ხეობაში გადმოვიდოდა, საერთო ძალით შემოეწყობოდნენ უფლისციხეს და მცხეთას.

ბორდოხან იმ დღესვე ბნელიდან ამოიყვანა მამამზემ, ძაძა გაიძრო და ცოლს ამცნო: შავლეგ ტოხაისძეს უნდა მივათხოვოთო კატაი.

შეკრთა ბორდოხან, მეფის მიერ მელქისედეკის პირით დანაბარები გაახსენდა მყისვე, შეშინებულმა ამის თქმა შეეშინა ქმარს:

„მეფე რას იტყვის?..."

„მეფეს მე გავცემ პასუხს".

XVI

ენკენისთვის მთვარიან ღამეს მუხნარისისას საბრძოლო გოდოლიდან შენიშნა გუშაგმა: ვიღაც მხედარი დაუზოგავად მოაჭენებდა მცხეთისკენ ცხენს.

შესდგა ჩარდახზე, დაუსტვინა ნელა.

სამი შუბოსანის ლანდი გამოვიდა ციხის კარიდან და შეეგება მხედარს.

ფრუტუნებდა ქუშამომჯდარი, თორიანი ცხენი.

ციხისთავი მოიკითხა უცნობმა. როცა იგი ციხისთავის სამყოფლოში შეიყვანეს შუბოსნებმა.

---

*) საწმერთული — შეიდიში, აბრეშუმის ქვედა საცვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოცდნენ თავათ: ბერის ტანისამოსი ეცვა მხედარს, საცხენით ამოგინგლულს ბირკაში, ბირკა მოსდებოდა ქუდზედაც ბერს, ბირკას მოეცვა თმა-წვერი. ტყის კაცს მიაგავდა იგი.

ციხისთავი შემოვიდა თუ არა, მარტო საუბარი [illegible] უცნობმა მასთან.

როცა მეციხოვნე სპანი დაითხოვა ციხისთავმა, უცნობმა წილამურეზიანი ფაფახი მოიხადა, მუზარადმა იელვა მის თავზე, მუზარადი მოიხსნა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. გაიხსნა თუ არა ჩოხა, თორნი გამოუჩნდა ბერს.

განცვიფრდა ციხისთავიც, ჯერ არსად ენახა თორიანი ბერი.

ხმალს დაეყრდნო უცნობი და სთხოვა: ამალამვე შემიშვითო ქალაქში, დაუყონებლივ უნდა წარვუდგეო სპასალარს ზვიადს.

ზვიადი გვიან მობრუნებულიყო უფლის ციხიდან, მაინც გააღვიძეს ნამგზავრი, რადგან თორიანი ბერი უარს ამბობდა მის გარეშე სხვა ვინმესთვის ემცნო სათქმელი და საუწყებელი.

წინ დაისვა სპასალარმა თავისი წარგზავნილი, ცხრაკარის მონასტრის მამაი სერაპიონ და მოისმინა შემდეგი

თალაგვა კოლონკელიძეს კვლავ შემოეყვანა დიდოთა და ღილღვთა ლაშქარი ფხოვში, ხატები და ჯვრები შეუმუსრავს კვლავ, ეკლესიები დაუწვავს, ბერები და ხუცები სამრეკლოებზე დაუკიდნია თოკით, ქარაფებიდან გადაუყრია ზოგიც.

ცხრაკარის საყდრისთვის ცეცხლი შემოუგზნია ღამე, ევდემონ თოკით გადასულა ქარაფიდან, მერმე ურბენია ღამღამობით ტყედატყე.

ხერკში თორიანი ცხენი უთხოვებიათ და წამოსულა მცხეთაში მაცნედ. დიდის ჯარით აპირებდა კოლონკელიძე არაგვის ხეობაში გადმოსვლას.

ეს ვეღარა სთქვა მსტოვარმა, მამამზე ერისთავი რას აპირებდა? მხოლოდ ერთი საყურადღებო ამბავი ამცნო: ტოხაისძეს დაუნიშნავსო კატაი, მამამზე ერისთავის ქალი.

ამ წელს ორგზის უფრო ძლიერი ლაშქარი ჰყავსო კვეტარის ერისთავს. ამბობდა სერაპიონ.

გიორგი უფლისციხეში ყოფილა ტაძრეულითურთ, ამიტომაც მეორე დღესვე უფლისციხეს წავიდა ზვიადი.

მყისვე მოიხმო მეფემ დარბაზისერნი წინაშე თვისსა.

შიკრიკნი და მალემსრბოლნი აფრინეს საერისთავოებში, წვევის წიგნნი დააგზავნეს, ლაშქართა მზაობისა და შეყრის პაემანად ცხრა ოქტომბერი დათქვეს.

ნაშუალამემდის გაგრძელდა ბჭობა, გვიან გაიყარნენ დარბაზისერნი.

გადაწყდა: ზვიად სპასალარი დაუყონებლივ წასულიყო დიდის ლაშქრით ფხოვს; ექვსი დღის შემდეგ მეფე წარუძღვებოდა სამეფოის სპათა.

უბრძანეს ზვიად სპასალარს: მარბიელი წინ გაეშვა, იგი ჩრდილოეთიდან გადაუვლიდა კვეტარს, ფხოველთა მთებზე ხეობათა ყელებს შეჰკრავდა, თორღვას ციხემდე ივლიდა ასე.

ისიც დააბარეს: სისხლის ღვრას მორიდებოდა შეძლებისაებრ, ციხისთავებისა და ხევისთავებისათვის მძევლები გამოერთმია, მარბიელ ლაშქარსაც არ აეღო ალაფი გარდა აბჯრისა, შეპყრობილ მოწესეთა და ბერთა აზატქმნა მოთხოვნა; ზვიადის ლაშქარი უკან მიჰყვებოდა მარბიელს და კვეტარას მანამდის არ შემოეწყობოდა, სანამ მეფე არ მიადგებოდა ციხეს, რადგან იცოდა გიორგიმ: გულმძვინვარე იყო ზვიადი, ლაშქარს შეაწყვეტდა მიუვალ სიმაგრის აღებას.

მეფემ კარგად უწყოდა: თუ კოლონკელიძეს როგორმე ვერ გამოიტყუებდნენ ციხიდან, იგი ჩაიკეტებოდა, ზამთარი კარზე იყო მომდგარი და უსურსათოდ დარჩენილი ლაშქარი გაზაფხულამდის ვერ გაუძლებდა შემოწყობას.

ზვიად სპასალარს გაეხარდა, მისი წინათქმა რომ აუხდა როგორც გიორგის, ისე მელქისედეკს: არ გასწორდებაო კუდი ძაღლისა, არცა კირჩხიბი იწყებსო მართლად სვლას.

ზვიადის პირველადი გეგმა ასეთი იყო: ფხოვში შესვლისთანავე მიელეწა რამდენიმე ციხე, რამდენიმე სოფელი დაეწვა, ხევისბერები მოეშთო, შემდგომ ამისა, დაშინებული მოსახლეობა სიამოვნებით მისცემდა მძევლებს.

უკეთუ კოლონკელიძე შემოეგებებოდა, რომელიმე ხეობაში მოიმწყვდევდა ერისთავს ზვიადი, ამოჟუჟავდა მის ლაშქარს.

გიორგი მეფემ, სამმა ერისთავმა და მელქისედეკმა არ შეიწყნარეს ზვიადის გეგმა, არ ივარგებსო საქმის გამწვავება, გამძვინვარებული მოსახლეობა უფრო გულმოდგინედ ამოუდგებაო კოლონკელიძეს მხარში.

ცხრა ოქტომბერს უფლის ციხეში მოგროვდნენ სამეფოის სპანი, ტაოს ლაშქარნი, ჯარები კლარჯთა, სპანი სამცხისა და ქვემო ქართლისანი. „მოიღო მეფემ დროშა სვიანად ხმარებული გორგასრიანი“ და გადასცა იგი ზვიად სპასალარს.

შეამოწმა სპათა საომარი მზაობა და ცხენკეთილობა მათი.

მეორე დილით უთენია გავიდა ლაშქარი უფლის ციხიდან, მცხეთიდან ალმა აჰყვა გუდამაყრისკენ არაგვს.

ქორსატეველას ციხე მხარმარცხნით დასტოვა, ლარგვისის ციხესთან შუა გაჰყო ზვიადმა ლაშქარი, ჩრდილოეთისკენ წარგზავნილ მარბიელ ლაშქარს კახაი უსარდლა, სამცხის ჯართა პატრონი.

ცროლის მთიდან მხარმარჯვნით შეჰყვებოდა კახაი, ფხოვის მთების გადასასვლელებს ხელში ჩაიგდებდა, ხოლო ზვიადსა და მის ლაშქარს ოჩანის ციხისათვის უნდა შემოეარნა.

თუ ოჩანის ციხისთავი მძევლებს მოსცემდა, ზვიადი კახას ჯარს დაეწეოდა და ორივე ლაშქარი ივლიდნენ მხარდამხარ თორღვაის ციხემდის, დიდოეთს მოსწყვეტდენ ფხოვიდან.

XVII

შემოდგომის მზე ალერსიანად ატფობდა ხეობას. კაკბების კაკანი ისმოდა ცარცისფერ გორმახების უბეებში. ისინი გუნდ-გუნდად მეყვებოდნენ შეღმართებს, ფუსფუსებდნენ ავშანის ბუჩქებში.

აგოგდებოდა ერთი გუნდი ბორცვზე, გუნდის მეთაური შესდგებოდა, იწყებდა კრიახს, აფრინდებოდა გუნდი, მეორე და მესამე მიჰყვებოდა მას და მთელს ხეობაში გაისმოდა გაბმული კრიახი.

ხევის სილრმეში საცალფეხო ბილიკს შესდგომოდა თორიანი ჭაბუკი ცხენით. ფხოვური ჭრელ-ჭრელა კაბა ეცვა ტანკენარს, ფხოვური ქუდი ეხურა თავზე, ფარი ზურგზე დაეკიდნა, მარცხენაზე მიმინო შეესვა, დახოცილი მწყრები, ბარე თორმეტი, თავქვე ეკიდა წელზე შებმული თასმით.

დაქანცული ცხენი ულიმლამოდ მიაკანტურებდა თავს, ჩაქჩაქით მიჰყვებოდა ბილიკს. მიმინო აქეთ-იქით თვალს აცეცებდა, კაკბის კრიახს მიუგდებდა ყურს.

უდარდელად მიიმღეროდა თორიანი ჭაბუკი ალმართზე.

„ჰარალო, ჰარიარალუუუ,
ჰარალო, ჰარიარალუუ...
კაი ყმა, მგელი არწივი
არც ერთ არ გაიწურთნება,
ჰარალუ, ჰარიარალუუ...“

ხევს გადაღმა, სადაც ქარაფის კიდეს შურიეით აჩნდა ხევიდან ამომავალი ბილიკის ტოტი, ფხოურ სამოსში მორთულ დიაცს შეეყენებინა ცხენი.

„კოსტანტილეეე, ჰაუ კონსტანტილეე“
იძახოდა დედაკაცი.

თვალზე ხელის გულს იჩრდილავდა, ხან დასავლეთისკენ გაშლილ ბარს გადასცქეროდა, ხან ისევ ხევისკენ მიბრუნდებოდა და მთელის ხმით ყვიროდა:

„კონსტანტილე, ჰაუ კოსტანტილეე“.

„აჰარალუ, ჰარიარალუუ,
მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა მამაცობასა,
ჰარალუ, ჰარიარალუუ...“

მღეროდა ვაჟკაცი, არხეინად მიაჩაქჩაქებდა ცხენს, ნელა მოყვებოდა ალმართისკენ ბილიკს, ხევი ქშუოდა, კაკბები უფრო გამძაფრებით კაკანებდნენ, ჭაბუკი განაგრძობდა ღიღინს:

„არალუუ, ჰარიარალუუ,
კაი ყმა მამაცობასა,
არწივი არწივობასა
მთის ყურში ნადირობასა“.

დედაკაცის ყივილზე, ქარაფზე ასული კაკბები ისევ ხეგრისკენ შებრუნდნენ, მომეტებულის კრიახით გადაიხვეწნენ კბოდეებიდან. მახლობელ სამლოცველოს ნანგრევიდან წამოიშალნენ ყორნები, უცნაური ყრანტალი შეჰქმნეს, მერმე აირივნენ ჰაერში და მელნის ლაქებად შეესხნენ სადაფისფერ ცას.

ყმაწვილმა სიმღერა შესწყვიტა და მიაყურა დედაკაცის ძახილს.

„გამააჭენე, გამააჭენე ცხენ“...

ყვიროდა დიაცი, ხელს უქნევდა თანაც.

ცხენს აუჩქარა ჭაბუკმა, მაგრამ მიმინო უჯდა მარცხენაზე, გაჭენება ვერ მოახერხა, და როცა უარესად აყვირდა დედაკაცი, იგი მარჯვენათი მიმინოს მისწვდა, ცხენს დეზი ჰკრა და აქშინებულმა ცხოველმა ძლივს მოათავა შეღმართი.

დიაცმა ცხენი დასძრა, ქარაფის კიდეს მოუახლოვდა, თავზე წამოადგა ხევიდან ამომავალს და დასჭყივლა:

„გაჰქუსლე ახლანვე ცხენი, ოჩანის ციხეში ამბავი დააგდე, მეფის ჯარები მოდიანთქო, მერე კვეტარისკენ მოუსვი, ერისთავს ამცნე, ოჩანის ციხეს მააშველოს ჯარი“.

ვაჟმა მიმინო დიაცს მიაჩეჩა, კისრიდან ბოლომდის დაუსვა ხელი, ფრთები გაუსწორა, ასწავლა როგორ დაესვა მარცხენაზე. თასმა შემოიხსნა, მწყრებიანად გადასცა.

გაიფხორა მიმინო, ქარვისფერი თვალები დაუბრიალა დიაცს.

„მე ვერ მოგყვები ჭენებით შვილო, ხალმები დამემტვრევა ხურჯინში, მოკლეებს მიჰყევ, საყორნიე გადასჭერ“.

ვაჟი უნაგირზე შესდგა ორივე ფეხით, ხევს გადაღმა სერზე მომავალ ჯარს თვალი შეასწრო, მუზარადები ელავდნენ მზვარეში, მერმე უნაგირს დაახტა უკანალით და გაჰქუსლა ცხენი.

დედაკაცმა თავსაფარი მოიხსნა, ფრთხილად გაჰხვია მიმინო შიგ, თავი ამოაყოფინა მხოლოდ, რუდუნებით ჩაისვა იგი უბაში, თასმა წელზე მოიბა და გაუჯავრდა დავარდნილ ცხენს.

XVIII

გამოჩნდა თუ არა ოჩანის ციხე, ზვიადმა აქაც ორად გაჰყო ლაშქარი. ერთს ტაოელი აზნაური ფანასკერტელი უსარდლა, მეორეს თავათ წარუძღვა წინ. ფანასკერტელი ჩრდილოდან შემოუვლიდა ციხეს, იმ მხრიდან საიდანაც ხატის ტყეები გარს ერტყა მას.

წინასწარ იცოდა ზვიადმა:

ფხოველები ხატის ტყეებში არ დადგამდნენ ფეხს, ხოლო ზვიადი და მისი ლაშქარი ჯერ ხევხევ ივლიდნენ და როგორც კი გაუსწორდებოდნენ ოჩანის ციხეს, ზეგანზე ამოვიდოდა ჯარი, აღმართებს შეჰყვებოდა ფიცხლად.

თუ მძეელებს მოსცემდნენ ხომ კარგი, თუ არა და, ზვიადისა და ფანასკერტელის ლაშქარი მაკრატელივით მოიკეცებოდნენ სამკუთხედად მთებში შემოჭრილნი, სალტეებში მოიქცევდნენ მტერს.

ოჩანის ციხეს ჩრდილოეთიდან გორმახები საზღვრავდა, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მიუვალი ქარაფები, ხოლო სამხრეთიდან ოდნავ დაქანებული ვაკე, რომელსაც ამომშრალი ხევი ეზეზავდა, ხევის კიდეს მეჩხერი ტყე მისდევდა თელისა, აქა იქ ლიბანი და ეტაბარდი.

ხევი ღრმა იყო, ცხენოსანს კარგად დამალავდა, ნახირებსა და ჯოგებს ბილიკებით დაეკბილა ხევის კიდე ალაგალაგ.

ამ ბილიკებით უნდა ესარგებლნა ხევიდან ვაკისკენ ამომავალ ლაშქარს.

ზვიადი სარკინოზებთან ნაბრძოლი იყო მრავალგზის, მან კარგად იცოდა: როცა საიერიშოდ მიმავალ ცხენოსან ჯარს თხრილი ეგულება უკან, ეს უკუქცევის ფიქრს ახშობს მხედრების გულში.

სარკინოზები საგანგებოდ აკეთებდნენ თხრილებს, ამ შემთხვევაში თვით ბუნება წამოშველებოდა სპასალარს.

ზვიადმა ბრძანა: ყოველ მეორე მხედარს ხევში დაეტოვებინა ცხენი, ყოველ ცხენოსანს თითო თითო ხლებოდა ქვეითი, ზოგი შუბით, ზოგი ქამანდით, ზოგიც ჰოროლით.

სპასალარმა იგიც იცოდა, მთეულების ჯარს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ფხოველნი და დიდონი მთაში გაზრდილ, მუხლმაგარ ცხენებზე ისხდნენ.

ზვიადს წესად ჰქონდა, ცხენოსან ლაშქართან ბრძოლაში მტრის ცხენის დაშავება, შუბით, ჰოროლით ან და ქამანდით.

ვიდრე ჭაბუკი კონსტანტინე ციხემდის მიაღწევდა, ზვიადის ლაშქრის შოახლოვება გზირებმა აცნობეს ციხისთავს კიდევაც.

როგორც კი ხევში შემავალი ლაშქარი შენიშნეს მეციხოვნეთა, ქოსსა ჰკრეს ოჩანის ციხეში.

გოდოლების ჩარდახებზე კოცონები აანთეს და ჩამოეგებნენ ვაკიდან ამომავალ მტერს.

ჩრდილოეთიდან ფანასკერტელის ჯარი მოიპარებოდა ხატის ტყეებში. ზვიადის ლაშქარი ვერ დაფარა მეჩხერმა თელიანმა.

ერთ წუთში აივსო ვაკე ფხოველთა და დიდოელთა ცხენოსნებით... ჯერ დიდოელნი ეძგერნენ შელმართში ამავალ მხედრებს, ცხენები დაუბოცეს მეწინავეთა. თელიანი და ჯაგნარი ხელს უშლიდა ბრძოლას, ამიტომაც ხმალი ვერ იხმარეს ზვიადის სპათა.

ხევი ვიწრო იყო, ზვიადის ჯარს კიდემდის გაევსო იგი.

ვაკეზე ასასვლელი ბილიკები არც ისე ბევრი იყო, ამიტომაც ურთიერთს აწყდებოდნენ ცხენოსნები. დიდოელნი ბილიკების ყელებში უხვდებოდნენ, უმოწყალოდ სცემდნენ ცხენსა და კაცს.

ისრით და შუბით განგმირული მხედრები ძირს ენარცხებოდნენ, კოტრიალით სცვივოდნენ ხევში. დამფრთხალი ცხენები ყალხზე დგებოდნენ, ჭიხვინით ვარდებოდნენ კბოდეებიდან.

ერთბაშად ყორნების ლაშქარმა დაფარა ხევი. თელებზე ჩამომსხდარნი შემზარავად ყივოდნენ.

ჭიხვინებდნენ უპატრონო ცხენები, კვნესოდნენ დაჭრილები, ველურად ყიჟინებდნენ დიდოელნი და ფხოველნი.

ცხენი დაუჭრეს ხევიდან ამოსვლისას ზვიადს, წაიქცა ზვიადის ცხენი ისკუპა აბჯრის მტვირველმა, მარქაფა შეაგება მყისვე, სცა ორივენ დიდოელ შუბოსანს, კბოდედან გადააგდო ზვიადმა დევკაცი.

შეკრთა ერთი ფრთა შელმართში ამავალ ჯავახელებისა, ხევისაკენ მიაბრუნეს ცხენები.

მაშინ განრისხდა ზვიად სპასალარი „შეუზახნა ლაშქარს, სცეს მეფის სპათა საყვირსა და მიეტევეს ვითარცა მხეცნი“.

მოათავეს შელმართი, გაივაკეს ქვეითად მომავალ სამცხელთა, ისევე მოასხდნენ ცხენებს, ამოიწვადეს ჯავახელებმაც ჯავარდენები და შეუტიეს მტერს.

მოისრნენ დიდძალი ფხოველნი და დიდონი, მწკრივად დაწვნენ ძმების მიერ განწირული ძმები, ოჩანის ციხის სანახებში მკერდგანგმირულნი.

კვლავად სცეს საყვირი მეფის სპათა და მარჯვენა ფრთა დაწინაურდა, ზურგზე მოექცა ციხისკენ მიმავალ სერს.

ფხოველთა ჯარს ხევისბერი ღუდუშაური მეთაურობდა. მთის ცხვირზე უკვე აცნობეს ხატის ტყე გადმოლახაო კახაის ლაშქარმა.

იცოდა: ფხოველნი ხატის ტყეებში არ შევიდოდნენ, დიდოელთა დიდი რაზმი წარგზავნა, კახას ლაშქარს არც ჰოროლი უხმარია, არცა შუბები, ტყიდან გამოსვლის უმალვე ხმალდახმალ ეძგერნენ ცხენოსნები მტერს, რადგან ახოში შემოეყარნენ დიდონი მათ.

განცვიფრდნენ დიდოელები, როცა მათ ხმლები ყინვის ლოლუებივით მილეწეს კახას სპათა ჯავარდენებმა.

ღუდუშაური დიდოელთა საშველად აპირებდა ციხისაკენ მიბრუნებას, ამდროს შედრკნენ დიდოელნი და ხატის ტყეებისკენ გაჰქუსლეს ცხენები. კახას ლაშქარმა თავი ააღირა, გულდაგულ გამოემართა ციხის გოდოლისკენ.

მიხვდა ღუდუშაური თავათ ციხეს რომ მიშველებოდა, ზვიადის სპანი ზურგში მოექცეოდნენ, ამიტომაც საშინელი ყიჟინი მორთო ხევისბერმა, ხმალი იშიშვლა და ხუთასზე მეტი ცხენოსანი მიაგდო ზვიადის ჯარისკენ გულდაგულ.

ახლა ტაოლებმა გამართეს ჯავარდენები და შეეგებნენ სერის თავზე მამაც ხევისბერს.

მაშინ თავის უზარმაზარ ულაყს დეზი ჰკრა ზვიად სპასალარმა, ხევისბერის ტანმორჩილ ჩერქეზულს აძგერა მკერდულით. მხარი აქცევინა ღუდუშაურმა ცხენს, თავათ ხმალი გადაუქნია სპასალარს, მაგრამ ხმალს ხმალი შეაგება ზვიადმა და ვადა შერჩა ხევისბერს ხელში.

ვიდრე ჰოროლს მიაწვდიდნენ ღუდუშაურს, მოუნაცვლა ზვიადმა და აბჯრიანად გაჰკვეთა იგი წელამდის.

ხევისბერის ვაჟი თორღვაი გამოენთო სპასალარს, მაგრამ უმუხთლა ქედფიცხელმა ულაყმა, მისი ხმალი სპასალარს ასცდა და ცხენს წააცალა ორივე ყური.

ფხოველნიც დარწმუნდნენ, ძვალისა და ფოლადის ჩაკვეთილი ხმლები რომ ჰქონდათ სამეფოის სპათა, პირი იბრუნეს და გაჰქუსლეს ხატის ტყეებისაკენ ცხენები.

შესტეხეს თუ არა ციხის კარები, დაზავება ითხოვა ციხისთავმა მყისვე, მძევლების მოცემას დაჰპირდა ზვიადს.

იმ ღამესვე თავი მოჰკვეთეს ციხისთავს და გოდოლის ჩარდახიდან გადმოჰკიდეს იგი თოკით.

ორი ათასი აბჯრის ალაფი აიღო ზვიადმა და დაარღვია ოჩანის ციხე.

უთენია მიჰყვა ხეობებს, უგრძნეულოდ და უბრძოლველად გასწია კვეტარასაკენ.

გზადაგზა პურმარილით ეგებებოდნენ ფხოველნი, ყელზე საბელშებმული ხევისბერები ითხოვდნენ ზავს.

გააფრთებულმა ზვიადმა ბრძანა და სამრეკლოზე დაჰკიდეს ისინი იმავე საბელებით, რომელნიც მორჩილების ნიშნად გამოებათ თავათ. გზადაგზა ხიზანი და აბჯრის ალაფი აიღო, მძევლები ჩაიბარა ხევისთავებისაგან.

ყველას ასე ეგონა კვეტარას ციხის ასაღებად მიემართებოდა ზვიადის ლაშქარი. სპასალარმა განზრახ აირჩია პირდაპირი გზები, რათა შიშის ქარი შესდგომოდა ერისთავს.

კოლონკელიძეს კონსტანტინე არსაკიძის მოსვლამდის აცნობეს მსტოვარებმა მეფის ჯარების შემოსვლა ფხოვში. სამი დღით ადრე მამამზე და ტოხაისძე იუწყებოდნენ: დიდძალი ჯარით მოდიანო მეფე და ზვიადი.

თავდაპირველად გუდამაყარში უნდა შებმოდა ერისთავი ზვიადის ლაშქარს, მაგრამ აქ მოხდა ასეთი ამბავი:

მამამზესა და ტოხაისძეს პირობა ჰქონდათ, კოლონკელიძე არაგვის ხეობაში გადმოსვლას თუ მოასწრებდა, მხოლოდ მაშინ შეურთდებოდნენ ისინი მეამბოხეებს.

ახლა, როცა სპასალარმა დაასწრო კოლონკელიძეს, ისინი უარზე დადგნენ, რადგან ქორსატეველას მიწასთან გაასწორებდა გზადგავლილი ზვიადი.

კოლონკელიძემ ასე ივარაუდა: ჯერ ხევისთავებისა და ხევისბერების ბრბოებს უნდა შელეწნოდა ზვიადის ლაშქარი, ხეობების თავებში აღმართულ გოდოლებს გამკლავებოდა. როცა კვეტარს მიეახლებოდა, ციხიდან გამოვიდოდა კოლონკელიძე და კვეტარის სანახებში მისცემდა ბრძოლას.

თუ საქმე მისჭირდებოდა, კვეტარას ციხეში ჩაიკეტებოდა კვლავ.

ზამთარს გულისხმობდა მოკავშირედ, უსურსათოდ დარჩენილნი სპანი შეფისანი ვერ გააწევდნენ გაზაფხულამდის.

ოჩანის ციხის აღებამ, დიდოთა ლაშქრის უკუქცევამ, კახეთს მიერ ფხოვის მთების ჩაკეტვამ, ბოლოს ფოლადისა და ძვალის მკვეთელ ჯავარდენების გამოჩენამ თავზარი დასცა კოლონკელიძეს.

ზვიადთან მძევლების გაგზავნას აპირებდა ერისთავი, და სულ ამ დროს მალემსრბოლი მოვიდა უფლისციხიდამ. მეფე თავისი ტაძრეულითა და დიდის ლაშქრით მობრძანდებაო კვეტარს. მძლევლებსა და ზავის პირობის შეკვრას მოითხოვსო, რათა შემდეგ საერთო ჯარით გაილაშქროსო კახეთ-ჰერეთის ქორ-ეპისკოფოსის წინააღმდეგ;

თალაგვამ კარგად იცოდა „უშიშარი იყო გიორგი ვითარცა უხორცო", მაგრამ ეს გარეშე მტრებთან ომებში, ხოლო საერისთავოებში სისხლისღვრას გაურბოდა იგი. მართალია, ზვიადი მუდამ სისასტიკეს მოითხოვდა, მაგრამ სამაგიეროდ მელქისედეკ კათალიკოსი მხარს აძლევდა სათნო თათბირით მეფეს.

ამიტომაც ეს იფიქრა კოლონკელიძემ: ზვიადმა დალაშქრა ფხოვი, დიდონი უკუაქცია, მეფე სისხლის ღვრას ერიდება და შემირიგებსო უთუოდ.

პირველი ამბოხიც მანვე აპატია, ძელი ცხოველის ლაშქრობა აკმარა ორივე ერისთავს.

XIX

სულ სხვა გზით წამოვიდა გიორგის ლაშქარი. მეფემ ლარგვისის ციხეში გაათია ღამე და ქორსატეველას მიადგა დილით. მამამზე და ტოხაისძე დიდის ამალით შემოეგებნენ.

მამამზე „მამაშვილურად" გადაეხვია გიორგის, მარჯვენა მხარზე აკოცა ჩვეულებისამებრ.

ბევრი ეველრა მეფეს ბორდოხან, მეორე დილამდის დარჩითო ჩვენსას, მეფე დაჰპირდა ფხოვიდან მობრუნებულნი უეჭველად გამოგივლითო.

„ქალს ათხოვებო, ბორდოხან ბატონო, ასე გადმომცეს, ქორწილია მოსალოდნელი".

ბორდოხანას სახე აელეწა, შედრკა, ხელაღებით უარჰყო:

„რა დროს გათხოვებაა ბალღისა, ჯერ მხოლოდ თორმეტი წლისაა მეფე ბატონო, კატაი":

ისაუზმეს თუ არა, დაიძრა ლაშქარი.

მეფის მოლოდინისაგან დამფრთხალი ხალხი მიუვალ მთებში გახიზნულიყო, დაცარიელებული სოფლები უპატრონო ძაღლების, მოხუცებისა და ავადმყოფების ამარა მიეგდოთ.

სამრეკლოზე ჯერ კიდევ ეკიდნენ თავჩაქინდრული ხევისბერები თოკით. ეკლესიები გამოეკეტნათ, რადგან ბერები და ხუცები, დაეხოცნათ, ან თავათ ისინი გაქცეულიყვნენ მცხეთას.

ხევის ყელებთან დახოცილი გზირები ეყარა, სვავები ჰკორტნიდნენ ნადირის მიერ დაძიძგნულ ცხედრებს.

ზვიადის მიერ გამოგზავნილი მალემსრბოლი გოიმზვარესთან წამოეწია გიორგის.

კოლონკელიძემ მძევლები მოიღოვო, დიდოთა და [illegible] ბოეები ფხოვის მთებს გადაღმა გადავრეკეთ, კახას ჯარი [illegible] ციხეს შემოეწყოვო, ცხრა კარში ველოდებით ბრძანებას მეფისას, იწერებოდა ზვიადი.

გიორგიმ ეს დააბარა მალემსრბოლს უშიშარიასძეს:

როცა მე შემოგითვლი: პანკისს წადი მეთქი, ეს ნიშანი იქნება, მე კვეტარის ციხეში დაგიხვდები, მყისვე ლაშქრიანად მოდიო. —

გოიმზვარეს გასცილდნენ თუ არა, დაწინაურდა ჯვარისმტვირთველი, თორმეტი თორიანი რაინდი სეფე დროშას ახლდა, მოშორებით მეფე მოდიოდა, სამასი შუბოსანი თან მოსდევდა, ათასზე მეტი მონასპა უკან მოჰყვებოდა მეფის ამალას, მაგრამ ეს ლაშქარი ჯერაც არ იყო შემოსული გოიმზვარეში.

დალმართში მიმავალი ურმის გზა ხევის უბეში იკარგებოდა, წაბლის ტყეები დაიწყო უსიერი, მელიები გადარბოდნენ გზაზე.

მეფემ თვალი მოჰკრა ხევის უბიდან თორიანი მხედრები გამოვიდნენ და გაუსწორდნენ თუ არა ჯვარის მტვირთველსა და მედროშეს, მყისვე დაქვეითდნენ, რაინდთა წესისამებრ, პატივითა ხილვა მოუწყვეს მეწინავეთ, ეამბორნენ და ისევ შესხდნენ ცხენებზე და გიორგის ამალისკენ გამოემართნენ.

გიორგიმ კოლონკელიძე იცნო, გზა წვრილი იყო და არ სჩანდა თუ რამდენი სპა ახლდა ერისთავს?

ისრის მისაწვდენზე კვლავ დაქვეითდა კოლონკელიძე და მისი ამალა, ახლა უფრო მოკრძალებულად გაუმართეს პატივითა ხილვა მეფესა და მის ამალას.

როცა თავმოდრეკილი კოლონკელიძე ეახლა მეფეს, და ხელზე ეამბორა მან ნაძალადევად გაუღიმა ცბიერ ერისთავს.

კოლონკელიძეს გული მოეცა, როცა გიორგის გვერდით მომავალი მამამზე დაინახა, ხოლო მის უკან, სახლთუხუცესი — ტოხაისძე.

მეფის ამალას თვალი შეავლო კოლონკელიძემ, ინანა: დიდი ლაშქრით რად არ შეეგებეო გიორგის, ასე ეგონა: მარტოოდენ სამასი სპა ახლდა მეფეს.

ეს წაბლის ტყე ჩინებული იქნებოდა ჩასასაფრებლად.

გზა შელმართებს მიჰყვა, ამასობაში უკან მომავალი ლაშქრის მეწინავენი წამოეწიენ მეფის ამალას, კოლონკელიძეს გუნება გაუფუჭდა, აღარ იცოდა, ბოლოს რამდენი ათასი ცხენოსანი მოჰყავდა გიორგის?

მეფის საუბრის კილო სამშვიდობოს იძლეოდა ნიშანს. მშვიდი იყო ბუნებით გიორგი, ენამზეობას მოკლებული, მაგრამ ამოდმოუბარი და სახით სათნო.

წყნარი და მზიანი საღამო იყო, ცხენების ერთობლივი ფრუტუნი, ხევის წყლის ამო ჩხრიალი, ცას მიწვდენილი მთების სილურჯე, შაბია-

მანის ფერი, მალალი ცა, ეს ყოველივე მშვენიერ გუნებას უქმნიდა მეფეს და მის ამალას, გიორგი მეფე, კოლონკელიძე და მამამზე თავ-თავიანთი მხლებლებით ისე ტკბილად მოსაუბრობდნენ, თითქოს ყველას დავიწყნოდა, რომ საომრად შეხვედროდნენ ამ ხეობაში ურთიერთს.

კოლონკელიძეც ამოდ შესაყრელი კაცი იყო, ტანმორჩილი, ტანხმელი, მაგრამ მშვენიერი ვაჟკაცი, წვერი გაჟღალებოდა ოდნავ, მაგრამ ჭაბუკური იერი გადაჰკრავდა სახეზე, თაფლისფერ თვალებიდან სიჭაბუკის ცეცხლი გამოკრთოდა.

მეფემ ორ-სამჯერ ესროლა მზერა გვერდით მომავალს, გაახსენდა ის საღამო მცხეთობას, როცა კოლონკელიძე ცხენოსნობაში ეპაექრებოდა შორენას, და-ძმას უფრო წააგვანდნენ იმ ჯირითში ისინი, ვიდრე ხუმრობით გაჯიბრებულ მამა-შვილს.

წაბლები სცვივოდნენ გზაზე გადმოსულ შტოებიდან, სადღაც ხევში ხარირემი ყვიროდა. კვერნები დაშლიგინებდნენ ცადაწვდენილ სოჭის ხეებზე.

მეფემ განზრახ აუჩქარა ცხენს, კოლონკელიძე აიყოლია და როცა მცირე მანძილზე დაშორდნენ ამალას, კოლონკელიძემ ფრთხილად წამოიწყო „სამწუხარო გაუგებრობის“ ამბავი, ეს ყველაფერი „დიდოთა და ღილღვთა ბრბოებს“ გადააბრალა უტიფრად და როცა ამას ამბობდა, თაფლისფერ თვალებს არ აშორებდა გიორგის.

დიდის მადლობით ახსენებდა სპასალარს, ფხოვის მთებს გადალმა გადარეკაო „ის მურტალნი“ ზვიადმა, თანაც შესჩივლა შეფარვით მეფეს, მძვლები შევაძლიე, აბჯრის ალაფა აიღო, ხევისბერები მაინც მოაშთოვო, მორჩილების ნიშნად საბელგამობმულნი ყელზე.

მეფემ ცხენი შეაყენა, მალემსრბოლი იხმო, ზვიადთან წასვლა უბრძანა.

დააბარა: ხევისბერებს არ ახლოვო ამიერიდან ხელი. შეუთვლა: ცხრაკარი დააგდეო მყისვე და ზეგ დილამდის მიცადეო პანკისში.

პანკისის ხსენებამ იმედი განუმტკიცა ერისთავს, ალბათ პანკისიდან აპირებსო გიორგი ჰერეთის ქორ-ეპისკოპოსის დალაშქვრას.

გარდა ამისა, კიდევ ერთი რამ აძლევდა კოლონკელიძეს ნუგეშს: ერისთავს გუმანი ჰქონდა: მეფე შეფარვით ეტრფოდა შორენას.

ისიც იცოდა: დედოფალთან უთანხმოება რომ ჰქონდა უწესო დედათა მოყვარულს.

გაახსენდა გურანდუხტის ნათქვამი: შიმუნვარებს უნახავთ, შორენას უჭვრეტდაო თურმე იდუმალ, ჭიაბერის ორმოცზე მეფე.

ტოხაისძის ნაამბობიც ემთხვეოდა ამას ყოველივეს, გიორგიმ ჯვარი მოაწამვლინა ფარსმანს, ჭიაბერი იმადაც მოაკვლევინა, რათა დედოფალს გაეყაროს და შორენა შეირთოს ცოლად.

ამ წუთში დაბეჯითებით ირწმუნა კოლონკელიძემ: შესაძლოა, შორენას შესართავად მოსულიყოსო მეფე.

თალაგვას ახლა აღარ მოსწონდა უკვე მამამზე ერისთავის და ტოხაისძის ჩამოსვლა.

თუ გიორგი მართლაც გაეყრებოდა ცოლს და შორენას შეერთავდა, კოლონკელიძე მზად იყო ჰერეთის ქორეპისკოპოსთან ერთად დასმარებოდა მას. მეფესთან დამოყვრება ახალ ასპარეზს აღუთქვამდა თავმოთნე ერისთავს.

ეს ყოველივე ურთიერთს დაერთო, სწორედ ამიტომაც გულმხიარული წარუძღვა იგი საომრად მოვლენილ სტუმრებს.

კოლონკელიძემ შიკრიკი აფრინა კვეტარის ციხეში, მეფისა და მისი ამალის მისაღებად მოემზადენითო, დააბარა სახლთუხუცესთან.

ციხისთავი, შვიდი ხევისთავი და ცამეტი ხევისბერი ჩამოეგებნენ სტუმრებს. ერისთავის მეუღლე გურანდუხტი, შორენა შიმუნვარებითურთ ციხის კარებთან დაუხვდნენ მეფეს.

ორასორმოცდაათი ხარი დაჰკლეს იმ საღამოს, შვიდი ირემი და სამასზე მეტი ცხვარი.

პურობის დაწყებამდის მეფე და ერისთავი განმარტოვდნენ, მცირე ხანს ისაუბრეს, შემდგომ ამისა, ხუთი ტაოელი აზნაური, ციხისთავი და სამი ხევისთავი დაისწრეს თათბირზე.

დასთქვეს: მეორე დღესვე წასულივყნენ პანკისს მეფე და ერისთავი, იქიდან შეეტიათ ჰერეთის ციხეებისათვის.

მეფემ ლალისთვლიანი ბეჭედი შეაცვა ერისთავს ცერზე, ერთი საყურე, ერთი რაინდული სარტყელი ბიზანტიური, ერთი ხელი აბჯარ-მუზარადი, სამი თოროსანი ცხენი, დროშა და შუბი მიუბოძა. ზავის პირობა მისცა, სამარადჟამოდ დაურღვეველი და კვეტარის საერისთავოს შეუვალობა სრული.

კოლონკელიძემ ციხის უზოში გაიყვანა მეფე, აჩვენა ქალტა ირმებისა. ირმების მთელი ჯოგი ჰყოლოდა ციხეში.

გარემოცვის დროს ვკლავთო ხოლმე ამ ირმებს, როცა მშვიდობაა, ვაშენებთო.

ეუბნება გახარებული მასპინძელი სტუმარს.

მეფეს თვალები გაუბრწყინდა ამ მშვენიერი ცხოველების პირისპირ მდგარს. კისერი მოიღრიჯეს ხარებმა და ფურებმა, ატორტმანდა ქორბუდიან რქებისა ტევრი.

ნუკრები მორცხვად იმალებოდნენ მოთვინიერებულ ფურების ლაჯებში, მათ ჯერაც არ გასცლოდა დედისმუცლიდან დაყოლილი ველური დარცხვენილობა. მხოლოდ ერთი, უმშვენიერესი ნუკრი, მთლად ლომისფერი და ამაყად ყელმოღერილი, იდგა განაპირას, ჯახველის ქვეშ, როცა გიორგი მიეახლა, იგი ადგილიდან არ დაძრულა, თავისი მშვენიერი გიშრისფერი თვალებით შესცქეროდა ახალმოსულს.

გორგიმ ხელი დაუშვირა: თფუჩი. თფუჩით, — უთხრა.

ნუკრი უფრო ახლოს მოვიდა, ჯერ დახედა გაწვდილ ხელს, შემდეგ თავისი ხორკლიანი ენით გალოკა იგი.

„აი ეს შორენას საყვარელი ნუკრია „ნებიერა“ ობოლია, ამიტომაც შეივრდომა იგი და თავათ გაზარდა შორენამ“.

ამბობს კოლონკელიძე.

ახლა ყველაზე უფრო დიდსა და მშვენიერ ფურს [illegible] ბზეკა გიორგიმ.

„სამოცდაათი მეწველი მყავს ასეთი, თორმეტ წყვილს ხვალვე გაახლებთ მცხეთაში“.

ეუბნება ერისთავი მეფეს.

თავის სიცოცხლეში არაფერი ისე არ შეჰხარბებია გიორგის სხვისი, როგორც ეს ირმის ჯოგი, ეს ირმის ჯოგი და შორენა...

„შორენა აწი ველარ გახდება „სხვისი“, რადგან ჭიაბერი ალარაა ამ ქვეყნად, ხოლო ირმის ჯოგი? ირმის ჯოგი... ვნახოთ რა მოხდება ამალამ...“

ეს გაიფიქრა მეფე გიორგიმ და ჯიქურ შეხედა კოლონკელიძის თაფლისფერ თვალებს. ამ წუთში ვერავითარი მზაკვრობა ვერ დაიჭირა ამ თვალებში. ეტყობოდა, იგი მართლაც აპირებდა თორმეტი წყვილის გაგზავნას მცხეთაში.

პურობა დიწყო, მემაშხალეთ ალყა და ქონი შემოზიდეს და მაშხალები აანთეს.

აწრიალდა მეფე გიორგი. გულით ეწადა: პურობის დაწყებამდის მოესწრო ზვიადს.

უეცარმა ძრწოლამ აიტანა, ვაი თუ მალემსრბოლი უშიშარისძე გზაში შეეპყრო რომელიმე ხევისთავს, უშიშარაისძე დაცდილი ჰყავდა ომებში გიორგის, ფეხებით რომ დაეკიდნათ, იგი არ გასთქვამდა საიდუმლოს, მაგრამ ეს იყო, მთელი გეგმები აერეოდათ ზვიადსა და გიორგის.

„თუ უშიშარაისძე ცხრაკარამდის ვერ მოაღწევდა, ზვიადი პირდაპირ გაიგებდა ქარაგმულად შეთვლილს, ლაშქრიანად აიყრებოდა ალბათ და მართლაც წავიდოდა პანკისს?“

თუ უშიშარაისძე მშვიდობით ჩასულია ცხრაკარში, მაშ რად იგვიანებდა ზვიადი ამდენს ხანს?

არც პანკისი იყო შორს, მაგრამ გიორგიმ დანამდვილებით არ იცოდა, რას მოუწყობდა მეფესა და მის ამალას მელაძუა ერისათვი, ხომ შესაძლო იყო ღვინო მოეწამლათ, ან ირმის ხორცში გაერიათ მცირედი შხამი?

უმთავრესი მაინც ეს იყო, მეფე გიორგის არ უნდოდა პურმარილის შიღება.

პურობა გათავდა თუ არა, ნადიმი დაიწყო მყისვე, როცა მეფის სადღეგრძელო შეისვა, შორენამ თავათ მიართვა სამადლობელო ჯიხვი გიორგის.

ამ საღამოს ადრინდელზე მეტად მოეწონა მეფეს ერისთავის ქალი.

დაქალებულიყო შორენა, ქალწულურ ტანკენარობას მისას სრულიადაც არ არღვევდა მოწიფულობის მაცნე სავსება ხორცისა, ოდნავი სიყვითლე მაინც შერჩენოდა ღაწვებზე; ძაძა, მუქყვითელ სამოსს შეეცვა-

ლა ირანული აბრეშუმისას, რომელსაც მწყრისფერი იერი გადასდიოდა ზოგგან.

სხეულის კიდურები დაგრძელებოდა, გულმკერდისა და თეძოების სი-სავსე ჰარმონიულად შერწყმულიყო ისეთ სიმრგვალეში, ოდენ ეს ფერს სჩვევია ხოლმე რთველის მიწურულში, ამ ძვალწვრილსა და ხორცმრავალ არსებას.

მეფე შეფარვით უმზერდა მის გვერდით მჯდარ შორენას და მამაკაცის ქორულმა მზერამ ეს შენიშნა: ისეთ მიჯნამდის მიწეულიყო მგლოვიარე სასძლო, როცა ქალობა სძლევს ხოლმე გლოვას და დიაცური სიკეკლუცე თავის მშვენების გამოსაჩენად მოირგებს სიმძიმლის ნიშნად სატარებ სამოსსაც.

კიდევ შეჰხედა შორენას, შეუძლებელი იყო რაიმე მზაკვრობა ხლებოდა ამ მშვენიერ, შეურყვნელ თვალებს. ეს იყო, მის მზერაში გიორგიმ დაიჭირა ის ველური დარცხვენილობა, რომელიც ირმის ნუკრების გამოხედვაში შენიშნა წელან.

როცა ჯიხვი გამოართვა და ნუშის გულივით თეთრ ხელებს დაჰხედა.

ასეთი ხელებით მორთმეული საწამლავიც საამური იქნებაო ალბათ, ეს გაიფიქრა და გამოსცალა ჯიხვი.

გაახსენდა: ჭიაბერის მიერ ოვსთა მეფის მოწამლვა ქორსატეველას ციხეში.

გამოსცალა თუ არა, რაღაც უცნაურმა შიშმა შეიპყრო მეფე გიორგი, „უშიშარი ვითარცა უხოროცო“, (როგორც მატიანე ახსენებს მას).

ერთ წუთში ისევე მოიცა გული, გაეხარდა ხელფეხი რომ ესხა კვლავ და მოძრაობა შეეძლო, ახლა ხმის გაღება მოუნდა და ეუბნება შორენას:

„შენი ნუკრი მაჩვენა თალაგვამ, მშვენიერი ცხოველია ნებიერა“.

შორენას იამა, მეფესაც რომ მოსწონებია მისი საყვარელი ნუკრი, გაუკვირდა: სახელიც რომ დახსოვნებია მისი. რაღაც უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ გამოსაღები ხმა, სადღაც ხორხის არეში გაუწყდა და საკუთარ ხელებს დახედა მორცხვად.

დიდი ხანია რაც მისი ხმა გაეგონა მეფეს, ამიტომ ასეთი რამე უთხრა:

„თალაგვა მიამბობდა: ობოლიაო ნუკრი, დედამისი რა იქნა?“

„წრეულს მყვირალობის დროს გაგვექცა დედა მისი. საერთოდ ფურები უკეთ იტანენ ტყვეობას, ვიდრე ხარები, განსაკუთრებით თუ ნუკრი ეყოლათ, მაგრამ ნებიერას დედა გამონაკლისი იყო.

იგი ერთმა დიდოელმა მოჰგვარა სამი წლის წინად მამას, ბევრი ვეცადეთ, არ იქნა მისი მოთვინიერება. ჩემი ხელით ვაჭმევდი, მარილს ვალოკინებდი, მუდამ ტყისკენ ეჭირა თვალი.

ყვირალობის დროს აუტანელია მათი ბღავილის სმენა. მე მთელი ღამე არა მძინავს მყვირალობის დროს.

ნებიერას დედა წრიალებდა განსაკუთრებით, დაიწყო თუ არ ამ წელს მყვირალობა, დღისით და ღამით ბღაოდა ბედშავი, საჭმელს პირს არ

აკარებდა, ბოლოს წყლის სმაც აღიკვეთა, ჩვენ შეგვეშინდა, ვაი თუ მოკვდესო დარდისაგან, მერმე ის იყო მონადირეებს უბრძანა მამამ, თოკით წაეყვანათ მთაში, მჟავე წყალი მოსვასო ეგების.

როგორც კი მთები დაინახა, შემზარავი ყვირილი ასტეხა თურმე, მჟავე წყალს დაეწაფა და მოიკლა თუ არა წყურვილი, ერთი გადაბღაკლა მთებს, ყურები დასცქვიტა, და გადაეშვა ქარაფიდან...“

„მონადირეები?“

იკითხა გიორგიმ.

„ერთმა ხელის გაშვება მოასწრო, ხოლო მეორე, დიდოელი არ მოეშვა, თან გადაჰყვა უფსკრულში“.

„ასე ძნელია თავისუფლების დათმობა“ ეუბნება გიორგი და ჯიქურად შესცქერის თვალებში ქალს.

თუ ნადირობო?

შეეკითხა გიორგი.

„როგორ არა?“

„რაზე?“

„ჯეირანზე, შველზე“.

„ირემი თუ მოგიკლავს?“

„ირემი ჯერ არ მომიკლავს“.

„მარტო დადიხარ მთებში?“

„არა, მამასთან, როცა მამას არა სცალია, არსაკიძესთან“.

„არსაკიძე ვინლაა?“

„ჩემი ძუძუმტე“.

ღვინისაგან ლოყები შეეფაკლა გიორგის, ცხენით ნამგზავრი მიეძალა ირმის ცურს, (ირმის ცურის მწვადი უყვარდა განსაკუთრებით მას) შორენა ისე ბრწყინავდა, გიორგი უდიდესს ბედნიერებას განიცდიდა მის სიახლოეს, ამ წუთში მას ერჩივნა, უბრალო აზნაური ყოფილიყო და არა მეფე, მალემსრბოლი უშიშარაისძე მართლაც შეეპყრო რომელიმე ხევისთავს და ზვიადი მართლაც წასულიყო ლაშქრითურთ პანკისს.

სწორედ ამ წუთში მეორედ წარგზავნილი მალემსრბოლი შემოიყვანეს, ჯიქურ წამოვიდა მეფისკენ.

გიორგის გაეხარდა, ალბათ ნანატრ ამბავს მომახსენებსო მალემსრბოლი, უშიშარაისძეს ჩაუსწრებდაო იგი.

თავმოდრეკილი მიეახლა მალემსრბოლი და მოახსენა: ზვიადი გეახლებათო ახლავე.

მეფე აიმღვრა ,მაგრამ მღელვარება მყისვე დაიოკა.

კოლონკელიძე სუფრის ბოლოს იჯდა, ზვიადის ხსენებაზე უსიამო ერუანტელმა დაუარა.

გაოცდა თანაც: აკი პანკისს უნდა წასულიყოვო ზვიადი?

ეს გაიფიქრა ერისთავმა და ოცდაათი შუბოსანის თანხლებით შემოვიდა ზვიადი დარბაზში.

არც ეგ ეპრიანა კოლონკელიძეს, ზვიადს დიახაც მართებდა ხმლიანად ხლება მეფისა, მაგრამ ჯერ არსად სმენოდა თალაგვას, საბურველიანი რაინდები შემოსულიყვნენ იმ დარბაზში, სადაც მეფე იმყოფებოდა.

ამაზე უარესიც მოხდა ამ წუთში.

თოროსნები კარებთან შესდგნენ, ხოლო ზვიადი, მეფეს როდი ეახლა, ჯიქურ წამოვიდა მასპინძლისაკენ, უსალმოდ თავზე დაადგა და მტკიცედ, აუღელვებლად ამცნო:

აფხაზთა და ქართველთა მეფეთ-მეფის გიორგის სახელით გიბრძანებ: ციხის კლიტენი ჩამაბარეო.

გიორგიმ თავი ჩაღუნა.

კოლონკელიძემ ერთი გახედა მის პირდაპირ მჯდარ მეფეს, გაშრა, გაფითრდა, ისევ გაწითლდა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ თავისი ბანჯგვლიანი მარჯვენა ისე მაგრად დაედო მის მხარზე ზვიადს, ხელიდან ვერ დაიძრა კოლონკელიძე.

წამოცვივდნენ ფხოველი რაინდები, კარებს მისცვივდნენ ხევისთავები, მაგრამ ზვიადის სპათ გზა მოუჭრეს უიარაღოთ.

შორენამ შემცხადებულივით იკივლა, მიეჭრა უკვე ზეამდგარ მეფეს: „მე მაპატიეთ მამა“.

როცა მოღუშულ, მდუმარე სახეზე თანაგრძნობის ნატამალიც ვერ ჰპოვა, მუხლი მოეკაცა და გიორგის ფერხთით დაეცა ატირებული.

მეფე დასწვდა, ბალღივით აიყვანა იგი და ნატებით მორთულ ტახტზე გადაასვენა გულშემოყრილი.

გამობრუნდა მეფე, და დარბაზიდან აპირებდა გასვლას, ახლა გურანდუხტი მივარდა ღაწვებდახოკილი, მუხლზე მოეხვია, მეფეს;

ნუ დამიქცევთ ოჯახს, ამ ერთხელაც შეუნდე თალაგვას.

გვიმსახურეთ მე და ჩემი უბედური თანამემცხედრე, ჩემი ერთადერთი შვილი.

სამოსის ბალთებს უკოცნიდა, ეხვეოდა მუხლებზე.

მეფემ წამოაყენა ერისთავის მეუღლე, თავაზიანად შეაშვებინა სამოსის ბალთისთვის ხელი, მშრალად, უგულოდ უთხრა:

ომში სპასალარია მბრძანებელი, მე არას მკითხავსო ზვიადი.

ზვიადის შუბოსნებმა შეჰკრეს კოლონკელიძე, მისი სახლთუხუცესი, სამი ხევისთავი და შვიდივე ხევისბერი.

ამასობაში ციხის ტალანებში, მთავარი ციხისა და გოდოლების ჩარდახებზე ხელჩართული ბრძოლები მიდიოდა.

ციხის ეზოში სცვივოდნენ მეომრების ცხედრები, ბღავოდა დამფრთხალი ირმის ჯოგი, ილეწებოდა კარები, ჟრიალებდნენ ფარები, კვნესოდნენ, ხვნეშოდნენ დაჭრილი მეომრები, ყვიროდნენ ჩარდახებიდან გადაყრილი მხედრები, ჭიხვინებდნენ ცხენები, ტალახებში დაშლიგინებდნენ მემაშხალენი და სწორედ მემაშხალეებზე გაიმართა ნამდვილი ნადირობა, ყველას ეს უნდოდა, როგორმე მაშხალა ჩაეგდო ხელში, მტერი და მოყვარე გაერჩიათ ურთიერთისაგან.

გათენებამდის გრძელდებოდა ასეთი უთავჟამო აუოზაური, არავინ იცოდა ვის დარჩებოდა კვეტარის ციხე და მისი გოდოლები ფოლოთ!

ვიდრე მარიხი ჩაჰქრებოდა ცაზე, მემაშხალენი დახოცეს სრულად, მაშხალები აღარსად იყო, ბნელში დარჩენილი მეომრები ერეოდნენ კედლებზე და შესწყდა ომი.

ინათლა თუ არა, ქოსსა ჰკრეს კვეტარის ციხეში.

საყვირები სცეს გარს მომდგარმა ჯარებმა. ციხეში მომწყვდეულმა სამასმა ტაოელმა ნაშუადღევს ძლივს აიღო პირველი საბრძოლო გოდოლი.

ციხისთავი შეიპყრეს და ჩარდახიდან გადმოაგდეს.

ზვიადის ლაშქარმა და მეფის სპათა ათასეულმა სამივე გოდოლი შელეწეს სამხრობამდის.

ნასამხრალზე ციხის ეზოში ოთხი მარგილი დაარჭვეს, ცეცხლი დაანთეს იქვე. სამმა სპამ დილეგიდან გამოიყვანეს ნაგვემი ერისთავი და მარგილებზე ხელფეხით მიაკრეს.

მერმე მოვიდა ტფილისელი ჯალათი საღირა, წვერგაბრუძგვნილი, ცალთვალა კაცი, რომელსაც მარღია კამეჩს მიუგავდა ის ერთადერთი თვალი და სახე ნახანჯლარებით დაჩეხილი ჰქონდა სავსებით.

ამოიღო საღირამ ჯიბიდან ორი რგვალი ფირფიტა რკინისა, ადამიანის თვალზე უფრო ფართე ოდნავად, ორ შამფურზე წამოაცვა ორივენი, გაჩაღებულ ცეცხლში შესდო და აუღელვებლად უცდიდა მათ გახურებას. მერმე გამოიღო კვლავ და ასე მშვიდად მიადო სათითაოდ ორივე თვალზე ხელ-ფეხ გაკოჭილ კოლონკელიძეს.

გასაოცარი მამაცობა გამოიჩინა კვეტარის ერისთავმა, მან ერთხელ დაახველა მხოლოდ.

შიშხინებდა დავსილი თვალები, სისხლნარევი, გამურული სითხე წურწურით ჩამოსდიოდა სახეაღგზნებულ კოლონკელიძეს გაჟღალებულ წვერზე.

როცა ორივე თვალის სისველე ამოაშრო საღირამ, ხელი შეუშვა, გააცივა რკინის ფირფიტები, მზრუნველი ხელით შეჰხვია ორივენი მჩვრებში და ჯიბეში ჩაიდო ისევე.

ერთ წუთში საოცრად დაუსივდა და გამოეცვალა კოლონკელიძეს სახე. იგი უკვე აღარ ჰგავდა თაფლისფერთვალება ერისთავს კვეტარისას.

ზვიადმა ბრძანა და დააქციეს ოთხივე გოდოლის ზღუდენი. მეფემ ერთად ერთი სათხოვარი შეუსრულა გურანდუხტს: მთავარი ციხე დაურღვეველი დასტოვეს, რათა თვალდაბნელებულ კოლონკელიძეს და მის თანამემცხედრეს მანდ დაელიათ სიცოცხლის დღენი.

გადასწყდა: შორენა წამოეყვანათ ტყვედ, რათა არავინ ჩაესიძებინა კოლონკელიძეს და შურისგებას არ გამოდგომოდა. ათი შიმუნვარი გამოატანა შორენას დედამ და ვარდისახარ პირისფარეში მისი.

ხელები გაუკრეს კონსტანტინე არსაკიძეს, შორენას ძუძუმტეს, რომელიც პირველად მოვიდა კვეტარის ციხეში მეფის სპათა შემოსვლის მაცნედ. სამასიოდე მონასპაც წამოიყვანეს ტყვედ.

ათი შიმუნვარი გამოაყოლეს შორენას, მთელი საგანძური კვეტარის ერისთავისა და ირმის ჯოგი. მხოლოდ ერთი მეწველი ირემი დაუტოვეს გურანდუხტს.

*

* *

შავლეგ ტოხაისძეს იმედები გაუცრუვდა. მას ასე ეგონა: კოლონკელიძე ჭკუას იხმარდა, ციხეში შეიპატიჟებდა მეფეს და ზვიადს, თვალებს დასთხრიდა ორივეს, შემდგომ ამისა საერთო ძალით გაქლეტავდნენ მეფის ლაშქარს.

ეხლა თავათ ქენჯნიდა თავის თავს: რად არ მოვწამლეო მეფე ქორსატეველას ციხეში საუზმობის დროს?

მოწამლული ღვინო მზად ჰქონდა, მაგრამ გამბედავობამ უღალატა, რადგან ერჩია, სხვისი ხელით მოგლეჯა ნარისა.

დიდ აღმართში მოსართავი გაუწყდა მამამზეს, ლაშქარს ჩამორჩნენ მამამზე და ტოხაისძე.

ვიდრე მეჯინიბე მოსართავს გამოცვლიდა, შავლეგმა იდროვა და უჩურჩულა: მეფე და ზვიადი მივიწვიოთო ქორსატეველას ციხეში.

ჭენებით დაეწიენ მეფის ამალას.

ხელახლა მოიპატიჟა მამამზემ გიორგი, ეს ღამე ჩვენსას გაათენეო. ზვიადსაც იგივე სთხოვა.

სპასალარიც ფრიად მოქანცული იყო, თავდაპირველად იგი დაეთანხმა, მაგრამ ოჩანის ნაციხვარს რა მიაღწიეს, გუნება შეეცვალათ მიპატიჟებულთ, მადლობა მოახსენეს მასპინძელს და მოკლეებით გასწიეს უფლის ციხისაკენ.

მცხეთაში მისვლისთანავე ირმის ჯოგი სასახლის ეზოში დააბინავეს, შორენა და მისი შიმუნვარები ჩაჰკეტეს ღართის კარის ციხეში, ხოლო კონსტანტინე არსაკიძეს ერთი საკანი მიუჩინეს მთავართა სანათლოის უბანში, ძველი ბაზილიკის ნანგრევებს გადაღმა სადაც ფარსმან სპარსი ცხოვრობდა მაშინ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ხახუტაშვილი

იოსებ ლალიაშვილი

რომანი *)

ყაზიმულა.

სასაფლაოდან ხალხი სამ საათზე დაიშალა. შემოდგომის წყნარი მზე გორის მიდამოს კვლავ ტკბილად უალერსებდა და შეუმჩნევლად დასავლეთისაკენ იხრებოდა.

ყველა წავიდ-წამოვიდა, ირგვლივ ყველაფერი დაყრუვდა.

მხოლოდ დაბალი ნამჯიდან კალიების სისინი ისმოდა.

ვარდ-ყვავილებით შემკულ ვასოს საფლავზე ორი პეპელა დათამაშებდა, ხოლო ზემოთ, დანგრეული კოშკის გადმოღმა, ქედანი გაბმით მოსთქვამდა.

სულ არ გასულა ნახევარი საათი, რომ კვერნაკის ფართო გზაზე ნაცრისფერ ჩოხიანი, ტან-წერწერტა მგზავრი გამოჩნდა.

ოცდახუთი წლის ლამაზი ვაჟკაცი სასაფლაოსკენ მიდიოდა, ტანს არ არხევდა, თითქოს ყინულზე მიცურავსო.

აკოკოლავებულ სასაფლაოზე ხრიზანტემებმა უკვე თავები ჩაქინდრეს, მომაკვდავმა ვარდებმა ირგვლივ ძლიერი სურნელება მიმოაბნიეს, როცა საფლავთან მიახლოვებულ მგზავრს ნაბიჯი დაუმძიმდა. ნელ-ნელა მივიდა, ჯერ საფლავს დააცქერდა, შემდეგ თავი აიღო და შორს გაიხედა, თითქოს საკუთარ ფიქრს თვალი გააყოლა, და ფართო ქუთუთოები ისევ მძიმედ რომ დახარა, ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოაბნია.

ადუღდა გული ახალგაზრდისა. ერთ ადგილას ველარ გაჩერდა, საფლავს რამდენჯერმე შემოუარა, აქეთ-იქით გაიხედა და რა დარწმუნდა, რომ არავინ იყო, უბიდან სალამური ამოიღო, ჩაბერა და ისეთი მკვნესარე ხმები გაჰფანტა, რომ სადღაც მოლუღუნე ქედანი იმ წამსვე გაჩუმდა.

მოწოლილ გრძნობებს ახალგაზრდა გულში რომ ველარ იტევდა, სალამურს აჩერებდა და სასოწარკვეთილი ხმით გაიძახოდა:

— ოი, ვასილ, ოი, ვასილ!

როცა ამ ამონაკვნესით დიდოელი ლეკი ბოლმას შეიმსუბუქებდა, ისევ სალამურს მიმართავდა და რალაც აღგზნებით უკრავდა, უკრავდა და გულში მოზღვავებულ გრძნობებს ცოცხალი სურათებად სჭვრეტდა.

---

* გაგრძელება. იხ. მნათობი № 10

ყაზიმულას ერთწამს თვალ წინ წარმოუდგა ვასოს ცეცხლით აღსავსე თვალები.მისი ხმაც ყურში ისე მკაფიოდ დაერხა, რომ ახალგაზრდა მოგონების ცეცხლმა დასწვა და დასდაგა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვდეს, ყაზიმულ, რუსთა ხელმწიფე რუსის ხალხისთვისაც ისეთივე მტარვალია, როგორც აოხრებულ დაღესტნის, დამონებულ საქართველოს და მრავალ სხვა ხალხისთვის. ჩვენ ყველანი ძმები ვართ, ყველანი ერთად უნდა შევდუღდეთ,ერთი მიზნით აღვიჭურვოთ, ყველანი ერთად ვეკვეთოთ, რომ სისხლისმსმელი თვითმყრობელობა პირქვე დავცეთ და ძირიან-ფესვიანად აღმოვფხვრათ. მანამდის კი დაღესტანში ოცი ისეთი დევგმირი მებრძოლი რომ წარმოშვას, როგორიც იყო შამილი, მარტო ისინი მაინც ვერაფერს ვერ გახდებიან.

ასე ელაპარაკებოდა ვასო დეკანოზიშვილი ყაზიმულას, როცა ისინი მეტეხის ციხეში ისხდნენ.

ყაზიმულა ლოცავდა იმ დღეს, როცა მეამბოხე ლეკი ეჭვით დაიჭირეს და ციხეში ჩაამწყვდიეს. მეტეხის ციხე ყაზიმულასათვის დიდ სკოლად გადაიქცა, სადაც ბრძენ მასწავლებლად, უსაყვარელეს მეგობრად ვასო დეკანოზიშვილი მოევლინა.

მაგრამ სანამ ვასოს გაიცნობდა, ლეკი ციხეში ძალიან იტანჯებოდა. თავს მარტოდ-მარტო გრძნობდა, სეირნობის დროს არავის ეკარებოდა და შუბლმოღუშული კედელ-კედელ კენტად დადიოდა..

სულის შემხუთველ საკანში კი ყაზიმულა განუწყვეტლივ აოხრებულ დაღესტანზე ფიქრობდა. ბევრჯერ ისე გამწარებულა,რომ საკნის კედლებზე თავს ახლიდა.

ყაზიმულას ახლა ის წუთიც გაახსენდა, როცა ვასო პირველად გაიცნო.

ზაფხულის მთვარიანი, წყნარი ღამე იყო. ყაზიმულას საკანში მთვარის შუქი ვერცხლის სვეტად შეჭრილიყო და ჭუჭყიან იატაკზე ნაზად ციალებდა. ლეკმა სარკმელს ახედა და როცა ლურჯად მოკრიალებული ცის ნაჭერი დაინახა, გაახსენდა აწიოკებული, ლამაზი დაღესტანი ლურჯი ცით და მოკაშკაშე ვარსკვლავებით და შმაგად იქცა.

მოაგონდა შამილის მიერ ციცაბო კლდეზე აგებული სასახლე ახულგო.

მთვარიან ღამეში ეს სასახლე თვალით უნახავ ზღაპრულ მშვენიერებას წარმოადგენდა, საიდანაც ვეფხვივით მძვინვარე იმამი 1839 წელს იძულებული შეიქნა დროებით გაქცეულიყო, რომ ჩაჩნებისა და ლეკების ახალი ძალები შეეკრიბა და კალიასავით შემოსეულ რუსის ჯარს მოულოდნელად არწივივით დასცემოდა და ბდღვირი ედინა. ბევრი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ თავისუფლებისათვის თავგანწირულ მეომარს 1859 წელს გუნიბმა ულალატა და... დაიმსხვრა ყველაფერი.

ამის გახსენებაზე ყაზიმულამ კბილები დააკრაჭუნა და მრისხანებით აღივსო. ის წუთი იყო, როცა მეტეხის სიჩუმეში სალამურის ტკბილი ღიღინი შეიჭრა და პატიმართა მყრალი საკანი გულწარმტაცი კრიმანჭულით აავსო.

ყაზიმულა შეკრთა, გაოცდა. თვალები ფართოდ გაახილა და ყურები დაძაბა.

ლეკი თვითონ სალამურის კარგი დამკვრელი იყო, მაგრამ როცა სხვისი გულის სევდა სალამურის ხმებით მოულოდნელად თვალ-დაბნელ, ახალგაზრდის გულმა ვეღარ გაუძლო, პირქვე დაემხო და აქვითინდა.

სალამურის დამკვრელი ვასო დეკანოზიშვილი იყო.

ჩოხაში გამოწყობილ ვასოს სალამური ციხეში მასრით შეეპარებინა, მთვარიან ღამით პოეტის აგზნებულ გულს სალამურისათვის მიემართა და მოძმე ტუსაღებს ტკბილ ხმებს მალამოდ უგზავნიდა.

ნახევარი საათის განმავლობაში ვასოს სალამური კვნესოდა და პატიმართა საკნებში შეჭრილი ხმები, ყაზიმულას მსგავსად, ბევრი სხვა ტუსაღის გულსაც გმირავდა.

ადმინისტრაციას ჯერ ეგონა, რომ ეს ხმები ციხის გარედან ისმისო. მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ხმები ერთ-ერთ საკანიდან მოისმოდა, უცებ დაფაცურდა და ყველაფერი შეწრიალდა.

აეღარუნდნენ კლიტეები, აწკრიალდნენ ჯაჭვები... გაჩნდა ჩხრეკა და დავიდარაბა, მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვეს და საათ-ნახევრის შემდეგ მეტეხის ციხე კვლავ მკვდრულმა დუმილმა შთანთქა.

კლდეზე აგებული ეს ციხე იმჟამად ცოცხალთა დიდ სამარეს ჰგავდა, რომლისათვისაც ობოლს სანთლად ცის ლურჯ გუმბათზე კაშკაშა მთვარე დათენებულიყო, ხოლო ქვემოთ, კლდის ძირში, მტკვარი განუწყვეტლივ რაღასაც მოსთქვამდა.

ყაზიმულა მიხვდა, რომ სალამურის დამკვრელი პატიმარი იყო და გაშმაგებით დაუწყო ძებნა.

რამდენიმე ღამეს ვასო პატიმართა გულს ჩუმად ატკბობდა, მაგრამ ბოლოს გაუგეს და ამყრალებულ,ბნელ და ნოტიო საკანში შეაგდეს. აქ გატყდა ჯანი დევ-გმირის მსგავსი ვაჟკაცისა.

როცა ვასო ნოტიო საკნიდგან გაანთავისუფლეს, ეს ამბავი ყველაზე ადრე ყაზიმულამ გაიგო, მალე გაიცნო იგი და მოკლე ხანში მისდამი რწმენა, პატივისცემა და სიყვარული გულში ისე ჩაეჭრა, რომ ციხეში ძმად გაეფიცა.

ვასომ ამითი ისარგებლა. როცა ყველაფერი გააცნო, მომავალი მუშაობის გეგმა შეადგინა და თან დასძინა:

— იცოდე, ყაზიმულ, საერთო ამბების ჟამი მოახლოებულია და იმ-დროსთვის შენც მზად უნდა იყო. დიდი სიფრთხილე კი გჭირია: მხოლოდ შენს ძმად ნაფიცებს ენდე, ბეგები ახლო არ გაიკარო, ისინი უცხონი არიან, ხალხის ტანჯვა და ტკივილი მათთვის გაუგებარია—ისინი ჩვენ არ გამოგვადგებიან. ყველა მაზრიდან: დიდოეთს, სამურის, ავარიის, თემირხან-შურის და სხვებიდან თითო თავგამოდებულ ძმათნაფიცს მოუხმე, მოელაპარაკე და როცა მათი მეოხებით ამ დიდ საქმეს საძირკველი ჩაეყრება თუ მანამდის არ გამანთავისუფლეს, აი ამ ბარათით გორში ქაიხოსრო ფურცელაძესთან მიხვალ და ჩვენთან კავშირის გაბმისა და მომავალი საქმიანობის გზას ის

და სოფრომ მგალობლიშვილი გასწავლიან, ოღონდ ჩაჩნებიც არ დაგავიწყდეს. თან ოთხი თავდადებული ძმათნაფიცი წამოიყვანე და უსათუოდ დროზე მოდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოი, ვასილ! იმამის მსგავსო, საყვარელო ვასილ! — ... და რა დამახვედრე, ვასილ? ჩემი ოთხი ამხანაგი, სადაც მითხარ, მოგიყვანე. მათ გულს შურის ძიების ცეცხლი უკიდია. მათი ბედაურები მთებში მოუთმენლად ჭიხვინებენ და ტორებით ნაპერწკლებს ჭყრიან! აღმოხდა ლეკს გმინვა, სალამური იქვე დააგდო და საფლავზე პირქვე დაემხო.

უკვე გვიან იყო. დასავლეთით უკანასკნელი სხივები სწრაფად გახუნდნენ. გაშლილ ველ-მინდორზე ყაზიმულა ზეზე ადგა, მესტები მსუბუქად შეიბერტყა, თვალებზე ხელები გადაისვ-გადმოისვა და გორისაკენ მიტრიალდა.

პატარა ქალაქი ბინდ-ბუნდში ეხვევოდა. როცა უსწორმასწოროდ მოკირწყლულ ქუჩაში მიმავალი ყაზიმულა შეჩერდა. ახალგაზრდამ არ იცოდა, საით წასულიყო.

თანაც გული უცნაურად უღელავდა, სახეზე საშინელი სევდა აღბეჭდოდა და თვალები ცეცხლით ევსებოდა. ვასოსადმი სიყვარული და ღრმა პატივისცემა ყველა ქართველზე გადმოეტანა და იმ დროს, როცა იგი ვასოს ამხანაგების სანახავად მიემართებოდა, ძლიერი განცდისაგან ყმაწვილს საკუთარი გულისძგერა ყურებში უცნაურად ესმოდა.

— ოი, ალააჰ! რატომ ამ კლდე გულმა რამდენიმე დღით ადრე მაინც არ გამომწია, რომ ერთხელ, მარტო ერთხელ და უკანასკნელად კიდევ მომეკრა თვალი იმ უცნაურ ადამიანისთვის, რომელიც ბრწყინვალე მზედ მექცა და რომელმაც ცხოვრების ბნელი გზა ასე აშკარად გამინათა?!

მოსთქვამდა ლეკი და დამძიმებული ნაბიჯით ქვემოთკენ მიემართებოდა.

— არა, არ შეიძლება, რომ იქ, სადაც ვასილი დაიბადა, იმ ქვეყანას ერთი ორი ბრძენი კაცი კიდევ არ ჰყავდეს და, ალბათ, ისინიც ვასოს მსგავსი ჭკვიანური თვალებით იყურებიან. ოი, ალლააჰ! ნეტავი რომელიმე მათგანი სახის პაწია ნაკვთით მაინც ჰგავდეს ვასოს, რომ ისევე შევიყვარო და გულით ვენდო, როგორც მას ვენდე!..

ამ სევდიანი ნატვრით ყაზიმულამ მოკლე და ვიწრო ქუჩა აჩქარებული ნაბიჯით განვლო და როცა სამასწავლებლო სემენარიის გრძელ ქუჩაზე გავიდა, ისევ ქვემო მიმართულებით განაგრძო გზა და მალე ფართო მოედანს მიადგა.

— ალბათ, ექიმ ფურცელაძის სახლი ყველამ იცის, ვკითხავ ვისმეს, — გაიფიქრა ყაზიმულამ და იქვე, მოედანთან, მალალი ვერხვივით შემოგრაგნილ ეზოს მოადგა.

ლეკმა ალაყაფის კარებში შეიხედა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ გაბედა: ვერხვის ქვეშ მსხვილ-ნაწნავებიანი ქალი იჯდა და თავდაღუნული თეთრ საკერავს ბინდბუნდში ჯიუტად ჩაჰკირკიტებდა.

თუმცა ქალს თავი დახრილი ჰქონდა, მაგრამ პირის სიმრგვალეზე, კოხტად მოყვანილ ცხვირზე და პაწია ნიკაპზე ეტყობოდა, რომ ლამაზი უნდა ყოფილიყო.

მსხვილ ნაწნავებზე თეთრი ღინჭილოები და გახვრეტილი ტუალეტუნები ჰქონდა შებმული, რომ „ერთ ქალად ღირებული თმა, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე, ავ თვალს არ დაეთარსა და არ ჩამოსვლოდა.

ყაზიმულას ეს სანახავი გულს ეფონა: მის სამშობლოში ეს ამ თილისმის ძალა სწამდათ და ქართველებს როგორც მძიმე ხვედრით, ისე ამითაც თითქმის ენათესავებოდა.

ყაზიმულა ხმაამოუღებლივ იდგა და ეზოში იცქირებოდა.

ქალმა მიშტერებული თვალების ძალა იგრძნო და ზევით აიხედა. შავი თვალები ლამაზ სახეზე ცეცხლებივით აგიზგიზდნენ და ვარდისფრად პირგაშუქებული ქალი უცებ ზეზე წამოიჭრა.

ყაზიმულამ უცხო ქართულით ქაიხოსროს ფურცელაძის მისამართი იკითხა და ახალგაზრდული სიხალისე სევდიან გულში თავის თავად შეეჭრა.

ყმაწვილი წელში გასწორდა, წვრილი ვერცხლის ქამარი კოხტა წელიდან ოდნავ ძირს ჩაიწია და ქაიხოსროს გვარი კიდევ გაუმეორა.

ქალს გვარის გაგონებაზე თვალები გაუცოცხლდა და მომჯადოებელი ღიმილით ეს აგიზგიზებული თვალები მიმინოსავით გორის ციხის არშიან გალავანს გააყოლა:

— აი, ასე წაბრძანდით, იმ ციხის ქვემოთ დახურული ბაზარია და როცა ზემოთ მოტრიალდებით, ის ბაზარი სწორედ იმ ქუჩაზე გაგიყვანთ, სადაც ექიმი ფურცელაძე ცხოვრობს .

ქალმა ლამაზი თითით ჰორიზონტი შემოუხაზა.

ყაზიმულამ გულზე და შუბლზე ხელის დადებით თავაზიანი მადლობა უძღვნა და სწრაფად განშორდა.

ლეკმა ქაიხოსროს სახლი ადვილად იპოვნა, მაგრამ თითონ ქაიხოსრო სახლში არ დაუხვდა. ყაზიმულა მიხვდა, რომ ქაიხოსრო ამ დღეს დეკანოზიშვილის სახლში უნდა ყოფილიყო და ახლა, კითხვა-კითხვით იქითკენ გაეშურა, რადგან იმ საღამოს მისი ამხანაგები პასუხს უცდიდნენ.

ვასოს ბინაზე კი იმ დროს, ჩვეულებისა და ადათის მიხედვით, მაგიდები გრძლად გაეშალათ და გარშემომსხდარი სტუმრები დანა-ჩანგალს მორიდებითა აწრიალებდნენ.

მგზავრობით, და მწუხარებით დაღლილი სტუმრები სდუმდნენ და საჭმელს შეექცეოდნენ,

ზოგჯერ ხმა ამაღლებული გამოძახილი ისმოდა ქვემოდ, ან, ეზოდან, სადაც სარკესავით მოკრიალებული დიდი საარაყე ქვაბები დინჯად ორთქლავდნენ და თეთრ წინსაფარიანი მზარეულები ხაპირ-ქაფქირებით თავს დასტრიალებდნენ.

მერიქიფეები ფაიფურის დიდი ლანგრებით წინ და უკან დარბოდნენ.

უკვე შემოღამდა, როცა დაპურებული სტუმრები წამოიშალნენ.

იატაკზე მრავალი ფეხი ახმაურდა. შუა ოთახში ვიღასაც ქვითინი აღმოხდა და კიბეზე დაქვეითებულ ხალხს ზურგს უკან დაეწია.

სულ უკანასკნელ ოთახში მოთავსებული სტუმრები კი ჯერ ადგილიდან დაძვრას არ აპირებდნენ. ისინი სერიოზული სახეებით ისევ სუფრას უსხდნენ და მთლად სმენად იყვნენ გადაქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც საჭირო იყო, ამ ოთახში წინასწარ დაემზადებინა ... ძლივი პურადობის ჟამს კარი არავის შეუღია. მხოლოდ როცა ერთ-ერთ სამგლოვიარო დეპეშის წაკითხვის დროს, დიდ დარბაზში სკამები ახმაურდა და ხალხი ვასოს პატივსაცემად ფეხზე ადგა, იმ პატარა ოთახში მსხდომმა სტუმრებმა დაღუნული თავები ასწიეს და გაკვირვებით ერთმანეთს შეხედეს

როგორც უფრო შინაური კაცი, ქაიხოსრო ფურცელაძე ფიცხლავ წამოდგა და კარს მიაშურა,

იგი ისევ სწრაფად შემოტრიალდა, კარი მჭიდროდ მიიხურა და თავის ალაგზე დადინჯებული სახით ჩამოჯდა,

, იმ საერთო მწუხარების ჟამს მოწინავე ყმაწვილკაცობას შემთხვევით ესარგებლნა და თავმოყრილ ხალხისან ახალგაზრდობას საიდუმლო ბჭობა გაემართა.

— მე ვამბობ, ისევ განაგრძო ხმაურობის გამო შეწყვეტილი სიტყვა გიორგი ზდანოვიჩმა და მიტკალივით თეთრი ხელი წითურ თმებზე გადაისვა, მე ვამბობ, რომ რუსეთი ამ ორიათეული წლების განმავლობაში დიდ ეკონომიურ ცვლილებას განიცდის. მართალია, გლეხთა განთავისუფლებამ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ ისიც მართალია, რომ მან გლეხის ცხოვრებაში არსებითი ცვლილება შეიტანა. გლეხი სოფლიდან დაიძრა და ქალაქს მოადგა, სადაც ამჟამად კაპიტალი გაჩნდა და მასთან ერთად მუშათა კლასიც ჩაისახა. ჩვენს ქვეყანაში ბატონყმობის გადავარდნამ საგრძნობი ცვლილება გამოიწვია: რკინის გზის გაყვანამ, ჭიათურის მარგანეცმა, საქართველოს საზღვრებიდან თურქების განდევნამ ჩვენი ქვეყანაც სხვანაირად აამოძრავა. მაგრამ ერთი რამ არის ჩვენთვის დამაფიქრებელი: სახელდობრ ის, რომ ჩარჩ-მევახშეთა ხასიათის კაპიტალს ჩვენს ქვეყანაში უცხო ხელი ატრიალებს. ეს გარემოება კი დღეს იმას გვავალებს, რომ თუ აქამდე ჩვენ გლეხობაზე ვფიქრობდით, ამიერიდან მეტი ყურადღება ქალაქს უნდა მივაქციოთ და ქალაქის სავაჭრო განვითარების სათავეში ჩვენივე ხალხი ჩავაყენოთ. ქალაქად აღორძინებული ვაჭრობა-მრეწველობა ჩვენს ქვეყანას კულტურულ ძალასაც შესძენს და ამავე დროს მებრძოლ მუშათა კლასსაც წარმოშობს.

ზდანოვიჩმა თავი ზევით ასწია ფირუზისფერი, თვალებით ამხანაგები შეათვალიერა და ისევ განაგრძო:

— მე ამით ბურჟუაზიული კლასის ტრფიალებისაკენ კი არ მოგიწოდებთ, ოღონდ თვალები უნდა გავახილოთ, კარგად უნდა დავინახოთ, რომ ეს პროცესი ჩვენს ქვეყანაში ჩქარი ნაბიჯით მიმდინარეობს და მე ვამბობ ჩვენი ერთობისათვის საჭიროა, რომ ეს კლასი, ე. ი. ბურჟუაზიული კლასი, უსათუოდ ეროვნული იყოს. ეს მოვლენა ხაზგასმით იმიტომ უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ძალის მატარებელი—ჩვენი თავად-აზნაურობა დღითი დღე ამ როლს ჰკარ-

გავს და ეს ასეც უნდა მოხდეს, მას ვერაფერი ვერ შეაჩერებს, მაგრამ სანამ მის ნაცვლად გლეხობა და მუშათა კლასი სოციალისტური საქართველოს სათავეში ჩაუდგებოდეს, მანამდის ქვეყნის ხელმძღვანელობა და მისი აღორძინება ეროვნულ ბურჟუაზიას უნდა დაეკისროს. — მე ვსჯიდი, რომ ამ ჩემმა აზრმა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი მგონი, დიდად გააკვირვა, მაგრამ თქვენი პასუხის შემდეგ, შევეცდები, რომ ეს მოსაზრება უფრო ნათლად დაგისურათოდ.

ზდანოვიჩმა უკანასკნელ სიტყვებთან ერთად თვალები დაბლა დახარა, და დადუმებული ორატორი, მზის უკანასკნელი სხივებით განათებული, მარმარილოს ქანდაკებას დაემსგავსა.

წუთით დუმილი ჩამოვარდა. სერგეი მესხმა ჯერ ყველას გადახედა, შემდეგ ოდნავ შეიშმუშნა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— ბატონებო, მე ვფიქრობ, გიორგის არაფერი გასაკვირველი არა უთქვამს რა. პირიქით, მისი აზრი, მე მგონია, სავსებით გასაგებია, ოლონდ მე მინდა მის ნათქვამს საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე ჩემი პატარა მოსაზრებაც დავუმატო: რამდენადაც რუსეთის სახელმწიფოებრივ-ეკონომიური აღორძინება ჩვენი ქვეყნის საერთო ცხოვრებას წინ სწევს, იმდენად თვითმყრობელობის პოლიტიკა მკაცრი და დაუნდობელი გახდება ჩვენთვის. თავადაზნაურთა გადაგვარების ნიადაგზე, როგორც სჩანს, მეფის პოლიტიკოსებს, ალბად, ისიცა სწამთ და გეზი იქითკენ მიაქვთ, რომ ჩვენი ქვეყანა მთლიანად იმავ გადაგვარების გზას დააყენონ, მთელი მათი ყურადღება და საქმიანობა ეხლა იქითკენ არის მიმართული, რომ ქართველ ხალხს ვითომ ნებაყოფლობით უარი ათქმევინონ თავის კულტურასა და ენაზე. ამ კოლონიალური პოლიტიკის გატარების დროს, თქვენც კარგად ხედავთ, რა დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ, მაგრამ ამით გაალმასებული მთავრობა ახლა დღითი დღე უფრო მკაცრ გეგმებს და ბრძანებებს ამზადებს, რომ რასაც ხალხი თავის ნებით არ შეასრულებს, ძალით შეასრულებინონ. აქაც, მე მრწამს, მეფის პოლიტიკა უსათოვოდ კისერს მოიტეხს, რის მაჩვენებელიც ჩვენს რედაქციაში მიღებული აუარებელი მასალაა. ეს მასალა სავსეა საშინელი აღშფოთებით და მკაცრი პროტესტით იმ უხეში პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც მეფის მოხელეები აწარმოებენ, და, მე ვფიქრობ, აქ ჩვენ უსათუოდ ვალი გვაწევს, რომ ამ აღშფოთებას სერიოზული ხელმძღვანელობა გაუწიოთ, რათა ეს აღშფოთება უსისტემო, კერძო გამოსვლებით არ გამოიხატოს და...

სერგეი მესხმა უცებ სიტყვა შესწყვიტა. ყველამ თავა მაღლა ასწია და ხელმეორედ კარებისაკენ მიატრიალეს.

კარებს ვიღაცა აკაკუნებდა.

კარებთან ახლო მჯდომი მათე კერესელიძე ფირცხლავ წამოდგა, კარი ოდნავ გამოაღო და უსიტყოდ გაიხედა.

— სოფრომ, შენ გიხმობენ, — მიტრიალდა მათე მგალობლიშვილისაკენ და კარებიდან ჩამოეცალა.

სოფრომი გავიდა და კარი მჭიდროდ გაიხურა.

— დღეს ჟანდარმები არსადა სჩანდნენ. ალბათ, გადაცმული მეთვალყურე ამ აუარებელ ხალხში თანამგრძნობ ჭირისუფლად თუ გამოიჭიმა და არხეინად თვალყურს გვადევნებდა, — ირიბი ღიმილით ჩაილაპარაკა კირილე ლორთქიფანიძემ და ამით სხვების გულშიაც აღძრული ეჭვი ხმა მაღლა გამოამჟღავნა.

— არც საკვირველია, — ღიმილითვე ჩამოართვა სიტყვა სერგეი მესხმა, — ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ადამიანს ჭირსა თუ ლხინში ერთი და იმავე ფიქრით უნდა ემსჭვალებოდეს გული. მე რომ გუშინ დათიკო ხიმშიაშვილთან მივდიოდი, ერთ-ერთი მათი „საპატიო წარმომადგენელი“ აჩრდილივით უკან ამედევნა... მაგრამ ვიცანი, აფთიაქში შეველ და...

მესხმა სიტყვა ველარ დაათავა. კარი ისევ გაიღო და უცნაურად სახე შეცვლილი სოფრომ მგალობლიშვილი შემოვიდა. ყველა შეშფოთდა, მაგრამ კრინტი არავის არ დაუძრავს, სოფრომი სუფრის თავში გაჩერდა და ნერვიული მოძრაობით გაცვეთილი და გაყვითლებული ქაღალდი გახსნა, თან მღელვარების გამო ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა:

— მეგობრებო, აი ამ წამს დაღესტნიდან ლეკების წარმომადგენელი გვეწვია...

ყველამ შვება იგრძნო, და სოფრომს ახლა გაოცებით დაუწყეს ცქერა.

სოფრომმა ქაიხოსროს გახედა და ნაღვლისაგან ჩახლეჩილი ხმით მიმართა:

— ქაიხოსრო, გახსოვს, ამ ზაფხულს საწყალი ვასო რომ ყაზიმულაზე გველაპარაკებოდა... სწორედ ის არის... აი, ვასოს მიერ ციხეში დაწერილი ბარათიც...

ქაიხოსრო ფიცხლავ ფეხზე წამოდგა, სოფრომს ბარათი ჩამოართვა და ჩახედა.

სხვებიც თავთავიანთ ადგილიდან წამოიშალნენ და სოფრომის ირგვლივ თავდახრილებმა ბარათს დაუწყეს ცქერა.

ბარათის დანახვაზე ზოგმა შუბლი უარესად შეიკრა, ზოგს კი სახეზე მწარე ღიმილმა გადაურბინა. ყველამ სული განაბა.

ქაიხოსრომ ბარათს თვალი რომ გადაავლო, თავი მძიმედ გაიქნია და მოგუდული ხმით ბარათს კითხვა დაუწყო:

„სოფრომ და ქაიხოსრო! ამ ბარათის მომტანი ციხეში შეძენილი, ჩემი ძმადნაფიცი ახალგაზრდა ყაზიმულა, შამილის უახლოესი ნათესავია. ენერგიით, გაბედულობით და თავგანწირვით სავსე ყმაწვილი ჩვენი საერთო მტრის დაუძინებელი მტერია და საერთო საქმისათვის დიდად გამოსადეგი პიროვნება. იგი მზადაა, ყოველ წუთში შეასრულოს თქვენი დავალება. ახლა თქვენი ბრძნული და წინდახედული გეგმის გათვალისწინებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. სხვა ამხანაგებთან ერთად ყველაფერი კარგად ასწონ-დასწონეთ და საქმის ვითარება მეც შემატყობინეთ, თორემ ლამის ჩემ ავადმყოფობაზე უარესად მოუთმენლობამ დამსაჯოს. აბა მხნედ და მარჯვედ იყავით! თქვენი ვასო“.

ბარათის წაკითხვის შემდეგ ჩუმი მღელვარება შეუტყვეთ. მცირე თათბირის შემდეგ ქაიხოსრო და სოფრომი ლეკთან მოსალაპარაკებლად გაისტუმრეს, ხოლო თვითონ უფრო აღფრთოვანებულ გრძნობით ბჭობა მცირე ხანს კიდევ განაგრძეს.

ბიბლიოთეკა

სოფრომმა და ქაიხოსრომ ლეკი ცალკე პატარა ოთახში შეიპატიჟეს, ხელად სუფრა გააწყეს და როცა ლეკი კარგად დაპურდა, მსჯელობას შეუდგნენ.

მცირეოდენი ღვინის შესმის შემდეგ თვალებანთებულმა ყაზიმულამ თავი ნაღვლიანად გააქნია და ამოოხვრით წარმოსთქვა:

— ვასო რომ არ დამხვდა, თავზარი დამეცა, გული მეტკინა და დავიბენი, მაგრამ მე თქვენი იმედი მაქვს, ალბათ, ვასოს მაგიერ თქვენ იქნებით ჩვენი ხელმძღვანელნი.

ყაზიმულამ თავი მაღლა ასწია და ქაიხოსროს შეჰხედა.

— ყაზიმულ, ჩემო ყაზიმულ! დიდი ხანია რაც გელოდებით, — სიტყვა მიაგება ქაიხოსრომ, სკამი მისწია და უფრო ახლო მიუჯდა. — დღეს ჩვენ ისე გხვდებით, როგორც დიდი ხნის ნაცნობს და დიდი ხნის მეგობარს. ვასომ ისე ჩაგვაგონა და შენც ისევე უნდა გვენდო, როგორც შენ ნამდვილ და უახლოესს ნათესავს. აი ეხლა შენი ქვეყნიდან მოდიხარ და გულახდილად უნდა გვიხთრა: რას ფიქრობს თქვენი ხალხი და რა დამოკიდებულებას მოითხოვს ჩვენგან?!

ლეკმა ახლად ამწვანებულ ულვაშებზე ხელი გადაისვა და უპასუხა:

— განა თქვენ არ მოგეხენებათ, რასა ფიქრობენ და რას მოელიან? საწყალი ჩვენი ხალხი სრული ორმოცი წელიწადია, რაც რუსეთის მიერ აღმართულ ხმლის ქვეშ იტანჯებოდა და იწოდა, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა შამილთან ერთად თავისი გადამტვრეული ხმალი ძირს დაედო და მაზედ მოსეულ დიდ ძალას დანებებოდა. მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ დაღესტანს სამუდამო მორჩილება გულში ერთი წუთითაც კი არ გაუტარებია. მეფის მოხელეების უმსგავსმა მოქმედებამ ხომ შურისძიება და უკმაყოფილება ერთი ორად გაუძლიერა. ეხლა ჩვენში რუსების წინააღმდეგ ამხედრებულია არა მარტო ის, ვინც უკანასკნელ წუთამდე შამილთან ერთად იბრძოდა, არამედ ისიც, ვინც წინად შამილს გადაუდგა და მათ მიემხრო. ახლა თითქმის მთელი დაღესტანი ბრძენ მეთაურს ეძებს და დროს ელის...

ყაზიმულა ცოტა ხანს გაჩუმდა და შემდეგ უფრო მტკიცე კილოთი განაგრძო:

— მე შემიძლიან დარწმუნებით ვთქვა, რომ დღეს ჩემი საუკეთესო თანამემამულენი გრძნობენ მამა-პაპათა იმ დამღუპველ შეცდომას, რომელიც ჩვენ და ქართველებს შორის საუკუნეებით გრძელდებოდა და რომელიც ორივე მხრისთვის საბედისწერო იყო. ბუნებრივად ჩვენთან დაკავშირებულ საქართველოს მუდამ ებრძოდა ჩვენი მამა-პაპა თურქეთის და ირანის კეთილდღეობისათვის, მოსვენებას არ აძლევდა და ამით თავისთავსაც ღუპავდა. აი სწორედ ჩემი თვალახელილი თანამემამულენი

დღეს იმას მავალებენ, რომ გადმოგცეთ ჩვენი დიადი სურვილი თქვენთან დაკავშირებისა და იმ საშინელი უფსკრულის მოსპობისა, რომელიც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებდა.

ლეკი გაჩუმდა. ქაიხოსროს და სოფრომს სიამოვნების ლიმილი შეუთამაშდა სახეზე.

ქაიხოსრომ ყაზიმულას მეგობრულად მხარზე ხელი დაადო.

— ეს, ჩემო ყაზიმულ, დიდად მნიშვნელოვანი და ფრიად საყურადღებო ამბავი გვითხარი, ოღონდ მაგ სურვილებს ზოგი რამ უნდა მოაკლდეს და ზოგიც აუცილებლად დაემატოს, — დაიწყო დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით, ქაიხოსრომ და მთელი საათნახევარი ეს აგზნებული ჩურჩული პატარა ოთახში არ შეწყვეტილა.

ქაიხოსრომ ლეკს გააცნო თანამედროვე მდგომარეობა, ხალხის მზადება, მომავალი პერსპექტივები და, ბოლოს, მტკიცედ უთხრა:

— მაშ უნდა გწამდეს, ყაზიმულ, რომ შენ მარტო არა ხარ. შენთან ერთად მთელი ხალხი ეკვეთება საერთო მტერს. არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ თქვენ არემარეზე დაბანაკებულ ჯარისკაცებშიაც, როგორც სხვაგან, სწარმოებს მუშაობა და მათი შემზადება. დადგება დრო და აი იმ ჯარისკაცებს, რომელნიც დღეს თავიანთი უვიცობით და სიბრმავით თავიანთ შვილებსა და ღვიძლ ძმებს გმირავენ, თვალები აეხილებათ და იმავე მახვილით ხალხისა და მათ დამმონავებელ მეფეს გულს შეუნგრევენ.

ქაიხოსრომ წუთით შეისვენა, წუმწუმა გაჰკრა, ჩამქრალ თუთუნს ხელახლა მოუკიდა, კვამლი გვერდზე გააბოლა, სმენად გადაქცეულ ლეკს თვალებში მიაჩერდა და განაგრძო:

— შენ კი, პირადად, ჩემო ყაზიმულ, დღეს ის გევალება, რომ ხალხს ჩააგონო, რომ რუსეთთან, როგორც ერთან, ბრძოლა ძალიან მავნებელი და შეუძლებელია. ხალხი უმთავრესად იმაში უნდა დაარწმუნო რომ ის ძალა, რომელმაც თქვენ და სხვები დაჩაგრა, რუსეთის მეფის მთავრობაა, რომელიც თავის საკუთარ ხალხსაც ნაკლებად არ სჩაგრავს და აწვალებს. მაშ ამიერიდან შენი თანამოაზრენი საწინააღმდეგოდ ტყეში კი აღარ უნდა გაიჭრნენ, არამედ ხალხთან უნდა დარჩნენ, რომ ყოველგვარი საქმიანობა ხალხთან აწარმოონ და ხალხი სათანადოდ შეამზადონ. გარდა ამისა, უნდა ეცადოთ, რომ მეფის მოხელეებთან და მათ მომხრეებთან შეტაკება თავიდან აიცილოთ და ცალკეულ გამოსვლებზე არასოდეს არ იფიქროთ, რადგან ეს საერთო საქმეს ძალზე დააზარალებს.

მეორე დღეს ყაზიმულა და მისი ამხანაგები ცხენებს უფლისციხის მიმართულებით მიაქროლებდნენ.

მგზავრებმა მტკვრის სანაპირო გზას მიმართეს და როცა თამარ-მეფის გამოქვაბულთან მივიდნენ, შეამჩნიეს, რომ უფლისციხეს პატარა ბორანი მოადგა. ბორნიდან სამი კაცი გადმოვიდა; ერთი მათგანი ქალი იყო. მამა-

კაცებს ზურგზე სამგზავრო მსუბუქი ჩანთები ეკიდათ, ქალს კი დიდი საველე დურბინდი და ხელის პატარა ფოტოგრაფიული აპარატი ჭირა.

როცა მათ ცხენები შენიშნეს, უფლისციხის კლდეებს ეგებოდა ხელად აპარატის სამფეხა გაშალეს და აპარატი მზეზე შეატრიალეს.

როცა ცხენოსნებმა ჩაიქროლეს და კლდეს მოეფარნენ, მგზავრები ბილიკს დაადგნენ და კლდეში გამოკვეთილ დარბაზისაკენ გასწიეს. იქ თამარის დროის სვეტებიან ეკლესიისა და დარბაზების სურათები გადაიღეს და შემდეგ გორისაკენ გაემართნენ. ტურისტის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი იყო „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის აქტიური წევრი, ანნა პავლოვნა კორბა. ხოლო ორი მისი თანამგზავრი — ტფილისის რევოლუციონერთა ჯგუფის წარმომადგენელნი.

გრაკალში მათ გორიდან გაგზავნილი კაცი შეხვედროდათ და მას გაეფრთხილებინა, გორის სადგურზე ჯაშუშები ვილაცას გაფაციცებით უთვალთვალებენ და უფლისციხის გზით წამოდითო.

ანა პავლოვა გორში მეორედ იყო, ეს უვნებელი გზა მან კარგად იცოდა და ამ შარაგზას, ვითომ ტურისტები, უფრო თამამად დაადგნენ.

მეფის მკვლელობის ამბავი

1881 წელს, პირველ მარტს, სამის ნახევარზე ბათომის მატარებელმა გორიჯვრის გალმა იკივლა, კოხტად აკოკრებული მთის ძირში ფერადკრიალოსანივით გამოცურდა და სადგურს მიადგა.

მატარებლის უკანა ვაგონებთან ხურჯინ-აკიდებული ფარაჯიანი გლეხობა ცხვრის ფარასავით უსწორ-მასწოროდ ტორტმანებდა.

პირველი და მეორე კლასის ვაგონებთან კი თავით ფეხებამდე დაწკეპილი ხალხი თავის ადგილებისკენ მშვიდობიანი და ამაყი სახით მიეშურებოდა. მათ ჯიგებში თეთრ-წინსაფარიანი ტვირთის მზიდავი მუშები ჩემოდნებით ხელში დაჰქროდნენ.

ამ დროს სატელეგრაფო განყოფილებიდან გაფითრებული მოხელე შურდულივით გამოვარდა.

ის იყო სადგურის უფროსის წითელმა ქუდმა ქვემოთ, კანტორისაკენ შეანათა, რომ ტელეგრაფის მოხელე თავპირის მტვრევით მისკენ გაქანდა და კარებთან ათრთოლებული ხელით დეპეშა გადასცა.

სადგურის უფროსმა დეპეშას თვალი შეავლო და მთვრალივით შეტოკდა, მოხელეზე უარესად გაფითრდა და გიჟივით შეიჭრა თავის კანტორაში. იმავ წუთს ასტყდა საშინელი მიხლა-მოხლა და შერბენ-გარბენა. მთელი კანტორა რაღაც შიშის ზარმა მოიცვა. ყველა დაფეთებული თვალებით იცქირებოდა, ყველა აჩურჩულდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებლის მოსვლით გამოწვეულმა ხალხის ღრიანცელმა ტელეგრაფით მოტანილი უცნაური ამბის შთაბეჭდილება თითქოს შეანელა, მაგრამ მატარებლის წასვლის შემდეგ რკინისგზელთა მოუსვენარი შერბენ-გარბენა უარესად გაძლიერდა.

— აბა, ჩქარა, ერთი მაზრის უფროსს, ერთი მარშალს, ერთი სობოროს ბლაღოჩინს და ერთიც ამილახვარს... გესმის, ჩქარა, სანამ ბავშვებს სკოლიდან დაითხოვენ, მთელმა გორმა უნდა იცოდეს ეს ამბავი, რომ პანაშვიდის გადახდა დღესვე ყველამ მოასწროს.

აფორიაქებული სადგურის უფროსი ისევ კანტორაში შეტრიალდა. აბგა-ჩამოკიდებული შიკრიკი ჟანდარმების ერთ-ერთ ცხენს მოახტა და გორის ხიდისაკენ გაჰქუსლა. როგორც გაცეცხლებული კრუხები, ისე აწრიალდნენ ჟანდარმებიც. ერთის მაგივრად ექვსი-შვიდი გამოჩდა. ისე დაჰქროდნენ, როგორც უამინდობის წინ ჭრელ-ჭრელი კვირიონები.

მალე სადგურის სახურავიდან შავი ბაირაღები გრძლად დაეშვნენ ძირს. შეშინებული ხალხის გრძნობა ამან უფრო დაამძიმა.

გორის გიჟმა ქარმა უარესად მოუმატა, მედგრად დაჰბერა, ჩამოფრიალებული შავი ძონძები ტაშივით გაალაწუნა და გორიჯვრიდან წამოხვეტილი ნამქერი უხვად მიაყარა ზედ.

ამ დროს სობოროს დიდმა ზარმა ქარბუქში უდროოდ დაიგუგუნა, და მთელი გორი ფეხზე დადგა, მთელი გორი შეირყა.

ბევრს შიშისაგან ტანზე ეკალი აესხა და აცახცახდა, როცა ხმა გავარდა: იმპერატორი ალექსანდრე მეორე მოჰკლესო.

მალე სომხებისა და ფრანგების ეკლესიის ზარებმაც დაიწკრიალეს, და მცირე ქალაქის მცხოვრებლები დიდიან პატარიანა ყალხზე დააყენა.

სრული სამი საათი იყო, როცა სასულიერო სასწავლებლის პატარა ზარმა ქარის გუგუნზე განგაში ასტეხა. უფროსი კლასის მოწაფეები ჯერ კიდევ სასწავლებელში ტრიალებდნენ, როცა მათ გრძელ დერეფანში ბერძნული ენის მასწავლებელი სმირნოვი დაედევნა და დაფეთებული ხმით მიმართა:

— შესდექით, ბავშვებო... ნუ მიდიხართ, უკან, უკან დაბრუნდით!

და რომ ბავშვებს არავითარი შეკითხვა არ დაესწროთ, მან ტუჩებზე ხელი მიიდო და ბატივით ასისინდა:

— სსს... აბა უხმოდ, ჩქარა უკანვე, კლასებში დაბრუნდით!

მორჩილებას შეჩვეულმა ბავშვებმა გაკვირვებით და შიშით ერთმანეთს შეხედეს და გამოტრიალდნენ.

ბავშვებს თავი სწრაფად მოუყარეს ეკლესიის გვერდით, დიდ დარბაზში.

მოწაფეებმა ჯერ არაფერი არ იცოდნენ. შეჰყურებდნენ მასწავლებლების დაბნეულ სახეებს და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. სულ უკანა რიგებში, მეოთხე კლასის მოწაფეთა შორის, იოსებ ლაღიაშვილიც

იდგა და გაოცებული აქეთ-იქით იცქირებოდა. უკვე ჭაბუკობაში ფეხშედგმულ ყმაწვილს სახეზე რაღაც ნაღველი უკრთოდა, თითქოს ვიღაცას ემუდარებაო. გარეთ ამ დროს თმააბურძგნული, დარაჯი ბოძზე ჩამოკიდულ სკოლის ზარს მძიმედ, გაბმით რეკდა და, თან ფიცარ-ფიცარ შეშფოთებული არხევდა.

მალე ეკლესიის კარი ფართოდ გაიღო. გაჩაღებულმა სანთლებმა ბავშვები უფრო გააოცა.

— ბიჭო, ალბათ, დიდი ვიღაცა მოკვდა, ხედავ, რა დაღონებულები არიან?

— ვინა და ის ბებერი არხიმანდრიტი თუ მოკვდა, იმ დღეს აქ რომ სწირავდა.

— არხიმანდრიტი კი არა, ეგზარხოსი იქნება. გესმის, სობოროს ზარი როგორ გუგუნებს... არა, ალბათ...

მოწაფეები გაჩუმდნენ.

მარცხენა მხრიდან მგლოვიარე სახით შემოვიდნენ სკოლის ზედამხედველი, მისი თანაშემწე, ღვთის მეტყველების კანდიდატი საძაგლიშვილი და რუსული ენის მასწავლებელი, სასულიერო აკადემიის კანდიდატი ლაკერბაია და მათ წინ უხმოდ აიტუზნენ.

— ბავშებო, — ტრაგიკული კილოთი მიმართა ზედამხედველმა და წუთით გაჩერდა, თითქოს ეშინოდა იმის თქმისა, რაც იმ წამს უნდა ელიარებინა: — ბავშებო, — კიდევ გაიმეორა ზედამხედველმა და გრძელ წვერებზე აცახცახებული ხელი ჩამოისვა: — აი ამ წამს პეტერბურგიდან თავზარდამცემი ამბავი მოვიდა. საათ ნახევრის წინ მისი უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის ღვთაებრივ სიცოცხლეს წყეულმა ავაზაკებმა და მთელი ხალხის მტრებმა ბინძური ხელი შეახეს და ჩვენი სათაყვანებელი მეფე მოგვიკლეს...

უკანა რიგებში დიდმა მოწაფეებმა თავები დაბლა დახარეს. მათ არ ეტირებოდათ და არ იცოდნენ, სახე როგორ დაემალათ, რომ მათი გულქვაობა უფროსებს არ შეეტყოთ და არ დაესაჯათ.

იოსებ ლაღიაშვილი მთლად კანკალმა აიტანა. სახე გაფითრებულს ერთი ცრემლიც არ ჩამოუგდია, მაგრამ ძალზე შეძრწუნდა.

ზედამხედველმა ამ დროს თვალზე მომგდარი ცრემლი მოიწმინდა, მეფის მკვლელები გრძნობით შეაჩვენა და შემდეგ მეფის სულის მოსახსენებლად ბავშვები ეკლესიისაკენ გაიწვია.

პანაშვიდის შემდეგ მოწაფეები სახლებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ.

მთელი ქალაქი შავ ძაძებში გახვეულიყო. გლოვისა და გოდების აღსანიშნავად პოლიციამ მეეტლეებს უბრძანა — ექვსი თვით ცხენებისათვის ეჟვნები და ზარები მოეხსნათ, ასე რომ ისედაც ჩუმი და წყნარი ქალაქი სულ მთლად გაყუჩებულიყო. მაგრამ გარეგნულად გარინდებული ხალხის გულში რაღაც ცვლილება ხდებოდა.

იმ დღემ ქვეყნის აზრი ძირიან-ფესვიანად შეარყია. იმ დღის ხალხი დარწმუნდა, რომ ღვთის მიერ ნაკურთხი და ხელშეუხებელი მეფეც მომაკვდავია, რომ მისი დასჯაც ისევე შესაძლებელი ყოფილა, რაგორც იგი მრავალ ქვეშევრდომს სჯიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მკვლელობამ ყოველივე პროპაგანდას გადააჭარბა და ხალხის აზრი დიდი ნაბიჯით წასწია წინ.

„მერე და რა იცოდა გოლა ჩიტაძემ, რომ ეს ამბავი უნდა მომხდარიყო? ნუთუ ამ ზაფხულს, რასაც ის ჭალაში დიდ შეგირდებთან ლაპარაკობდა, სულ მართალია?“ — შიშით და კრძალვით ეკითხებოდა იოსები თავის თავს და, ჭარბი გრძნობისაგან მოქანცული, ფეხებს ძლივს მიათრევდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბატი პრევო

მანონ ლესკო

„წარჩინებული ადამიანის მოგონებები“

ავტორის წინასიტყვაობა

მართალია, მე შემეძლო შევალიე დე გრიეს თავგადასავალი ჩემ „მოგონებაში“ ჩამერთო, მაგრამ რადგან მათ შორის აუცილებელი კავშირი არ არსებობს, ვფიქრობ, მკითხველისათვის უფრო სასიამოვნო იქნება გაეცნოს მას ცალკე. ესოდენ ვრცელი მოთხრობა დიდი ხნით შესწყვეტდა ჩემი საკუთარი ისტორიის ძაფს. მე სრულებით არ ვიჩემებ ნამდვილი მწერლის სახელწოდებას, თუმცა კარგად ვიცი, რომ თხრობა უნდა განიტვირთოს ისეთი ეპიზოდებისაგან, რომელთაც შეუძლიათ დაამძიმონ და ათვისებისათვის ძნელი გახადონ იგი. ასეთია ჰორაციუსის მოწერილობა:

ut Jam nunc dicat jamnunc debentia dici,
pleraque dillerat ac praesens intempus omittat.

არ არის საჭირო ასეთ დიდ ავტორიტეტზე მითითებაც-კი, რათა ეს მარტივი ჭეშმარიტება დაამტკიცო, რადგან საღი გონება პირველი წყაროა ამ წესისა.

თუ მკითხველებმა ჩემი ცხოვრების ისტორია სასიამოვნოდ და ყურადღების ღირსად მიიჩნიეს, გავკადნიერდები და შევპირდები, რომ ამ დამატებით ისინი ნაკლებ კმაყოფილნი არ დარჩებიან. ბ-ნ დე გრიეს ყოფაქცევაში ისინი დაინახავენ ადამიანზე ვნებების გამეფების საშინელ მაგალითს. მე უნდა დავხატო დაბრმავებული ახალგაზრდა, რომელიც უარს ამბობს ბედნიერებაზე, რათა ნებაყოფლობით ჩაადგოს თავი უკიდურესს უბედურებაში; რომელსაც გააჩნია ყველა ის თვისება, რაც უზრუნველჰყოფს ბრწყინვალე მდგომარეობას, მაგრამ რომელიც სიმდიდრისა და ბუნებისაგან მოცემულ ყოველგვარ უპირატესობას ამჯობინებს ბნელ და მოხეტიალე, ცხოვრებას; რომელიც წინასწარ ხედავს თავის უბედურებას, მაგრამ არა სურს თავიდან აიცდინოს იგი; რომელიც გრძნობს ამ უბედურების მთელ სიმძიმეს, მაგრამ არ მიმართავს წამლებს, რასაც დაჟინებით აწვდიან და რასაც ყოველ წუთს შეუძლია ააცილოს მას ეს უბედურება; ერთის სიტყვით, უნდა დავხატო ორმაგი ხასიათი, სათნოებისა და ბიწიერების ნარევი, კეთილ მისწრაფებათა და ცუდ საქციელთა მუდმივი წინააღმდეგობა. ასეთია იმ სურათის ფონი,

რომელსაც მე ვხატავ. ამგვარ ნაწარმოებს საღი გონების პირნი ფუჭ ნამუშევრად არ მიიჩნევენ.

სასიამოვნო საკითხავს გარდა, მასში იპოვიან ბევრ ისეთ მოვლენას, რომელიც ჭკუის მასწავლებლადაც გამოდგება. ხოლო ... ზრით, გაართო და დაარიგო კიდეც მკითხველი — ნიშნავს „ბუნების" ... ...

მართოს გულისთქმა. მაგრამ გამოცდილება არ არის ისეთი საკითე რომელიც ყველას თავისუფლად ეძლეოდეს, იგი იმ ათასნაირ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომელშიაც ადამიანი ბედის სურვილის მიხედვით ვარდება. ასე რომ რჩება მარტო მაგალითი, რომელიც საჭირმეტყველოდ და კეთილი გზის მაჩვენებლად გამოდგება ბევრთათვის.

ასეთი მკითხველისათვის შეიძლება მეტად სასარგებლო იყოს ამგვარი ნაწარმოები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ის დაწერილია ღირსეული და გონიერი ადამიანის მიერ; აქ აღწერილი ყოველი მოვლენა არის სინათლის სხივი, დარიგება, რომელიც გამოცდილების მაგიერობას გასწევს; ყოველი შემთხვევა მაგალითია ზნეობრივი ჩამოყალიბებისათვის; საჭიროა მხოლოდ შევუფარდოთ იგი იმ გარემოებას, რომელშიაც ვიმყოფებით. ნაწარმოები მთლიანად წარმოადგენს ზნეობრივ ტრაქტატს, გასართობი დავალებების სახით გადმოცემულს.

სასტიკმა მკითხველმა შეიძლება შეურაცყოფილად იგრძნოს თავი, რომ მე, ამ ხნის კაცმა, ხელი მოვკიდე კალამს და მსურს ავწერო საბედისწერო სატრფიალო ამბები; მაგრამ თუ ზემომოყვანილი ჩემი მსჯელობა საფუძვლიანია, მაშინ იგი გამამართლებს, თუ არა და მეპატიოს შეცდომა.

ნაწილი პირველი

ვთხოვ მკითხველს გამომყვეს ჩემი ცხოვრების იმ ხანაში, როდესაც პირველად შევხვდი შევალიე დე გრიეს: ეს იყო დაახლოვებით ესპანეთში ჩემი წასვლის ექვსი თვის წინად. თუმცა მე იშვიათად ვტოვებდი განმარტოებულ ცხოვრებას, მაგრამ სურვილი — მომეგო გული ჩემი ქალიშვილისთვის მაიძულებდა, ხანდისხან მომეხდინა მცირე მოგზაურობა, რასაც რამდენად შესაძლებელი იყო, ვამოკლებდი.

ერთხელ რუანიდან ვბრუნდებოდი, სადაც წავედი ჩემი ქალიშვილის თხოვნით, რათა ნორმანდიის პარლამენტში მომეგვარებინა ზოგიერთი მიწების მემკვიდრეობით გადაცემის საქმე. პაპიჩემიდან (დედის მხრივ) მომდინარე უფლება ამ მიწებზე მე ჩემს ქალიშვილს გადავეცი. გამოვბრუნდი რა ევრეს გზით, სადაც პირველი ღამე გავათიე, მეორე დღეს სადილობისას ქალაქ პასიში ჩავედი; იგი ევრეს ხუთი თუ ექვსი მილით არის დაშორებული. სოფელში შესვლისას გამაოცა მცხოვრებთა შეშფოთებამ. ისინი სახლებიდან გამორბოდნენ ჯგუფჯგუფად, მიემართებოდნენ საძაგელ სასტუმროს კარებისაკენ, რომლის წინაც ორი დახურული ოთხთვალა იდგა. ცხენებს დაღლილობისა სიცხისაგან ალმური ასდიოდათ, ისინი ჯერ კიდევ გამოხსნილნი არ იყვნენ. ეტყობოდა, ოთხთვალა ახალი მოსული იყო.

ერთი წუთით შევჩერდი, მინდოდა გამეგო ამ აურზაურის მიზეზი, მაგრამ ცნობისმოყვარე მოსახლეობისაგან ბევრი ვერაფერი შევიტყე, იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ჩემს გამოკითხვას და ერთმანეთის

ჯგვლემით სასტუმროსაკენ მიიწევდა. ბოლოს კარებში გამოჩნდა მხარზე თოფ-გადებული მცველი, ხელით ვანიშნე, ჩემთან მოსულიყო. იგი მოგვიახლოვდა, ვთხოვე აეხსნა ამ არეულობის მიზეზი. „არაფერია, ბატონო!—მიპასუხა მან,—აქ იმყოფება თორმეტიოდე მხიარული ქალიშვილი, რომელთაც მე და ჩემი ამხანაგები ჰავრამდე ვაცილებთ, სადაც გემებში ჩავსხამთ ამერიკაში გასაგზავნად. მათ შორის რამდენიმე მარილიანი გოგოც არის. სწორედ იმან მიიზიდა კეთილი მოსახლეობის ცნობისმოყვარეობა“.

მივიღე რა ასეთი განმარტება, მზად ვიყავ გზა გამეგრძო, მაგრამ მოხუცი დედაკაცის ქოთქოთმა შემაჩერა, იგი სასტუმროდან გამოვიდა, ხელებს იმტვრევდა და გაჰყვიროდა: „ეს საზიზღრობაა, სიმხეცეა, ამის მოთმენა შეუძლებელია“. „რა ამბავია?“ — მივმართე მას. „ოჰ, ბატონო! შებრძანდით, — მიპასუხა მან, — და დარწმუნდებით, რომ ასეთი სანახაობისაგან გული გაგისკდება ადამიანს“. ცნობისმოყვარეობით გატაცებული ჩამოვხტი უნაგირიდან და გადავეცი ცხენი ჯალავდარს. ძლივს გავარღვიე შეჯგუფებული ბრბო, შევედი შიგ და მართლაც გულის ამაჩუყებელმა სანახაობამ გამაოცა.

თორმეტ ქალიშვილს შორის, რომელთაც წელზე შემოხვეული ჯაჭვი ორ ექვსეულად ჰყოფდა, იყო ერთი, რომელიც თავისი სახით და გარეგნობით ისე არ ეგუებოდა ეხლანდელ მდგომარეობას, რომ სხვა შემთხვევაში მას მაღალი წრის ქალად მივიჩნევდი. საკოდავი მდგომარეობა, ჭუჭყიანი საცვალი და კაბა იმდენად ნაკლებად აუშნოვებდა, რომ მისმა გამომეტყველებამ ჩემში მოკრძალება და სიბრალული გამოიწვია. იგი ცდილობდა მიბრუნებულიყო, დაემალა სახე მაყურებელთაგან. მისი ეს ცდა იმდენად ბუნებრივი იყო, რომ ეტყობოდა, მორცხვობით სჩადიოდა ამას.

ექვსი მცველი, რომელიც ამ უბედურთ თან ახლდნენ, იქვე იყვნენ. მე განზე გავიხმე მათი უფროსი და მივმართე მას, — ცნობებისათვის ამ მზეთუნახავის ბედის შესახებ. მან მხოლოდ ზოგადი ცნობები გადმომცა: „ჩვენ წამოვიყვანეთ იგი თავშესაფარიდან, — მიპასუხა მან, — ბატონ პოლიციის გენერალ — ლეიტენანტის ბრძანებით. კარგი საქმისათვის არ იქნებოდა იქ მოთავსებული. გზაში რამდენჯერმე შევეკითხე, მაგრამ დაჟინებით სდუმს. თუმცა ნაბრძანები არა მაქვს სხვებზე უფრო მზრუნველობით მოვექცე მას, მე მაინც მეტი პატივით ვეპყრობი, რადგან ვფიქრობ, ის თავის ამხანაგებზე მეტის ღირსია. აი ამ ახალგაზრდას, — დაუმატა პოლიციელმა, — შეუძლია დაწვრილებით გიამბოთ ამ ქალის უბედურების მიზეზი; იგი პარიზიდან მოსდევს, განუწყვეტლივ ტირის, ალბად, ამ ქალის ძმაა, ან საყვარელი“.

მე იმ კუთხისაკენ მივბრუნდი, სადაც ახალგაზრდა კაცი იჯდა. ეტყობოდა, ღრმა ფიქრებში იყო წასული, არასოდეს არ მინახავს მწუხარების გამომხატველი უფრო ცოცხალი სურათი. ეცვა სულ უბრალო ტანისამოსი, მაგრამ კარგი ოჯახის შვილს და რიგიანად აღზრდილ ადამიანს

პირველივე შეხედვით გამოარჩევ. მივუახლოვდი, იგი წამოდგა ჩემს შესახვედრად, მის თვალებსა, სახეში და მთელ მის მოძრაობაში იმდენი სიფაქიზე და კეთილშობილება ამოვიკითხე, რომ ბუნებრივად განვიმსჭვალე მისდამი თანაგრძნობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გთხოვთ, ნუ შესწუხდებით! — მივმართე მას და გვერდით მიუჯექი, — ხომ არ დააკმაყოფილებთ ჩემს ცნობისმოყვარეობას ამ ლამაზი ქალის შესახებ, რომელიც არა მგონია შექმნილი იყოს იმ საცოდავ მდგომარეობისათვის, რომელშიაც მას ვხედავ?“

მან თავაზიანად მიპასუხა, რომ ქალის სახელს ვერ გაამხელს, ამასთან არც თავისი ვინაობა გამაცნო, რადგან საკმაო საბუთი მოეპოვება იმისათვის, რომ ყველაფერი საქვეყნოდ არ გამოიტანოს. „შემიძლიან მაინც გაგიმხილოთ ის, რაც ამ სალახანებისათვისაც კი არ წარმოადგენს საიდუმლეობას, — განაგრძო მან და პოლიციელებზე მიმითითა, — მე მიყვარს ეს ქალი ისეთი ძლიერი სიყვარულით, რომელიც მომაკვდავთ შორის უუბედურეს ადამიანად მხდის, მისი გულისათვის ყველაფერი ჩავიდინე პარიზში, რომ იგი გამენთავისუფლებია, მაგრამ ვერც მუდარით, ვერც მოხერხებით, ვერც ძალით ვერაფერს ვერ გავხდი; გადავწყვიტე, თან გავყვე, თუნდაც ცხრა მთას იქით. მასთან ერთად ჩავჯდები გემში და ამერიკაში წავალ. მაგრამ აი, უადამიანობის საზღვარი: ეს საზიზღარი არამზადები მასთან მისვლის ნებასაც არ მაძლევენ — დაუმატა მან პოლიციელებზე — განვიზრახე აშკარად თავს დავსხმოდი, პარიზიდან რამდენიმე მილის მოშორებით. მოველაპარაკე ოთხ კაცს, დამპირდნენ დახმარებას, თუ დიდ თანხას მივცემდი. როცა საქმე ბრძოლაზე მიდგა, მოლალატეებმა მარტო მიმატოვეს და ჩემი ფულით გაიქცნენ. რაკი საკუთარი ძალით ვერას გავხდი, იძულებული ვიყავი იარაღი დამეყარა, პოლიციელებს წინადადება მივეცი — ნება დაერთოთ მათ გავყოლოდი, დავპირდი სასყიდელს. სიხარბემ აიძულა დამთანხმებოდნენ. ისინი მუდამ მოითხოვდნენ ჩემგან სასყიდელს, იმისათვის, რომ მაძლევდნენ საუბრის საშუალებას ჩემს სატრფოსთან. მალე ქისა დამიცარიელდა და ეხლა, როდესაც უგროშოთ დავრჩი, იმდენ სისასტიკეს იჩენენ, რომ უხეშად ხელსა მკრავენ, როცა ნაბიჯს გადავდგამ მისკენ. სულ რამდენიმე წუთის წინად, მათი მუქარის მიუხედავად, გავბედე მასთან მიახლოვება; იმდენად გათავხედნენ, რომ თოფიც კი დამიმიზნეს. მათი სიხარბე რომ დავაკმაყოფილო და ქვეითად მაინც განვაგრძო გზა, იძულებული ვარ ეს ჯაგლაგა ცხენიც გავყიდო.

თითქოს დამშვიდებული მიამბობდა იგი თავის თავგადასავალს, მაგრამ დაასრულა თუ არა ამბავი, რამდენიმე ცრემლი გადმოვარდა თვალთაგან. უცნაურად და შემაძრწუნებლად მეჩვენა ეს ამბავი. „არ მოვითხოვ — მივმართე მე, — გამიმხილოთ თქვენი საიდუმლეობა, მაგრამ თუ შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ, მზადა ვარ თქვენი სამსახურისათვის“. „ვაიმე, რომ იმედის მკრთალ სხივსაც ვერა ვხედავ! — მომიგო მან — უნდა დავემორჩილო ჩემს მწარე ბედს. გავემგზავრები ამერიკაში, იქ

ვიქნები მაინც თავისუფალი ჩემს სიყვარულში. მივწერე ერთ ჩემს მეგობარს და ის ჰავრში მცირეოდენ დახმარებას გამიწევს. ვცდილობ როგორმე მივაღწიო ამ ნავთსადგურს, რომ ცოტათი მაინც შევეცადოთ გზა ამ საბრალო ქმნილებას, — დაუმატა მან და მწუხარედ გასძახა თავის სატრფოსაკენ, — „მომეცით ნება, — მივმართე მას, — ბოლო მოულო თქვენს გასაჭირს გთხოვთ მიიღოთ ჩემგან ცოტაოდენი ფული, ძალიან ვწუხვარ, რომ სხვანაირად არ შემიძლია დაგეხმაროთ“.

ოთხი ოქრო-გადავეცი მას მცველების შეუმჩნევლად, რადგან განვსაჯე: შეიტყობდნენ თუ არა ამ თანხის შესახებ ისინი, უფრო ძვირად მიჰყიდიდნენ თავიანთ მომსახურებას. აზრად მომივიდა შევვაჭრებოდი პოლიციელებს, რომ უზრუნველვყოთ ახალგაზრდა შეყვარებული ჭაბუკი სატრფოსთან დაუბრკოლებელი ლაპარაკით ჰავრამდე. მოვიხმე მცველთა უფროსი და მივეცი შესაფერი წინადადება. ეტყობა მას შერცხვა, მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი გაიძვერობისა. „ჩვენ ბატონო, არ აღგვიკრძალავს მისთვის ქალიშვილთან საუბარი, მიპასუხა მან, — მაგრამ განუყრელად სურს მისი გვერდით იყვეს, ეს კი ჩვენთვის უხერხულია, ხოლო უმართებულო არ უნდა იყოს, რომ ჩვენი შეწუხებისათვის ცოტაოდენი ჯილდო მაინც გაიღოს“. „კეთილი, მაშ რამდენი უნდა მოგცეთ, რომ ამ ტვირთმა არ დაგამძიმოთ?“ — შევეკითხე. იგი იმდენად თავხედი აღმოჩნდა, რომ ორი ოქრო მომთხოვა. დაუყოვნებლივ გადავეცი. „მხოლოდ გაფრთხილებთ, — დაურთე მე, თაღლითობა არ იყოს, მე ამ ახალგაზრდას ჩემს მისამართს დავუტოვებ, რათა ყველაფერი მაცნობოს და „მერწმუნეთ, მოვახერხებ, რომ თქვენი დასჯა შევსძლო“. ეს შეხვედრა ექვსი ოქროდ დამიჯდა.

ძალდაუტანელმა და მოხდენილმა მადლობამ, რომელიც ახალგაზრდა უცნობმა გადამიხადა, სამუდამოდ გამარწმუნა, რომ კარგი ოჯახის შვილთან მქონდა საქმე და რომ იგი ჩემი სიუხვის ღირსი იყო. გამოთხოვებისას რამდენიმე სიტყვით მივმართე მის სატრფოს. მან ისეთი ნაზი და მომხიბვლელი მოკრძალებით მიპასუხა, რომ წასვლისას ძალაუნებურად გამიელვა ათასმა აზრმა ქალების ხასიათის მიუწვდომელობის შესახებ.

შინ დაბრუნებისას ჩემს განმარტოებაში ველარაფერი გავიგე ამ ამბის შემდგომი გაგრძელების შესახებ. მას შემდეგ დაახლოებით ორმა წელმა განვლო, სრულიად დამავიწყდა ეს ამბავი, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ საშუალება მომცა დაწვრილებით გამეგო ყოველივე.

ლონდონიდან ჩემს მოწაფესთან, მარკიზ დე..... სთან ერთად კალეში ჩამოვედით. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჩამოვხტით სასტუმრო „ოქროს ლომში“, სადაც რაღაც მიზეზის გამო იძულებული გავხდით მთელ დღეს და მეორე ღამეს დავრჩენილიყავით. ნაშუადღევს, ქუჩაში სეირნობისას, თითქოს მომეჩვენა: ვხედავ იმ ახალგაზრდა უცნობს, რომელსაც პასსიში შევხვდი. ძალიან ცუდად ეცვა და უფრო ფერმკრთალი იყო, ვიდრე პირველი შეხვედრისას მკლავზე ძველი სამგზავრო აბგა ეკიდა, ეტყობოდა ახალი ჩამოსული იყო ქალაქში.

რადგან ლამაზი სახის პატრონი იყო, მისი ცნობა სიძნელეს არ წარმოადგენდა. „მივიდეთ იმ ყმაწვილთან“, — მივმართე მარკიზს.

გადმოცემა არ შეიძლება იმისა, თუ როგორ გაეხარდა, როდესაც მან მიცნო. „ოჰ, ბატონო — წამოიძახა მან და ხელზე მაკოცა. „ეს ერთხელ კიდევ მეძლევა საშუალება უდიდესი მადლობა გადაგიხადოთ“. ვკითხე, საიდან ჩამოვიდა. მიპასუხა — ზღვით ჰავრიდან, სადაც რამდენიმე ხნის წინად ამერიკიდან დაბრუნებულა. „ძალიან უნდა გიჭირდეთ — მივმართე, — წადით ეხლავე სასტუმრო „ოქროს ლომში“, სადაც მე ვარ ჩამომხტარი და მეც იქ ვიქნები“.

დავბრუნდი სასტუმროში, მოთმინების ფიალა ამევსო, მინდოდა დაწვრილებით გამეგო მისი უბედური ბედისა, და ამერიკაში გამგზავრების ამბავი. მივუალერსე და განკარგულება გავეცი არაფერი მოეკლოთ მისთვის. მან არც კი დამაცალა მეთხოვნა, ისე გადმომცა თავისი ამბები. „თქვენ იმდენად კეთილშობილად მომექეცით, — მომმართა მან, — „რომ ჩემი მხრით არასაკადრისი უმადურება იქნება რაიმე დაგიმალოთ. მე თქვენ გადაგიშლით არა მარტო ჩემს უბედურებას და ტანჯვას, არამედ ჩემს თავაწყვეტილობას და ჩემს სამარცხვინო სისუსტეს. დარწმუნებული ვარ, თქვენი მკაცრი განსჯა ხელს არ შემიშლის ცოტათი მაინც შემიბრალოთ“.

აქ უნდა გავაფრთხილო მკითხველი, რომ მისი თავგადასავალი თითქმის მოსმენისთანავე ჩავწერე. ამიტომაც ჩემი მოთხრობის სიზუსტე და სისწორე არ უნდა იყოს საეჭვო. ვაცხადებ, რომ ეს სიზუსტე ვრცელდება თვით იმ ფიქრებისა და გრძნობების გადმოცემაზედაც, რომელთაც ახალგაზრდა ავანტურისტი შეუდარებელი მოხდენილობით გამოსთქვამდა. ამნაირად, აი მისი ამბავი, რასაც მე ჩემის მხრით არც ერთ სიტყვას არ დავუმატებ.

ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, როცა დავასრულე ფილოსოფიის კურსი ამიენში, სადაც გამგზავნეს ჩემმა მშობლებმა, რომელნიც ქალაქ პ....ის საუკეთესო გვარს ეკუთვნოდნენ. იმდენად გონიერ და წესიერ ცხოვრებას ვეწეოდი ,რომ მასწავლებლებს მთელ კოლეგიუმში სამაგალითოდ ვყავდი. ამასთან არ მიხდებოდა ბევრი ძალლონის დახარჯვა, რათა ასეთი ქება დამემსახურებინა, რადგან ბუნებით წყნარი და მშვიდი ხასიათის ვიყავი, თანაც დიდი მიდრეკილება მქონდა სწავლისადმი, და სათნოებად მითვლიდნენ იმას, რაც შედეგი იყო ბიწიერებისადმი ბუნებრივი სიძულვილისა. ჩემმა შთამომავლობამ, სწავლაში წარმატებამ და ზოგიერმა გარეგანმა თვისებამ საშუალება მომცა მომეხიბლა ქალაქის ყველა ღირსეული მცხოვრები.

საჯარო გამოცდები ისეთის ატესტაციით ჩავაბარე, რომ იქ მყოფმა ბ-ნმა ეპისკოპოსმა წინადადება მომცა შევსულიყავ სასულიერო წოდებაში, სადაც, მისი სიტყვით, უფრო მეტად დავწინაურდებოდი, ვიდრე მალტიის ორდენში, რომლისთვისაც ჩემი მშობლები მამზადებდნენ. მათ

სურვილის თანახმად, მე უკვე ვატარებდი ორდენის ჯვარსა და შევალიე დე გრიეს სახელწოდებას. არდადეგები ახლოვდებოდა, მამასთან დაბრუნებას ვაპირებდი, რომელიც მალე აკადემიაში გაგზავნას მპირდებოდა.

ერთად-ერთი, რაზედაც გული მწყდებოდა, ის იყო, რომ ბიცა ამიენს ვტოვებდი, ვშორდებოდი მეგობარს, რომელიც დაკავშირებული იყო ჩემთან მუდმივი და ნაზი ამხანაგური გრძნობით, ის რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი იყო. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით, ის ღარიბ ოჯახს ეკუთვნოდა და იძულებული იყო აერჩია სასულიერო ხარისხი და ჩემი გამგზავრების შემდეგ ამიენში დარჩენილიყო, რათა ამ პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა მიეღო. მას ბევრი კეთილი თვისება ჰქონდა. ჩემი ისტორიის შემდგომი გაგრძელებიდან გაიცნობთ მის კარგ მხარეებს, განსაკუთრებით კი მის სულგრძელობას და ერთგულებას მეგობრობაში, რაც ანტიური ცხოვრებიდან გადმოცემულ ყველაზე ღირსეულ მაგალითებსაც კი აჭარბებს. მე რომ მაშინ მისი რჩევისათვის დამეგდო ყური, ყოველთვის გონიერი და ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მისგან შემესმინა რაიმე იმ დროსაც-კი როდესაც მე უკვე უფსკრულში მოვექეცი, — სადაც ჩემმა გრძნობებმა გადამჩეხა, ცოტას მაინც გადავარჩენდი ჩემი ქონებიდან და კეთილი სახელიდან. მათ თავისი მზრუნველობით ვერაფერი ეხვა ნაყოფი ვერ მოიწვია, გარდა მწუხარებისა იმის გამო, რომ ყოველივემ ფუჭად ჩაუარა და ხშირად უხეშად მოპყრობა იმ უმადურისაგან, რომელსაც მისი მზრუნველობა მომაბეზრებლად მიაჩნდა.

დავნიშნე ამიენიდან ჩემი წასვლის დღეც. ვაი, რატომ არ დავნიშნე იგი ერთი დღით ადრე! მაშინ მე მივუტანდი მამაჩემს მთელ ჩემს უმანკოებას; სწორედ ჩემი გამგზავრების წინადღეს, როდესაც ჩემს მეგობართან — ტიბერჟთან — ერთად დავსეირნობდი, წინ შეგვეხეჩა ქუჩაზე არასის საფოსტო ეტლი, რომელსაც მივყევით სასტუმროამდე, სადაც ჩვეულებრივად ეტლები ჩერდებიან. ჩვენ არავითარი საბაბი არა გვქონდა იქ წასვლისათვის, გარდა უბრალო ცნობისმოყვარეობისა. ეტლიდან რამდენიმე ქალი ჩამოვიდა, და მაშინვე სასტუმროში შევიდა. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალი დარჩა ეზოში მანამდე, ვიდრე ხანში შესული კაცი, ეტყობა, მისი მხლებელი, ბარგთან ფუსფუსებდა. იგი იმდენად მშვენიერი მეჩვენა, რომ მე, რომელსაც მანამდე არც ერთი ქალისათვის თვალებში არ ჩამეხედა, მე, რომელიც ჩემი გონიერებით და თავშეკავებით საერთო აღფრთოვანებას ვიწვევდი, ერთ წუთში თავდავიწყებული გრძნობით ავენთე. ჩემი დიდი ნაკლი ის იყო, რომ მეტისმეტად გაუბედავი და მორცხვი ვიყავი. მაგრამ იმ წუთას ჩემმა სისუსტემ ვერ შემაკავა და გავემართე იმისაკენ, ვინც უკვე დაეუფლა ჩემს გულს.

თუმცა იგი ჩემზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ჩემი ასეთი ყურადღება არ ეუცხოვა. მივმართე კითხვით — რისთვის ჩამოვიდა ის ამიენში და ჰყავს თუ არა აქ ვინმე ნაცნობი. მან გულუბრყვილოდ მომიგო, რომ მშობლები მონასტერში ჰგზავნიან. იმ წუთიდან, როგორც კი შეიჭრა სიყვარული ჩემს გულში, ისეთი ნათელი მოეფინა მას, რომ ეს გადაწ-

ყვეტილება მივიღე, როგორც ჩემი სურვილების სასიკეთილო ლახვარი. ჩემმა სიტყვებმა ვერ დამალა ჩემი გრძნობები, რადგან ის ჩემზე უფრო გამოცდილი იყო. მას მონასტერში ისტუმრებდნენ მისი სურვილის წინააღმდეგ, ეჭვ გარეშე, იმ მიზნით, რომ ჩაეხშოთ მასში მიდრეკილება სიამოვნებისადმი, რაც უკვე ასე გამომჟღავნდა მასში და რაც საბოლოოდ გადაიქცა მისი და ჩემი უბედურების მიზეზად. მე ვსჯიდი მშობლების მკაცრ განზრახვას ყველა იმ მოსაზრებით, რასაც მიკარნახებდა ჩემი ახლად გაფურჩქვნილი სიყვარული და სკოლაში შეძენილი მჭერმეტყველება. იგი არ გამოხატავდა არც სიმკაცრეს, არც ზიზღს. ერთი წამის სიჩუმის შემდეგ განაცხადა, რომ ნათლად ხედავს თავის უბედურ ხვედრს, მაგრამ, სჩანს, ასეთია განგების ნება, რადგან არავითარი საშუალებით არ ძალუძს აიცდინოს იგი თავიდან. მისი გამოხედვის სინაზემ, მისი სიტყვების მომხიბვლელმა მწუხარებამ ან, უკეთ, ჩემმა ბედისწერამ, რომელიც დალუპვისკენ მიმაჭანებდა, ნება არ მომცა ერთი წუთით მაინც შევყოყმანებულიყავ პასუხზე. მე ვარწმუნებდი, თუ მიენდობა იგი ჩემს პატიოსნებას და იმ უსაზღვრო ნაზ გრძნობას, რომელიც უკვე აღმიძრა მან მთელს ჩემ სიცოცხლეს შევწირავ მის განთავისუფლებას მშობლების სისასტიკისაგან და ბედნიერს გავხდი. შემდეგში, როცა ჩავფიქრებულვარ, ყოველთვის მიკვირდა, საიდან გაჩნდა ჩემში ამდენი გამბედაობა და რანაირად გამოვნახე ასეთი გამოთქმა. — მაგრამ ამურს არასოდეს არ გახდიდნენ ღვთაებრად, რომ მას ამდენი სასწაული არ მოეხდინა. ნათქვამს ათასი სხვა დამაჯერებელი მოსაზრებაც დავუმატე.

ჩემმა მშვენიერმა უცნობმა კარგად იცოდა, რომ ჩემს ჰასაკში არა ტყუიან. მან გამანდო: თუ შევსძლებდი და ვიპოვიდი საშუალებას მის გასანთავისუფლებლად, იგი მოვალეთ ჩასთვლიდა თავის თავს, შეეწირა ჩემთვის თვით სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი რამ. მე ვუპასუხე, რომ ყველაფერზე მზად ვარ, მაგრამ რადგან არ გამაჩნდა საკმაო გამოცდილება, რომ სწრაფად აღმომეჩინა საშუალებანი მისი სამსახურისათვის, დავკმაყოფილდი მხოლოდ საერთო მსჯელობით, რაც ვერც იმას უშველიდა რამეს და ვერც მე, ამასობაში მოხუცი არგუსიც შემოგვიერთდა და ყველა ჩემი იმედი უნდა ჩაფუშულიყო, რომ ჩემი მოუხერხებლობა ახალგაზრდა ქალის მოსაზრებას არ გამოესწორებია. ძალზე გაოცებული დავრჩი, როდესაც მან მხლებელს ჩემი თავი თავის ბიძაშვილად გააცნო და სრულიად დამშვიდებულად განაცხადა: ძალზე ბედნიერად გრძნობს თავს, რომ შემხვდა ამიენში და ამიტომ გადასწყვიტა, მონასტერში შესვლა ხვალამდე გადასდოს, რათა საღამოთი ჩემთან ერთად ივახშმოს, მე საკმაოდ კარგად გავიგე და შევაფასე მისი ეშმაკობა და მივეცი წინადადება ჩამომხტარიყო იმ სასტუმროში, რომლის პატრონიც სანამ ამიენში გადმოსახლდებოდა, მამაჩემს მეეტლედ ჰყავდა და ჩემი ერთგული იყო.

მე თვითონ მივაცილე იგი სასტუმრომდე. მოხუცი მხლებელი ბუზღუნებდა, ხოლო ჩემი მეგობარი ტიბერჟი, რომელსაც ამ სცენისა არაფერი გაეგებოდა, უსიტყვოდ გამომყვა, მას ჩვენი საუბარი არაფერი არ

გაუგია, იგი ეზოში დასეირნობდა, როდესაც მე ჩემს მშვენიერ ბანოვანს სიყვარულზე ვესაუბრებოდი. მეშინოდა მისი კეთილგონიერებისა, ამიტომ თავიდან მოსარიდებლად რაღაც მოვიგონე და [illegible] სასტუმროში მისვლისას, შემეძლო მივცემოდი უსაზღვრო [illegible] — განმარტოებულ საუბარს ჩემს ღვთაებასთან.

მალე დავრწმუნდი, რომ არც ისეთი ბავშვი ვყოფილვარ, როგორც მეგონა. ჩემი გული მრავალი ისეთი საამო გრძნობისთვის აიშალა, რომელთა შესახებ არაფერი არ ვიცოდი. ნაზმა სითბომ ძარღვებში დამიარა, განვიცდიდი უზომო აღტაცებას, რომელმაც ერთხანს ენა დამიდუმა და რომელიც მხოლოდ ჩემს თვალებში ისახებოდა.

მადმუაზელ მანონ ლესკო — ასე გამაცნო თავი, — ეტყობა, ძალიან კმაყოფილი იყო თავისი მომხიბვლელობით, ვატყობდი, რომ მისი გრძნობები ჩემზე ნაკლებ არ იყო აღგზნებული, გამომიტყდა, რომ საამო ყმაწვილად მივაჩნივარ და განთავისუფლებისათვის დავალებულად მიაჩნია თავისი თავი ჩემს წინაშე. მოისურვა ჩემი ვინაობის გაგება. ამან კიდევ უფრო ასიამოვნა რადგან იგი ჩემზე უფრო დაბალი წარმოშობისა აღმოჩნდა. თავი მოსწონდა იმით, რომ ისეთი ადამიანის სიყვარულს დაეუფლა, როგორიც ვიყავი მე. ჩვენ ვმსჯელობდით იმ საშუალებებზე, თუ როგორ ვყოფილიყავით მუდამ ერთად, განუყრელად.

ბევრი სჯა ბაასის შემდეგ ვერავითარი სხვა გზა ვერ გამოვნახეთ, გარდა გაპარვისა. საჭირო იყო მხლებლის მოტყუება, იგი თუმცა მსახური იყო, მაგრამ არც მაგდენად მიამიტი კაცი გახლდათ. გადავსწყვიტეთ, იმ ღამითვე მოვამზადებდი საფოსტო ეტლს, დილა ადრიან, მხლებლის გამოღვიძებამდე, სასტუმროში გავჩნდებოდი და პირდაპირ პარიზისაკენ გავსწევდით და იქ მისვლისთანავე ჯვარს დავიწერდით. ქისაში ორმოცდაათ ეკიუმდე მქონდა. ეს იყო ნაყოფი ჩემი მომჭირნეობისა. მას დაახლოებით ორჯერ მეტი აღმოაჩნდა. გამოუცდელი ბავშვები ვიყავით და გვეგონა, რომ ეს თანხა დაუშრეტელი იქნებოდა გარდა ამისა, იმედი გვქონდა სხვა საშუალებათა გამონახვისაც.

ვივახშმე ისეთი სიამოვნებით, როგორც არასოდეს არ მივახშმია, დ შემდეგ გავემართე ჩვენი გეგმის შესასრულებლად. ჩემთვის მით უფრ ადვილი იყო ყველაფრის მოგვარება, რომ მეორე დღე ადრევე მქონდ დანიშნული შინ გასამგზავრებლად, და უკვე მოვასწარი ჩემი მცირ ბარგის შეკრა-მომზადება. ამნაირად საჭირო იყო მხოლოდ განკარგულების მიცემა ზანდუხჩას გადასატანად და ეტლის შეკვეთა დილის ხუთი საათისათვის, იმ დროისათვის, როდესაც ქალაქის ჭიშკარი უკვე ღია არის ხოლმე. რჩებოდა მხოლოდ ერთი დაბრკოლება, რომელსაც მე არავითარ ანგარიშს არ უწევდი, მაგრამ რომელმაც კინაღამ არ ჩაშალა მთელი ჩვენი გეგმა.

ტიბერჟი (იგი მხოლოდ სამი წლით იყო ჩემზე უფროსი) მომწიფებული გონებისა და უზადო ყოფაქცევის ყმაწვილი იყო. ჩემს მიმართ ის არაჩვეულებრივი ნაზი გრძნობით იყო გამსჭვალული. ისეთი ლამაზი ქა-

ლის დანახვამ, როგორიც მანონი გახლდათ, და ჩემმა სურვილმა გამეცილებინა ის და ამიტომ თავიდან მომერიდებინა ტიბერჟი, ალუძრა მას ეჭვები ჩემი სიყვარულის შესახებ, მან ვერ გაბედა სასტუმროში დაბრუნება, სადაც ჩვენ დაგვტოვა, რადგან ეშინოდა ამ დაბრუნებით ჩემთვის შეურაცყოფა არ მიეყენებია. ამიტომ გადასწყვიტა დაეცადა ჩემს ბინაზე, სადაც დამხვდა კიდეც, თუმცა უკვე საღამოს ათი საათი იყო. მისმა დანახვამ ძალიან დამაღონა. ის ადვილად მიხვდა, რაც მაწუხებდა. დარწმუნებული ვარ, — გულწრფელად მომმართა მან, — რაღაცა გეგმას აწყობთ და მიმალავთ, ამას სახეზე გატყობთ. მე საკმაოდ უხეშად ვუპასუხე, რომ ვალდებული არა ვარ ყოველი ჩემი მოქმედების შესახებ ანგარიში ჩავაბარო. „თანახმა ვარ — მიპასუხა მან, — მაგრამ თქვენ ყოველთვის ისე მეპყრობოდით, როგორც მეგობარს, ეს კი ერთგვარ ნდობას და გულახდილობას გულისხმობს“. ისეთი დაჟინებით დამიწყო თხოვნა — გამემხილა მისთვის ჩემი საიდუმლოება, რომ მეც, მუდამ გულახდილმა მასთან, გავანდე ჩემი მგზნებარე გატაცება. ჩემი ნაამბობი მან დაუფარავი უკმაყოფილებით მიიღო, რამაც თავზარი დამცა. ვნანობდი მეტადრე იმ გულახდილობას, რომლითაც ავწერე ჩემი გაპარვის გეგმა. მან განაცხადა, რომ გულითადი მეგობარია ჩემი და ამიტომ არ შუძლია მთელი ძალღონით არ გამიწიოს წინააღმდეგობა. იგი ჯერ წარმომიდგენს მთელ რიგ მოსაზრებებს, რაც თითქოს ხელს ამაღებინებს განზრახვაზე, მაგრამ თუ ამის შემდეგაც ხელს არ ავიღებ ჩემს გადაწყვეტილებაზე, მაშინ ის გააფრთხილებს იმ პირებს, რომლებიც ძირშივე აღკვეთენ ყოველივეს. შემდეგ მომმართა მკაცრი სიტყვით, რომელიც თხუთმეტ წუთს გაგრძელდა, და დაასრულა ახალი მუქარით — დამასმენს, თუ სიტყვას არ მივცემ, რომ უფრო გონიერად და დაკვირვებულად ვიმოქმედებ.

სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი იმის გამო, რომ უდროო დროს გავეცი ჩემი თავი. მაგრამ სიყვარულმა ორი-სამი საათის განმავლობაში იმდენად გაავარჯიშა ჩემი გონება, რომ უცებ მოვისაზრე, რომ არაფერი შეთქვა მისთვის ჩემი გეგმის შესრულების ვადის შესახებ, რომელიც დანიშნული მქონდა მეორე დღის დილისათვის, გადავწყვიტე სიძნელე მოხერხების საშუალებით გადავლახო. „ტიბერჟ — მივმართე მას, — მე აქამდე მეგობრად მიგულვებდით და მინდოდა მეგობრული გულახდილობით გამომეცადეთ. მართალია, ის მიყვარს და ამაში არ მომიტყუებიხარ, მაგრამ რაც შეეხება გაპარვას, ეს ისეთი ნაბიჯია, რომ შისი მოუფიქრებლად გადაწყვეტა არ შეიძლება. შემოიარეთ ჩემთან ხვალ დილის 9 საათზე, ვეცდები გაგაცნოთ ჩემი სატრფო და მაშინ თქვენ თვითონ განსაჯეთ, ღირსია თუ არა იგი ამგვარი გადაწყვეტილებისა“. წასვლისას ტიბერჟი დაჟინებით მარწმუნებდა თავის მეგობრობაში.

მთელ ღამეს წესრიგში მომყვანდა ჩემი საქმეები და როგორც კი ოდნავ ინათა, მადმუაზელ მანონის სასტუმროში გავჩნდი. იგი ფანჯარასთან მელოდებოდა — ფანჯარა ქუჩაში გამოდიოდა, მას უნდოდა დავე-

ნახე და თვითონ გაეღო კარი ჩემთვის. ჩუმად გამოვედით, ეს ბარგს საცვალი შეადგენდა, რაც ჩემი ხელით გამოვიტანე, მოგვართვეს ეტლი და ერთი წუთიც არ დაგვიკარგავს — დავტოვეთ ქალაქი.

შემდეგში გიამბობთ, როგორ მოიქცა ტიბერჟი, რომ ჩემ ვერაგობა. მისი თავგამოდება ამის შემდეგაც არ შენელებულა. შემდეგ დაინახავთ, თუ სადამდის მივიდა იგი და რამდენი ცრემლი დავღვარე, როცა ვფიქრობდი თუ რანაირად დაგვირგვინდა მისი ზრუნვა.

ჩვენ ისე ვაჩქარებდით ცხენებს, რომ დაღამებამდე სენდენში მივედით. მე ცხენ და ცხენ მივდევდი ეტლს, ამიტომ ლაპარაკი მხოლოდ ცხენების გამოცვლის დროს შეგვეძლო. როდესაც პარიზი დავინახეთ უფრო სწორედ, როგორც კი თავი თითქმის ყოველგვარი საფრთხის გარეშე ვიგრძენით, ნება მივეცით თავს შევნაყრებულიყავით, რადგან ამიენიდან წამოსვლის შემდეგ პირში ლუკმა არ ჩაგვიდვია. მე გაგიჟებით მიყვარდა მანონი. მანაც თავის მხრივ დამარწმუნა, რომ მისი გრძნობებიც ჩემსას არ ჩამოუვარდებნენ. იმდენად თავდაუჭერლად ვამჟღავნებდით ჩვენს გრძნობებს, რომ მოთმინება არა გვყოფნიდა მოგვეცადა იმ დრომდე, სანამ მარტონი დავრჩებოდით. მეეტლეები და მეტრაქტირეები გაოცებულნი მოგვცქეროდნენ. უკვირდათ: ჩვენი ჰასაკის ბავშვებს რაზომ სიყვარულით გვიყვარდა ერთმანეთი.

სენ-დენში დავიწყებულ იქნა ჩვენი განზრახვა — ჯვარი დაგვეწერა. ვადავლახეთ საეკლესიო წესები და ცოლქმარნი გავხდით ისე, რომ ამაზე სულ აღარ გვეფიქრა. მე, როგორც ბუნებით ნაზი და ერთგული, უეჭველია, მთელ სიცოცხლეში ბედნიერი ვიქნებოდი, მანონი რომ ჩემი ერთგული დარჩენილიყო. რაც უფრო ახლო ვეცნობოდი მანონს, მით უფრო ახალ კარგ თვისებას ვპოულობდი მასში. მისი ჭკუა, გული, მისი სინაზე დ სილამაზე ისეთ მიმზიდველ და მომხიბვლელ ჯაჭვს ჰქმნიდნენ, რომ მსხვერპლად გავიღებდი მთელ ჩემს კეთილდღეობას, რათა სამუდამოთ მისგან შებორკილი დავრჩენილიყავ. რა საშინელი ცვლილება მოხდა! იმას, რამაც მე სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო, შეეძლო განა ჩემი ბედნიერება შეექმნა? ადამიანთა შორის მე ყველაზე უბედური გავხდი სწორედ ერთგულობისათვის, რომლისაგანაც უნდა მიმელო უნეტარესი ხვედრი, ხოლო სიყვარულისთვის — უდიდესი ჯილდო.

პარიზში ჩვენ დავიქირავეთ ავეჯით გაწყობილი ოთახი ვ-ს ქუჩაზე, ჩემდა საუბედუროთ, სწორედ იმ სახლის გვერდით, სადაც სცხოვრობდა გენთქმული მოიჯარადრე ბ-ნი კ..... გავიდა სამი კვირა. ამ ხნის განმავლობაში იმდენად ვიყავი ვნებით ავსილი, რომ არ მიფიქრია არც ჩემს ოჯახზე და არც იმ მწუხარებაზე, რომელსაც მამა ჩემი, ჩემი გაპარვის გამო განიცდიდა. ჩემი ყოფაქცევა არავითარ გარყვნილებას არ შეიცავდა და მანონიც მეტად თავდაჭერილად ცხოვრობდა და ამ მყუდროებამ თანდათან მომაგონა ჩემი მოვალეობა.

გადავწყვიტე, პირველ შესაძლებლობისთანავე შევრიგებოდი მამას. ჩემი სატრფო იმდენად მშვენიერი იყო, რომ ეჭვი არ მქონდა, თუ გა-

მოვძებნიდი რაიმე საშუალებას გამეცნო ის მამიჩემისათვის, მისი გონებამახვილობა და ღირსება კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე, ერთი სიტყვით, თავს ვინუგეშებდი, რომ ჯვრის წერის ნებას დამრთავდა, რადგან დავრწმუნდი, უამისოდ ჩემს განზრახვას სასურველი ვერ მოვიყვანდი. ეს აზრი მანონსაც გავუზიარე და დავურთე, რომ გარდა სიყვარულისა და მოვალეობისა, საჭირო იყო ანგარიში გაეწია აუცილებლობისათვისაც, რადგან ჩვენი არსებობის სახსრები ძალზე შეირყა და უკვე დამეკარგა მათი დაუშრეტელობის იმედი.

მანონი ჩემს წინადადებას ცივად შეხვდა. ესეც კია, რომ მის მიერ წამოყენებული მოსაზრებანი შთაგონებული იყო მხოლოდ ნაზი გრძნობებით და შიშით — არ დავეკარგე მე, რადგან თუ მამა თანხმობას არ მომცემდა, მაშინ ხომ გაიგებდა ჩვენი თავშესაფარის შესახებ. აი, რატომ არ მომდიოდა აზრათ გამეთვალისწინებია ის თავზარდამცემი ლახვარი, რომელიც თურმე ჩვენ წინაშე ამართულიყო. როდესაც მე მას ვუთითებდი სახსრების სიმცირეზე, იგი მიპასუხებდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს რამდენიმე კვირის სამყოფიო. შემდეგ კი იმედი ჰქონდა, რომ დაგვეხმარებოდნენ მისი კეთილი ნათესავები, რომელთაც იგი მისწერს პროვინციაში. მან ეს თავისი უარი შეარბილა ესოდენი ნაზი და ვნებიანი ალერსით, რომ მე, რომელიც მხოლოდ მით ვცოცხლობდი და არავითარი უნდობლობას მის მიმართ, არ ვგრძნობდი, მოვიწონე ყველა მისი პასუხი და გადაწყვეტილება.

მე მივანდე მას — გაეწია ხელმძღვანელობა ჩვენი ქისისათვის და ეზრუნა ყოველდღიური ხარჯებისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ ჩვენი სუფრა გაუმჯობესდა და თვითონ მასაც საკმაოდ ძვირფასი სამკაული შეემატა. ვიცოდი, რომ ჩვენ თორმეტ-თოთხმეტ პისტოლზე მეტი არ გაგვაჩნდა, ამიტომაც გაკვირვება გამოვთქვი ჩვენი საღსრების აშკარად გადიდების გამო. მან სიცილით მთხოვა, ასეთ საგნებზე არ მეფიქრა. „განა მე არ დაგპირდი, გამოვნახავ სახსრებს მეთქი", — მიპასუხა მან. ჯერ კიდევ ძალზე გულუბრყვილო ვიყავ ჩემს სიყვარულში, რომ ადვილად მივცემოდი რაიმე შფოთს.

ერთ დღეს ნასადილევს შინიდან გავედი და გავაფრთხილე მანონი, რომ ჩვეულებრივზე უფრო მეტხანს დავრჩებოდი გარედ. როცა დავბრუნდი, ორი-სამი წუთი მალოდინეს კარებთან. ეს გამიკვირდა, ჩვენივე ტოლი პატარა გოგო გვემსახურებოდა, შინ შესვლისთანავე ვკითხე, ასე რატომ დაიგვიანა. შემკრთალმა მიპასუხა, თითქოს კარების რახუნი ვერ გაიგო. მე მხოლოდ ერთხელ დავარახუნე, ამიტომ ვკითხე: „თუ რახუნი ვერ გაიგე, რატომ მოხვედი კარების გასაღებად?" ჩემმა კითხვამ ისე დააბნია, რომ პასუხი ვერ მოახერხა და ტირილი დაიწყო. მარწმუნებდა, რომ ის არაფერში არ არის დამნაშავე და რომ ქალბატონმა უბრძანა, კარი არ გაეღო, სანამ ბ-ნი დე ბ... არ ჩავიდოდა მეორე კიბით, რომლიდანაც საწოლ ოთახში იყო შემოსასვლელი. მე ისე შევკრთი, რომ ოთახში შესვლის ძალა აღარ გამაჩნდა. გადავწყვიტე ისევ

გავბრუნებულიყავ უკან რაიმე საბაბით, ხოლო გოგოს ვუბრძანე ქალბატონისათვის გადაეცა რომ მალე დავბრუნდებოდი. ამასთან ერთად ... ქალბატ... ვის არაფერი ეთქვა, იმის შესახებ, ... ბ-ს ამბავი გადმომცა.

შემიპყრო ისეთმა დიდმა სევდამ, რომ კიბეზე ჩასვლისას ცრემლებს ვღვრიდი. ჯერ არ ვიცოდი, რა გრძნობით იყო ეს გამოწვეული. პირველსავე ყავახანაში შევედი, მაგიდას მივუჯექი და თავით ხელებს დავეყრდნე, მინდოდა მომეაზრა ყოველივე ის, რაც ხდებოდა ჩემს გულში. ვერ ვბედავდი იმის გამეორებას, რაც იმ წამს გავიგე. მზად ვიყავი ამეხსნა ეს იმნაირად, თითქოს სმენამ მომატყუა. რამდენჯერმე დავაპირე შინ დაბრუნება და თავის ისე დაჭერა, თითქოს არაფერი არ ვიცოდი. მანონის ღალატი იმდენად შეუძლებლად მიმაჩნდა, რომ მეშინოდა იქვიანობით შეურაცყოფა არ მიმეყენებია მისთვის. მე ვალმერთებდი მანონს, ეს საეჭვო არ იყო, ჩემის მხრით მივეცი მას სიყვარულის არა იმაზე მეტი, დამამტკიცებელი საბუთი, რაც მივიღე მისგან. მაშ, როგორ შემეძლო, რომ გამემტყუნებია, ის ჩემზე ნაკლებ გულწრფელობაში, ჩემზე ნაკლებ ერთგულებაში? რა მოსაზრებით უნდა ელალატნა მას ჩემთვის? სულ სამი საათია მას შემდეგ, რაც მან ნაზი ალერსით ამავსო და ჩემს ალერსსაც აღტაცებით იღებდა. მე ჩემს გულს მის გულზე უკეთ არ ვიცნობ. „არა, არა, — წამოვიყვირე მე, — შეუძლებელია, რომ მანონმა მიღალატოს! მან ხომ იცის, რომ მხოლოდ მისთვის ვარსებობ! მან ძალიან კარგად იცის, რომ ვალმერთებ! რატომ უნდა ვძულდე?“

მაგრამ ბ-ნ დე ბ-ს მოსვლა და მალულად წასვლა მაშფოთებდა. მომაგონდა აგრეთვე მანონის მიერ შეძენილი წვრილმანები, რაც უეჭველია, ჩვენს ახლანდელ შესაძლებლობას აღემატებოდა და ყოველივე ამას ახალ აზრამდე მივყვადი: თაყვანის მცემლის სიუხვისა და ხელგაშლილობის შესახებ. რატომ გაიძახოდა იგი ასე დარწმუნებით ჩვენი საარსებო წყაროს შესახებ! ყველა ამ გამოცანებს ვერ ვუპოვე ის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება, რომელიც ასე სწყუროდა ჩემს გულს.

მეორეს მხრით, რაც პარიზში დავსახლდით, მე ის თავიდან არ მომშორებია: საქმიანობაში, სეირნობაში, გართობაში ყოველთვის ერთად ვიყავით. ღმერთო ჩემო! ჩვენი განშორება ერთი წუთითაც კი შეუძლებელი იყო! განუწყვეტლივ უნდა გაგვემეორებინა, რომ ერთმანეთი გვიყვარს. უამისოდ ჩვენ დარდი მოგვკლავდა. ერთი სიტყვით, ვერ გავიხსენე ერთი წუთიც კი, როცა მანონს, ჩემს გარდა, სხვა ვისმეზე შეეძლო ეფიქრა.

ბოლოს მომეჩვენა, რომ მე, ვიპოვე ამ საიდუმლეობის ახსნა. ბ-ნ დე ბ-ს, — გადავწყვიტე მე, — დიდი საქმეები და ფართო ნაცნობობა აქვს, მანონის მშობლებს შეეძლოთ მისი მეოხებით გადაეცათ მანონისათვის გარკვეული თანხა. იქნებ კიდეც მიიღო ეს ფული, დღეს იგი მოვიდა და კიდევ ახალი თანხა გადასცა. უეჭველია, მანონმა ეს დამიმალა, რომ

შემდეგში სასიამონო მოულოდნელობით გამაკვირვოს. შეიძლება კიდეც ეთქვა ეს ჩემთვის, მე რომ ჩვეულებრივად შევსულიყავ მასთან და არ გამოვქცეულიყავ აქ და არ მივცემოდი ურვას. იგი, ალბათ, არც დამიმალავს, როცა თვითონ გამოველაპარაკები ამის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენად გამიტაცა ჩემმა მსჯელობამ, რომ მან საგრძნობლად შეასუსტა ჩემი მწუხარება. იმ წამსვე შინ დავბრუნდი და ჩვეულებრივი სინაზით გადავეხვიე მანონს. იგი ძალიან კარგად დამხვდა. ჯერ მინდოდა გამემხილა ჩემ მიერ მიხვედრილი აზრი, რომელიც ეხლა ყოველგვარ ეჭვის გარეშე წარმომიდგა, მაგრამ შემაჩერა იმედმა, რომ იგი თვითონ, დამასწრებს და მიამბობს ყველაფერს, რაც მოხდა.

ვახშამი მოგვიტანეს, მხიარულად მივუჯექი მაგიდას, მაგრამ სანთლის შუქზე, რომელიც ჩვენს შუა იდგა, ძვირფასი Lატრფოს სახე და თვალები ნაღვლიანი მეჩვენა. ეს ნაღველი მეც გადმომეცა. შევნიშნე, რომ სხვაგვარად შემომცქეროდა. ვერ გავარჩიე სიყვარულის თუ სიბრალულის გამოხატულება იყო იგი, გრძნობა, რომელიც მასში იყო, ნაზი და ალერსიანი მოსჩანდა. მეც არა ნაკლებ ყურადღებით შევსცქეროდი, შეიძლება მისთვისაც ძნელი იყო ჩემს გამოხედვაში ჩემი გულისნადების ამოცნობა. ჩვენ არც ჭამაზე ვფიქრობდით და არც საუბარს ვაპირებდით. ბოლოს, მშვენიერ თვალთაგან ცრემლები გადმოცვივდა — ყალბი ცრემლები.

„ღმერთო, ჩემო! — წამოვიყვირე მე, — თქვენ ტირით ძვირფასო მანონ! თქვენ აღელვებული ხართ იმ ზომამდე, რომ ტირით და არაფერს მეუბნებით თქვენი მწუხარების შესახებ.“ მან მხოლოდ ოხვრით მიპასუხა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი მღელვარება. აცახცახებული წამოვდექი. მხურვალე სიყვარულის მთელი ძლიერებით ვეეედრებოდი, ეთქვა მიზეზი რატომ ტიროდა; ცრემლებს ვუშრობდი და თვითონ კი ვღვრიდი, ცოცხალ-მკვდარს ვგავდი. ბარბაროსსაც კი მოულბობდა გულს ჩემი დამწუხრებისა და შეშინებული სახის დანახვა.

იმ დროს, როდესაც მთელი ჩემი ყურადღება მისკენ მქონდა მიპყრობილი მომესმა კიბეზე რამდენიმე კაცის ფეხის ხმა. კარი ნელა დააკაკუნეს. მანონმა სწრაფად მაკოცა, ხელიდან გამისხლტა და უცებ საწოლ ოთახში შეეარდა თან კარები ჩაიკეტა. ვიფიქრე, ჩაუცმელი იყო და შოერიდა უცხო ხალხს მეთქი. მე თვითონ გავემართე კარის გასაღებად.

ის იყო კარი გავაღე, რომ სამი კაცი მომვარდა. ვიცანი მამაჩემის ლაქიები. მათ არავითარი ძალადობა არ უხმარიათ ჩემზე, მაგრამ სანამ ორს ჩემი ხელები მაგრა ეჭირა, მესამემ ჯიბეები გამიჩხრიკა და პატარა დანა ამომართვა — ერთად-ერთი იარაღი, რომელიც მე გამაჩნდა. ბოდიში მოიხადეს, რომ იძულებულნი იყვნენ ასე უპატივცემლოდ მომპყრობოდნენ, განმიმარტეს, რომ ასე მექცევიან მამაჩემის ბრძანებით და რომ ჩემი უფროსი ძმა ქვემოთ ეტლში მელოდება. იმ ზომამდე ვიყავ აღელვებული, რომ წინააღმდეგობის გაუწევლად და უსიტყვოდ ნება შევეცი ქვემოთ ჩავეყვანე. ჩემი ძმა მართლაც დამხვდა ქვემოდ, ჩამსვეს

მის გვერდით ეტლში და მეეტლემ ბრძანებისამებრ სწრაფად სენ-დენისაკენ გაგვაქანა. ჩემი ძმა ნაზად გადამეხვია, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ამრიგად, საკმაოდ ბევრი თავისუფალი დრო მქონდა და შემეძლო ჩემს უბედურებაზე მეფიქრა.

ჯერ ისე შევშფოთდი, რომ ვერაფერს ვერ მივწვდი. ვერაგულად გამცეს, მაგრამ ვინ? პირველად ტიბერჟი გამახსენდა. „მოლალატევ, — ვამბობდი მე, — ეს შენი ოინებია, თუ ჩემი ეჭვი გამართლდა, არ გაცოცხლებ“. შემდეგ მოვიფიქრე, რომ მან არ იცოდა ჩემი სამყოფი ადგილი და რომ ის ნამდვილად არაფერ შუაში იყო. მანონისათვის დამედო ბრალი? ასეთ აზრს ჩემი გული ახლო ვერ მიიკარებდა. ის უზომო მწუხარება, რომელიც ასე სტანჯავდა, მისი ცრემლები, ნაზი კოცნა, რომელიც მან განშორებისას მაჩუქა, გაურკვეველ ამოცანად გადამექცა. მაგრამ მზად ვიყავი ყოველივე ეს ჩვენი საერთო უბედურების წინათგრძნობად მიმეღო. თავზარდაცემული ჩვენი განშორებით, მე იმდენად გულუბრყვილო ვიყავ, რომ მეგონა, ის ჩემზე უფრო შესაბრალისი იქნებოდა.

ჩემი ფიქრების შედეგად დავარწმუნე საკუთარი თავი, უთუოდ ვინმე ნაცნობმა დამინახა პარიზში და აცნობა მამაჩემს. ამ აზრმა მანუგეშა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მომხდარი ურჩობისათვის საყვედურს მაკმარებდნენ. სასჯელიც უნდა ამეტანა, როგორც მშობლის უფლებიდან გამომდინარე. გადავსწყვიტე ყოველივე მოთმინებით გადამეტანა და ყველაფერი შემესრულებინა, რასაც კი მომთხოვდნენ, ოღონდ გამეადვილებინა პარიზში ჩქარა დაბრუნება, რომ ჩემი ძვირფასი მანონისათვის სიცოცხლე და სიხარული დამებრუნებინა.

ჩვენ მალე ჩავედით სენ-დენში. ძმას უკვირდა ჩემი სიჩუმე და ჰფიქრობდა, რომ ეს შიშით იყო გამოწვეული. მან დაიწყო ჩემი დამშვიდება და მარწმუნებდა, რომ მამა არ მომექცევა სასტიკად, თუ მე თანდათან გავიმსჭვალებოდი მოვალეობის შეგნებით და დავიმსახურებ სიყვარულს. ჩემმა ძმამ გადასწყვიტა ღამე სენ-დენში გაეტარებინა. სიფრთხილისათვის სამივე ლაქია ჩემს ოთახში დააწვინა.

ჩემთვის ძნელი ასატანი შეიქნა ის, რომ ვიმყოფებოდით სწორედ იმ სასტუმროში, სადაც მე და მანონი ჩამოვხტით, როცა ამიენიდან პარიზში მოვდიოდით. სასტუმროს პატრონმა და მოსამსახურეებმა მიცნეს, მიხვდნენ, რაშიაც იყო საქმე, მომესმა — ერთმა მსახურთაგანმა როგორ უთხრა სასტუმროს პატრონს: „ოჰო, ეს ხომ ის ლამაზი ბატონია, რომელმაც ამ თვენახევრის წინად გამოიარა აქ ერთ ახალგაზრდა ქალიშვილთან ერთად. რა რიგად უყვარდა იგი და რა მომხიბლავი იყო ის ქალი! როგორ ეალერსებოდნენ ერთმანეთს საბრალო ბავშვები, ღმერთმანი ცოდვაა მათი დაშორება“. მე თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს არაფერი მესმოდა და ვცდილობდი თვალში არავის შევჩხირებოდი.

ჩემ ძმას სენ-დენში ორადგილიანი ეტლი დახვდა. გამოვემგზავრეთ დილა ადრიან და შინ მეორე დღეს საღამოთი მივედით. ძმამ ჩემზე წინ

ინახულა მამა, რათა განეწყო იგი ჩემდა სასარგებლოდ და ეცნობებია, რომ მე მორჩილებით გამოვყევი. აი რატომ მიმიღო მამამ უფრო ალერსიანად, ვიდრე მოველოდი. მამაჩემი დაკმაყოფილდა საერთო საყვედურებით იმის გამო, რომ მის ნებადაურთველად გავიპარე. [illegible] შეეხება ჩემს სატრფოს, მე სავსებით სამართლიანად დავიმსახურე ის, რაც გადამხდა თავს, რადგან ვილაც უცნობ ქალს გადავეკიდე. მამამ მითხრა რომ იგი უკერესი წარმოდგენისა იყო ჩემს გონიერებაზე, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ ეს პატარა თავგადასავალი ჭკუაზე მომიყვანს. მთელი მისი სიტყვა მე განვმარტე ისე, როგორც შეესაბამებოდა ჩემს განზრახვას. მადლობა გადავუხადე მამას იმ გულკეთილობისათვის, რითაც მან ყველაფერი მაპატივა, და დავპირდი, ამიერიდან უფრო მორჩილი ვიქნებოდი და ჩემს ყოფაქცევაში უფრო მკაცრი წესებით ვიხელმძღვანელებდი. გულის სიღრმეში კი ვზეიმობდი, რადგან, საქმის მიხედვით, მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მახლობელ ღამეს მომეცემოდა შინიდან გაპარვის შესაძლებლობა.

დავსხედით ვახშმათ, ამიენში დამცინოდნენ ჩემი გამარჯვებისათვის და ერთგულ სატრფოსთან ერთად გაპარვისათვის. მეც თავმდაბლად ვიტანდი ამ დაცინვას. აღფრთოვანებულიც კი ვიყავ, რომ ნება დამრთეს მესაუბრა იმ საგანზე, რომელიც განუწყვეტლივ თავში მიტრიალებდა. მაგრამ მამის მიერ რამდენიმე წამოსროლილმა სიტყვამ ყურები დამაცქვეტინა. მან სიტყვა ჩამოაგდო ბ-ნ დე ბ-მის ცბიერსა და ანგარებით გაწეულ სამსახურის შესახებ. გავიგონე რა ეს სახელი, გავოცდი და მოკრძალებით ვსთხოვე, დაწვრილებით განემარტა ჩემთვის რაში იყო საქმე. მამამ ჰკითხა ჩემს ძმას, მიამბო თუ არა მან ყველაფერი. ძმამ უპასუხა, რომ ჩემი სულიერი განწყობილება გზაში იმდენად დამშვიდებულად მოეჩვენა, რომ მან საჭიროდ არ ჩასთვალა ჩემ გასაკურნავად ამგვარი საშუალებისათვის მიემართა. შევამჩნიე, რომ მამა ყოყმანობდა, არ იცოდა, საჭირო იყო თუ არა ბოლომდე ეთქვა ყველაფერი. მე ისე დაჟინებით შევეხვეწე, რომ მან დააკმაყოფილა ჩემი ცნობის მოყვარეობა ან, უკეთ, თავზარი დამცა ყველაზე საშინელი ამბით.

ჯერ მან მკითხა — ვიყავი თუ არა ყოველთვის იმდენად გულუბრყვილო, რომ მჯეროდა ჩემი სატრფოს სიყვარული? მე თამამად მივუგე, რომ სავსებით დარწმუნებული ვარ მის ერთგულებაში და რომ არაფერს არ შეუძლია მცირედი ეჭვიც კი შემატანინოს მასში. „ჰა! ჰა! ჰა! საუცხოოა, — წამოიყვირა მან და გულიანად გადაიხარხარა, — რა წარმტაცი გულუბრყვილობაა! ვწუხვარ რომ მალტიელთა ორდენში ჩაგრიცხე, ჩემო საბრალო რაინდო. შენ უდიდეს მიდრეკილებას ამჟღავნებ — გახდე მომთმენი და დამყოლი ქმარი“. იგი კიდევ დიდხანს დასცინოდა იმას, რასაც ჩემს სისულელესა და მიამიტობას უწოდებდა.

ბოლოს როცა დაინახა, რომ მე დაჟინებით ვდუმვარ, ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზე, რომ მისი გამოანგარიშებით მანონს ჩვენი ამიენიდან გამოსვლიდან სულ თორმეტიოდე დღე ვუყვარდი. „მართლაც, — დაუმატა

მან, — მე ვიცი, რომ შენ ამიენიდან გამოხვედი გასული თვის ოცდა რვას, დღეს კი ოცდაცხრაა. თორმეტი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ბ-ნმა დე ბ-მ წერილი მომწერა. ვფიქრობ, რომ მას დაახლოებით რვა დღე მაინც დასჭირდებოდა შენი მეგობარი ქალის გასაცნობად. ამნაირად, გამოვაკლოთ თორმეტი და რვა ოცდათერთმეტ დღეს, რომელიც გავიდა ერთი თვის ოცდა რვიდან — მეორე თვის ოცდაცხრამდე, და მივიღებთ თორმეტს, ან ცოტა მეტს, ან ცოტა ნაკლებს". ხარხარი კვლავ განახლდა.

ყოველივე ამის გაგონებამ გული შემიკუმშა. ვშიშობდი, რომ ბოლომდე ვერ ავიტანდი ამ სამწუხარო კომედიას. „დეე იცოდე, — განაგრძო მამაჩემმა, — რაკი თითონ ვერ მიმხვდარხარ, რომ ბ-ნ ბ-მ მოინადირა შენი ქალბატონის გული. ის, რასაკვირველია, თვალებს მიხვევდა, როცა მარწმუნებდა, რომ მან მხოლოდ იმისათვის წაგართვა ქალი, რომ უანგარო სამსახური გაეწია ჩემთვის. ამგვარ კეთილშობილ გრძნობებს არ მოველი ისეთ ადამიანისაგან, როგორც ის არის, მით უმეტეს, რომ არც კი ვიცნობ მას. ქალისაგან მას გაუგია, რომ შენ ჩემი შვილი ხარ, და რათა თავიდან მოეშორებინე, მაცნობა ადგილი, სადაც იმყოფებოდით შენ და ის, თუ რა გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდი. გამაგებინა, რომ საჭიროა მკაცრი ზომების მიღება. ამასთან გამიადვილა შენი შეპყრობა: სწორედ ამ კაცის და შენი სატრფოს მითითებების მეოხებით მოახერხა შენმა ძმამ მოულოდნელად დაგსხმოდა თავს. განა შეგიძლია დაიკვეხო შენი გამარჯვების სიმტკიცე? შენ სწრაფად ახერხებ გამარჯვებას, შეველიე, მაგრამ არა გაქვს გამარჯვების შენარჩუნების უნარი".

მე ძალა აღარ შემწევდა დიდხანს ამეტანა ასეთი საუბარი, ყოველი სიტყვა გულს ლახვრად ხვდებოდა. სუფრიდან წამოვდექი და კარებისაკენ ოთხი ნაბიჯიც არა მქონდა გადადგმული, რომ იატაკზე უგონოდ და უგრძნობლად გავიშხლართე. სწრაფმა დახმარებამ გონს მომიყვანა. თვალები იმისთვის გავახილე, რომ ცრემლთა ნიაღვარი დამეღვარა, ხოლო ტუჩები იმისთვის გავხსენი, რომ მწუხარება და ვაება გამომეთქვა. მამა, რომელსაც მუდამ ნაზად ვუყვარდი, გულთბილად შეუდგა ჩემს დამშვიდებას. ვუსმენდი მის სიტყვებს, მაგრამ მათი აზრი არ გამეგებოდა. დავიჩოქე მის წინ. ხელებგაშლილი ვემუდარებოდი მოეცა ნება დავბრუნებულიყავ პარიზში და მომესპო სიცოცხლე ბ-სთვის. „არა, არა, — ვამბობდი მე, — მას მანონის გული არ დაუპყრია, მან აიძულა იგი, შეაცდინა ჯადოთი თუ საწამლავით; შეიძლება ძალაც იხმარა. მანონს მე ვუყვარვარ. განა არ ვიცი! ის ხანჯლით ხელში დაემუქრება, რათა მიმატოოს მე. რას არ ჩაიდენს იგი, რომ გამომგლიჯოს ხელიდან ასეთი მშვენიერი სატრფო. ოჰ, ღმერთო, ღმერთო! განა შესაძლებელია მანონს ჩემთვის ეღალატოს და არ უყვარდე!"

რადგან მე პარიზში დაუყოვნებლივ დაბრუნებაზე ვლაპარაკობდი და ყოველ წამს ზეზე ვხტოდი, მამას არ შეეძლო არ დაენახა, რომ

ამ მდგომარეობაში ჩემი დამშვიდება არაფერს არ შეეძლო. მან მიმაცილა ზემო სართულის ერთ-ერთ ოთახამდე და ორი შსახური შემიჩემა თვალყურის სადევნებლად. მე თავს ველარ ვიკავებდი ათას სიცოცხლეს მივცემდი, ოღონდ კი რამდენიმე წუთით დავბრუნებულიყავი პარიზში. მივხვდი რომ ჩემი გულწრფელი განცხადების შემდეგ ოთახიდან გასვლის ნებას ადვილად ალარ მომცემდნენ. თვალებით გავზომე ფანჯრის სიმაღლე და როცა დავრწმუნდი, რომ ამ გზით გაქცევა არ მოხერხდებოდა, ფრთხილად დავუწყე ლაპარაკი ჩემს ორ მცველს. ვპირდებოდი, აგაშენებთ მეთქი თუ გაპარვაში ხელს არ შემიშლით, ვარწმუნებდი, ვეფერებოდი, ვემუქრებოდი, მაგრამ ჩემი ცდა ამაო გამოდგა. დავკარგე ყოველგვარი იმედი. გადავსწყვიტე მომკვდარიყავ და საწოლზე დავეგდე იმ აზრით, რომ სიცოცხლესთან ერთად დამეტოვებინა იგი. ასეთი ყოფით გავატარე ღამე და მეორე დღე. ახლოს არ მივიკარე საჭმელი, რომელიც დილით შემომიტანეს.

ნაშუადღევს მამა მოვიდა ჩემს სანახავად. იგი იმდენად კეთილი იყო, რომ ნაზი მოფერებით ცდილობდა ჩემი ტანჯვის შემსუბუქებას. ისე მტკიცედ მიბრძანა შემეჭამა რამე, რომ უარი ვერ ვუთხარი. განვლო რამდენიმე დღემ, საჭმელს ვჭამდი მხოლოდ მამიჩემის თანდასწრებით და მორჩილებისათვის. იგი განგრძობდა ისეთ მოსაზრებათა ჩამოთვლას, რომელთაც გონზე უნდა მოვეყვანე, რომელთაც ზიზღი უნდა აღეძრა ჩემში მოღალატე მანონისადმი. მართალია, მე უკვე პატივს ალარა ვცემდი მანონს, — ან როგორ უნდა შემრჩენოდა პატივისცემა ასეთ ქარაფშუტა და ქმნილებათა შორის ყველაზე ვერაგი ადამიანის მიმართ, მაგრამ მის სახეს, მის მომხიბვლელ მოხაზულობას გულის სიღრმეში მაინც ვატარებდი. ამას კარგად ვგრძნობდი. „დეე, მოვკვდე, — ვამბობდი მე, — განა შემეძლო არ მომკვდარიყავი ასეთი სირცხვილისა და ტანჯვის შემდეგ, ავიტან ათას სიკვდილს, უმადურ მანონს კი მაინც ვერ დავივიწყებ.“

მამას ძალზე აშფოთებდა ჩემი დაუსრულებელი წუხილი. მან კარგად იცოდა, რომ მე პატიოსანი კაცი ვიყავ და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მანონის ღალატი ჩემში ზიზღს გამოიწვევდა. მან წარმოიდგინა, რომ ჩემი ერთგულების მიზეზი უნდა აიხსნას არა განსაკუთრებული გრძნობით, არამედ ქალებისადმი საერთო ლტოლვით. ისე განუმტკიცდა მას ეს აზრი, რომ ერთ დღეს იგი მზა წინადადებით შემოვიდა ჩემთან: „შეველიე, — მომმართა მან, — აქამდე მინდოდა დიდი პატივით გეტარებინა მალტიის ჯვრის ორდენი. ერწმუნდები, რომ შენი მიდრეკილება სულ სხვა მხრისაკენ მიიმართება: შენ გიტაცებს ლამაზი ქალები. გადავწყვიტე ისეთი ქალი მოგიძებნო, როგორც შენ გემოვნებას შეეფერება. გულახდილად მითხარი, რას ფიქრობ ამის შესახებ?“

მე ვუპასუხე რომ ამას იქით ქალთა შორის არავითარ გარჩევას არ ვახდენ და იმ უბედურების შემდეგ, რომელიც მე შემემთხვა, ყველა ისინი ერთნაირად მეზიზღებიან მეთქი. „მე, შენ ისეთს გამოგინახავ, — გა-

ნაგრძო მამამ ღიმილით, — მანონსაც ჰგავდეს და მაზე ერთგულიც იყოს". „თუ თქვენ სიკეთე გინდათ ჩემთვის, — წამოვიყვირე მე, — დამიბრუნეთ ის! მარტო ის! დამიჯერეთ, ძვირფასო მამავ, რომ მას ჩემთვის არ უღალატნია. მას არ ძალუძს ასეთი საზიზღარი და საშინელი სიმდაბლე ჩაიდინოს. ყველას ცბიერი ბ... გვატყუებს: თქვენც, მეც და მასაც. რომ იცოდეთ, რა ნაზია და გულწრფელი მანონი! რომ გაიცნოთ, შეიყვარებთ". „ჩემო ბავშვო, — სიტყვა შემომიბრუნა მამამ, — განა შეიძლება კვლავ დაბრმავებული იყო მას შემდეგ, რაც მე ამ ქალზე გიამბე? ხომ თვითონ მან მიგცა შენი ძმის ხელში. დაივიწყე იგი, დაივიწყე მისი სახელი თუ გონიერება შეგრჩა, ნუ უგულებელყოფ ჩემს ლმობიერებას".

კარგად ვხედავდი, რომ მამა მართალი იყო. მხოლოდ უბედურმა სულიერმა მოძრაობამ მაიძულა დამეცვა მოღალატე მანონი. „ვაჰმე! — წამოვიყვირე მე ოდნავი სიჩუმის შემდეგ. უეჭველია მე საბრალო მსხვერპლი ვარ ყველაზე მდაბალი გამცემლობისა. დიახ, — განვაგრძობდი მე და სინანულის ცრემლებს ვღვრიდი, — ძალიან კარგად ვხედავ, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ვარ. ჩემმა ნდობამ მისცა მათ საშუალება ადვილად მოვეტყუებინე, მაგრამ ვიცი, როგორ უნდა ვაზღვევინო მათ". მამამ მოისურვა ჩემი გადაწყვეტილების გაგება. „მე წავალ პარიზს, — განვაცხადე მე, — ცეცხლს მივცემ ბ-ის სახლკარს და შიგ გამოვწვავ მას ცბიერ მანონთან ერთად". ჩემმა გულისწადილმა მამას სიცილი მოჰგვარა და ახალი საბაბი მისცა უფრო სასტიკად ჩავეკეტე ჩემს საპყრობილეში.

მე იქ მთელ ექვს თვეს დავყავი. პირველი თვის განმავლობაში ჩემი განწყობილება არ შეცვლილა. ჩემში ორი გრძნობა იყო დაბუდებული — ზიზღი და სიყვარული, სასოება და უიმედობა. ისინი ერთმანეთს სცვლიდნენ იმის მიხედვით, თუ რა სახით წარმოუდგებოდა მანონი. ხან ის ყველა ქალზე უფრო მომჯადოებლად მეჩვენებოდა — და მაშინ მისი ნახვა მწყუროდა, ხან კი მდაბლად და ვერაგ საყვარლად წარმომიდგებოდა — და მაშინ მინდოდა მომეძებნა ის მხოლოდ იმისათვის, რომ დამესაჯა.

მაძლევდნენ წიგნებს და მათ ოდნავი სიმშვიდე შემოჰქონდა ჩემს სულში. ყველა ჩემი საყვარელი მწერალი გადავიკითხე, ახლებსაც გავეცანი. კვლავ გამეღვიძა სიყვარული ცოდნისა გაიგებთ, რა სარგებლობა მომიტანა მან შემდგომად. სიყვარულისაგან გამახვილებულმა ჰორაციოს და ვირგილიუსის ბევრი ისეთი ადგილი გავაშუქე, რაც წინათ გაუგებარი იყო ჩემთვის. შევადგინე და დასაბეჭდად გავამზადე „ენეიდის" მეოთხე წიგნის სატრფიალო კომენტარიები. იმედი მაქვს, რომ მკითხველი კმაყოფილი დარჩება. როცა ვადგენდი მას, ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ერთგულ დიდონის ჩემი მსგავსი გული ჰქონია-მეთქი.

ტყვეობაში ტიბერჟმაც მინახულა. გამაოცა იმ ალტაცებამ, როგორითაც იგი გადამეხვია. მანამდე არავითარი საბაბი არ მქონია, დამენახა მასში სხვა რაიმე, გარდა მეგობრული ურთიერთობისა, რომელიც არსებობს ერთი ჰასაკის ორ ახალგაზრდას შორის. ჩვენი გაცნობიერების ხუთი თუ ექვსი თვის განმავლობაში ისე გამოცვლილად, დავაჟკაცებულად მეჩვენა იგი, რომ მისმა გარეგნობამ და ლაპარაკის კილომ მისდამი პატივისცემა მაგრძნობინა. ტიბერჟი გამომელაპარაკა როგორც ბრძენი წინაპარი და არა როგორც სკოლის ამხანაგი. იგი სწუხდა იმ ცთომილების გამო, რომლის მსხვერპლიც მე გავხდი. მომილოცა გაბედულობა, რასაც უზრუნველყოფილად სთვლიდა, ბოლოს მირჩია მესარგებლნა სიცრმის შეცდომით და გამეხილა თვალები სიმეთა ამაოებაზე.

გაოცებული შევყურებდი. ტიბერჟმა შენიშნა ეს. „ჩემო ძვირფასო შევალიე, — მომმართა, — გეტყვით მხოლოდ იმას, რაც ურყევ ჭეშმარიტებად მიმაჩნია და რაშიაც მე თვითონ სერიოზული ფიქრის შემდეგ დავრწმუნდი. მე ჩემს არსებაში მიდრეკილებას სიმეთადმი თქვენზე ნაკლებ არა ვგრძნობდი, მაგრამ ზეცამ ამავე დროს სათნოებისადმი მისწრაფებითაც დამაჯილდოვა. მივმართე ჩემს გონებას, რათა შემედარებინა ნაყოფი ერთისაც და მეორისაც, და დიდხანს არ დამჭირდა შემეგნო მათი განსხვავება. ჩემს ფიქრებს ზეცა დაეხმარა, ჩემში დაიბადა უსაზღვრო ზიზღი ამა ქვეყნისადმი. არა მგონია, მიხვდეთ, თუ რა მაჩერებს მე აქ და რა მიშლის განვშორდე მას. მხოლოდ გულითადი მეგობრობა თქვენდამი. მე ვიცი თქვენი გულის და ჭკუის შესანიშნავი თვისებები, არ არსებობს სიკეთე, რომელიც უცხო იყოს თქვენთვის. სიმეთა შხამმა აგიბნიათ გზა. რა დიდი დანაკლისია სათნოებისათვის! ამიენიდან თქვენმა გაქცევამ იმდენი მწუხარება მომაყენა, რომ მას შემდეგ ერთი წუთითაც ალარ განმიცდია სიმშვიდე. თვითონ განსაჯეთ ეს...“

და მიამბო: როგორც კი გაიგო ჩემი სიცრუე და სატრფოსთან ერთად გაპარვა, შეჯდა ცხენზე და დაგვედევნა. მაგრამ, რადგან მე ოთხი თუ ხუთი საათით დავწინაურდი, შეუძლებელი გახდა დაგვწეოდა. იგი მაინც მივიდა სენ-დენში ჩვენი იქიდან გასვლის ნახევარი საათის შემდეგ. დარწმუნებული, რომ მე პარიზში გავჩერდებოდი, მან იქ ექვსი კვირა გაატარა და ამაოდ დამეძებდა, მოიარა ყველა ადგილი, სადაც კი იმედი ჰქონდა შემხვედროდა და ერთ დღეს ჩემი სატრფო კომედიის თეატრში დაინახა, იგი ყველაზე ძვირფას ტანისამოსში ყოფილა გამოწყობილი. მან გაიფიქრა, უთუოდ ყოველივე ეს ახალი სიყვარულის წყალობაა. გაჰყვა მის ეტლს სახლამდე და მსახურთაგან გაიგო, რომ იგი ცხოვრობს ბატონ ბ-ის ხარჯზე. „ამით არ დავკმაყოფილდი, — განაგრძო მან, — მეორე დღეს, დავბრუნდი იქვე, რათა გამეგო თვითონ ქალისაგან, თუ რა მოგივიდათ თქვენ. როგორც კი ჩამოვაგდე თქვენზე ლაპარაკი, ის მაშინვე გამშორდა და მე იძულებული გავხდი, შინ დავბრუნებულიყავ ისე, რომ თქვენს შესახებ ვერავითარი გავიგე. იქ შევიტყე რა შეგემთხვათ და რა უკიდურეს სასოწარკვეთილებას მისცემიხართ. არ ეინახუ-

ლებდით, დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავ, რომ უფრო დამშვიდებულ მდგომარეობაში დამხვდებოდით.“

„მაშ მანონი ინახულეთ? — ოხვრით წამოვიძახე [illegible] ბედნიერი ყოფილხართ. განკიცხული ვერასოდეს ვერ [illegible] ეს ოხვრაც მისაყვედურა და აღნიშნა, რომ ეს ჯერ კიდევ ადასტურებს ჩემს სისუსტეს. მან იმდენად მოხერხებულად შეაქო ჩემი კეთილი ზნეობა და ჩემი კარგი მიდრეკილებანი, რომ ამ პირველ ნახვითვე ჩამინერგა დიდი სურვილი — უარმეყო ამ ქვეყნის სიამენი და მიმელო სასულიერო წოდება.

ისე გამიტაცა ამ აზრმა, რომ როცა მარტო დავრჩი, სხვა არაფერზე არ ვფიქრობდი. მომაგონდა სიტყვა ბ-ნ ამიენის ეპისკოპოსისა, რომელმაც ასეთივე რჩევა მომცა, და თუ ამ გზას დავადგებოდი, ბედნიერება მიწინასწარმეტყველა. ამ ჩემ აზრებს კეთილი სურვილებიც დაერთო. „გულნიერად და ქრისტეს მცნებათა მიხედვით ვიცხოვრებ, — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — თავს შევსწირავ მეცნიერებას და სარწმუნოებას, ეს კი ნებას არ მომცემს ვიფიქრო საშიშ სატრფიალო საქმეებზე. შევიზიზღებ იმას, რასაც ჩვეულებრივ აღტაცებაში მოჰყავს ადამიანები. და რადგან ვგრძნობ, რომ ჩემი გული დაიწყებს მისწრაფებას მხოლოდ იმისაკენ, რაც მისთვის შესაფერია, ნაკლები მექნება, როგორც მწუხარება, ისე სურვილი“.

ამასთან დაკავშირებით წინასწარ შევადგინე განმარტოებული და შშვიდობიანი ცხოვრების გეგმა. მასში შედიოდა: მყუდრო სახლი, ხეივანი, ნაკადული ბაღის ბოლოში, რჩეულ ნაწარმოებთა წიგნთსაცავი, ღირსეულ და გონიერ მეგობართა ვიწრო წრე, ფაქიზი, მაგრამ უბრალო სასმელ-საჭმელი. ყოველივე ამას ვუმატებდი მიწერ-მოწერას რომელიმე მეგობართან, რომელიც პარიზიდან მაცნობებს ახალ საზოგადოებრივ ამბებს, იმდენად ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არა, რამდენადაც იმისთვის, რომ გადავაყოლო გული ადამიანთა ამაო ფუსფუსს. „განა ბედნიერი არ ვიქნები? — ვფიქრობდი. — განა არ განხორციელდება, ყველა ჩემი სურვილი?“ ასეთი გეგმა ეგუებოდა ჩემს მისწრაფებას. მაგრამ ამ გეგმის დამთავრებისას ვიგრძენი, რომ ჩემი გული კიდევ რაღაცას ელოდა და ჩემი მისწრაფების დასაგვირგვინებლად საჭირო იყო, რომ ამ საუცხო განმარტოებაში მანონიც ჩემთან ყოფილიყო.

ტიბერჟი ხშირად მნახულობდა, მას უნდოდა განვემტკიცებინე იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც მან ჩამაგონა. გადავწყვიტე ჩემი აზრები მამიჩემისათვის გამემჟღავნებინა. მაგრამ გამომიცხადა, რომ წესად შემოიღო მისცეს შვილებს თავისუფლება ცხოვრების გზის არჩევანში და, როგორიც არ უნდა იყოს ჩემი გეგმები, ის დაიტოვებს მხოლოდ ერთ უფლებას — დამეხმაროს რჩევა-დარიგებით. მან რამდენიმე მეტად ბრძნული დარიგება მომცა, რომელიც მიმართული იყო არა იქითკენ, რომ ჩემს განზრახვას ავეცილებინე, არამედ შეგნებულად შევსდგომოდი ამ განზრახვის განხორციელებას.

სასწავლო წელი ახლოვდებოდა. შევუთანხმდი ტიბერჟს, ერთად შევსულიყავით წმინდა სლუპიციის სემინარიაში, სადაც ის საღვთისმეტყველო მეცნიერებათა კურსს დაამთავრებდა, ხოლო მე დავიწყებდი ამ კურს. ტიბერჟის ღირსებანი ცნობილი იყო თვით ეპარქიასაც, ეპისკოპოსისათვისაც. ამ ღირსებისათვის ჯერ კიდევ ჩვენს წამოსვლამდე მან საკმაოდ დიდი ბენეფიცია მიიღო.

მამაჩემი დარწმუნდა, რომ მე სავსებით განვიკურნე სიყვარულისაგან და ჩემი წასვლისათვის არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნია. პარიზში ჩავედით. მალტიელთა ჯვარი სასულიერო წოდების სამოსელმა შესცვალა, შევალიე — აბატ დე გრიემ. ისეთი გულმოდგინებით შევუდექი მეცადინეობას, რომ რამდენიმე თვის ვანმავლობაში გასაოცარ წარმატებას მივაღწიე. ჩემს მუშაობას ღამის ნაწილს ვანდომებდი, ხოლო დღისით არც ერთ წუთს არ ვკარგავდი. ისეთი სახელი გამივარდა, რომ წინასწარ მილოცავდნენ მომავალ ხარისხს. ჩემს უთხოვნელად ჩემი სახელი უკვე შეეტანათ ბენეფიციების სიაში. მე არც კეთილმორწმუნეობას გავურბოდი, გულმოდგინედ ვასრულებდი მის მოწერილობას. ტიბერჟი აღტაცებული იყო და ყოველივეს თავისი მეცადინეობის მიღწევად სთვლიდა. ბევრჯერ მინახავს, როგორ ღვრიდა ცრემლებს და ჩემს „მომაქცევარს“ უწოდებდა თავს.

მე არასოდეს არ გამკვირვებია ადამიანის განზრახვების ცვალებადობა: ერთი გრძნობა წარმოშობს მათ, მეორეს შეუძლია მათი მოსპობა. მაგრამ როდესაც ვფიქრობ იმ განზრახვის სიწმინდეზე,რომელმაც წმ. სულპიციაში მიმიყვანა, და იმ შინაგან ნეტარებაზე, რომელიც ზეცამ გამომიგზავნა, მაძრწუნებს ის, თუ რა იოლად შევსძელი მათი დაღუპვა. თუ მართალია, რომ ზეცის მფარველობას ყოველ წუთს გააჩნია ძალა, რომელიც ვნებათა ძლიერებას უდრის, ამიხსნან მაშინ, რა დამღუპველი ზეგავლენით უკუაგდებს ხოლმე ადამიანი ჭეშმარიტ მოვალეობას ისე, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის უნარს ჰკარგავს და სინიდისის ქენჯნასაც არ განიცდის?!

სიყვარულის დაავადებისაგან სრულიად თავისუფალი მეგონა ჩემი თავი. მეგონა, რომ თავიდან მოვიშორე ყველა გრძნობიერებითი სიტკბოება, მათ შორის ისიც, რომელიც მანონმა მომანიჭა. თითქოს ყოველივეს ვამჯობინებდი წმ. ავგუსტინეს ერთ ფურცელს ან თხუთმეტოდე წუთით ქრისტიანულ საკითხებზე ჩაფიქრებას. მიუხედავად ამისა, ერთმა უბედურმა წამმა ჩამთქა უფსკრულში და ეს ჩანთქმა უფსკრულში მით უფრო გამოუსწორებელი იყო, რო მე ერთბაშად აღმოვჩნდი იმ სიღრმეში, რომელსაც თავი დავაღწიე, და მე გამიტაცა ახალმა აღფრთოვანებამ, რომელიც უფრო ახლო იყო უფსკრულის ფსკერთან.

პარიზში თითქმის ერთი წელიწადი ისე გავატარე, რომ მანონის ამბავი არ მიკითხავს; საკუთარ თავთან ბრძოლა ძვირად დამიჯდა, ეაგრამ ტიბერჟის გამუდმებული და დროული დახმარება, საკუთარი ჩემი

განსჯანი ხელს უწყობდნენ ჩემს გამარჯვებას. უკანასკნელმა თვეებმა ძალიან მშვიდად ჩაიარა, ვფიქრობდი, რომ კიდევ ცოტა და საუკუნოდ დავივიწყებდი იმ მომხიბვლელ და ცბიერ ქმნილებას. [illegible] ყველა სასწავლებელში დადგა საჯარო გამოცდის დრო. [illegible] ერთ-[illegible]ნიმე წარჩინებულ პირს — მიეღოთ მოწყალება და ჩემს გამოცდებს დასწრებოდნენ. ჩემი სახელი პარიზის ყველა უბანს მოედო. ამ ხმას ჩემი მოღალატის ყურამდეც მიეღწია. აბატის სახელწოდების გამო მან არ იცოდა, ნამდვილად მე ვიყავ თუ არა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ, რომელიც მას შერჩენოდა, ან, შეიძლება, მცირე სინანულმა თავისი ღალატობის გამო (ვერასოდეს ვერ ვარჩევდი — ამ გრძნობებიდან რომელი იყო) გაუღვიძა ინტერესი ჩემი სახელის მსგავსმა სახელმა. იგი რამდენიმე ქალთან ერთად სორბონში გამოცხადდა დაესწრო ჩემს გამოცღას და მიცნო კიდეც.

მე მისი მოსვლისა არაფერი ვიცოდი. როგორც ცნობილია, ქალებს განსაკუთრებული ლოჟები აქვთ დათმობილი, რიკულებიანი შტორების გამო ისინი იქ არ მოსჩანან. დავბრუნდი სემინარიაში სახელმოსილი და მოლოცვებით დატვირთული. საღამოს ექვსი საათი იქნებოდა. დაბრუნებისთანავე მაცნობეს, რომ ვიღაც ქალს თქვენი ნახვა სურსო. იმ წამსვე გავეშურე მისაღებ ოთახისაკენ. ღმერთო ჩემო, რა მოულოდნელი ამბავი დამხვდა! ის იყო, ის, მანონი! უფრო მიმზიდველი, უფრო წარმტაცი, მეთვრამეტე წელში გადამდგარი. მისი მშვენება აღუწერელი იყო; ნაზი, სანდომიანი, მოხდენილი — თვით სიყვარულს გამოხატავდა. მთელი მისი მოყვანილობა მომაჯადოვებლად მეჩვენა.

მანონის დანახვაზე შევკრთი და რადგან არ ვიცოდი მისი მოსვლის მიზანი, თავდახრილი და აცახცახებული ვუცდიდი, რას იტყოდა. რამდენიმე ხანი ისიც ჩემსავით იყო შემკრთალი მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ჩემი მდუმარება გრძელდებოდა, ხელები თვალებზე მიიფარა, უნდოდა ცრემლები დაემალა. ბოლოს მოკრძალებული ხმით სთქვა, რომ ღალატის გამო სავსებით დაიმსახურა ჩემი სიძულვილი, მაგრამ თუ ოდესმე გამსჭვალული ვიყავი ნაზი გრძნობებით მისადმი, საშინელი უგულობაა რომ ორი წლის განმავლობაში არ შეეცადე მისი ამბის გაგებას. უფრო შეტი სისასტიკეა ასეთი დუმილი ეხლა, როცა შევხვდი. შეუძლებელია იმ სულიერი მწუხარების გამოთქმა, რომელშიაც მე ვიმყოფებოდი.

იგი ჩამოჯდა. მე ოდნავ გვერდშექცევით ვიდექი და პირდაპირ შეხედვას ვერა ვბედავდი. რამდენჯერმე ვსცადე პასუხის გაცემა, მაგრამ ძალა არ შემწევდა დაწყებული დამესრულებინა. დაბოლოს, თავს ძალა დავატანე და მწუხარებით წამოვიძახე: „ცბიერო მანონ!“ ოო! ცბიერო, ცბიერო!“ მან ცხარე ცრემლის ღვარით რამდენჯერმე გაიმეორა, რომ არა ფიქრობს თავისი ცბიერების გამართლებას. „მაშ რა გნებავთ?“ — შევსძახე მე. „სიკვდილი, — მიპასუხა მან, — თუ თქვენს გულს არ დამიბრუნებთ, ურომლისოდაც ჩემი სიცოცხლე შეუძლებელია. „მიიღე ჩემი სიცოცხლე, მოღალატევ! — წამოვიძახე ცრემლის ღვრით, რომლის

შეკავებაც ვერ შევძელი. — მიიღე ჩემი სიცოცხლე, ეს არის ერთადერთი, რაც შემიძლია კიდევ შემოგწირო, რადგან ჩემი გული მუდამ შენ გეკუთნოდა!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლივს მოვასწარი ამ სიტყვების წარმოთქმა, რომ ტირილმა ამოხტა და გულში ჩამიკრა. ნაზი ალერსის ბადეში გამახვია. ათას ისეთ სახელს მიწოდებდა, რასაც სიყვარული ყველაზე ნაზ გრძნობათა გამოსახატავად სთხზავს. მე გაუბედავად ვეხმაურებოდი. წარმოიდგინეთ მშვიდობიან განწყობილებიდან, რომელშიაც მე ვიყავი, სულის აბობოქრებულ მდგომარეობაში გადასვლა, — სულის, რომელმაც კვლავ გაიღვიძა. თავზარი დამეცა; ვკანკალებდი ისე, როგორც კანკალებს ადამიანი, ღამით ტიალ მინდორში მოხვედრილი, როდესაც რაღაც ახალი სამყარო გეხატება, რაღაც იდუმალი შიში გიპყრობს, რომლისაგანაც თავის დაღწევას მხოლოდ მაშინ შესძლებ, როცა მიდამოს გულდასმით დააკვირდები.

პირისპირ დავსხედით, ხელი ხელში ჩავჭიდე. „აჰ, მანონ!" წამოვთქვი და მწყეხარედ დავაშტერე თვალები, — არ მოველოდი თქვენგან ისეთ შავ ღალატს, როგორითაც სიყვარულისათვის გადამიხადეთ. თქვენ აღვილად მოატყუეთ ის გული, რომლის სრული მბრძანებელიც თქვენ იყავით და რომლის მთელ ბედნიერებას თქვენი თაყვანისცემა და მორჩილება შეადგენდა. მითხარით ახლა, იპოვეთ სხვა ასეთივე გული? ასეთივე მგრძნობიარე და ასეთივე ერთგული? არა, არა, ბუნებას სხვა ასეთი გული არ შეუქმნია! ყოველ შემთხვევაში მითხარით, ნანობდით თუ არა მასზე? შემიძლია თუ არა დარწმუნებული ვიყო თქვენს კეთილ გრძნობაში, რომელიც გაიძულებთ დღეს დამამშვიდოთ მე. ძალიან კარგად ვხედავ, რომ თქვენ უფრო მომხიბლავი ხართ ახლა, ვიდრე ოდესმე, მაგრამ გაფიცებთ იმ ტანჯვას, რომელიც თქვენთვის გადავიტანე, მშვენიერო მანონ, მითხარით, მომავალში დარჩებით ჩემი ერთგული თუ არა?".

საპასუხოდ მან იმდენი გულის ამაჩუყებელი სიტყვები მითხრა თავისი სინანულის გამო, ისეთი დამაჯერებლობით და ისეთი ფიცით დამპირდა ერთგულებას რომ ჩემი გული უსაზღვროდ მოარბილა „ძვირფასო მანონ, — მივმართე მას და ერთმანეთში უღვთოდ აურიე სატრფიალო და საღვთისმეტყველო სიტყვები, — შენში ძალიან ბევრია ღვთაებრივი მეტი, ვიდრე მიწიერ ქმნილებას შეეფერება. მე ვგრძნობ, როგორ იტაცებს, ჩემს გულს მძლეთამძლე სიტკბოება. ყოველივე რასაც წმ. სულპიციის სემინარიაში თავისუფლებაზე მეტყველებენ, ცარიელი ქიმერაა. შენთვის დავღუპავ ჩემს მომავალს და ჩემს სახელს; ვიცი ჩემ ხვედრს შენს მშვენიერ თვალებში ვკითხულობ; მაგრამ რა დანაკარგს არ ამინაზღაურებს შენი სიყვარული? ჩემს კეთილ მდგომარეობაზე მე არ ვიზრუნებ. სახელი კვამლია მხოლოდ, ჩემი გეგმა სასულიერო წოდების პირის ცხოვრების შესახებ გიჟური ოცნებაა, ბოლოს, ყოველივე სიკეთე, გარდა იმისა, რაც უშუალოდ შენთან არ არის დაკავშირებული,

ღირსია ზიზღისა, რადგან შენი ერთი შემოხედვის შემდეგ სწრაფად გაჰქრნენ ისინი ჩემი გულიდან.“

დავპირდი, რომ მთლად დავიწყებას მივცემდი მის საქციელს, მაგრამ მაინც მოვისურვე გამეგო, როგორ მისცა ნება თავს ბ-ნ ბ-ს აჰყვა. მან მიამბო, რომ ბ-ნ ბ-ს ფანჯარაში დაუნახავს და მაშინვე შეჰყვარებია; სიყვარული მან ისე განუცხადა, როგორც ეს მთავარ მოიჯარადრეს შეჰფერის, ე. ი. წერილში სწერდა, რამდენადაც იგი დაუთმობდა თავის თავს, ჯილდოც ამის შესაფერი იქნებოდა. ის დასთანხმდა მხოლოდ იმისათვის, რომ მიეღო ფული ჩვენი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, იმდენად დააბრმავა, თვალწარმტაცი დაპირებებით რომ იგი თანდათან დაემორჩილა. მიხვედრილი ვარ მისი სინიდისის ქენჯნას იმ მწუხარების მიხედვით, რომელსაც იგი ჩვენი განშორების წინ განიცდიდა. მიუხედავად იმ ფუფუნებისა, რომელშიაც ბ-ნი ბ. ამყოფებდა, მანონი ვერავითარ ბედნიერებას ვერა გრძნობდა მასთან, არა მარტო იმიტომ, რომ მასში ვერ ჰპოვა, მისი სიტყვით, ჩემი გრძნობების სინაზე და ტკბილი მოპყრობა, არამედ იმიტომაც, რომ, ყველა იმ სიამოვნების მიუხედავად რომელსაც იგი უქმნიდა განუწყვეტლივ, გულის სიღრმეში მუდამ გრძნობდა ჩემს სიყვარულს და სინიდისის ქენჯნას.

თარგმანი ფრანგულიდან **ქეთევან ირემაძისა**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო წულუკიძე

ახალი ადამიანი ქართულ საბჭოთა პროზაში

იმ დიდ პროცესებს, რომელიც ჩვენმა დიდმა სამშობლომ განიცადა ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე, არ შეიძლებოდა უღრმესი გავლენა არ მოეხდინა ქართულ ლიტერატურის განვითარებაზე. განიცდიდა რა სტალინის ეპოქის ცხოველმყოფელ ზემოქმედებას, ქართული საბჭოთა მწერლობა ცდილობდა აესახა ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ძვრები, რომ თვითონაც გამხდარიყო მასების შემდგომი ზრდის ფაქტორი.

ქართულ საბჭოთა მწერლობას წინ უსწრებს საბჭოთა სინამდვილის განვითარება, იგი ყოველთვის დროზე ვერ ეხმაურება სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ მოვლენებს. ამიტომ იგი თავის ერთერთ ძირითად ამოცანად სახავს კიდევ უფრო ორგანიულად დაუახლოვდეს მილიონთა სოციალისტურ შემოქმედებას, გახდეს სტალინური ეპოქის სინამდვილის არა მარტო ამსახველი, არამედ მისი წინწამწევი ძალა.

როგორ ასრულებდა ქართული საბჭოთა მწერლობა, კერძოთ ქართული პროზა ცხოვრების ამსახველისა და გარდამქნელის დიდ ამოცანას?

თუ თვალს გადავავლებთ ქართული პროზის განვითარებას პირველი ხუთწლედის დაწყებიდან (1928 წლიდან) მეორე ხუთწლედის დამთავრებამდე, დავინახავთ, რომ მასში, ქართულ საბჭოთა პროზაში, გამოხატულება ჰპოვა სოციალისტური მშენებლობის თითქმის ყველა ეტაპმა.

პირველი ნაწარმოები, რომელშიაც ასახულია ქართული საბჭოთა სოფელი 1925 — 28 წლებში, არის კ ო ნ ს ტ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს „იმერეთი“ („ძირს სიმინდის რესპუბლიკა“).

რას წარმოადგენდა იმ დროინდელი საბჭოთა სოფელი და როგორ არის იგი მოცემული იმ ნაწარმოებში? ეს ის დროა, როცა ქალაქად მიმდინარეობდა დანგრეული და დარბეული სამრეწველო საწარმოების აღდგენა, იქმნებოდა სამრეწველო კერები. სოფლად ტარდებოდა კაპი-

ტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკა, მოქმედებდა კულაკურ მეურნეობათა ინდივიდუალური დაბეგვრის კანონი, ეწყებოდა მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფები, მათზე დაყრდნობილი პარტია აწარმოებდა ბრძოლას კულაკობის ექსპლოატატორულ ტენდენციებთან. დაახლოვებით, ასეთია პოლიტიკური ვითარება იმ დროს, იმ პერიოდში, რომელსაც ასახავს კ. ლორთქიფანიძის „იმერეთი". ის სოფელი, რომელსაც მწერალი გვიხატავს, ეკუთვნის სამომხმარებლო რაიონს ე. ი. რაიონს, რომელიც ფართოდ არ აწარმოებს სასაქონლო პროდუქციას და ქალაქში გააქვს ხილბოსტნეული, წვრილფეხა და ისიც მცირე რაოდენობით. ნაწარმოებიდან სჩანს, რომ ამ სოფელში არ არის დიდი კულაკური მეურნეობები, სჭარბობს საშუალო შეძლების გლეხობა. არიან ღარიბი, გაჭირვებული მეურნეობებიც — და თითზე ჩამოსათვლელი მოჯამაგირეები. ავტორი მაინც ახერხებს მოგვცეს მწვავე სოციალური კონფლიქტები. სოფელში, რომელსაც მწერალი ასახავს, არის პარტიული ორგანიზაცია კომკავშირული უჯრედი, მაგრამ გავლენა მათი პირველ ხანებში გლეხობის მასაზე სუსტია. სოფლის ექსპლოატატორები, რომლებიც ამ ნაწარმოებში წარმოდგენილნი არიან მიკიტან-მევახშის პიტახიას და კულაკ ბარნაბა საგანელიძის სახით, თავს შევიწროებულად გრძნობენ მხოლოდ მძიმე გადასახადების გამო; სხვა მხრივ მათი მოქმედება თითქმის შეუზღუდველია. მიკიტან პიტახიას მოჯამაგირე მექი ისეა წელში გაწყვეტილი და იმდენად დაბეჩავებული, რომ აღარ აქვს ადამიანის სახე. მთელს სოფელში არ არის კაცი, რომ მას გამოექომაგოს დაიხსნას მიკიტნის შეუბრალებელი მოპყრობისაგან. ამ ბეჩავი ადამიანისათვის რასაკვირველია, არავინ არ მოიმდურებს პიტახიას, რომელიც გლეხებს, მართალია, არ უყვართ, მაგრამ მაინც საჭიროდ და ანგარიშ გასაწევ კაცად ითვლება, უფრო მეტ კრძალვასა და რიდს გრძნობენ სოფლელები საგანელიძისა და მისი ოჯახისადმი. გლეხებს არ უნდა საგანელიძის წაჭცევა, რადგან მისი გზა, რომლითაც მან მდიდარ ცხოვრებას მიაღწია, მიაჩნიათ თავის გზადაც „ბარნაბა ყოველი გლეხის ხვალინდელი დღეა". — ხშირად იმეორებს ამ სიტყვას ერთი მისი მეზობელი. საგანელიძემ კარგად იცის, რომ სანამ გლეხობა მის მხარეზეა, მანამ დიდად ვერ დაუზარალებენ და ვერ ალაგმავენ. ამიტომაა, რომ იგი არავითარ საშუალებას არ ერიდება გლეხობაზე გავლენის გასაძლიერებლად. მის არსენალში მრავალგვარი საბრძოლო იარაღია, მათ შორის უკანასკნელი ადგილი უჭირავს პროვოკაციას. მაგალითად, თუ განზრახულია თვითდაბეგვრით გზის გაყვანა ან ხიდის აგება, ბარნაბა გლეხობას ჩასჩიჩინებს, თქვენ თავს ნუ შეიწუხებთ, ამას მთავრობა გაგიკეთებთო. როცა სხვადასხვა სასოფლო საკითხების გამო კრებაა მოწვეული, ბარნაბა ხმებს ავრცელებს — ამ კრებაზე კოოპერაცია ფართალს დაარიგებსო. იმ ბალ-ვენახში, რომელიც მას ჩამორთმეული აქვს, თხებს მიერეკება, რომ ხალხს უთხრას — შეხედეთ მოუვლელობით და უპატრონობით როგორ ვერანდება ნაჭირნახულევიო. ბარნაბა აქეზებს შეუგნებელ გლეხებს და გლეხ-ქალებს, რომ ჩაშალოს

არტელის დაარსების გამო მოწვეული მიტინგი. ამ კრებაზე იგი მათ ალაპარაკებს ჭორებს, თითქოს არტელი აპირებდეს გლეხების ნაყოფიერ ჭალების მითვისებას. ბარნაბა, ფუქსავატი და უქნარა ახალგაზრდების დახმარებით, ობსტრუქციას უწყობს მიტინგს და სხვა. [illegible] ბაგლეტის შესანარჩუნებლად ბარნაბა „კულტურტრეგერობს“ კიდეც, ქოსამკითხველოს უწერს ჟურნალ-გაზეთებს.

სოფლის პარტუჯრედის მდივანი ტარასი ხაზარაძე გლეხია, რომელიც არ არის მთლად თავისუფალი ძველი ტრადიციებისაგან. იგი არა მარტო სტუვით, არამედ საქმითაც, ყველაზე მოწინავე ადამიანია თავის სოფელში. კლასობრივ მტრების საგანელიძის, პიტახიას და სხვების მიმართ იგი შეურიგებელ პოზიციაზე დგას. წურბლებს სძულს ხაზარზე კლასობრივი მტრის ნამდვილი სიძულვილით, რადგან იგი მოუსყიდავია. საგანელიძეს ამის შესახებ ასეთ საუბარს მართავს გადაგვარებულ დაშნიანთან (თემალმასკომის თავმჯდომარეა): „ვერ გავიგეთ, ბატონო, ჩვენ სოფელში რომელია მთავრობა? შენი ალმასკომი, თუ ტარასის უჯრედი? შენი ნათქვამი სიტყვა უთქმელად და საუკეთესოდ გვესმის, მაგრამ ხაზარაძეს ვერაფერი გავუგეთ, სოფელი ამიჯანყა, მტერი ხარო. ვინც ნამდვილი გლეხები ვართ ალმასკომს ვემხრობით, ჩვენი მთავრობა სწორედ ალმასკომია. ის მაკვარანცხი უჯრედი არ გვინდა, არა“!.

საგანელიძე ნამდვილ გლეხობას უწოდებს თავის მსგავს ბობოლებს, რომლებსაც შესწევს საშუალება მიიმხრონ დაშნიანები და დაახუჭინონ თვალი იმ უკულმართობაზე, რომელსაც სჩადიან. რა ნეტარება იქნებოდა მათთვის, რომ ეს „ხაზარაძის უჯრედი“ არ ყოფილიყო! დაშნიანს რომ მისი შიში არ ჰქონდეს, ხომ უფრო გაბედულად გვაფარფაშებდაო. რა გზით მიიმხრონ ხაზარაძე, ან როგორ განაიარაღონ იგი? — ეს თავსამტვრევი საკითხი უტრიალებს თავში საგანელიძეს. იგი ეძებს სუსტ მხარეს ტარასის ხასიათში, რომ ხვლი ჩასჭიდოს და თავის მხარეზე შემოაბრუნოს.

„რატომ პატიჟებს ბარნაბა თავმჯდომარეს? — ეკითხება თავის თავს ტარასი, — მხოლოდ მისთვის, რომ ამითი ის ძველი ადამიანი მოიმადლიეროს, რომელიც ჩვენს გულში ჯერ კიდევ ცოცხალია. ბარნაბამ კარგათ იცის, რომ სადაც ის ძველი ადამიანი იპურმარილებს, მერე იქ ცეცხლსა და მახვილს ველარ შეიტანს, ვინაიდან, სადაც პურმარილია, იქ ხათრია. ხათრი კი სათავეა კომუნისტის გადაგვარებისა“ — ეს ხათრიანობა იყო, რომელიც, განსაკუთრებით, ჩვენში ხელ-ფეხს უბორკავდა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებს. ტარასის ეშინია, რომ მის გულში დაბუდებული ეს ძველი ადამიანი არ მოიშალოს ბარნაბამ. იგი გაურბის მასთან ურთიერთობას, მაგრამ ერთხელ მაინც გაებმება ტარასი ბარნაბას ქსელში. ხაზარაძეს, სისხლის მოწამვლით მშობიარე ცოლი უკვდება. საჭიროა სასწრაფო დახმარება, ქალაქიდან ექიმის მოყვანა. მეზობელ გლეხ ილიკოსთან ერთად იგი დაფეთებული დაეძებს ცხენს, შემოირბინეს მთელი სოფელი, არც ერთ მეზობელს ცხენი შინ არ აღმოაჩნდა. დაღამდა. მიდიან გაღმა, რომ დილი-

ჟანს ცხენი გამოხსნან. უცბად ვილაცამ ფონში ცხენი შემოაგდო. ცხენოსანს გზა უყელეს და კიჟინით მისცვივდნენ, ხელში შერჩათ ბარნაბა საგანელიძე. რა წამს ტარასიმ თავისი მტერი იცნო, ალვირს ხელი დამწვარივით გამოსტაცა და ცხენოსანს გზა დაუთმო. უძნელესი [illegible] ალიკომ იკისრა და ბარნაბას ცხენი სთხოვა.

— „აი ხო ხედავ, თურმე ცხენიც საჭირო ყოფილა და ქონებაცო, თქვენ კი ყველას მტრად აცხადებთ, ვისაც თავისი ოფლით რამე შეუძენია. ახლა ხო დაგჭირდათ", — ზეიმობს ბარნაბა, ჰგონია, რომ უკვე გამთელდა ხიდი ხაზარაძისა და მის შორის. ამ დღიდან კულაკი მეგობრულად უკრეჭს კბილებს ხაზარაძეს, რომელსაც ძალა აღარ ყოფნის ბარნაბას სალამს პირქუშად დახვდეს, ეშინია გლეხობის თვალში ღრჯუ და უკეთური კაცის სახელი არ დაიმსახუროს, ნამუსიდან გარეცხილი არ დაღძახონ, დიდმა და პატარამ ზურგი არ შეაქციოს. მტრის დახმარებამ ტარასი შებოჭა. ხედავს რა ამას ბარნაბა — სითამამე ემატება. ტარასი მძიმე, სულიერ ტანჯვს განიცდის, ორ ცეცხლ შუაა მოქცეული. არ იცის, ორში რომელი აირჩიოს. თუ ხელს ჰკრავს საგანელიძეს, დაჰკარგავს ნამუსიან კაცის სახელს, სოფელს ჩამოიშორებს, სოფელი აღარ გაჰყვება ხაზარიძეს იმ დიდ საქმეში, რომელიც მან წამოიწყო, ხოლო თუ იგი სოფლის წვრილ მესაკუთრულ მორალს გაჰყვება, დაიმეგობრებს მტერს, რომელმაც პირადად მას ამაგი დასდო, მაგრამ რომელიც გააფთრებით ებრძვის საერთო საქმეს, — თუ ასე მოიქცევა იგი ამით საფრთხის წინაშე დააყენებს არა მარტო თავის ბოლშევიკობას, არამედ კოლმეურნეობის და მთელი სოფლის მომავალსაც. მწვავე სულიერი ქეჯნის შემღეგ ასეთ გამოსავალს პოულობს: ნათხოვარი ცხენის ჭირად ბარნაბა გასამკეცებულ გასამრჯელოს უგზავნის და უთვლის: „მტრები ვიყავით, მტრებად დავრჩეთო".

ამ ნაწარმოებში ერთი და ორი როდია ასეთი დრამატიზმით სავსე მომენტი, რომელიც გვაგრძნობინებს რთულ კლასობრივ ვითარებას და სულიერი ბრძოლის სიმძაფრეს. ასეთ ბრძოლაში იწვრთნებიან და იზრდებიან სოფლის ბოლშევიკები, — ხაზარაძე და მისი თანამებრძოლნი.

ხაზარაძე იცნობს გლეხის ცხოვრებას, მან იცის, როგორ მიუდგეს თითეულ მათგანს, როგორ მიიმხროს, როგორ დაიყოლიოს. გლეხური მასისგან იგი არ არის განდგომილი, თვითონ ხელმოკლე გლეხია, მაგრამ ყოველთვის პოულობს სახსარს დაეხმაროს გაჭირვებულ მეზობელს. მისი ალმზრდელობითი გავლენა დიდია, სოფელში იგი პირველი პარტიულია, პარტუჯრედის მდივანი, არტელის დაარსების ინიციატორია. მას აქვს ასე თუ ისე დამსახურება, მაგრამ კომყოყოჩობა მასში არ არის. რა წამს კი ყურს მოჰკრავს არტელის ქალების საყვედურს, რატომ ჩვენთან ერთად ყანაში თავმჯდომარის ცოლიც არ მუშაობსო, ტარასი სთხოვს თავის ავადმყოფ მეუღლეს სამუშაოზე გასვლას, რომ არავინ დასწამოს მას (ხაზარაძეს) თავის ოჯახისათვის პრივილეგიების შექმნის სურვილი.

ოჯახურ ყოფაცხოვრებაში ტარასი სათუთი ადამიანია, ცოლის პატივისმცემელი და შვილების დიდი მოყვარული.

ასეთია ტარასი და პირდაპირ საკვირველია, რომ იმ სოფელში სადაც ეს კაცი, ეს მოწინავე ადამიანი მუშაობს, ასე ჩაწიხლული და გათელილია მექი. ეს ახალგაზრდა კაცი რომანის მთავარი გმირია. ფიზიკური განვითარებით, გონებრივად მექი ბევრს თავის ტოლზე დაბლა არ დგას, მაგრამ სოფლად იგი კაცად არ მიაჩნიათ სწორედ იმიტომ, რომ სამუშაო ძალის გარდა, მას სხვა არაფერი გააჩნია. ეს მოქმედებს მის სულიერ ვითარებაზე. სიბეჩავის, გაუბედავობის დაღი აზის მის სიარულს, მის მიხვრა-მოხვრას, მის საუბარს. იგი მოკლებულია თავდაცვის უნარსაც კი. მზად არის ყველას ფეხქვეშ გაეგოს, რაიმე სამსახური გაუწიოს, რითიმე ასიამოვნოს, ოღონდაც თავიდან აიცდინოს დაცინვა, ზიზღი, აბუჩად აგდება. ამ უმწეო და საცოდავ ადამიანს მაინც არა აქვს დაკარგული მომავლის იმედი, მატერიალურმა სიდუხჭირემ და მორალურმა დამცირებამ მასში ვერ ჩაჰკლა მისწრაფება დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ, იგი ოცნებობს საკუთარი კერის შექმნაზე. პიტახიებისა და საგანელიძეების ხელში აღზრდილს, მას გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ მოჯამაგირეობაში აღებული გროშებით შესძლებს საკუთარი მეურნეობის მოწყობას. მექის შემდგომი ისტორია წარმოადგენს იმის საუკეთესო ილუსტრაციას, თუ როგორ წამოაყენა ფეხზე ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის სოფლად შექმნილმა ახალმა ურთიერთობამ — მექისავით დაბეჩავებული და ჩაწიხლული ადამიანები. მექის სოფელში ახალმა სიომ დაჰბერა. იგი გაიხსენეს, მას ხელი გაუწოდეს, ადამიანად ჩასთვალეს, კრებაზე მიიწვიეს. ამ მომენტიდან იწყება მისი ხელმეორედ დაბადება, კაცურ კაცად ქცევა. ის არტელში მიიღეს, წერა-კითხვა ასწავლეს. მექიმ, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა ექსპლოატაციის მთელი საშინელება, ახლა კიდევ უფრო მძაფრად იგრძნო, თუ რას წარმოადგენს მასავით დაჩაგრულ ადამიანისათვის სასოფლო-სამეურნეო არტელი. ამიტომ მისი ერთგულება კოლმეურნეობისადმი თავგანწირულებამდე მიდის. იგი მუდამ მზად არის შეასრულოს ყველაზე უძნელესი სამუშაო, რომელზედაც სხვები უარს ამბობენ, მან არ იცის ქედის მოხრა სიძნელის წინაშე, მუშაობს შეუსვენებლად და კმაყოფილებით ამბობს: „ეს ხომ ჩვენია, ხაზეინის ხელში ხომ არა ვართ, თვალის მოსატყუებლად ვიმუშაო“. —ამ სიტყვებით მექი გამოხატავს შეგნებას მილიონებისას, რომელნიც დიდ ოქტომბრამდე არაფერი იყვნენ, ხოლო შემდეგ მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონნი გახდნენ.

„იმერეთი“-ს („ძირს სიმინდის რესპუბლიკის“) ერთერთ მეტად მიმზიდველ და უაღრესად სიმპატიურ ფიგურას წარმოადგენს კომკავშირელი ბაჭუა ვაშაკიძე, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ საბჭოთა სოფლის საუკეთესო ადამიანთა რიცხვს. მისი ცხოვრება არ ბრწყინავს გარეგნული ეფექტებით, მაგრამ იგი ძალიან შინაარსიანია. პრინციპიულობა, პირდაპირობა, შეურიგებლობა, გულთბილობა—ამხანაგების მიმართ,—

მისი დამახასიათებელი თვისებებია. მექის ფეხზე წამოყენება ბაჭუას საქმეც იყო. იგი შეუცვლელად გვერდში უდგას უფროს ამხანაგს ტარასი ხაზარაძეს ყოველდღიურ ბრძოლასა და საქმიანობაში. [illegible] ნებისიერი გაჭირვება არ განუცდია, მაგრამ მან გადაიტანა არტელის ჩამოყალიბების, კოლმეურნეობის დაბადების ტკივილები. იმ თავითვე ბაჭუა ვაშაკიძე ხაზარაძესთან ერთად გამოვიდა არტელის დაარსების ინიციატორად. კოლექტიური შრომის უპირატესობაში გლეხობის ერთი ნაწილის დარწმუნების შემდეგ, მათ მიაღწიეს მიზანს: არტელი ჩამოაყალიბეს, მაგრამ თვით კომკავშირელ ვაშაკიძისათვის ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ იგი, ამ საქმის ენტუზიასტი ყმაწვილი, დარჩა კოლმეურნეობის გარეთ. ბაჭუას კოლექტივში შესვლას წის აღუდგა ბაჭუას მამა და მთელი ოჯახი, ან ჩვენ, ან კოლექტივი, — ასეთი არჩევანის წინაშე დააყენა მამამ თავისი ერთადერთი ვაჟი.

როგორ მოიქცეს ბაჭუა? არტელში მისი არ შესვლა კულაკებსა და მის დამქაშებს მისცემს საბაბს ყოველ გზაჯვარედინზე იყვირონ — კოლექტივი რომ კარგი იყოს, პირველად კომკავშირის უჯრედის მდივანი ვაშაკიძე შევიდოდაო. ასეთი პროვოკაცია შეარყევდა იმ საქმეს, რომელსაც მან ამდენი ენერგია შესწირა. მეორე მხრივ ძნელია მისთვის, ბაჭუასათვის — ოჯახის ერთადერთი იმედისათვის, მოხუცი დედ-მამის მიტოვება. ვერ გავამტყუნებთ, თუ ეს მასში დიდ სულიერ მღელვარებას იწვევს. სხვა გზა არაა, კოლექტივისათვის უნდა დასთმოს მშობლები, მაგრამ ახლა არტელის წევრები არ თანხმდებიან ვაშაკიძის მიღებას ისე, თუ თან არ მიიტანს თავის წილ ქონებას.

ბაჭუა სთხოვს მამას გამოუყოს მისი ხვედრი.

„ჩემს ეზო-გარემოდან ერთ ფიცარსაც ვერ გაიტანო, — ეუბნება მღელვარებისგან აკანკალებული მამა.

— არ მომცემ, კანონით მოგთხოვ.

— „ავაი, — იჩხავლა მოხუცმა და შვილს გამოენთო. შვილმა გაქცევა დააპირა, მაგრამ უმალვე საშინელი დამცირება იგრძნო, იქვე დაერჭო და მამის პირველი სილა მორჩილი ღიმილით მიიღო. მისმა ღიმილმა ბერი კაცი მთლად გადარია, მეორეც მოუქნია, ბაჭუამ უგანა, იაგორამ წონასწორობა დაჰკარგა და ვიდრე ბაჭუა მიეშველებოდა, იგი უკვე მიწაზე კვნესოდა, შუბლი ჯირკზე გაეხეთქა. სისხლის დანახვაზე ქალებმა შეიცხადეს და მთელი სოფელი შეჰყარეს. სოფელს მოედო პროვოკაციული ჭორი: არტელის ჩაგონებით ბაჭუა მშობელ მამას მოსაკლავად მიუხტაო. ხალხი აყაყანდა, აღელდა. მიწებს გვართმევენ, შვილებს გვიმხედრებენ, ოჯახს გვიბახებენო“.

აი ასეთ საშინელ ცეცხლში უხდებათ ბრძოლა ვაშაკიძეებს და ხაზარაძეებს. როცა ვამბობდით, ბაჭუას სხვებთან ერთად ხვედრად ხვდა კოლმეურნეობის დაბადების სამშობიარო ტკივილების გადატანაო, ვგულისხმობდით სწორედ ასეთ მძაფრ ქარიშხალში მოხვედრას.

ცხადია, სოფლის ამ ახალი ადამიანების მორალური თვისებების ასეთი სქემატიური ჩამოთვლით არ შეიძლება წარმოვდგინოთ ყოველი მათგანის ფსიქოლოგიური თავისებურება. შესაძლოა, ჩვენს ზერელე დახასიათებაში ეს გმირები ერთმანეთს გვანან, მაგრამ [illegible] არიან ისინი ნაწარმოებში. ყოველი მათგანის ამა თუ იმ თვისებას აქვს თავისი ინდივიდუალური იერი, თავისი ემოციურ-ინტიმური ელფერი, რაც ანსხვავებს ამ ერთი მიზნით, ერთ იდეალით გაერთიანებულ ადამიანებს ერთი მეორისაგან.

ნაწარმოებში მოქმედებენ სხვა მეორეხარისხოვანი პერსონაჟები. ესენი არიან უმთავრესად სოფლის ღარიბი ფენების წარმომადგენელნი, დიდი გარდატეხის პიონერები, რომლებიც კოლმეურნეობაში მივიდნენ იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ახალ საფუძველზე გარდაქმნან ცხოვრება და თავადაც გარდაიქმნან. „იმერეთი"-ს („ძირს სიმინდის რესპუბლიკის") მეორე ნაწილი დაგვანახებს, თუ ვინ დაიხევს უკან და ვინ აღმოჩნდება იმ მოწოდების სიმაღლეზე, რომელსაც ერთნი უყოყმანოდ, მეორენი — მცირე, ხოლო მესამენი დიდი მერყეობის შემდეგ გაჰყვნენ.

საკოლმეურნეო მოძრაობის მასალაზე არის დაწერილი ელიზბარ პოლუმორდვინოვის რომანიც „იღვიძებენ მთები".

იმ ადამიანთა სამოქმედო არე, რომელიც ავტორს თავის ნაწარმოებში გამოჰყავს, არის აჭარის სოფელი. ხოლო დრო — 1930 — 34 წლები, ეს ის დროა, როცა საკოლმეურნეო მოძრაობა ავიდა უფრო მაღალ საფეხურზე, როცა მან გაიარა ორგანიზაციული პერიოდი, როცა უკვე მოქმედებაშია სტალინური ლოზუნგი, — გადავაქციოთ ყველა კოლმეურნე შეძლებულად". ეს ის დროა, როცა გაიშალა გრანდიოზული მუშაობა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე, კერძოდ, აჭარაში სუბტროპიკულ მცენარეთა პლანტაციების გასაშენებლად.

მეორე მხრივ პოლუმორდვინოვის ამ ნაწარმოებში ჩვენ საქმე გვაქვს აჭარასთან, სადაც საკოლმეურნეო მოძრაობა, გარდა საერთოდ ყველა კუთხისათვის დამახასიათებელი სიძნელეებისა, ხვდებოდა განსაკუთრებული ხასიათის წინააღმდეგობას. აქ, განსაკუთრებით ამ პერიოდში, ძლიერი იყო რელიგიური ფანატიზმის ნაშთები. აქ ისევ ძლიერი იყო ქალის კარჩაკეტილობა. სისხლის აღების ადათი მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს ჯერ კიდევ ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი. მაშინ აქ ჯერ კიდევ გავლენით სარგებლობდნენ მოლები და ხოჯები. საკოლმეურნეო მოძრაობის მოწინააღმდეგე ძალები არ შეიძლებოდა არ დაყრდნობოდნენ ზემოხსენებულ ფაქტორებს. ცხადია, თუ ეს ფაქტორები, რომლებიც მოსახლეობას წარსულისაკენ ეზიდებოდნენ, გადალახული არ იქნებოდა, მთელი კუთხის ეკონომიურ სოციალური გარდაქმნა ახალ საფუძველზე ვერ წავიდოდა იმ ტემპით, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა.

ბრძოლა კოლექტივიზაციისათვის, მეურნეობის მაღალი ფორმისათვის, ახალი ტიპის ადამიანისათვს გულსხმობდა ბრძოლას ამ ნაშთების აღმოსაფხვრელად. ბუნებრივია, თუ ელ. პოლუმორდვინოვმა აჭარის საკოლმეურნეო მოძრაობის ასახვა დაუკავშირა ამ ადათების აღმოფხვრისათვის ბრძოლას. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს, თუ როგორ აქვს ავტორს დასმული ახალი ადამიანის თემა თავის ნაწარმოებში, მაგრამ არის თუ არა ჩადრის ახდა, ან სისხლის აღების ადათის უკუგდება ახალი ადამიანის დამახასიათებელი აქტი? აჭარის სინამდვლეში ეს აუცილებლად ახალ ადამიანის თვისების მაჩვენებელი აქტი იყო, რადგან იგი წარმოადგენდა რევოლუციურ ნაბიჯს, რომლის გადადგმა მოითხოვდა გამბედაობას, სიმტკიცეს, შეურყეველ რწმენას ამ ადათების მოსპობის მიზანშეწონილობაში. ჩვეულების ძალა ყველაზე საშინელი ძალაა, — ამბობს ლ ე ნ ი ნ ი. ადათიც ხომ ძვალსა და ხორცში გამჯდარი ჩვეულების ძალაა.

ელ. პოლუმორდვინოვი გვიჩვენებს სწორედ ამ ძალისაგან განთავისუფლებულ და ამ ძალის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებს, რომლებიც ამ ბრძოლაში იძენენ ახალი ადამიანების სხვა თვისებებსაც.

სულეიმან ნოღაიდელი „იღვიძებენ მთები"-ს ერთერთი მთავარი პერსონაჟია. ახალგაზრდობა მან მოჯამაგირეობაში გაატარა, მისი წარსული ცხოვრება ისეთივე მწარეა, როგორიც იყო ყოველი მოჯამაგირის ცხოვრება აღალარების და კულაკების უღელ ქვეშ. უკანასკნელად, ვიდრე ოჯახს მოეკიდებოდა, ის მოჯამაგირედ ყავდა მამუდ გოგიტიძეს კონტრაბანდით და სპეკულიაციით გამდიდრებულს გლეხს, რომელმაც შეძენილი ქონების ნაწილი მოახმარა ციტრუსოვანი ბაღის გაშენებას. სულეიმანმა ამ ბაღს შეალია თავისი ძალღონე, მაგრამ გოგიტიძესთან მოჯამაგირეობამ ერთი სიხარული მაინც შესძინა სულეიმანს: მშობლების საშინელი გაჯიუტების წინააღმდეგ, მან ცოლად წამოიყვანა მამუდის ქალი, ლამაზი ფადიმე, რომელიც შემდეგ სულეიმანის ღრმა სულიერი დრამის მიზეზი გახდა.

ჩამოყალიბდა თუ არა კოლმეურნეობა, სულეიმანი, როგორც დიდ გასაჭირს გავლილი ფუხარა გლეხი, პირველი შევიდა არტელში. აქ თავისუფლად გაიშალა წლობით შეძენილი მისი შრომის უნარი და მუყაითობა. სულეიმანი გახდა კოლმეურნეობის ერთერთი მოწინავე ადამიანი. არტელის მოწყობა და მისი განმტკიცება თავზარს ცემს სოფლის ექსპლოატატორებს. ისინი ირაზმებიან. პირდაპირ და ფარული ღონისძიებებით ცდილობენ დაანგრიონ იგი. კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოკვლით — და ამავე კოლმეურნეობის ერთ-ერთი ძლიერი ბურჯის, სულეიმან ნოღაიდელის გადაბირებით სურთ ჯერ შეარყიონ, მხოლოდ შემდეგ მოსპონ კოლმეურნეობა. ხალხის მტრებს დიდი ფიქრი არ სჭირდებათ იმაზე, თუ რა საშუალებას ჩასჭიდონ ხელი თავისი განზრახვის განსახორციელებლად. სისხლის აღების ადათის მომარჯვება არტელის თავმჯდომარის ხაბაზის მოსაკლავად, ფადიმეს — ამ ტრადიციულ მუ-

სულმანურ ოჯახში აღზრდილი ქალის კონსერვატიზმის გამოყენება სულეიმანის (ფადიმეს ქმარის) არტელისაგან ჩამოსაშორებლად — ასეთია კულაკების და ხოჯების გადაწყვეტილება. იწყება კულაკების მავნებლური მუშაობა, ბობოლები ახმედ ტაგიძე და ხოჯა ... ერთს შეთევზე გლეხს, სახელად რამიზს გაუმხელენ საიდუმლოებას, რომ მისი მამა ოსმანი მოუკლავს მამედ ალი ხაბაზის მამას და მთელი თვეების განმავლობაში ხოჯა და ბობოლები დაჟინებით მოითხოვენ რამიზმა ყანალმაღი შეასრულოს, ე. ი. სისხლი აიღოს. ეს სასახელო საქმეაო, სოფელი პატივისცემით დაგიწყებს ცქერასო. ყორნებმა ადვილად დაიყოლიეს გონება გაუხსნელი რამიზი, მით უფრო ადვილად რომ მას ღელვის დროს დაეღუპა ბარკასები და სამებადურო იარაღები, დაჰპირდნენ ფეხზე წამოყენებას. რამიზმა ყანალმაღი ვერ შეასრულა, მაძედ ალის თავდაჭერამ, აუღელვებლობამ, სიმშვიდემ და ლმობიერებამ რამიზი მოათვინიერეს და განაიარაღეს. ამგვარად ამ შემთხვევაში სისხლის აღება კულაკებს იარაღად არ გამოადგათ.

უფრო მეტი მხატვრული სიმართლით აქვს ავტორს გადმოცემული ფერიდესა და სულეიმანის კონფლიქტი. კულაკ მამისაგან და ხოჯასაგან ჩაგონებული, სარწმუნოებრივი ფანატიზმით ეკზალტირებული ფერიდე, მუდამ დღე მოთქმითა და ცრემლის ღვრით მოითხოვს ქმრისაგან კოლმეურნეობის მიტოვებას. თავის მხრივ სულეიმანი ქალს სთხოვს მოიხსნას ფერჩე. შეხლა-შემოხლა გრძელდება დიდხანს. ერთ დღეს სულეიმანის ვაჟს უცაბედად რევოლვერი გაუვარდება. ეს უკვე საკმაოა კულაკებმა სოფელს მოსდონ: სულეიმანმა ფერიდეს ლივერი გულზე დაადო, ფერჩე აიხადეო, უსროლია კიდეც, მაგრამ ვერ მოუხვედრებიაო. ეს იყო ჭორი, მაგრამ მოხდა ფაქტიც; აჭარელმა ქალებმა კრებაზე, რომელსაც წინ დიდი მუშაობა უძღოდა, პარტიული ქალის ხოშრეთის მოწოდების შემდეგ ჩადრი მოიხსნეს ამაღელვებელი შეძახილებით: — მოვსპოთ, დავსწვათო. ჩადრი არ მოიხსნა მარტო ერთმა ფერიდემ, მაშინ პარტკომიტეტის მდივანი ჰუსეინ კვესეიშვილი მივარდა ფერიდეს, ხელი წაატანა მის სახეს და ქალისთვის მოულოდნელად ფერჩე ჩამოგლიჯა. ფერიდე გაშეშდა, გაშრა სიტყვა ვერ ამოიღო, გაწითლდა, მერე ყვითელი ფერი გადაეკრა და მუხლებიც ჩაეკეცებოდა, რომ ქალები არ მიშველებოდნენ. ფერიდე თვალებს აფაცურებდა, ეძებდა სულეიმანს, უნდოდა გაეგო გამოესარჩლა თუ არა ქმარი, მაგრამ ის კედელზე მიბჯენილი უძრავად იდგა და ხმას არ იღებდა. ფერიდე სწრაფად შემოტრიალდა და გაიქცა. როცა სულეიმანი შინ დაბრუნდა, ოჯახში არავინ დახვდა: ფერიდე შვილით მამასთან გაქცეულიყო.

ჰუსეინის უხეშმა საქციელმა, რომელმაც აღაშფოთა პარტიული ამხანაგები, სანატრელი მასალა მისცა კულაკებს გლეხების ასაჯანყებლად.

ცოლისა და შვილის დაკარგვამ დაადარდიანა და გააწამა სულეიმანი, მაგრამ ვერ მოსტეხა. იგი ვერ მოდრიკა ვერც ამ ტანჯვამ და ვერც სიმამრის დაპირებამ, რომ გადმოგცემ მთელს ქონებას, თუ არტელს ჩამოე-

თხოვები და ცოლს შეურიგდებიო. ამ ორი გმირის დრამატული ამბავი თავდება იმით, რომ ბოლოს სულეიმანი იმარჯვებს. ფერიდე უბრუნდება ქმრის ოჯახს და შედის კოლმეურნეობაში.

ეს კონფლიქტი ყველაზე ემოციური და დამარწმუნებელია — მთელს ნაწარმოებში. აქ სასწორზეა დადებული სულეიმანისათვის ორი უდიდესი ძალის ღირებულება — სიყვარული ცოლშვილისადმი და ერთგულება კოლმეურნეობისადმი. მასში ეს ორი გრძნობა ებრძვის ერთმანეთს. მკითხველი მღელვარებით ადევნებს თვალს, ელის იმის გადაწყვეტას, თუ რომელი ამ გრძნობათაგანი გადასძლევს, ხოლო, როცა, ხანგრძლივი დარდისა და ტანჯვის გამოვლის შემდეგ, სულეიმანში საზოგადოებრივი შეგნება იმარჯვებს, მკითხველს სჯერა სულეიმანის ადამიანობაც და ხასიათის სიმტკიცეც. ასეთ ადამიანს, რომელმაც ესოდენი სიმძიმე გადაიტანა, შეიძლება კოლმეურნეობა დაემყაროს.

სამწუხაროდ, ასეთივე ხორცსხმული არ გამოუვიდა ავტორს მამედ ალი ხაბაზი, ჰუსეინ კვესეიშვილი, ხალვაში და სხვა გმირები სოფლის ახალი ადამიანების ბანაკიდან.

მკითხველმა რომ მათი მოწინავეობა, მათი ახალკაცობა დაიჯეროს, ამისათვის არ კმარა არც თვითონ გმირების ლაპარაკი თავის თავზე და ავტორის გაშიშვლებული მსჯელობა მათ იდეურ და მორალურ ღირსებებზე. მოწინავეობა უნდა სჩანდეს გმირთა მოქმედებაში, არაფერს არ ამბობს ასეთი წინადადებები „მამედ ალი ხაბაზი მტკიცე მოუღუნავი ნებისყოფით სათავეში ჩაუდგა პირველ კოლექტივს, მამედ ალი რკინის ბურჯივით იდგა. მისი ფიქრი, გრძნობა და საქმე ერთმანეთში ფოლადის ჯაჭვით იყო გადაბმული“ და სხვა. მარტო მაგარ-მაგარი სიტყვებით ვერ შევქმნით შთაბეჭდილებას მტკიცე ნებისყოფის ადამიანზე. თუ ავტორის ასეთ რეპლიკებს დაუჯერებთ, ჰუსეინი გულწრფელი, თავდადებული, თავის სიმართლეში დარწმუნებული და ამასთან თავშეუკავებელი აჩქარებული კომუნისტია, მაგრამ ამ თქმას სჭირია დასაბუთება საქმეებით. ჩვენ გვჯერა, მაგალითად, ამავე ჰუსეინის ერთი თვისება — თავდაუჭერელობა და წინდაუხედელობა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ვხედავთ მის მიერ უხეში აქტის ჩადენას, — ფერიდეს პირისახიდან ფერჩეს ჩამოგლეჯას. სხვა მისი თვისებები არ რჩებიან ჩვენს მეხსიერებაში, რადგან ისინი გამაგრებული არ არიან ფაქტებით.

ავტორს მიღწევად ჩაეთვლება მაინც ის, რომ მან პირველმა ქართულ საბჭოთა პროზაში მოგვცა ორი-სამი ახალი ადამიანის სახე აჭარის სინამდვილიდან.

სხვებთან შედარებით უფრო ცოცხლად გამოიყურება ხოშნეთი. მკითხველი გრძნობს ამ ქალში საუკუნოებით დაგუბებულ ენერგიას. საჭირო იყო ავტორს ეჩვენებინა არა ფრაზებით, არამედ მოქმედებაში, თუ როგორ მივიდა ხოშნეთი შეგნებული აქტიური ქალის დონემდე, როგორ გაინთავისუფლა თავი ქმრის დესპოტიზმისაგან. ავტორი კი დაკმაყოფილდა ასეთი მშრალი წინადადებებით: „მობეზრდა ხოშნეთს ჩადრის

ყოველ გადახდაზე ქმრის მუშტები და წიხლები. ერთხელ, ეს იყო სამი თვის წინად, ხოშნეთი შევარდა რაიონულ პარტკომში და შესჩივლა მას თავისი გაჭირვება. ამ დღიდან ხოშნეთმა ქმარი მიატოვა". ეს არის დღეს. მისი გარდაქმნის ისტორიიდან ავტორი სხვას არაფერს გვეუბნება. აწმყო კი ხოშნეთისა ასეთია: დაიარება სოფელ-სოფელ, ოჯახებში უქადაგებს ქალებს ჩადრის მოხსნის საჭიროებას, ამასვე იმეორებს საჯარო გამოსვლებში, იწვევს ქალთა კრებებს, ემუქრება, ტუქსავს მამაკაცებს, რომელნიც უშლიან ცოლებს ჩადრების მოხსნას და სხვ. ამ მართლაც და გაბედულ მუშაობას აჭარის სოფელში მოაქვს ნაყოფი: ერთ კრებაზე ქალები საჯაროთ იხდიან ფერჩეს. ეს სცენა ავტორს ძალიან ცოცხლად და საინტერესოთ აქვს გადმოცემული, მაგრამ არა ნაკლებ საინტერესო იყო იმ პროცესის მხატვრული გახსნა, რომელიც ყოველ აჭარელ ქალში წინ უძღვის ამ ჭეშმარიტად რევოლუციურ აქტს. ავტორს ეხერხება მოვლენების გარეგნული მხარის ეფექტური გადმოცემა, მაგრამ მოისუსტებს, შინაგანი სულიერი მოძრაობის სიღრმით გადმოცემაში. ამით აიხსნება, რომ ავტორმა რელიეფურად ვერ დაგვანახა კოლმეუნეობის ყველა ახალი ადამიანი.

კონსტ. გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცებაზე" ზოგიერთი გამოსთქვამს იმ შემცდარ აზრს, თითქოს იგი გვერდს უვლიდეს ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს. მართლა უცნაური იქნებოდა, რომ მწერალმა 750 გვერდიანი წიგნში გაშალოს ეპოპეა 1927—34 წლების ამბების გარშემო და არაფერი სთქვას არც ამ დროს მომხდარ გრანდიოზულ სოციალურ ძვრებზე და არც იმ პირებზე, ვინც ეს ძვრები მოამზადა და მოახდინა.

მაგრამ ეს ასე არ არის. კ. გამსახურდია თავის ნაწარმოებში ახლო მიდის ამ ამბებთან, მაგრამ ყველაფერს გვიხატავს მიმავალი ადამიანების თვალთახედვით და მათს ასპექტში გატარებით. მთელი ნაწარმოები არის გამომშვიდობება ძველ ქვეყანასთან, რომელიც ინთქმება და რომელსაც მიჰყვებიან ისინიც, ვინც მათ დაღუპვას მისტირის.

კაც ზვამბაიას ხელით პირუტყვების დახოცვის შემაძრწუნებელმა სცენამ, მოხუც დედების გულის სიღრმემდე ჩამწვდენმა მოთქმამ, დეე, სოციალიზმის ბედნიერ თაობებს მოუთხროს, თუ რა ტანჯვით ეთხოვებოდა ძველი ქვეყანა და ძველი ადამიანი სიცოცხლეს.

მაგრამ ავტორი ამბობს მიმავალთან ერთად, მომავალიც დაგანახეთო. რამდენად მართალია ეს? ამას დაგვანახებს მცირეოდენი დაკვირვებაც კი იმ პირებზე, ნაწარმოების იმ პერსონაჟებზე, რომელთაც ახალი ადამიანობის პრეტენზიები აქვთ.

დავიწყოთ არზაყან ზვამბაიათი. ავტორი გვეუბნება: „არზაყანი თუმცა კომკავშირელი იყო, მაგრამ მაინც აფხაზური ტრადიციები მთლად არ იყო მასში აღმოფხვრილიო. არა თუ მთლად, მასში თითქმის სრულიად არ არის აღმოფხვრილი ტრადიციები. უფრო მეტი: არზაყანი აზნაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული ტრადიციების გულმოდგინე დამცველი და მიმდევარია. სიარული, ჩაცმა-დახურვა, მანერები, ცხენის ჯირითი, იარაღის სიყვარული და ბევრი სხვა მასში — აზნაურულია. „გვანჯს თვალში, ფეხზედ, არზაყანის კოხტა, აზიური წაღები, მუხლს ქვემოთ ვერცხლის ლეკვერთხები შენიშნა, სწორედ ისეთი, თავადები რომ ატარებდნენ ძველად“. ყველაფერი ეს თუმცა გარეგნული მხარეა, მაგრამ ესეც საკმაოდ ამჟღავნებს არზაყანის შინაგან ბუნებას. „მართალია, — ეუბნება ერთერთი პერსონაჟი არზაყანს, — თავადობა მოისპო, მაგრამ „ფსიქოლოგიური თავადობა“ კიდევ დარჩაო. რომ არზაყანი ფსიქოლოგიურად თავადია, ამას ცხადყოფს მისი დამოკიდებულება თამართან, ემხვართან, აფაქიძესთან, ბაბუა ტარიელთან და ბევრს სხვასთან. საეკლესიო ცერემონიების უარყოფა და ქრისტიანული რიტუალებზე ხელის აღება, ან თამარისათვის იმის მოთხოვნა, რომ ნაწნავებს ნუ ატარებ, გაიკრიჭეო, — ეს კიდევ არ ნიშნავს კომუნისტობას. განა რაიმე იდეური სოციალური მოტივი ამოძრავებს არზაყანის მტრობას თარაშ ემხვართან, ან თუნდ გვანჯ აფაქიძესთან. ემხვარი მისი მოქიშპეა თამარისადმი სიყვარულში და არა კლასობრივი მოწინააღმდეგე. როგორც კი არზაყანი თავს დაარწმუნებს, რომ ემხვარს კავშირი არ აქვს თამართან, იგი მაშინვე სცვლის ემხვართან დამოკიდებულებას და მასში ჰქრება გაბოროტების ყოველგვარი ნატამალი თარაშისადმი. გაიხსენეთ რა სიამტკბილობით ცხოვრობენ ისინი ერთად სვანეთში გახიზვნის დროს! ახლა ვკითხოთ, რად მტრობენ ერთმანეთს არზაყანი და გვანჯ აფაქიძე? ჯერ ერთი იმიტომ, რომ არზაყანმა, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, ყაჩაღობისათვის დაუპატიმრა აფაქიძის ვაჟი, და მეორეც იმიტომ, რომ აფაქიძეს შურს არზაყანის ცხენი — არაბია, სურს ხელში ჩაიგდოს იგი და მხოლოდ ამ განზრახვთ აწყობს თავდასხმას არზაყანზე.

თამარ შერვაშიძე მარტო იმიტომ კი არ უყვარს არზაყანს, რომ მისი გარეგნობა მოსწონს, არამედ მასში სულიერ ნათესავსაც ხედავს. ეს ცხადი იქნება, თუ კარგად დავუკვირდებით, რა დიდი განსხვავებაა არზაყანის დამოკიდებულებაში ერთი მხრივ — თამართან და მეორე მხრივ — ძაბულისთან. არზაყანის მხრივ თამარისაგან საპასუხო გრძნობის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ ათასი წლობით ემსახურებოდნენ შერვაშიძეს ზვამბაიები — ოდნავადაც არ შეეფერება კომუნისტური იდეოლოგიის კაცს. არც არზაყანის ოცნება იმაზე, რომ, იქნებ, მას, სახელგანთქმულ მეცნიერს მარჯვნივ და მარცხნივ ქუდი მოუხადოს მოზიმზიმე ახალგაზრდობამ, — არც ასეთი ოცნებაა ნამდვილი კომკავშირელის დამახასიათებელი.

ჩვენ დაუსრულებლად შეგვიძლია ჩავთვალოთ არზაყანის ფსიქოლოგიური თავადობის დამადასტურებელი ნიშნები და ფაქტები. მისი კომუნისტობის დასამტკიცებელ მასალას კი ავტორი არ იძლევა. ყაჩაღებს ებრძოდაო, ორწელიწადს კოლხიდაში მუშაობდაო, მაგრამ მილიციაში ზოგი ყოფილი აზნაურები მსახურობდნენ, კოლხიდაში კიდევ ბევრი გან-

კულაკებული მუშაობდა, მაგრამ ისინი არ აცხადებენ პრეტენზიას არც კომუნისტობაზე და არც ახალ ადამიანობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ-ერთ მწერალს არ მოუცია მთელი მისი სისრულით და მრავალმხრივობით უკანასკნელი წლების ქართული საბჭოთა სოფელი. ამ ამოცანის გადაწყვეტას ისახავს მიზნად ამჟამად ჩვენი რამდენიმე ბელეტრისტი. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი ს რომანი „გვადი ბიგვა". ეს ნაწარმოები საინტერესო და საგულისხმოა არა მარტო იმ მხრივ, რომ მკითხველის წინ შლის 1934 — 36 წლების ქართულ საკოლმეურნეო სოფელს და იქ მომქმედ ძალებს, არამედ იმ მხრივაც, რომ თავისი სიუჟეტური აღნაგობით, თავისი კომპოზიციით იგი მეტად თავისებური და იშვიათი ნაწარმოებია.

რომანი 28 თავს შეიცავს და აქედან 22 თავი გვიხატავს საკოლმეურნეო ცხოვრების მხოლოდ ერთს დღეს. უეჭველად დაოსტატებული ხელოვანის კალამია საჭირო, რომ ერთს დღეში მოათავსოთ დღევანდელი სოფლის მრავალფეროვნება ისე, რომ ადამიანებიც და ის ვითარებაც, რომლის გარემოცვაში ისინი მოქმედობენ, ტიპიური და დამახასიათებელი გამოვიდეს.

თვით ის ფაქტი, რომ საკმაოდ მოზრდილი ნაწარმოების ოთხსმეხუთედზე მეტი ავტორს დასჭირდა კოლმეურნეობის ერთი დღის შრომისა და ბრძოლის დასახატად, ცხადჰყოფს, თუ რამდენად გაიზარდა საბჭოთა სოფელი, რამდენად მრავალმხრივი და შინაარსიანი გახდა მისი ყოველდღიური თავგადასავალი. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ავტორი ნაწარმოებს ტვირთავს ზედმეტი წვრილმანებით და მათ ხარჯზე ზრდის ნაწარმოების მოცულობას, მაგრამ ეს ასე არ არის.

მთელი რომანი დაწერილია ეგრეთწოდებული აუცილებელი დეტალების ხერხით, ე. ი. ყოველი საგანი, ყოველი მოქმედება, ყოველი სიტუაცია და თითეული პერსონაჟის ზოგი მანერაც კი, რომელსაც ავტორი აგვიწერს, კანონზომიერია და მხატვრულად საჭირო იმისათვის, რომ გახსნილი იქნას მოქმედ პირთა თავისებურობა, დამახასიათებელი ვითარება. ნაწარმოებში არაფერია ისეთი, რაც გმირთა ხასიათიდან არ გამომდინარეობს, რისი მოკვეთაც შეიძლებოდეს ისე, რომ ნაწარმოები მხატვრულად არ დასახიჩრდეს. მაშასადამე ლაპარაკი იმაზე, რომ თითქოს ეს ერთი დღე ავტორს ავსებული ჰქონდეს შემთხვევითი ამბებით, ყოველგვარი წვრილმანით რაც მას დაუნახავს და გაუგონია, მოკლებულია საფუძველს სწორედ ისევე, როგორც უსაფუძვლო იქნება მოსაზრება, რომ ახალი სოფლის დამახასიათებელი მომენტების კონცენტრაცია ერთს დღეში ხელოვნურობის დაღს ასვამდეს ნაწარმოებს. ამგვარად „გვადი ბიგვას" სიუჟეტური აღნაგობა ნაკარნახევია არა ავტორის კაპრიზით, არა ორიგინალური ფორმის ძიების სურვილით, არამედ თვით ჩვენი საბჭოთა სოფლის მრავალმხრივი, შინაარსიანი ცხოვრებით.

ეს ერთი დღე ახალი სოფლის ცხოვრებიდან, უეჭველია, კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მდიდარი იქნებოდა, რომ ავტორს ნაწარმოების მთავარ ფიგურად გამოეყვანა ადამიანი, რომელიც თავისი [illegible] თანამედროვე სოფლის საქმიანობის ცენტრში იდგას, მაგრამ ლეო ქიაჩელს მთავარ პერსონაჟად აურჩევია ჩვენი სოფლის ნაკლებმნიშვნელოვანი ფიგურა, წარსულის მძიმე ცხოვრებისაგან დაბეჩავებული, დაგლახავებული, საზოგადოებრივ ინტერესებს მოკლებული და საკოლმეურნეო ცხოვრებიდან თითქმის განზე გამდგარი გლეხი გვადი ბიგვა, რომელიც მკითხველის ინტერესს იწვევს არა თავის საზოგადოებრივი აქტივობით, არამედ ახალი ყოფისადმი დიამეტრულად დაპირისპირებული თვისებებით.

ავტორი ამ გლეხს დაჰყვება კვალდაკვალ და იმის მიხედვით, თუ როგორია მასთან დამოკიდებულება ან მისი სხვებთან ურთიერთობა, — ამის მიხედვით გვიხატავს სოფლის ცხოვრების დღევანდელ სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ცენტრში მოქცეულია სანახევროდ დეკლასიური ელემენტი, მოკლებული საწარმოო-საზოგადოებრივ ფუნქციას, გლეხი, მეტად შეზღუდული სამოქმედო ასპარეზით, მიუხედავად ამისა, ნაწარმოებში მაინც გამოჩნდა ქართული საბჭოთა სოფლის მრავალფეროვანი ყოფა-ცხოვრება. ჩვენ წარმოგვიდგენია, თუ რამდენად სრული იქნებოდა ქართული საბჭოთა სოფლის სახე, იგი რომ გადამტყდარიყო ისეთი პიროვნების ცნობიერებასა და მოქმედებაში, რომლის სამუშაო ასპარეზი უფრო ფართოა, რომლის როლიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი და დიდია. ცხადია, ასეთი გმირის გარშემო დაბრიალებული ერთი დღის ამბავიც კი უფრო მკაფიოდ და ნათლად წარმოგვისახავდა სოფლის დღევანდელ მშენებლობას, მის ახალ ადამიანებს.

მაგრამ, როგორც სჩანს, ავტორის ამოცანას წარმოადგენდა ეჩვენებია უშუალოდ არა ახალი ადამიანები, არამედ მათი მუშაობის ზედმოქმედება, ახალი ურთიერთობის ზეგავლენა ისეთს პიროვნებაზე, რომელიც ძველი თავადაზნაურული, ბურჟუაზიული, წვრილი-მესაკუთრული წყობის მიერ სულიერად დასახიჩრებული და ზნეობრივად გათელილი იყო. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამ ნაწარმოებში ავტორი მიზნად ისახავს დაგვანახოს, თუ გარდაქმნის რა დიდი ძალით არის აღჭურვილი სოციალისტური საზოგადოება.

მაგრამ ადამიანის გარდაქმნა ხომ მთელი პროცესია, მთელი ფსიქოლოგიური ევოლუცია და განა დასაჯერებელია, რომ ეს რთული პროცესი მოხდეს ორი-სამი დღის განმავლობაში? ეს ხომ ცხოვრების დიალექტიკის, განვითარების ყოველგვარი კანონის უარყოფა, უაღრესად რთული პრობლემების გამარტივება და, მაშასადამე, გავულგარება და გაყალბება იქნებოდა.

ისეთ გამოცდილ მწერალს, როგორიც ლეო ქიაჩელია, შეიძლებოდა ასეთი მარცხი მოსვლოდა. მართალია, ავტორი ორ თუ სამ დღე-

ში ამთავრებს გვადი ბიგვას გარდაქმნის მთელს ამბავს, მაგრამ თავათ ეს დღეები როდი იტევენ გვადი ბიგვას გონებრივ-ზნეობრივი ევოლუციის ყველა ეტაპს. გვადის ცხოვრებაში ეს დღეები მხოლოდ დიდი გარდატეხის დღეებია, მის წარსულსა და მომავალს შეკავშირებულ-მდებარე დღეებია, რომელსაც გვადის სულიერ არსებაში წინ უძღვის ჩუმი ხანგრძლივი ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, ბრძოლა, წარმოშობილი სოფლად შექმნილი ახალი ვითარებით. ავტორი ახერხებს წარმოგვიდგინოს თავისი გმირის ფსიქოლოგიური ევოლუცია მოკლე ბიოგრაფიული უკან-დახევით, თითქოს სხვათაშორის ჩართული ეპიზოდებით, თვით გმირის მიერ თავისი ახალი და შორეული წარსულის გახსენებით, რეფლექსით.

რა იყო წინათ გვადი? აზნაურ ფორიების მოჯამაგირის შვილი და თავათაც მოჯამაგირე, აღზრდილი ისეთ გარემოცვაში, როცა პატივახდილი შრომა მშრომელთათვის წყევლას, შეჩვენებას, სასჯელს წარმოადგენდა, ხოლო მუქთად ყოფნა, სხვისი ნაშრომისა და ნაამაგარის მითვისება, სხვის ხარჯზე ცხოვრება, „სასახელო და კეთილშობილურ საქმედ“ ითვლებოდა, როცა არა თუ საზოგადოებრივ გაკიცხვას, პირიქით მოწონებას იმსახურებდა ის ადამიანი, რომელიც პატიოსან შრომას თავს აარიდებდა. გვადი ბიგვას მთელი არსება მოწამლულია სწორედ იმ დროის ატმოსფერით, როცა შრომა და მშრომელი ასე დამცირებული იყო. იმ დროის უკუღმართობამ შეაჩვია გვადი შრომისათვის თავის არიდებას ათასგვარი ეშმაკობით, თაღლითობით, მატყუარობით მლიქვნელობით და მაამებლობით. საარსებო ლუკმის გაურჯელად მოპოების წყურვილმა გააზარმაცა გვადი და წარმოშვა მასში სხვადასხვა მანკიერებანი.

დროება გამოიცვალა. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ექსპლოატაცია და ექსპლოატატორები. შრომა გახდა სახელისა და გმირობის საქმედ, შრომის ნაყოფი — მისი მომპოვებელის სრულს კუთვნილებად, მშრომელი — საზოგადო მოღვაწედ. მაგრამ გვადი დარჩა იმად, რაც იყო. მას შრომა წინანდებურად ეზარება. სიზარმაცე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, ისევ ცულღუტობით, ლაზღანდარობით, მატყუარობით ცდილობს ფონს გავიდეს. გვადი არც ახალ დროებაში თაკილობს ხელუკუღმართობას. ქურდულად სწველის მეზობლის ფურკამეჩს, დაძინებულ მენახირეს ჰპარავს ღვინიან დოქსა და ასე შენატრის მის ბედს: „აი როგორ ცხოვრობს ხალხი. ალბად პახვილას ვინმემ ქრთამად მისცა ღვინო, ძროხას კარგად მიმიხედოსო. ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი... მაგრამ დიდი სულელი კი ყოფილა! არ სცოდნია, რომ ღვინო ათრობს კაცს და მერე კი აძინებს? აბა, მძინარე კაცი ძროხას რას დაგიდევს... მაგრამ ყოველ დღეს პახვილა თუ ასე მთელ დოქს ღვინოს მიირთმევს, კაცი ეს ყოფილა და ქუდიც მას ხურებია“. რომ მცოდნოდა, თუ მენახირეობა ასეთი სარფიანი საქმე იყო, სოფელს არ მოვეშვებოდი და მენახირეთ თვით მე დავდგებოდიო. „ჰიპ, თურმე რა გემოზე

ვიცხოვრებდი? ძილსა და ღვინოს აბა რა სჯობია“ — ასე ეუბნება თავის თავს გვადი ბიგვა.

სხვისი ნაშრომის წართმევის, სხვისი ქონების მეფეობის სურვილი ხშირად აღელვებს ხოლმე გვადის. მიერეკება იგი [illegible] ფურკამეჩს და მილაპარაკობს: „ეე, საცა სამართალია, ამისთანა კამეჩი გოჩას კი არა, გვადის უნდა ჰყავდეს, გოჩას რათ უნდა? თვითონ ხომ არ დალევს ამხელა ყაზახი რძეს... გერას (კოლმეურნეობის თავმჯდომარე) თუ ნამდვილი რევოლუციონერობა უნდა, ეს კამეჩი გოჩას უნდა წაართვას და გვადის მისცეს... აი გიდი, რატომ გვადი არ არის კოლექტივის თავმჯდომარე, რომ ქვეყანა ისე გაასწოროს, ვერც კი იცნოს კაცმა“. კამეჩის დასაკუთრების ფიქრი არ ასვენებს ბიგვას.

გვადის ნაბატონარის შვილს არჩილ ფორიას გადაწყვეტილი აქვს ჩაესიძოს შეძლებულ გლეხს, კოლექტივის წევრს გოჩა სალანდიას, შეირთოს მისი ქალი, კომკავშირის უჯრედის მდივანი — ნაია, რომ დაისაკუთროს გოჩას მთელი ქონება. გოჩას სახლი აქვს დასამთავრებელი. კოლექტივის ხე-ტყის ქარხანამ შეუწყვიტა მას საამშენებლო მასალის მიცემა. გვადი, რომელსაც კოლექტივი ოდას უშენებს, არჩილ ფორიას ჩაგონებით, თანახმაა ქურდულად წამოიღოს ზედმეტი მასალა გოჩას საჭიროებისათვის იმ პირობით, თუ არჩილი ჩასიძების შემდეგ დაუთმობს გვადი ბიგვას ფურკამეჩს. რაკი გვადიმ ასეთი დაპირება მიიღო, ცდილობს დააჩქარებიოს არჩილს ნაიას ცოლად შერთვა, შლის არჩილის წინაშე წარმტაც პერსპექტივებს; კომკავშირელი ქალის ცოლად შერთვა გაგაბედნიერებსო „წართმევას ვინ გაგიბედავს, ჭირიმე, როცა თვით წამართმევი გვერდზე გეყოლებაო“.

გვადი არც ისე გონება გაუხსნელია, რომ არ იცოდეს, რომ რევოლუციონერობა არ ნიშნავს წამგლეჯაობას, მშრომელისათვის რისმე წართმევას, მაგრამ თუ ხანდახან იგი ასე მსჯელობს, მხოლოდ იმიტომ, რომ ან გაამართლოს თავისი წამგლეჯური მისწრაფებანი, ან ასეთი სიტყვით ასიამოვნოს და აამოს ნააზნაურალ არჩილსა და მის მსგავს პირებს, რომლებიც რევოლუციამ დააზარალა და ამის გამო ისინი ყოველ რევოლუციურ აქტს ყაჩაღობად სთვლიან.

არ შეიძლება ითქვას, რომ გვადისთვის უკვალოდ და უნაყოფოდ ჩაევლოს სოფლად მომხდარ ცვლილებებს. ბიგვამ იცის, თუ რა დიდი დაფასება აქვს შრომასა და მშრომელს ჩვენს დროში. ხანდახან იგი ოცნებობს კიდეც პატიოსან შრომაზე, შრომადღეების გამრავლებაზე, ხანდახან რცხვენია თავისი მეზობლების, განსაკუთრებით ქვრივ მარიამის — თავისი კეთილმყოფელი მეზობლის, სცხვენია რომ სხვებსავით მუყაითი და გამრჯელი ვერ არის, რომ ხშირად ემალება საკოლმეურნეო შრომას და თაღლითობს სამუშაოებზე. ყოველივე ამის გამო გრძნობს რა თავს დარცხვენილად, ცდილობს თავისა და სხვების წინაშე თავი იმით იმართლოს, რომ სნეულია, ტყირპიანია, რომ მკურნალობს და ამიტომ არ სცალია; ნამდვილად კი გვადის ნებისყოფა, ხასიათის სიმტკიცე არ ჰყოფ-

ნის მოერიოს სიზარმაცეს, გადაეჩვიოს იოლ ცხოვრებას. ეს ეძლურება, ეს შეგნება, რომ შრომით მას არ შეუძლია გახდეს სხვებსავით საზოგადოების თანაბარი წევრი, ჰქენჯნის გვადი ბიგვას. გარეგნულადაც გვადი დაბეჩავებულია, მუდამ წვერგაუპარსავი, ჩამოკონკილი, ...ბენებული, დამფრთხალი, მოკრძალებული, პირფერი და მაამებელია, განსაკუთრებით მათთან, ვისიც მას ეშინია. ქორწინების შემდეგ სკივრში შენახულ სადღესასწაულო ტანსაცმელს გვადი ვერ იცვამს, რადგან ეშინია, რომ უფრო სასაცილო არ გახდეს მეზობლების თვალში, რომ უფრო არ გამოჩნდეს შეუსაბამობა მის უმნიშვნელო საზოგადოებრივ წონასა და გარეგნულ მოკაზმულობას შორის.

გვადი ბიგვას მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ იგი დაჩაგრული იყო წინათ, როგორც ღარიბი გლეხი, როგორც შრომის შვილი და თავისივე მიზეზით დაბეჩავებულია ახლაც, — მშრომელთა საყოველთაო ბედნიერების დროს, როგორც კაცი შრომას გადაჩვეული. განიცდის რა ამას გვადი, ცრემლმორეული ჭკუას ასწავლის თავის ბავშვებს: „არ გავიგონო, ბაბაია, თქვენი ქურდობა და ტყუილის თქმა! არამც და არამც გულშიც კი არ უნდა გაივლოთ არც ერთი და არც მეორე“.

ბავშვების ზნეობრივს სიფაქიზეს გვადი ძალიან უფრთხილდება. ნაქურდალი საქონლით სავსე ხურჯინიდან, რომელიც არჩილ ფორიამ გვადის შინ გაატანა, გვადი განიზრახავს მოიპაროს აბრეშუმის ხალათი თავისი უმცროსი ბიჭუნიასთვის, მაგრამ ვერ ბედავს, რადგან — „ასეთ უჩვეულო ხალათს რომ დაინახავდა ბარდღუნია (გვადის უფროსი ვაჟია) უთუოდ უნდობლად ეჭვით შეხედავდა და ჰკითხავდა: „ეს რა არის, ბაბაია, ამისთანა რამე სად გიშოვნიაო“. ეს ფიქრი აღებინებს გვადის ხელს თავის განზრახვაზე.

სიბრალული დედით ობოლ თავისი ხუთი ბავშვებისადმი, უსაზღვრო სიყვარული, მზრუნველი დამოკიდებულება მათთდამი გვადის ხასიათის ერთერთი სიმპატიური მხარეა, რომელიც ბადებს გვადისადმი მოწინავე კოლმეურნეების (აგრეთვე მკითხველების) გულწრფელ თანაგრძნობას.

მეორე თვისება, რომლითაც გვადი ყურადღებას იქცევს, არის მისი დაუცხრომელი სურვილი თავის გამოჩენისა. იგი არ უშვებს არც ერთ შემთხვევას, რომ როგორმე თავისი კაცური ღირსება გამოაჩინოს, როგორმე სხვების თვალში ამაღლდეს, რათა ამით დაიცხროს ის უსიამოვნება და გულისტკივილი, რომელსაც მასში თავისი ადამიანური სისუსტის, თავისი არასრულ ღირებულების შეგნება იწვევს. თავის გამოსაჩენად გვადის მხოლოდ ერთადერთი იარაღი გააჩნია. ეს არის მისი მახვილი, მოსწრებული სიტყვა. სადაც კი საბაბი მიეცემა, გვადი ოხუნჯობს, ენამახვილობს, აცინებს, ამხიარულებს შეკრებილ გლეხობას, თუ ცალკე მოსაუბრეს. ბასრი მწარე სიტყვით არ ზოგავს მოწინააღმდეგეს, თუ წინასწარ დარწმუნებულია, რომ მტრის გამასხარავება უვნებლად ჩაუვლის. მაგრამ გვადიმ იცის, რომ მარტო გონებამახვილობა როდი

კმარა მეზობლებს შორის პატივისცემის მოსახვეჭად, რომ მათ შორის ყველაზე დასაცინი და გასამასხარავებელი თავათ არის. ამიტომ გვადი ეძებს ისეთ წრეს, სადაც მას არ იცნობენ, სადაც [illegible] მისი სიზარმაცის, მატყუარობის, ხელუკულმართობის ამბავი. [illegible] ბაზარი, სადაც უცნობი ხალხი ბლომად იყრის თავს, გვადის საყვარელი სამყოფი ადგილია. აქვს თუ არ აქვს საქმე, ყოველ პარასკეობით გვადი იქითკენ მიიჩქარის, რომ თავისი მოსწრებული სიტყვით ყურადღება მიიპყროს, სხვებისაგან გამოირჩეს, თავი გამოიჩინოს.

ეს ორი თვისება — ულრმესი მამობრივი სიყვარული შვილებისადმი და თავის გამოჩენის სურვილი, ერთგვარი პატივმოყვარეობა, არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენოდათ კოლმეურნეობის მოწინავე წევრებს, რომლებმაც რა ღონისძიებას არ მიმართეს, რომ გვადი კოლექტივისაკენ შემოებრუნებიათ, მის პატიოსან წევრად გაეხადათ, მაგრამ ამაოდ, არაფერი გამოვიდა, გვადიმ ცუღლუტობა არ მოიშალა. კოლმეურნეობა გვადიზე მაინც ხელს არ იღებს, ცდილობს მონახოს მასში ისეთი რამ ხელის ჩასაჭიდებელი, რომ მოხერხდეს მისი დაინტერესება კოლმეურნეობის საერთო ცხოვრებით. ასეთია სწორედ გვადის მშობლიური გრძნობა და მისი პატივმოყვარეობა.

კოლმეურნეობის საუკეთესო წევრი, ქვრივი მარიამი თავს დასტრიალებს გვადის ბავშვებს. დედობრივი მზრუნველობით უვლის და პატრონობს მათ. კოლმეურნეობის გამგეობა კი გვადის ბავშვებისათვის აშენებს ახალ ოდას, თუმცა გვადის თავისი შრომით ეს ყურადღება სრულიად არ დაუმსახურებია. ყველაფერი ეს გამაჯანსაღებლად მოქმედობს გვადიზე, მაგრამ არა იმდენად, რომ გვადიმ ზურგი შეაქციოს ძველს ცხოვრებას.

უფრო ეფექტიანი გამოდგა გვადის პატივმოყვარეობის მიზანში ამოღება, მისი გამოყენება გვადის გამოსასწორებლად.

გვადის სოფელში ორი კოლმეურნეობის შეხვედრაა დანიშნული. ისინი ერთმანეთთან სდებენ ხელშეკრულებას იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი უფრო მალე და უკეთ დაამთავრებს ოდების მშენებლობას თავისი წევრებისათვის. ამ საზეიმო კრებას, რომელმაც უნდა აირჩიოს აგრეთვე სოცშეჯიბრების შემმოწმებელი კომისიის წევრები, ესწრება, რასაკვირველია, გვადიც. იგი დიდი ცნობისმოყვარეობთ და მღელვარებით ადევნებს თვალყურს, თუ ვის აირჩევენ კომისიის წევრებად. ორივე კოლმეურნეობა ასახელებს თავის საუკეთესო მოწინავე დამკვრელებს. მოულოდნელად დასახელებულთა შორის გვადის გვარიც გაისმა. გვადი თავს ყურს არ უჯერებს. იგი განცვიფრებულია, გაოცებისაგან ბიჯსაც ვერ ძრავს ადგილიდან. ერთხანს ფიქრობს, რომ ამასხარავებენ, აბუჩად იგდებენ, ან შეუტყვეს ბოროტი განზრახვა (ფორიასათვის მიცემული პირობა — ქურდულად გამოვიტან მასალას გოჩას საჭიროებისათვისო) და ახლა სურთ საჯაროდ შეარცხვინონ, მთელი ხალხის თვალწინ თავი

მოსჭრან. როგორც იქნა, გვადი აიყვანეს აივანზე და გარეულ კომისიის წევრთა შორის. გვადის თვალები ცრემლით ევსება.

„ხალხში გამრიეთ, ჭირიმე, არა? ულირსი რომ ვარ, ეს ამ-წიეთ არა? კაცათ მიცანით და პატივი დამდეთ, [illegible] ამ-სო, ისე ლულლულებს გვადი“.

ამ ფაქტმა ღრმად ჩააფიქრა გვადი, ააფორიაქა მთელი მისი გრძნობა და გონება... ვერ გაურკვევია, რას მიაწეროს კოლმეურნეობის ხელ-მძღვანელთა მისადმი დამოკიდებულების ასეთი რადიკალური შეცვლა. შარშან გერამ მწყემსადაც დამიწუნაო, ახლა კი ამამაღლა, რა დამსა-ხურებისათვის, რა გამოჩინებისათვის? ამირჩიეს ისე, რომ უარიც არ მათ-ქმევინეს. კრებიდან შინ დაბრუნებული გვადი უფრო მიფრინავდა, ვიდ-რე მიდიოდა, ტანში იმდენი ძალა შემატებოდა და შინაგანი აღფრთოვა-ნების ფრთები შეესხა. „თანდათან ის აზრი უმტკიცდებოდა თავში, რომ მთელ ორკეთში არჩევის ღირსი სხვა არავინ იყო. ამაზე უფრო შორსაც მიდიოდა გვადი. მისი წარმოდგენით, მთელ ქვეყანაზე ისეთი სანდო, სა-იმედო და პატიოსანი კაცი, როგორც გვადი იყო—მეორე არ მოინახებო-და. გერა ამდენხანს უნდა მიმხვდარიყო ამას, დაენახა, ეგრძნო, გაეჭვ-რიტა, დღეს კი არ შემცდარა გერა, პირიქით შეცდომა გამოასწორა“. ასე მაღლდება თავის საკუთარ თვალში გვადი. ასე იმსჭვალება იგი სა-კუთარი კაცური ღირსების შეგნებით. ვერ ხვდება გვადი, რომ ეს არის გერასგან გადასროლილი ქამანდა გვადის საკოლმეურნეო შრომაში ჩა-საბმელად.

ეს არ იცის გვადიმ, მაგრამ ერთი კი ცხადია და აშკარაა მისთვის: ამიერიდან მან ძველი ცხოვრება უნდა დასტოვოს, ძირიანფესვიანა უნდა შესცვალოს თავისი ყოფაქცევა, გახდეს ღირსი იმ პატივისა, რომელიც დასდეს; გაამართლოს ნდობა რომელიც მისადმი გამოიჩინეს. გარეგნუ-ლადაც უნდა გადასხვაფერდეს. მას — თანამდებობის კაცს, სოფლის ერთერთ მეთაურს, რომელსაც მინდობილი აქვს მოაგვაროს დავა, თუ ორში რომელი კოლმეურნეობა სჯობს, ასეთ კაცს არ ეკადრება წვერ-გაუპარსავი, ბანჯგვლიანი, დაფლეთილი ჩოხით, დაგლეჯილი ქუდით, ძირმოქცეული, გაცვეთილი ქალამნებით დადიოდეს. განა შეიძლება შეა-თავსოს გვადიმ არჩეული კაცის საპატიო სახელი დაგლახავებული კაცის ასეთ გარეგნობასთან? — ვსთქვათ, მიიწვიეს გვადი, — ფიქრობს იგი თა-ვისთავზე, მისი სოფლის კოლექტივთან შეჯიბრებულ კოლმეურნეობაში. „მთელი ანარია ფეხზე დადგა, რასაკვირველია. ჩვენი მუშაობის ზედამხედ-ველი და შემმამოწმებელი ვინმე დიდი კაცი ჩამოდისო, საჩივრები დაამ-ზადეს მისართმევათ... მობრძანდა გვადი, შეხედეს — ეს ვინ მოსულა, რომ არ ხურავს და არ აცვია. თავისთვის ვერ მიუხედავს და ჩვენ რას გვიშ-ველისო — იტყვიან შეხედვისთანავე და სიცილსაც კი დააყრიან ჩვენს მოწონებულ გვადის“.

მის საზოგადოებრივ როლსა და წონას ახლა უკვე შეეფერება ის მდიდრული ჩოხა-ახალუხი, მამაპაპური ხანჯალი, რომელიც გვადის წლო-

ბით ჰქონდა სკივრში გადანახული. შინ დაბრუნებისთანავე გვადი აღებს სკივრს, იცვამს, ტყირპისაგან გასიებულ მუცელს ჩოხა არ სწვდება. მამის ასეთი უეცარი ფერისცვალებისაგან გაოცებული ბავშვები მზად არიან ჩოხა გასაგანიერებლად მარიამს გაურბენინონ, გვადი ამ ანებებს, თავად უნდა ამ სახით წარუდგეს მარიამს, რომლისადმი სიყვარულის მაგვარ გრძნობას გვადი დიდხანს გულში ატარებდა, მაგრამ ხვაშიადს არა თუ მარიამს, თავსაც ვერ უმხელდა, ისე მიუწდომელი იყო ქალაჩუნა გვადისათვის სოფლის საამაყო ქალი მარიამი. დღეს კი გვადის შეიძლება ეყოს გამბედაობა უთხრას მარიამს, რომ იგი მისთვის მარტო კეთილისმყოფელი მეზობელი კი არ არის, არამედ უფრო მახლობელი.

ავტორს გვადის არსებაში მომხდარი ძვრა, დიდი გარდატეხა ოსტატურად დამუშავებული ფსიქოლოგიური დეტალებით აქვს გადმოცემული. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვილაპარაკოთ გვადი ბიგვას ახალ ადამიანობაზე. იმ სახით, როგორც ავტორს ჰყავს გვადი დახატული, იგი ახალ ტიპად არ გამოდგება, მაგრამ ავტორმა დაგვანახა თავის გმირში აზრებისა და ხასიათების განვითარების მიმდინარეობა, დაგვანახა თვით პროცესი ახალი ადამიანების თვისებათა ჩამოყალიბებისა, უაღრესად საინტერესო პროცესი. განზრახ გვერდი აუქცია რა ამ პროცესის მხოლოდ გარეგნული შედეგების ზერელედ ჩვენებას.

მაგრამ, როგორც ავღნიშნეთ, ნაწარმოებში ახალი ადამიანები მაინც სჩანან, თუმცა არა უშუალოდ, არამედ ირიბად, გვადი ბიგვაზე მომქმედი ძალების სახით. მარიამის მზრუნველს, უაღრესად ჰუმანიურს დამოკიდებულებას გვადის ოჯახისადმი, კოლექტივის თავმჯდომარის გერას დაკვირვებულს, ბრძნულს მუშაობას ადამიანზე, მის ფრთხილს, სათუთს, ბოლშევიკურ ტაქტს უნდა მივაწეროთ გვადის ფეხზე წამოყენება, წელში გასწორება და ზნეობრივი ამაღლება.

ასეთი მუშაობა ცოცხალ ადამიანზე გერასა და მისი ამხანაგების პრაქტიკაში შემთხვევითს მოვლენას, გამონაკლისს როდი წარმოადგენს. ეს აშკარაა თუნდაც მათი დამოკიდებულებიდან რომანის მეორე მთავარი პერსონაჟის — გოჩა სალანდიასადმი, რომლის ხასიათიც ავტორს იმდენად ცხოვლად აქვს წარმოდგენილი და შესახედაობაც იმდენად ხელშესახებად გამოქანდაკებული, რომ მისი სახე დიდხანს სცოცხლობს მკითხველის მეხსიერებაში.

გოჩა თავისნება, უტეხი, კერპი, მკაცრი ხასიათის გლეხია. მის ხმას მუდამ მკაცრი კილო აქვს; მუდამ შუბლშეკრულს ოჯახი კრძალვასა და შიშს ქვეშ ჰყავს. ცხოვრების ახალ წესებს ჯერ კიდევ ვერ შეწყობია; კოლექტივის წევრია, მაგრამ საერთო მუშაობას გაურბის. „ტყე იმათ სტეხონ და სჩეხონ, — ეუბნება იგი გვადის, — ჭაობიც იმათ ამოაშრონ, ვინც კოლექტივში შენსავით ხელცარიელი შევიდა... მე შემოვიტანე კოლექტივში, ჩემო ძამია, თუ შენ მანდარინით გაშენებული ბალი? მე მაქვს შემოტანილი, თუ შენ ორი ქცევა სახნავ-სათესი მიწა? გამისწორდი ამაში და მაშინ ბატონი ბრძანდები, მეც გვერდში ამოგიდგები. მე

შემოვიყვანე კოლექტივში შვილებივით ნაზარდი ულელი ხარი, თუ შენ? ამაშიაც გამისწორდი, მეზობელო, და მაშინ ვილაპარაკოთ, მაგრ! — აი რა ადიდგულებს გოჩას, აი რატომ არ ცნობს კოლექტივის [illegible] თავის ლირსად. რაც მიგიღიათ ჩემგან ისიც კმარა, ახლა ჩემს [illegible] დამანებეთ მუშაობაო.

ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობის ნაშთებს გოჩას შეგნებაში კიდევ მაგრად აქვთ ფესვები გადგმული. მას,—აზნაური ფორიების ნაკმევს, — არ დაუკარგავს რიდი და პატივისცემა მათი ნაშიერის არჩილისადმი. საამაყოდ მიაჩნია, რომ ფორია არ თაკილობს მისი ქალის ქმრობას. „ახალმა დრომ ის სიკეთე მაინც მომიტანა, რომ სალანდია ფორიასთან მაინც გამასწორა. გერას, იმ უსახლკაროსა და მოჯამაგირეობაში ნათრევ ბიჭს, სახლში ვერ შემოუშვებო, აზნაურის გვარი უნდა ამშვენებდეს ჩემი ქალის ქმარსო. ფორიასათვის აშენებს გოჩა ახალ ოდას. „ქარვასლებში ნაცხოვრებ კაცს უჭერო სახლი როგორ შევკადროო, რა უყოთ მერე, თუ არჩილს სახლი და მამული ჩამოართვეს, მე შენ გეტყვი და მოხერხება არ აქვს, ჭკუა აკლია და გამოცდილება!“

გოჩა, როგორც ძველი კაცი, თავის ქალს ნაიას უყურებს, როგორც საკუთრებას, როგორც ნივთს, მთელი თავისი დესპოტური სიმკაცრით სტუქსავს, უყვირის ქალს, — როგორ ბედავ ურჩობას, როგორ არ გსურს გაჰყვე ფორიას, ან რატომ გიჭირავს თვალი გერასაკენო.

გერასათვის არ არის უცნობი გოჩას ასეთი განწყობილებები, მისი ასეთი დამოკიდებულება აზნაურებისა, კოლექტივისა და პირადად გერასადმი. გერამ ისიც იცის, რომ გოჩა ხშირად ლანძღავს და ამცირებს მის პიროვნებას, წინ ეღობება მის პირად ბედნიერებას, უკრძალავს ნაიას მასთან შეერთებას. გერას აქვს სრული შესაძლებლობა მოთოკოს ეს კონსერვატორი კერპი გლეხი, მაგრამ ამას არ სჩადის, რადგან იგი აფასებს გოჩას, როგორც შრომის მოყვარეს, გამრჯელს, გამოცდილს და ინიციატივიან მეურნეს, რომელმაც ორკეთში პირველად მოჰკიდა ხელი ციტრუსოვან ბაღების გაშენებას და რომლის გამოცდილება დიდ სარგებლობას მოუტანდა კოლმეურნეობას, თუ გოჩა გულწრფელად მიემხრობდა და შეუერთდებოდა კოლექტივს. კოლექტივის ინტერესი არ მოითხოვს ურთიერთობის გამწვავებას გოჩასთან, ამიტომ გერა უთმობს გოჩას, რომელიც ხშირად გამომწვევ გუნებაზეა და თავისი უხეში ყოფაქცევით აღიზიანებს კოლმეურნეებს. მეტად დინჯი, ტაქტიანი, დაკვირვებული და გონიერი ხელმძღვანელი თუ აპატიებდა გოჩას ტყეში მომუშავე კოლმეურნე გლეხებთან მიხტომას და მათ გალანძღვას. გოჩა თავად ახლო არ ეკარება ხე-ტყის სამუშაოებს, სადაც გლეხები დიდი ხალისით ამზადებენ საშენ მასალას, რომელიც, სხვათაშორის, გოჩას ოდის მშენებლობასაც ხმარდება, მაგრამ გოჩა ამას როდი ღებულობს მხედველობაში და გაბოროტებული უყვირის ერთერთ ბრიგადას, როგორ გაბედეთ ჩემი ფურკამეჩით მორების ზიდვაო.

ეს შეტევის სცენა ჩვენს ავტორს ძლიერი ექსპრესიით აქვს დაწერილი. ახოვანი, ზვიადი კაცი, მტკიცე და შეუპოვარი გოჩა უბრალოპირდება ჩია ტანის ჩხიკვა ონისეს, მაგრამ გოჩა მის წინ უმწეო შეიბეჭდილებას სტოვებს, რადგან ონისეს უკან სდგას შეკრებილი ხალხი, რომელიც ონისეს თანაუგრძნობს, ხოლო გოჩას ბრალადა სდებს საერთო მუშაობისათვის გვერდის ახვევას და კოლექტივის მოღალატეობას. მოვიყვანოთ ერთი პატარა დიალოგიც ამ მძაფრი ეპიზოდიდან:

„ონისემ გოჩასკენ ნაბიჯი გადადგა, გაიჭინთა და შეჰკივლა: ვის ეჯიბრები ყაზახო, ა? ვის მეთქი? კარგად გაიხედე თვალებში. კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩაო, ხომ გაგიგონია!.. კოლექტივი ვართ, კოლექტივი, გაიგე! და ონისემ თავმომწონედ მოკლედ გაიარა ხალხის წინ. ბრაზმორეული გოჩა ჭკუაზე შერყეულივით ხან აქ მივარდება მის წინ გალავანივით აღმართულ ხალხის უძრავ კედელს, ხან იქ, მაგრამ ასხლეტილივით უმალვე უკან იხევს“.

ეს შეტაკება, რომელიც კერძო მესაკუთრის გამწარებული გაბრძოლების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, იშვიათი სიმძაფრით და დაძაბულობით არის დაწერილი. საქმე რომ მხოლოდ კამეჩს ეხებოდეს, — მაშინ ამ ბრძოლას ასეთი სიმწვავე არ ექნებოდა, ამ შეტაკებას უფრო ღრმა პრინციპული საფუძველი აქვს.

გოჩა გახელდა, წონასწორობა დაჰკარგა მაშინ, როდესაც მის მტკივან ადგილს შეეხენ, როცა წამოიძახეს, კუდი კულაკებში გაქვს გაბარებულიო, მათთან ამჯობინებ ყოფნას, ვიდრე კოლექტივთანო.

გერას, როგორც პარტიის შეგნებულ წევრს და ლენინ-სტალინის გლეხური პოლიტიკის გამტარებელს, ესმის თუ როგორ მიუდგეს საკითხს, როგორ მოექცეს გლეხს, რომელიც კულაკი არ არის, მაგრამ მათი ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება. გერა დარწმუნებულია, რომ გოჩა სალანდია კოლექტივს ვერაფერს დააკლებს, მაგრამ არ უნდა თვით გოჩა დაიღუპოს, მისი სახით გამოეთიშოს მშრომელთა ოჯახს ერთერთი გამრჯე და სასარგებლო წევრი, გადაჰყვეს იგი კულაკობის ნაშთებს, რომლის ლიკვიდაცია მიმდინარეობს. არა ჯიქური შეტევა, არამედ დარწმუნება — ასეთია გერას მეთოდი. ამიტომ იგი გოჩას ბოდიშით უბრუნებს უკან კამეჩს, ხსნის თანამდებობიდან ბრიგადირს, რომელიც ხეპრულად მოექცა და შეურაცხყო გოჩას თავმოყვარეობა.

ასეთი მოპყრობა ამშვიდებს გოჩას, ანელებს მის მტრულ განწყობილებას კოლმეურნეობისადმი, თუმცა ვერ ხვდება გერას ამ ნაბიჯის ნამდვილ აზრს. გერას სჯერა, რომ იგი შეესძლებს ამ ურჩი გლეხის საბოლოო დაპყრობას, მის გადმობირებას. ამ რწმენას ამაგრებს ის ფაქტიც, რომ გოჩას მოთვინიერებაში მას დამხმარედ და მოკავშირედ ჰყავს თვით გოჩას ქალიშვილი ჟომკავშირელი ნაია, რომელიც მამამისის ოჯახში ვაჟკაცურად ასრულებს ციხის შიგნიდან ამფეთქებლის როლს. თვით გოჩა აღიარებს, ნაიამ ჭკუის სწავლება დამიწყოო, „კოლექტივი რომ შემოვიდა, დამიჩემა, გინდა თუ არ გინდა, უნდა შევიდეთო.. ეს დედაკა-

ციც (თავის ცოლზე ამბობს) აიყოლია, არ მომეშვნენ". ამგვარად ნაიამ თავისი გაიტანა.

მამისაგან ნაიას გამოჰყოლია ხასიათის სიმტკიცე, რომელიც ეუძლებს გოჩას სიკერპეს, რადგან ნაიას სიმტკიცე პრინციპულია, ეგეს მაწინავე იდეებს ემყარება.

მაგრამ იაფად როდი უჯდება ნაიას ბრძოლა მამის სიჯიუტესთან. ზოგჯერ მამა-შვილს შორის შეხლა-შემოხლა გრანიტისა და ფოლადის დაჯახებაა, რომელიც ცეცხლს აჩენს, რომლის სიმწვავეს განიცდის მკითხველი. ღრმად ემოციურია, მაგალითად, სცენა, როცა კოლმეურნეებთან შეტაკების შემდეგ გოჩა უბრძანებს ქალიშვილს დასტოვოს შეკრებულობა და ქალი მისი ნებასურვილის წინააღმდეგ დემონსტრატიულად მიჰყავს შინ. რა შეურაცხყოფას და დამცირებას განიცდის ამ წუთში ნაია, მაგრამ მარიამისა და გერას თხოვნით იძულებულია შეურიგდეს თავმოყვარეობის ასეთ უხეშ გათელვას, რადგან ამას მოითხოვს კოლმეურნეობის ინტერესები.

შინ მისვლისას, როცა დედა ტასია (გოჩას მძიმე ხასიათის გამო დაწყლებული, სათნო ქალი — ერთი-ორი შტრიხით ცხოვლად მოხაზული ავტორის მიერ) უჩვენებს ქალიშვილს არჩილ ფორიასაგან მოძღვნილ საჩუქარს — არჩილზე ნაიას გათხოვების მომასწავებელ ნიშანს, კონფლიქტი მამა-შვილს შორის უმაღლეს წერტილს აღწევს. ნაიას მხრივ აქ დათმობა უკვე შეუძლებელია. აქ ნაია შეურიგებელია, რადგან არჩილზე გათხოვება, — მტრის ბანაკში მის გადასროლას უდრის, ესე იგი საქმე ეხება უკვე არა მარტო მის პირად მომავალს, არამედ მის პრინციპებს, მის საზოგადოებრივ იდეალებს. ამაოდ ცდილობს ნაიას მამიდა — სალომე (რომლის სახე ავტორს მოკლე დიალოგში საუცხოოდ აქვს მოცემული), მამა-შვილის შერიგებას. ოჯახური კონფლიქტის ჩაქრობას. ნაია სტოვებს მამის ოჯახს.

ეუჭველია, ამ ნაბიჯის გადადგმისათვის ნაიას გაბედულებას აძლევს ის ფაქტიც, რომ საკოლმეურნეო წყობამ ქალი გაანთავისუფლა ქმრის ან მამის ნივთიერი დამოკიდებულებისაგან, მისცა რა მას თავისი ნიჭისა და უნარის სრული და ნაყოფიერი გამოყენების შესაძლებლობა საკოლმეურნეო შრომის ყველა სფეროში.

ნაია, სოფლელი კომკავშირელი ქალი, დაუვიწყარი სახეა, რომელიც ღირს იმად, რომ მას მიჰბაძონ მისმა ტოლებმა.

ნაიას გზას, რომელიც საერთოდ ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობის გზაა, ადგას მისი მეგობარი ელენეც. ეს ახალგაზრდა ქალი ნაწარმოებში ეპიზოდურ როლს ასრულებს, ამიტომ მკრთალია, მაგრამ ერთი რამ თვისება მას სხვებისაგან ანსხვავებს. ელენეს აქვს მისწრაფება მრავალმხრივობისაკენ. მუშაობს კოლექტივში, განაგებს სამკითხველოს, სწავლობს ხატვას და სხვ. ელენეს სახით ავტორმა პირველად ჩვენს მწერლობაში შემოიტანა თემა ახალგაზრდა საბჭოთა სოფლელი ადამიანისა, რომელიც მრავალმხრივ განვითარებისაკენ მიისწრაფის და რომელიც

სოფლად კულტურული რევოლუციის გაღრმავების მიხედვით, ჩვენი მწერლების ერთერთ ცენტრალურ ფიგურად უნდა გადაიქცეს.

სრული არ იქნება ლეო ქიაჩელის რომანის მიხედვით ახალი სოფლის დახასიათება, თუ გაკვრით მაინც არაფერი ითქვა [illegible] ახალგაზრდობაზე. ლეო ქიაჩელი გვიჩვენებს, რომ სოფელს ჰყავს შესანიშნავი ნორჩი თაობა, რომელიც საბავშვო ბაღებსა და სკოლებში იზრდება. სანიმუშოდ შეგვიძლია ავიღოთ გვადის 12 წლის ვაჟი, პიონერი ბარდღუნია. ტყუილად როდი გრძნობს გვადი უღრმეს პატივისცემას მისადმი. ეს ბავშვი გვადისათვის უკვე ავტორიტეტი გამხდარა, მასში ისა ხედავს თავის კონტრასტს, ანტიპოდს. ბარდღუნია სუნთქავს შრომის ის საღი ატმოსფეროთი, რომლითაც გაჟღენთილია მთელი სოფელი. დიდების წაბაძვით ბარდღუნია თავის ტოლებს შეჯიბრებია, ვინ უფრო უკეთ მოუვლის მანდარინის ხეებს, ვინ უფრო ადრე დაამწიფებს ციტრუსოვან ნაყოფსო. ღრმა აზრს შეიცავს თვით მისი გართობა-თამაში პატარა ძმებთან, რომელთაც ზრდის ისე, როგორც ნამდვილ პიონერს შეეფერება.

ლეო ქიაჩელმა შეამჩნია და გვიჩვენა არა მარტო ცალკე პირების, არამედ სოფლელი მასის ფსიქოლოგიაში მომხდარი ცვლილებებიც. სოფელი სტოვებს თავის ძველ ზნე-ჩვეულებას. სოფლებს შორის წინად არსებულ მტრობას, მეტოქეობას, უმიზნო ქიშპობას სცვლის გონიერი სოციალისტური შეჯიბრება. ავტორი აგვიწერს, თუ როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს ორკეთი და ანარია კოლმეურნეთა სახლების მშენებლობაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა, სოფლის კეთილმოწყობაში და სხვ. ამ დიდ მოძრაობას გამოუცვლია სოფელი გარეგნულადაც.

პლაკატი, რომელიც კოლმეურნეობის დაკვეთით ორკეთელ ქალიშვილს ელენეს დაუხატავს, წარმოადგენს არა შორეულ მომავალს, არამედ თვით ორკეთის დღევანდელი სინამდვილის რეალურ სურათს... ჩაის პლანტაციებით, ციტრუსოვანი ბაღებით მოფენილია ორკეთიც და ანარიაც. აქა იქ სივრცეში აღმართულან ჩაის ფაბრიკების მილები, მიდამოს აყრუებს ხე-ტყის ქარხნების ლოკომობილების გუგუნი. ადრე დილიდან დაღამებამდე გზატკეცილებზე მიქრი-მოქრიან საბარგო მანქანები ფაბრიკებსა და პლანტაციებს შორის. კოლმეურნეების ერთი ნაწილი, უმთავრესად ბავშვები და ქალები მიდიან ჩაის ბუჩქების საკრეფად, მეორენი ბაღებში მუშაობენ, მესამენი ტყეს სჩეხენ საამშენებლო მასალის დასამზადებლად. ორკეთს აქვს თავისი ელექტროსადგური, თავისი კოოპერატიული თუ სახელმწიფო სავაჭრო, სკოლა, სამკითხველო, საბავშვო ბაღი, ყავს პიონერთა რაზმი, პარტიული, კომკავშირული უჯრედები, ყოველდღე საღამოობით და უქმე დღეებში მშრომელნი იკრიბებიან კლუბში, სამკითხველოში, ან კოლექტივის გამგეობის შენობაში, სადაც იმართება კინო-სეანსები, ეწყობა წარმოდგენები, მოხსენებები და სხვა.

ასეთია ლეო ქიაჩელის მიერ დახატული სურათი დღევანდელი ქართული სოფლისა, რომელიც, როგორც ხედავთ, შრომობს და ცხოვრობს ქალაქის კულტურული ცხოვრებით.

ამგვარად ლეო ქიაჩელმა მეტად დაწმენდილი, ფაქიზი ხელებავებით ყოველგვარი ფერადოვანი ორნამეტიკის, რიტორიულ-პათეტიური სტილის გარეშე, მსუბუქი იუმორით მოგვცა მთელი წყვეტილოფელი საქართველოს ადამიანების, უარყოფითი და დადებითი გმირების ... ლიტერატურული გამოსახულება. ავტორმა ცალკე პიროვნებათა ფსიქოლოგიის გახსნით დაგვანახა სტალინური ეპოქის ერთი ეტაპი, ცალკე გმირთა შინაგანი ვითარება გადაგვიშალა ისე, რომ მათი ფსიქოლოგიური დახასიათებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს მათი პოლიტიკურ-სოციალური დახასიათებაც. „გვადი ბიგვა" არის ლეო ქიაჩელის იდეურ-მხატვრული გამარჯვება.

საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზეა დაწერილი ალ. ჭეიშვილის სადებიუტო ნაწარმოები „ლელო". მიუხედავად იმისა, რომ „ლელო" ავტორის პირველი ნაწარმოებია, იგი სრულიადაც არ სტოვებს მოუმწიფებელი და ნედლი ლიტერატურული ფაქტის შთაბეჭდილებას. რომანი „ლელო" წარმოადგენს დიდი ბელადის სტალინის იმ თეზისის ილუსტრაციას, რომელიც ამბობს: „გაჩნდა ახალი სოფელი. ქრება წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის". ახალი სოფლის მოსაცემად, ცხადია, მარტო ის როდი კმარა, რომ აღწერო და ჩამოსთვალო ის ორგანიზაციები და საზოგადოებრივი სამეურნეო ნაგებობები, რომლებიც დღეს სოფელს მოეპოება. აუცილებელია, რომ მხატვარმა ეს ორგანიზაციები მოგვცეს მუშაობაში, ე. ი. იმ ხალხის საქმიან გარემოცვაში, რომლებიც იქ მოქმედობენ. ალ. ჭეიშვილს აღმოაჩნდა მხატვრული დაკვირვების საკმაო უნარი იმისათვის, რომ მოეცა ახალი სოფლის სახე, როგორც საზოგადოებრივი მუშაობის, ისე ადამიანთა ინდივიდუალურ ცხოვრების ასახვით. ჭეიშვილი მკითხველის თვალწინ შლის გურიის წარმტაც პეიზაჟებს, მაგრამ ისინი გამოთიშულნი არ არიან ადამიანთა შრომასა და მოქმედებას. მკითხველი ხედავს ბორცვებზე გაშენებულ პლანტაციებს, ჩირგვნარიან და გვიმრიან მაღლობებს და მასზე შესეულ მშრომელებს— ძალღონით სავსე ახალგაზრდებს, ვაჟებსა და ქალიშვილებს, ჭარმაგ მოხუცებს და დაკაპიწებულ დიასახლისებს, რომლებიც გატაცებით აკეთებენ თავიანთ საქმეს. აკეთებენ ისე, რომ გრძნობთ სიამესა და სიხარულს მათ შრომაში. მოსწრებული სიტყვა-პასუხი, სიცილი, სიმღერა მოსდებია საკოლმეურნეო მინდვრებს და ამ საერთო ხალისიან ჟრიამულში მკითხველი გარკვევით ხედავს და არჩევს ცალკე პირებს. ამ საერთო მასაში მხოლოდ ერთი რეპლიკის მოსმენით მკითხველი ხშირად გამოიცნობს იმ პირს, რომელიც ავტორს წინა თავებში დაუხატავს.

ა. ჭეიშვილს უეჭველად აქვს ტიპიური ხასიათების გამოკვეთის ნიჭი, მისი ტიპები ადამიანური არიან, რადგან ისინი მოკლებული არ არიან ინდივიდუალურ თავისებურებას. ტიპის ზოგად თვისებებთან ერთად ალ. ჭეიშვილის პერსონაჟებს აქვთ თავისი განსაკუთრებული რაღაც. ეს

აცოცხლებს მათ. ავტორს გამოყვანილი ყავს ძველი თაობის ადამიანების და ახალგაზრდების მთელი გალერეა. მაგრამ, მათ შორის ყველაზე უფრო მეტი სისრულით დახატული არიან ისეთი პერსონაჟები, რომლებიც მხოლოდ ჩვენი დროის საბჭოთა სოფელს ახასიათებენ, — ისეთი გმირები, რომლებიც, არ შეიძლებოდა, ყოფილიყვნენ არც ერთი სხვა რეჟიმის დროს, რომლებიც მხოლოდ ახალ ვითარებას შეეძლო წარმოეშვა. რომანის უარყოფითი ტიპაჟიც კი ისეა მოცემული, რომ მას ანალოგიას ვერ ვუპოვით რევოლუციის წინადროინდელ ქართული ლიტერატურაში. მაგალითად მრავალ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებში არსებობს გაჩარჩებული, გავაჭრებული გლეხის სხვადასხვა ვარიაცია. ალ. ჭეიშვილის ჩარჩი გლეხი სილიბისტრო-სიპიტო ქილიფთარი არ გავს არც ერთი მათგანს. იგი არის იმპერიალისტური ომის და მენშევიკური დროის პროდუქტი, რომელსაც ჩვენს დროშიც გამოუმუშავებია ახალ საბჭოთა ვითარებასთან შეგუების შესანიშნავი უნარი. მას ისე მოუწყვია თავისი ცხოვრება, ისე მალავს თავის ნამდვილ საქმიანობას, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს საფუძველი და საბაბი ჩარიცხოს იგი არა მშრომელ ანტისაბჭოთა ელემენტების სიაში, თუმცა მისი არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენს არა პატიოსანი შრომა, არამედ სხვების ფარული ექსპლოატაცია და შენიღბული სპეკულიაცია. თუ სიპიტო ქილიფთარი კოლმეურნეობის წევრთა რიცხვში მოხვდა — ეს არ აიხსნება მარტო იმით, რომ მას აქვს შენიღბვის ნიჭი. ძალიან შველის ქილიფთარს აგრეთვე ძველი მეზობლობისა და ნათესაური ურთიერთობის ტრადიციები, რომელნიც არა თუ ძველ თაობას, არამედ ახალგაზრდობასაც ვერ დაუძლევია, რომელნიც ჰბორკავენ და ნებას არ აძლევენ მათ ამხილონ და გამოამჟღავნონ თავისი მეზობლის, თავისი „ნათლიისა“ და ახლობელის ანტისაზოგადოებრივი საქციელი, ერთი მხრით იმიტომ, რომ არ უნდათ გასაკიცხი და სამხილებელი პირის მომდურება და მეორეც იმიტომ, რომ ეშინიათ სოფლის თვალში უდიერი, უმადური, ავყია კაცის სახელი არ დაიმსახურონ. ასეთი ატმოსფერო ასაზრდოებს ქილიფთარს, რომელიც თავისი წრის „უკანასკნელ მოგიკანს“ წარმოადგენს და ახალი სოფლის მშრომელთა შორის ისე სჩანს, როგორც ყვავი ხოხობებს შორის. ქილიფთარი თავს მოუსვენრად, გარიყულად გრძნობს სოფელში, სადაც ახალი საზოგადოების წამყვან ფიგურებს წარმოადგენენ საკოლმეურნეო შრომის სტახანოველები, ახალგაზრდა და მოხუცი ენტუზიასტები, რომლებმაც იციან გატაცებული მუშაობაც და კულტურული დასვენებაც.

ალ. ჭეიშვილის რომანის გმირების მოქმედებანი და ნააზრევ-ნაფიქრნი მრავალ საბუთს იძლევიან იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ განდევნა საკოლმეურნეო წყობილებამ, ჩაის და ციტრუსოვანთა კულტურამ გურული გლეხის ფსიქოლოგიიდან წვრილ მესაკუთრული ინსტინქტები და ანტიპარტიული განწყობილებანი.

ქიშვარდი, სილოვანი, ციცინო და სხვა მრავალი ნამდვილი საბჭოთა ახალგაზრდა ალ. ჭეიშვილის ნაწარმოებში აძლევენ ტონს თანამედროვე

გურულ სოფელს, რომელსაც დღეს ვერ გაარჩევთ ქალაქიდან, რამდენად მრავალფეროვანია ამ სოფლის ცხოვრება, და მრავალმხრივი მისი ახალგაზრდობა, რომლის კულტურული მოთხოვნილებები და ინტერესები უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა დონეს უფრო [illegible] ვიდრე წინანდელ სოფლის მოთხოვნილებათა დონეს.

ქართული მხატვრული ნაწარმოებები გვიხატავენ უმთავრესად ახალ საბჭოთა სოფელს და მის ადამიანებს, რაც მოასწავებს იმას, რომ ქართული თანამედროვე ლიტერატურის ცენტრში ისევ სოფლისა და გლეხის თემატიკაა მოქცეული. წინათ ამას გამართლება ჰქონდა, რადგან გლეხურ ქვეყანაში სოფლელი ადამიანი მთავარ ფიგურას წარმოადგენდა, მაგრამ დღეს, როცა საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად, სადაც პროლეტარული-სოციალისტური ქალაქი წინ უძღვის სოფელს და მიჰყავს იგი ახალი ცხოვრებისაკენ, დღეს ასეთ ვითარებაში, ჩვენი ლიტერატურის მთავარი გმირს მუშათა კლასის, მისი ავანგარდის ადამიანი უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ ეს ასე არ არის, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ძლიერია წარსული ლიტერატურული ტრადიციის ინერცია ჩვენს მწერლობაში. მეორე მხრივ ქართულ საბჭოთა მწერალს, რომელიც აღზრდილია სოფლური ლიტერატურის ტრადიციებზე და რომელიც თავად გამოსულია მეტ წილად გლეხობის ან სოფლის სხვა ფენების წრიდან; რომელიც კარგად იცნობს ძველ სოფელს, რასაკვირველია, უფრო ეხერხება ასახოს ახალი სოფელი, რადგან მისთვის არ არის ძნელი შეამჩნიოს სოფლად მომხდარი გარდატეხა, შეადაროს ის, რაც არის ახლა, იმას, რაც იყო წინათ.

ამ ძლიერი ლიტერატურული ინერციის დაძლევის პიონერობა იკისრა საბჭოთა მწერლობის პროლეტარულმა ფრთამ. პ ა ნ ტ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე მ, ბ. ჩ ხ ე ი ძ ე მ პირველად სცადეს მოეცათ საწარმოო რომანი, აესახათ ინდუსტრიალური მშენებლობა საქართველოში. როცა პ ა ნ ტ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ი ს „სართულები“, და ბ. ჩ ხ ე ი ძ ი ს „ფერო“ იწერებოდა, მაშინ დამთავრებულიც კი არ იყო იმ ობიექტების მშენებლობა, რომლებიც ასახეს დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორებმა. ასეთ გრანდიოზულ მშენებლობას საქართველოში ტრადიცია არ ჰქონია, ადამიანები პირველად მივიდნენ ამ დიდ საამშენებლო სამუშაოებზე, რომ მიეღოთ გამოცდილება, რომ შეეძინათ კვალიფიკაცია, დაუფლებოდნენ ტექნიკას, გამხდარიყვნენ მაღალი კვალიფიკაციის მუშები და ხელმძღვანელები, რომ ამასთან ერთად გაეარათ პოლიტიკური აღზრდის სკოლაც. ეს იმას ნიშნავს, რომ მშენებლობაზე ახლად მოსული ადამიანები თვით განიცდიდნენ ფორმაციის პროცესს.

მეტ წილად ამ ნაწარმოებებში ადამიანები მოცემულნი არიან ერთ სფეროში, წარმოების სფეროში, მხატვრული სისრულისათვის კი საჭიროა ადამიანის ჩვენება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მკითხველს აინტერესებს არა მარტო ის, თუ რას ქადაგებენ, რა განკარგულებებს

იძლევიან წარმოებასა და სამსახურში ნაწარმოების მთავარი გმირები, არამედ ისიც, თუ როგორ ცხოვრობენ ისინი თავის ოჯახში. ადამიანი ვანიცდის კმაყოფილებას არა მარტო იმის გამო, რომ თავადვე წვლილი შეიტანა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში, არამედ იმის გამოც, რომ მან გარდაქმნა თავის პირადი ცხოვრებაც. მწერალმა ეს მხარეც უნდა დაგვანახოს, უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ თავისუფლდებიან ადამიანები ძველი, მონური ჩვეულებისაგან, რომლებიც მათთვის ძველს საზოგადოებას დაუტოვებია. მთავარია ადამიანის ცოცხლად, მოძრაობაში მოცემა, რადგან ჩვენი სამშობლო მსოფლიოს აკვირვებს და მისი მოწინავე ნაწილი აღტაცებაში მოჰყავს როგორც თავისი გრანდიოზული ქარხნებით და ტექნიკით, ისე თავისი შესანიშნავი მუშათა კლასით, თავისი ხალხით, რომელმაც თავისი წიაღიდან წარმოშვა ადამიანები, რომლებმაც შრომა აქციეს სახელისა და დიდების საქმედ, რომლებმაც გარდაქმნეს რა დედამიწის მეექვსედი სოციალისტურ საზოგადოებად, შექმნეს პირობები ადამიანის პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის.

ჩვენება ჩვენი დროის ამ დიდი გმირისა, რომელსაც მიბაძავენ და ნიმუშად გაიხდიან მილიონები, — აი გენერალური ამოცანა მთელი საბჭოთა ლიტერატურისა.

ქართული საბჭოთა მწერლობა, რომელიც შთაგონებულია ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს დიადი იდეებით და აღფრთოვანებულია თავისი სამშობლოს აყვავებით, ქართული საბჭოთა მწერლობა, რომელსაც უკანასკნელ წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა, შესძლებს ამ საპატიო ამოცანის ისეთ გადაწყვეტას, როგორც ეს, ს ტ ა ლ ი ნ ი ს დიდი ეპოქის ადამიანებს შეეფერება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ

ᲭᲣᲕᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ) [1]

ᲬᲐᲠᲢᲧᲕᲔᲕᲜᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ.

კავკასიის შესახებ „უახლეს გეოგრაფიულ და ისტორიულ ცნობათა“ შემკრები და გამომცემელი ს. ბ რ ო ნ ე ვ ს კ ი საქართველოში ტყვეებით ვაჭრობის შესახებ 1810 წელს სწერდა, რომ ლეკებს ტყვეები ჭარიდან გაჰყავთ (საქართველოზე, ტყეებსა და მთებში დაფარული გზებით) ახალციხეში და აქედან შავი ზღვის ნავთასადგურებში — ბათომსა და ფოთში.

„მაგრამ იმ მიზნით,—განაგრძობს იგი, — რომ გაიმრავლონ ტყვეები საქართველოს მცხოვრებთა გატაცებით, ისინი რაზმებად იყოფიან: ერთნი ტყვეებს აცილებენ, მეორენი ცდილობენ ახლების წარტყვევნა-მოტაცებას. ისინი ახერხებენ იმავე ზაფხულს ან შემოდგომამდე ჭარში დაბრუნებას. წინაალმდეგ შემთხვევაში, თუ ზამთარი მოუსწრებთ ახალციხეში, სამსახურში უდგებიან ახალციხის ფაშას იმ პირობით, რომ მათ ნება მიეცეთ ძარცვა-თარეშები მოაწყონ ქართლში, იმერეთში და სამეგრელოში, რაზედაც ისინი ფაშისაგან უარს არ ღებულობენ. ამ სახით ლეკებმა განამტკიცეს თავიანთი კავშირი თურქებთან, დააწესეს რეგულარული მიმოსვლა, საქართველოზე გავლით, დაღისტანისათვის ტყვეების მთავარ სავაჭროებს — ჭარსა და ახალციხეს — შორის, ისე რომ საქართველო თავისი მძვინვარე მტრების უმწეო მსხვერპლად გადაიქცა“.

ს. ბრონევსკი დასძენს, რომ ლეკობა 1800 წლიდან შესწყდაო. [2]) ნამდვილად კი იგი, როგორც დავინახავთ, უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა.

თუ რამდენად უძლური აღმოჩნდა პირველ წლებში რუსეთის ხელისუფლება იმისთვის, რომ აღეკვეთა ლეკთა თარეში, ამას მშვენივრად

---

[1] დასაწყისი იხილე „მნათობი“ № 10.

[2]. С. Броневский „Новейш. геогр. и историч. извест. о Кавказе“ 1823, М. 314 — 315.

ადასტურებს თვით მეფისავე ოფიცერი ლ ო ფ ი ც კ ი, რომელიც 1806 წ. სწერდა:

„სოფლის მოსახლეობას, რომელიც თავს იიმედებდა [illegible] ამ, რომ რუსეთის ჯარი უზრუნველჰყოფს მას ლეკებისაგან, რომელნიც იტაცებდნენ, მეტადრე ზაფხულობით მინდვრად მუშაობის დროს, ოჯახებს, ქონებასა და არაიშვიათად სიცოცხლესაც, ვერ გაუმართლდა იმედები, რადგან რუსეთის ჯარის მთავარი ძალები ყოველ ზაფხულობით გადადიოდნენ საზღვრებს [ირან-თურქეთისა], ხოლო მცირე საყარაულოებით არ შეიძლება ამ მტაცებელთათვის გზების შეკვრა ისეთ ვრცელ თავშესაფარ ბუნაგებში, რომლებიც საქართველოს საზღვრებს ყოველმხრივ აკრავენ. ამასთან ფარული გზები საუკეთესოდაა ცნობილი ლეკებისათვის, რის გამოც მათი თარეში არ სწყდება. ამ ბარბაროსებს ძველებურად მოაქვთ უბედურება საქართველოს ხალხისათვის“.

მართალია, ლოფიცკისა და ცარიზმის სხვა ერთგულ მოხელეებს ქართველი ხალხის მიმართ გული „შესტკივათ“ იმისათვის, რომ ამ გზით დაასაბუთონ და მოამზადონ კავკასიის მთიელთა დაპყრობა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. ცარიზმმა არა თუ არ ჩამოაგდო მშვიდობიანობა კავკასიის ხალხთა შორის, არამედ უარესად გადაჰკიდა ისინი ერთმანეთს, რომ ამ გზით უკეთ განეხორციელებინა თავისი ანექსიური ზრახვები.

ლეკების თარეშისა და ტყვეთა ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი:

„მთა ზედაძნისა, არაგვისა პირზედა დამყარებული, პირისპირ მცხეთისა და ღართისკარისა ანუ ძველად კანონიერად ქართლისა კარისა, იყო კლდედ და კარად დაღესტანისა, და აქედამ დაეცემოდიან ლეკნი ღართისკარსა და, დატაცებით ტყვეთა, განვლიდნენ ქართლსა და ავიდოდნენ ახალციხეს. დაბრუნებული მუნით, აქავე [ზედაძენს] მოვიდიან და დაბინავდებიან უშიშრად. ესრეთ მდგომარეობასა შინა იყო საქართველო დროთაგან მეფისა ვახტანგისა 1710-გან, როგორც სჩანს წერილთაგანაცა, და ვიდრე 1817-მდე. ამა წელიწადმა შეაწუხა ლეკი და შევიდა თვისთა კლდეთა შინა და ხეობათა, სადაცა ეწია მას ძალი რუსეთისა და შემდგომად გრძელჟამითისა ბრძოლისა დაამორჩილა და დაამშვიდა, დაიმონა და შეაერთა კვალად ქართველთა ვაჭრობითა“.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ თავის დროზე, როგორც იგივე პლ. იოსელიანი გადმოგვცემს, გიორგი მეთორმეტემ დაავალა ქიზიყელთ ლეკების გადევნა ზედაზნიდან, მაგრამ მოუხერხებელი გახდა შებმა „ლეკთა 600 კაცთა მუნ მარადის დაბუდებულთა“, რომელთაც იქ ეჭირათ კოშკიანი გალავნით შემორტყმული ციხე[1].

მაგრამ თარეშს მარტო ლეკები როდი აწყობდნენ.

---

[1]) პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 76.

1817 წელს გენ. ერმოლოვი ბარონ სტროგანოვს რუსეთის სრულუფლებიან მინისტრს კონსტანტინეპოლში, სწერდა, რომ ყარსის, ახალციხისა და ტრაპიზონის ფაშები აწყობენ „განუწყვეტელ თარეშს ჩვენს მიწებზე, ეწევიან მტაცებლობას, ატყვევებენ და მიყავთ-მოსყიდნენ, მიაქვთ მათი ქონება და იქამდეც კი მიდის მათი თავხედობა, რომ თავს ესხმიან ჯარისკაცებს და იტაცებენ მათ; თავიანთთან იწვევენ და აწყობენ ლეკებს, ჩვენი ქვეშევრდომი ოლქების მცხოვრებლებს, და აქეზებენ მათ ძარცვა-გლეჯისთვის. ისინი დაასახლეს ჩვენი საზღვრების მახლობლად, რის გამოც არ არის მოსვენება და მყუდროება“.

ატყობინებს რა ამ გარემოებას, ავალებს სტროგანოვს, ყოველივე ეს აცნობოს პორტას.

მაგრამ, როგორც ეტყობა, პორტა ყურსაც არ იბერტყავდა და თურქეთის საფაშოებიდან თარეში არ სწყდებოდა. 1819 წლის 6 მაისს ერმოლოვი კვლავ სწერს სტროგანოვს, რომ „ახალციხის საფაშო ღებულობს ლეკებს და ეს უკანასკნელნი იქ ცხოვრობენ მთელ სოფლებად; ისინი განუწყვეტლივ ეწევიან მტაცებლობას და თარეშს, რაც მოსახლეობის სითხელის გამო სწვდება ამ ქვეყნის თვით სიღრმეშიო“; ერმოლოვი განსაკუთრებით გაჯავრებულია ამაზე, რომ ახალციხე თავშესაფარს აძლევს „ყველა ჩვენს დამნაშავეს და ბოროტმომქმედს“.

თავის მხრივ ბარონ სტროგანოვი იტყობინება (1819 წ. 1/5), რომ უშედეგოა ყოველი მისი ცდა, რათა სულთანს შეასმინოს რუსეთის მოსაზღვრე ფაშების თავგასულობა: „არა მაქვს არავითარი იმედი, მივალწიო პორტაში რაიმე წარმატებას ჩემი დარიგებითო“ო. შემდეგ, როდესაც თვით რუსეთის იმპერატორმა მიმართა სულთანს ამ უწესებათა შესახებ, რუსეთის მთავრობას უპასუხეს: „მოვლენები, რომლებიც ხდებიან აზიელ მცხოვრებთა შორის, წარმოსდგებიან ადამიანთაგან, რომლებიც დარჩნენ უსახსროდ; რადგან რუსეთი უფრო და უფრო აგვიანებს საზღვრების დაცლას, ასეთი ადამიანები სარგებლობენ ამ შემთხვევით, რომ აწარმოონ ძარცვა-გლეჯა. ხოლო როდესაც ეს საზღვრები[1] სავსებით დაცლილი იქნება და პორტა იმ მხარეში დანიშნავს თავის მოხელეებს, მაშინ ამ მოვლენებს იგი საბოლოოდ აღკვეთს“. ამგვარად, თურქეთის მთავრობა მოითხოვდა, დაეცალათ რუსებს იმერეთი, სამეგრელო და გურია რომლებიც მას თავის სამფლობელოებად მიაჩნდა, და მხოლოდ ამის შემდეგ ჰპირდებოდა წარტყვევნისა და შემოსევა-თარეშის აღკვეთას, საქართველოს მოსაზღვრე ფაშების მოთვინიერებას და ახალციხიდან ლეკების განდევნას. გრ. ნესელროდეც (საგარეო საქმეთა მინისტრი) ატყობინებს ერმოლოვს, რომ თურქეთი მოითხოვს შავი ზღვის სანაპიროების დაბრუ-

[1] იგულისხმება ქუთაისის, ბაღდათის, შორაპნის, ქემ-გალის (ყუტლევის) და ანაკლიის ციხე-სიმაგრეთა დაცლა (იხ. ИВВРК., т. VI, 142 — 143).

ნებას და მხოლოდ ამის შემდეგ გვპირდება ყოველგვარი თარეშისა და წარტყვევნის აღკვეთასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ამის შემდეგ გენ. ერმოლოვი თვითონაც ამბობს, ჩვენს მესაზღვრე მოსახლეობას, გამოიტაცოს თურქების ჯოგები და ადამიანებიც კი, თუ ისინი ჩვენს ტერიტორიაზე სათარეშოდ გადმოვლენ. ერმოლოვი, გენ. ველიამინოვს სწერს: „შეიძლება ასევე მათი წამოყვანა ტყვეებად და გამოდენა ჯოგისა, რომელიც ზამთრობით ჩვენი საზღვრების მახლობლად იმყოფება. ჩვენ ფიქრიც არ შეგვიძლია, ავინაზღაუროთ მთელი მათგან მოყენებული დანაკარგი, მაგრამ არ დაგვეძრახება, თუ თარეშის აღკვეთის მიზნით პირველ შემთხვევისთანავე სასტიკად დავსჯით ყაჩაღებს და მტაცებლებს“. რუსეთი არა თუ არ ფიქრობდა მიეცა თურქეთისათვის შავი ზღვის სანაპიროები, არამედ სულ ახალ-ახალ ტერიტორიებს ართმევდა თურქეთს და, გარდა ამისა, ყოველნაირად ცდილობდა გადმოებირებინა ხალხი თურქეთის სამფლობელოდან და შეექმნა იქ თურქეთის მთავრობის საწინააღმდეგო სიტუაცია. ასე გენერ. ერმოლოვი 1818 წელს ავალებს ველიამინოვს, გადმოიბიროს ხერთვისის ბეგი მამედ-ალი, რომელსაც თან უნდა გადმოეყვანა 100 ოჯახი, ხოლო სხვა მისი ხელქვეითნი შემდეგ უნდა გადმოსულიყვნენ, და ეს ისე უნდა მოწყობილიყო, რომ „მეგობარ თურქეთს არ შეემჩნია ამ ადამიანთა გადმოსახლება“ [1].

მეორეს მხრივ, ერმოლოვი მუქარით და ლანძღვა-გინებით სავსე წერილებს უგზავნის თვით ახალციხის ფაშას, რადგან ეს უკანასკნელი ინტრიგებს აწყობდა საქართველოში, აქეზებდა და ეხმარებოდა 1820 წელს აჯანყებულთ, გურიასა და იმერეთში, თავშესაფარს აძლევდა მათ. ერმოლოვი ალი-ფაშას სწერს: „თქვენ არა გაქვთ სიტყვა, გარდა უშვერი სიცრუისა, არა გაქვთ მოქმედება, რომელიც არ ხასიათდებოდეს საძაგელი უნამუსობით. ყველა ვერაგისა და მუხანათისა თქვენ ერთგული მეგობარი ხართ. თავშესაფარს აძლევთ ყაჩაღ ლეკებს, რომლებიც თარეშობენ“ საქართველოშიო. ყველა ამის გამო ერმოლოვი ემუქრება ალი-ფაშას, „ჩვენც გვნახავთ თქვენს საზღვრებშიო“. თუმცა იმ ხანებში რუსებმა დაამარცხეს და განდევნეს დაღესტნის მფლობელი სურხაი-ხან კაზიყუმუხელი და მის ნაცვლად იმპერატორის ერთგული ხანი დასვეს. მაგრამ დაღესტნელთა შემოსევა-თარეშს მაინც ბოლო არ ეღებოდა.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდნენ დაღესტნელი ლეკები და თურქეთის საფაშოებიდან გადმოსული ყაჩაღები. ისინი სძარცვავდნენ ხალხს, ერეკებოდნენ პირუტყვს და ადამიანებს იტაცებდნენ გასასყიდად. რათა მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს იმ შფოთიან დროზე, მოვიყვანთ თავდასხმის რამდენიმე ფაქტს.

---

[1]. АКАК., VI, II, № 732.

1818 წელს, 7—8 ივნისს ახალციხელ და აჭარელ თურქთა რაზმი იმერეთში შეიპარა და მოულოდნელად თავს დაესხა მახლობელ სოფელს. რაზმი დაეშვა ძალზე დაქანებულ მთიდან და შეუმჩნეველად შემოუარა სოფლელთა ყარაულს. ასეთი ყარაულები იმ ხანებში ეზოებსა-ზეც დაყენებული ჰყავდათ თურქეთის სამფლობელოებიდან მომავალ გზებზე. მოთარეშეებმა გაიტაცეს გლეხთა ოთხი ოჯახი. ორი ეკუთვნოდა თავად ჩიჯავაძეს, ხოლო ორი — თავ. ლორთქიფანიძეს. ოთხივე ოჯახი შესდგებოდა 20 მამრისა და 19 მდედრისაგან. ამას გარდა თავდასხმის დროს მოკლულ იქნა ორი იმერელი და ორი მოთარეშე თურქი. მოთარეშეთა თავდასხმა მალე გაიგეს და თუმცა ადგილობრივი მცხოვრებნი დაედევნენ, დაეწივნენ კიდეც მაგრამ შემოსეულთა სიმრავლის გამო, ტყვეები ვერ დააგდებინესო, — ატყობინებდა გენ. ლ. ველიამინოვი საქართველოს მთავარსარდალს.

იყო შემთხვევები, როდესაც დადევნებული მცხოვრებნი დაეწეოდნენ მოთარეშეთ და წარტყვენილებსაც დააგდებინებდნენ ხოლმე. მაგალითად, 1819 წლის 9 აპრილს სოფ. ასკანას დაესხა ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი, თურქეთის ქვეშევრდომი. იგი შემოიჭრა მთელი რაზმით და გაიტაცა რამდენიმე კაცი. მაგრამ სწრაფად თავმოყრილი გურულები დაედევნენ, დაეწივნენ და ცხარე ბრძოლის შემდეგ ტყვეებიც დაატოვებინეს და დიდი ზარალიც მიაყენეს, როგორც ამას გურიის მთავარი მამია გურიელი გენ. ერმოლოვს ატყობინებდა.

ან კიდევ: 1822 წლის ივლისში „ახალციხელი ყაჩაღები 200 კაცის რაოდენობით“ შეიჭრნენ ვაკის მაზრაში (იმერეთში), მაგრამ უკუიქცნენ, რადგან ადგილობრივი მცხოვრებნი „ნამდვილი სამხედრო სიფრთხილით დაუხვდნენ“.

იმავე წლებში ქართლს დიდად აზარალებდნენ ლეკი-ყაჩაღები ბაშაღას მეთაურობით, 1821 წელს მათ გაიტაცეს 4 ყმაწვილი, რომელთა ძებნასაც დიდი დრო შეალიეს პოლკ. ლადინსკიმ და პოლკ. თავ. სავარსამიძემ.

მთელი ამ ბოროტების თავშესაფარი და წამქეზებული, ადგილობრივი მთავრობის აზრით, იყო ახალციხე და მისი ფაშა, რის გამოც ველიამინოვი 1822 წლის 7 აგვისტოს ახალციხის ფაშას სწერდა: „განა შეიძლება მეგობრულ განწყობილებად ვიცნოთ ის, რომ ყარსისა[1] და ახალციხის საფაშოებს თავს აფარებენ მტაცებელი ლეკები, რომლებიც, იტაცებენ რა საქართველოდან ადამიანებს, ჰყიდიან მათ ტყვეობაში, ამასთან არა მარტო იტაცებენ აშკარად და თურქეთის მთავრობის მხრივ დაუსჯელად, არამედ თვით გამგებლები ამ სამფლობელოებისა... მოითხოვენ ჩვენგან გამოსასყიდელს“ წარტყვევნილთა დასახსნელადო. მართლაც, ახალციხის ფაშამ სოფ. ყვარლიდან წარტყვევნილი ერთი ყმაწვილის გა-

[1] 1821 წ. ოქტომბერში პოლკ. თავ. სავარსამიძე აპირებდა ყარსის აღებას, რომ „ამით ბოლო მოეღო განუწყვეტელი ინტრიგებისათვის“, მაგრამ გენ. ველიამინოვმა ამის ნება არ მისცა „თურქეთთან მშვიდობიანი დამოკიდებულების“ გამო.

მოსასყიდლად 3300 ყურუში მოითხოვა. გენ.-ლეიტ. ელიამინოვი, სასყიდლის გაცემის ნაცვლად, ემუქრება ახალციხის ფაშას: თუ მალე უსასყიდლოდ არ დააბრუნებთ იმ ყმაწვილს და ბოდიშსაც არ მოახდით, იძულებული ვიქნები, უბედური მამის დასამშვიდებლად, შემოსვევა შივსცემას, გამოისყიდოს თავისი შვილი თურქეთის ქვეშევრდომთა ხარჯზე; ვუბრძანებ აქ ან იმერეთში შეიპყრან ახალციხელი ვაჭარი ან სახელმწიფო მოხელეო [1].

მაგრამ მუქარა ნაკლებად მოქმედებდა და თურქეთის ფაშები ძველებურად განაგრძობდნენ მოთარეშთა მფარველობას. 1829 წელს გენ. პასკევიჩი, ირანთან ომში მიღწეული დიდი გამარჯვების მიუხედავად, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება საქართველოში ჯერ კიდევ შეუძლებელი ხდებაო. არ იყო უზრუნველყოფილი ტფილისის მშვიდობიანობაც კი, სადაც ინახებოდა ჯარის „მთელი მარაგები და საშუალება". უფრო მეტიც — პასკევიჩი გრაფ ნესელროდეს სწერს: „თურქეთის მხრივ ჩვენი საზღვრები ისე უახლოვდებიან ტფილისს და ადგილმდებარეობა იმდენად ხელს უწყობს ყაჩაღთა ბრბოების თარეშს, რომ არ შეიძლება მოველოდეთ მოსახლეობის გამრავლებას, არც მიწათმოქმედების, მრეწველობისა და ვაჭრობის გაუმჯობესობას მთელ მოსაზღვრე ზონაში, ქართლიდან დაწყებული ჰაჯიბაირამამდე (სომხეთის ოლქში), სანამ თრიალეთში, სომხეთში, შურაველსა და ბამბაკში სათარეშოდ შემოჭრილი მთიელები თავიანთი ნადავლითურთ ყარსისა და ახალციხის საფაშოში პოულობენ თავშესაფარს და სანამ ლეკებს, რომლებიც დაღისტნიდან იქითკენვე მიემართებიან, შესაძლებლობა ექნებათ იქ გაჰყიდონ შირვანიდან, შეკიდან და კახეთიდან გატაცებული ნადავლი და ტყვეები. ამას გარდა, თვით ჩვენი საზღვრებიდან გაქცეული ლეკთა და სხვა მთიელ ხალხთა ჯგუფები თავს აფარებენ ახალციხეს, ხერთვისს, აწყურს და ახალქალაქს".

ყველა ამის გამო პასკევიჩს საჭიროდ მიაჩნია თურქეთის ზემოხსენებული სამფლობელოების დაპყრობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობიანობა საქართველოში და აღაგმულ იქნას თარეში და ტყვეებით ვაჭრობა. პასკევიჩი ამავე მიზნით მოითხოვს ანაპის დაპყრობის ნებართვას, რადგან იგი „შავ ზღვაზე ამჟამად ყველაზე მეტად უწყობს ხელს ტყვეებით ვაჭრობას".

როგორც ხედავთ ცარიზმი და მისი წარმომადგენელნი თავიანთ დაპყრობითს პოლიტიკას ამართლებდნენ მშვიდობიანობის დამყარებისა და ტყვეებით ვაჭრობის მოსპობის საჭიროებით. გენერლებს რომ თავი გადანებოთ, თვითმპყრობელობის დაქირავებული კალმოსნები ხმამაღლა ქა-

---

[1]) ეს წარტყვევნილი ყმაწვილი, როგორც ეტყობა, რომელიღაც გავლენიანი თავადიშვილი უნდა ყოფილიყო, თორემ გატაცებული გლეხისათვის მაშინდელი ხელისუფლება ამდენად თავს არ შეიწუხებდა და არც ახალციხელი ვაჭრისა ან მოხელის ტყვეებით დაემუქრებოდა; ამას ადასტურებს აგრეთვე ყმაწვილის გამოსასყიდად დანიშნული დიდი თანხა — 3.300 ყურუში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგებდნენ, რომ ცარიზმმა „კაცობრიობისა და ქრისტიანობის წინაშე უდიდესი ჰუმანიური როლი შეასრულა“-ო[1]. ნამდვილად კი ვინც საქმეს ჩაუკვირდება და საბუთებს გაიცნობს, აშკარად დაინახავს, რომ ცარიზმს ყოველივე ეს ესაჭიროებოდა „განათლებული დასავლეთ ევროპის“ დასანახავად, რათა ამ უკანასკნელიდან მორალური და იურიდიული სანქცია მიეღო იმ უდიდესი დაპყრობებისათვის, რომელსაც მეფის რუსეთი კავკასიაში აწარმოებდა.

ჩვენ გავეცანით მიზეზებს, პირობებს და ორგანიზაციას ადამიანთა წარტყვევნისას გარედან, ე. ი. თურქეთ-ირანიდან და კავკასიის დაპყრობილ თუ დაუპყრობელ მთიელთაგან შემოჭრილ მოთარეშეთა მიერ. მაგრამ საქართველოში წარტყვევნა ხდებოდა არა მარტო გარედან შემოჭრილი ძალებისაგან. ადამიანის წარტყვევნას და გატაცებას გაყიდვის მიზნით ეწეოდნენ ადგილობრივი თავად-აზნაურებიც. 1804 წელს ლიტვინოვი სწერდა, რომ აქაურ გათახსირებულ თავადაზნაურობაში ადამიანთა გატაცება და ტყვეებით ვაჭრობა გმირობის საქმედაც კი ითვლებაო.

ადამიანებზე „ნადირობის“ განვითარებას ხელს უწყობდა, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ მე-19 საუკუნის პირველ წლებში იმერეთის მეფე, გურიისა და სამეგრელოს მთავრები ხშირად ეომებოდნენ ერთმანეთს, როდესაც ძალზე საშიში ხდებოდა ცხოვრება უმწეო გლეხობისათვის. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ამა ქვეყნისა ძლიერნი ერთმანეთს არ ებრძოდნენ, საკმაო ხელსაყრელი პირობები არსებობდა იმისათვის, რომ ყოველი სამთავროს შიგნით თავადებსა და აზნაურებს ჩამოეგდოთ ურთიერთშორის შუღლი და მტრობა ან შესეოდნენ მეზობელ სამთავროს. ორივე შემთხვევაში ფართო გზა ეხსნებოდა გატაცებას.

1804 წ. იგივე ლიტვინოვი სწერდა სამეგრელოს მთავრის შესახებ, რომ მაშინაც კი, როდესაც მთავარს ომი არა ჰქონდა რომელიმე მეზობელთან, მის სამთავროში მშვიდობიანობა არ იყო. ქვეყანას ამ დროსაც იკლებდნენ მტაცებლები, რაშიაც მონაწილეობას იღებდნენ „არა მარტო უპირველესი თავადები, არამედ ყველაზე მეტად, დადიანის მკვიდრი ძმებიც-კიო“. და ეს შესაძლებელი იყო იმის გამო, რომ „დადიანის ხელისუფლება იმდენად დაეცა, რომ იგი ვერ ბედავდა ბოროტების დასჯას,ბრძანების გაცემასაც კი, რომელიც არასასიამოვნო ან საზარალო იქნებოდა იმ თავადებისათვის“,[2] რომლებიც ტყვეებით ვაჭრობდნენ. დადიანს ყოველივე უნდა მოეთმინა, რადგან ხშირი უთანხმოება ჰქონდა აფხაზეთის მთავართან (ანაკლიის გამო) და იმერეთის მეფესთან (ლეჩხუმის გამო) და ომის დროს ეშინოდა თავისი თავადების ორგულობისა; თუ ამ უკანასკნელთ აწყენინებდა, ესენი ადვილად გადავიდოდნენ მოწინააღმდეგის მხარეზე.

---

[1]) იხ. გაზ. „Кавказ“, 1882 г. № 299.

[2]. АКАК., т. II, № 803.

ტყვეებით მოვაჭრე და ადამიანთა მტაცებელი თავადაზნაურობა ცდილობდა სხვამხრივაც უზრუნველეყო თავისი მდგომარეობა; მაგალითად, მე-19 საუკუნის პირველ ათეულებში ტყვეებით მოვაჭრე ბ. ბლეხობისათვის მრისხანე თავადმა ბეჟან მხეიძემ, მთავრობამ-მოსაყვანელი სასჯელის თავიდან ასაცილებლად, მძევლად წაიყვანა მთავრის მეორე შვილი. ამავე დროს დადიანის პირველი შვილი მძევლად ჰყავდა ქელეშბეგ შერვაშიძეს, აფხაზთა მთავარს, ტყვეებით ვაჭრობის წამქეზებელს და მფარველს, რომელთან მოჩვენებითი მეგობრობაც დადიანს აიძულა იმერეთის მეფესთან მტრობამ.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ნაციმბირალ ჰასან-ბეგ შერვაშიძის ვერაგობის მეოხებით შეუძლებელი იყო აფხაზეთში თავისუფლად გავლა. დიუბუა 1837 წელს სწერდა, რომ „სოხუმის მიდამოებში, ჰასან-ბეგის მუხანათობის მეოხებით, მზის ჩასვლის შემდეგ ვერავინ ჰბედავდა გასვლას ბაზრიდან კარანტინამდი, რომელიც ზღვას ვერსნახევარით იყო დაშორებული“.[1]

შავი ზღვის ა/კავკასიის სანაპიროებზე დიუბუას მოგზაურობის დროსაც, როგორც იგი გადმოგვცემს, ისევე დათარეშობდნენ მეკობრეების გალერები, როგორც სტრაბონის[2], ინტერიანოს (1551), ლამბერტისა და შარდენის (1672) დროს. თვითონ ფრ. დიუბუას თვალწინ გაუძარცვავთ აფხაზ მეკობრეებს კოდორის კონცხთან სავაჭრო გემი: სავაჭრო გემი კონცხის იქით „გააჩერა აფხაზთა ორმა გალერამ. ყაჩაღებმა გაძარცვეს გემი და დასჭრეს რამდენიმე კაცი“.

„ვინ იყვნენ ეს პირატები, ეს ყაჩაღები, რომელთა რიცხვიც ამ გალერებში ასოც კაცს აღწევდა? ესენი იყვნენ სამი თავადი სუუქ-სუს მიდამოებიდან, ბეგის (შერვაშიძის) მეგობრები“[2]

ამგვარად, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე (1823 — 1864) თვითონ უწევდა მფარველობას მეკობრეებსა და მტაცებლებს, მაშასადამე, წარტყვევნასა და ტყვეებით ვაჭრობასაც.

ტყვეებით ვაჭრობის მთავარი ბუდე მაინც ჩერქეზეთი იყო. მე-18 საუკუნის დამლევს და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში „ანაპა იყო ბუდე თურქეთის ყველა საიდუმლო ზრახვებისა. ეს ნავთსადგური გადაიქცა მთავარ ანუ, უკეთ, ერთად-ერთ ბაზრად ჩერქეზეთის პროდუქტებისა, ბაზრად, რომელიც კონსტანტინეპოლის ჰარამხანებს აწოდებდა ესოდენ ნაქებ მზეთუნახავებს, ჩერქეზ ქალებს, რომელთა შეძენას ასე სცდილობდნენ ჰარამხანის პატრონებიო“,გადმოგვცემს დიუბუა. აქედან ტყვეების დიდი ნაწილი გაყავდათ ქაირში, სადაც ისინი „ყველაზე საწყალი ადამიანების მდგომარეობიდან ზოგჯერ იმდენად მაღლდებოდნენ, რომ იჭერდნენ პირველ ადგილებს და იქცეოდნენ სულთნებად, ადმირალებად და სხ.“[3]

---

[1]. Dubois, „Voyage autour du Caucase...“ Paris 1839. t. I, p. 287.

[2]. იხ. პროფ. ს. ჯანაშია: „ფეოდ. რევ. საქართველოში“. 112.

[3]. Dubois, II, 85

ადამიანებს იტაცებდნენ რუსეთის მეფის სამხედრო-სამსახურში მყოფი ადგილობრივი თავადებიც. ამ ჯურის ადამიანთა შორის აღსანიშნავია მაიორი თავ. მაჭუტაძე და მისი შვილი ალექსანდრე, რომელიც ყაჩაღებისა და გარეწრების მთელი ბანდა ჰყავდათ და რომელნიც სისტემატიურად ეწეოდნენ თარეშებს და წარტყვევნილთა მონებად მიყიდვას ფოთში მოსული მუსულმანი ვაჭრებისათვის. 1828 წელს გენ. სიპიაგინი პასკევიჩს სწერდა, რომ მაიორი მაჭუტაძე თავისი რაზმით სისტემატიურად „თავს ესხმის მეგრელებს, ხოლო 31 მაისს მათ ტყვედ გაიტაცეს 13 კაცი“. თავ. მაჭუტაძესაც თავისი მფარველი ჰყავდა — გურიელის დედა, სოფიო გურიელი, რომელიც იმ დროს გურიას განაგებდა.

ამგვარად, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ადამიანთა წარტყვევნა-გატაცებაში და მონებად გაყიდვაში დიდ როლს თამაშობდნენ არა მარტო გარედან შემოსული მოთარეშენი, არამედ შინაური თავადაზნაურებიც. სამეგრელოში, აფხაზეთში, გურიაში მთელი ორგანიზაციები არსებობდა, რომელთა ხელობასაც ადამიანთა წარტყვევნა და მონებად გაყიდვა შეადგენდა.

ტყვეებით ვაჭრობა და ხელისუფლების ღონისძიებანი მისი აღკვეთისათვის

ა) სამეგრელო-აფხაზეთი — ბეჭელდა — სამურზაყანო.

საუკუნეების განმავლობაში თურქეთი წარმოადგენდა ქვეყანას, რომელიც ხელს უწყობდა და ყოველმხრივ აქეზებდა ტყვეებით ვაჭრობას დასავლეთ საქართველოში და კერძოდ შავი ზღვის სანაპიროებზე, სადაც, გურიასა და სამეგრელოს გარდა, ტყვეებით ვაჭრობა ფართოდ იყო გავრცელებული აფხაზეთში, და, განსაკუთრებით, ჩერქეზეთში. თურქეთიდან მოსული მეხომალდენი ამ სანაპიროებზე ყიდულობდნენ ტყვეებს, როგორც ფულით, ისე უფრო მეტად ადგილობრივი მოთხოვნილების საქონელზე გადაცვლით. მაგრამ ისინი არა მხოლოდ ყიდულობდნენ ადამიანებს, არამედ შესაფერ შემთხვევებში ყაჩაღთა რაზმების (მეკობრეების) სახით გადმოდიოდნენ ნაპირებზე და, ხშირად ადგილობრივი თავადაზნაურობის დახმარებით, აწყობდნენ თარეშს — იტაცებდნენ უმწეო მცხოვრებლებს და წარტყვევნილი მიყავდათ თავიანთ გემებზე. შავი ზღვა მთავარი გზა იყო თურქეთში და საერთოდ მუსულმანურ ქვეყნებში ქართველი ტყვეების გასაყვანად.

რუსეთის თვითმპყრობელობა, რომელიც ათასი მოგონილი ლეგენდით ცდილობდა გაემართლებინა ა/კავკასიის დაპყრობაში თავისი ვითომდა ცივილიზაციური მისია, იმთავითვე შესამჩნევ ღონისძიებებს მიმართავდა ტყვეებით ვაჭრობის აღსაკვეთად. ამ მიმართულებით წარმოებულ მფარველობითს ჟესტს წარმოადგენდა, მაგალითად, რუსეთის დიპლომატების ზრუნვა თურქეთში წარტყვევნილი ქართველების (უპირატესად, ცხადია, ომის დროს წარტყვევნილი თავადაზნაურობის) დახსნი-

სათვის. რუსეთთან დადებული ტრაქტატის ძალით, თურქეთი ვალდებული იყო რუსეთის მთავრობისათვის დაებრუნებინა აქედან წარტყვევნილნი, და აი რუსეთის კონსტანტინეპოლელი ელჩიც აქეთკენ გზავნის ტყვეობიდან გამოხსნილ ქართველებს. მათ შესახებ იმპერატორი ალექსანდრე 1 ბრძანებას სცემს (1801 წ. 26 სექტ.), რომ თურქეთიდან დაბრუნებული ქართველები უზრუნველეყოთ „შესაფერი მდგომარეობით" რუსეთში ან თვით საქართველოში, ხოლო ამ საქმეზე გაწეული ხარჯები, როგორც იქვე განმარტავს შენიშვნა, უნდა დაფარულიყო საქართველოს შემოსავლიდან.[1]

თვითმპყრობელობა, ერთის მხრივ, იბრძოდა კანონებით ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ — კანონებითვე, აწესრიგებდა ტყვეებით ვაჭრობას. 1802 წელს ალექსანდრე პირველმა ნება დართო შოტლანდიელებს მოეწყოთ ჩრდილოეთ კავკასიაში კოლონია: იმავე დროს მათ უფლება მისცა ეყიდათ ჩერქეზებისაგან და ყუბანის იქითა მხარეს მცხოვრებ თურქებისაგან ტყვეები, რათა ამ გზით გაეჩინათ ყმები. ამასთან იმპერატორი უკრძალავდა მათ „ეყიდათ რუსები და ქართველები", რომელთაც „იტაცებენ ჩერქეზები და მონებად ჰყიდიანო"-ო[2].

ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითმპყრობელობა ეხმარებოდა აგრეთვე ადგილობრივ მთავრებსა და მეფეებს. დასავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ტყვეებით ვაჭრობის აღკვეთისათვის განსაკუთრებით იღვწოდა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. მაგრამ ტყვეებით ვაჭრობა იმდენად მომგებიანი ყოფილა, შემოსავლის სხვა წყაროს მოკლებულ ვერაგ თავადაზნაურობისათვის, რომ პოლიტიკურად უძლური მეფის მუქარა მათზე ვერ მოქმედებდა. 1805 წელს იმპერატორისა და დადიანის სახელით ლიტვინოვმა სამეგრელოში გამოაქვეყნა ბრძანება და მოწოდება ადამიანების გატაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამავე დროს განზრახული იყო ტყვეებით ცნობილ მოვაჭრის ბეჟან მხეიძის დაპატიმრება. მაგრამ ეს მოუხერხებელი გახდა, რადგან მხეიძე მუდამ ტყეებში სცხოვრობდა თავის რაზმითურთ.[3] ერთი წლით ადრე, 1804 წლის 16 ივნისს სამეგრელოში გამოქვეყნებულ ბრძანებაში ლიტვინოვი აცხადებდა, რომ ტყვეების გამყიდველები დაისჯებიან რუსეთის კანონთა მიხედვით, ე. ი. მთელი ოჯახის წევრებთან ერთად სიკვდილით. როდესაც ამ დროიდან მათი პარპაში რამდენადმე საშიში გახდა, ტყვეებით მოვაჭრეებმა თავი ფოთის ციხე-სიმაგრეს შეაფარეს. ფოთი კარგა ხნის წინად თურქეთმა იყიდა დადიანისაგან, ე. ი. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დაეთმო იგი. თურქებმა იქ იმ დროისათვის მნიშვნელოვანი ციხე ააგეს და შიგ თა-

[1]. I ПСЗРИ., т. XXVI, №20059.
[2]. I ПСЗРИ., т XXVII, № 22552.
[3]. АКАК., т II, № 844.

ვიანთი გარნიზონი მოათავსეს, რათა ამ სიმაგრის მეშვეობით, ერთის მხრივ, გაბატონებული დამოკიდებულება დაეჭირათ სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან, ხოლო მეორეს მხრივ, საიმედო [illegible] ქონოდათ აფხაზეთში, ჩერქეზეთში და ჩრდილოეთისაკენ [illegible] სანაპიროებზე მცხოვრებ სხვა-მუსულმან ხალხებში თავიანთი გავლენის განმტკიცებისათვის. ფოთი იმთავითვე თურქეთთან ტყვეებით ვაჭრობის ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა გურია-სამეგრელოს შავი ზღვის სანაპიროებზე და რაკი ტყვეებით მოვაჭრენი თავს ფოთს[1] აფარებდნენ, ცხადია, დადიან-ლიტვინოვის მუქარისაგან თავს უზრუნველყოფილად გრძნობდნენ.

სწორედ ასეთი ვითარების გამო 1805 წლის 29 ოქტომბერს პეტერბურგს გაგზავნილ მიმართვაში პ. ციციანოვი ნებას თხოულობს, „სამეგრელოში ტყვეებით ვაჭრობის საბოლოო ალაგმისათვის", ჩამოერთვათ დადიანის სასარგებლოდ ადგილ-მამულები ფოთში გადასახლებულ ტყვეებით მოვაჭრე აზნაურებს, რომელთაც „მამულები აქვთ დადიანის სამფლობელოებში, სამეგრელოს ტერიტორიაზე, და რომელნიც აქ მოსავლის ასაკრებად მოსულნი, გაბრუნებისას იტაცებენ ტყვეებს", და დაპატიმრების შემთხვევაში ისინი გადაეცნეს სამხედრო სასამართლოს დასასჯელადო. მაგრამ პ. ციციანოვის ცდებმა უეფექტოდ ჩაიარა.

როდესაც 1809 წელს გენერალმა ორბელიანმა სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის მთავრობის დახმარებით ფოთი აიღო, გახარებული გენ. ტორმასოვი, საქართველოს მთავარსარდალი, პეტერბურგში გრაფ რუმიანცევს, სხვათა შორის, სწერდა, რომ ფოთის აღებით „აღიკვეთა ყოველგვარი ბატონობა, რომელიც აქამდე არსებობდა ქრისტიანი ტყვეების გაყიდვის სახით; მათი წარტყვევნა ხდებოდა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან; მიჰყავდათ ისინი გასაყიდად ირანში, თურქეთში და ეგვიპტეშიო.[2]

ფოთის აღებით წაქაზებული ტორმასოვი პეტერბურგში ჰგზავნის ახალციხის აღების გეგმას, რაც იმპერატორმა „მეტად მოიწონა" და რის გამოც გენ. ბარკლაი დე-ტოლი 1810 წლის 14 თებერვალს დარიგებას აძლევდა ტორმასოვს, რომ „საჭიროა ახალციხის საფაშოს მალე აღება... რათა მომავლისათვის მისი მეშვეობით აღკვეთილ იქნას ყველა საშუალებანი საქართველოში (ქართლ-კახეთში) ლეკთა, ოსთა, იმერელთა და თვით ირანელთა თარეშისაო".

ფოთის აღებამ შესამჩნევლად ვერ შეამსუბუქა მდგომარეობა, სწორედ იმ წლებში, როდესაც ფოთში რუსის გარნიზონი იყო დაბანაკებული, სამეგრელოს დედოფალი საქართველოს მთავარმართებელთან

---

[1]. ნ. დუბროვინი: „В Поти сосредоточивалась главнейшим образом торговля пленными христианами, торговля, опустошавшая край и населявшая Турцию и Египет Известно, например, что все мамелюки были из грузин" (ИВВРК, т. 1 у, 16°, აგრეთვე, т. у, 271).

[2]) АКАК., т. IV № 1159

ვაგზავნილ წერილში ჩივის, რომ „მეგრელი თავადები [illegible] და ბეჟან მხეიძე გამუდმებით ჰყიდიან ქრსტიანებს თურქებზე და [illegible]ნოებზეო“. უფრო მეტიც: როდესაც 1812 წელს სამეგრელოს [illegible] ადგილობრივ-მა მთავრობამ ბეჟან მხეიძე დაატყვევა და გადასცა [illegible], ამ უკანასკნელის სიკვდილის გამო, მის ადგილზე მოსულმა გენ. ორბელიან-მა, ნაცვლად იმისა, რომ გამოეძებნა საშუალება მეორე ძმის დასაპატიმრებლად, თავისუფლება მისცა დაპატიმრებულ თავადსაც, „რომელიც თავისი საქმეების მიხედვით სიკვდილით დასჯას იმსახურებსო“, — ჩიოდა მთავარმართებლის წინაშე სამეგრელოს დედოფალი.

როგორც სჩანს ავანტურისტი და პანდიტი ბეჟან მხეიძე თვითმპყრობელობის ხელისუფლებას თვითონაც სჭირდებოდა თავისი ავანტურისტული ამოცანებისათვის. სულ მალე ეარიზმი იძულებული გახდა ფოთი უკანვე დაებრუნებინა თურქეთისათვის, რასაც მოჰყვა ტყვეებით ვაჭრობის უფრო მეტად გამოცოცხლება. 1813 წლის 16 მარტის თარიღით გენ. რტიშჩევისადმი გაგზავნილ მიმართვაში ლევან დადიანი იტყობინება, რომ ფოთისა და ანაკლიის დაბრუნებით გათამამებული თურქები აქეზებენ აფხაზებს ტყვეებით ვაჭრობისათვის და რომ „ჯერ კიდევ ხუთი თვეც არ იქნება, რაც თურქებმა დაიბრუნეს ფოთის ციხე და უკვე თურქთაგან წაქეზებულმა აფხაზებმა იქ ჩაიყვანეს და გაყიდეს ჩვენი სარწმუნოების 200 — 300-მდე კაცი“.

1814 წელს გენ. მ. სიმონოვიჩი გენ.-ლეიტ. რტიშჩევს ატყობინებს, რომ „ამჟამად ფოთში მყოფი სერასკირი სეიდ-სულეიმან-ფაშა და ახალციხელი სელიმ-ფაშა (ხიმშიაშვილი) აქტიურ მონაწილეობას იღებენ დასავლეთ საქართველოდან გატაცებული ადამიანებით ვაჭრობაშიო“ [1] ამგვარად, სამეგრელოს მთავრობისათვის რუსეთის სამხედრო ხელისუფლების დახმარებამაც ვერ გასჭრა, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე ალაგმულიყო ტყვეებით ვაჭრობა; აქეთკენ იყო მიმართული აგრეთვე მეზობელ თემთა მებატონეებზე ლევან დადიანის გავლენა. მაგალითად, 1815 წლის 29 ნოემბრის თარიღით ლევან დადიანისათვის შეცემულ პირობისა და საფიცარის წიგნში „წებელდის თემის ბატონები თაკიდი მარშანიები“ — მისოსტ უჩარდიას-ძე, სარალუფ თულაფსის-ძე, ზერეფსუ ომერის-ძე, რომელთაც წერა-კითხვა არ ცოდნიათ და რომელნიც ამის გამო ლ. დადიანის კარის დეკანოზს იოანე იოსელიანს აწერინებენ ხელს თავიანთ მაგიერ ბარათზე, — პირობას სდებენ, რომ ამიერიდან

[1]) АКАК. т. V № 569, 480. სელიმ ხიმშიაშვილი დანათესავებული იყო გურიელთან და „მეგობრობდა“ გაქცეულ სოლომონ მეფეს. სელიმფაშას ჰყავდა დაქირავებული ლეკები, რომელთა მეოხებით აწყობდა საქართველოში თარეშს. სელიმი თითქმის დამოუკიდებელი მფლობელი იყო და ნაკლებად ემორჩილებოდა სულთანს, რის გამო, სულთანის ბრძანებით, არზრუმელმა სერასკირმა პეხლევანმა (ბოდა-ფაშამ) განდევნა იგი ახალციხიდან. 1815 წ. აჭარაში შეფარებულ სელიმს ღალატით მიუხტნენ სერასკირის კაცები, რომელთაც სელიმის თავი სულთანს გაუგზავნეს კონსტანტინოპოლში.

მათგან არ იქნება: „არცა ტაცება ტყვისა, არცა სხვა რაიმე ავის მოქმედება.

მაგრამ როგორ შეეძლო დადიანს მოეთვინიერებინა და ტყვეებით ვაჭრობა აღეკვეთა მეზობელ, თითქმის სავსებით დამოუკიდებელ, მთავრებისათვის, როდესაც საკუთარ სამთავროში ვერ მოესპო ტყვეებით ვაჭრობა? სწორედ ამ ხანებში, სახელდობრ 1818 წელს, ლევან დადიანისათვის მირთმეულ „დასტურ-ლამას“ ავტორი ნიკოლოზ დადიანი იძულებული იყო მთავრისათვის შემდეგი საყვედურისებური დარიგება მიეცა:

„დასდევ ესე კანონი სრულიად სამფლობელოსა თქვენსა, რომელ საზღვარ გარეთ ნურვინ გაჰყიდის კაცსა, რომელიც დამაბრკოლებელი ექმნა მამულსა და სამფლობელოსა თქვენსა. თუმცა-ღა ესე ორჯერ ბრძანეთ, ერთი 1812 და ერთი1816 წელსა, და აღთქმა დასდევით, არავინ გაყიდოს კაცის სული საზღვართ გარეთ, გარნა არა აღსრულდა აღთქმა იგი და დარღვეულ იქმნა და ყიდიან ისევ კაცსა საზღვარს გარეთ. ხელმწიფეე ჩემო, აღთქმისა და ბრძანებისა შინა იყავ მტკიცე და შეურყეველ“, რადგანო, — დასძენს ბრძენი მთავრის კარისა, — „აღთქმა თვინიერ აღსრულებისა არს შვენიერი ხე თვინიერ ნაყოფისაო“ [1]).

ამგვარად, დადიანს სამეგრელოს შიგნით არა თუ ვერ მოესპო ტყვეებით ვაჭრობა, არამედ ყველაზე განთქმული ტყვეებით მოვაჭრენი, როგორიც იყვნენ მაგ. ბეჟან მხეიძე და სხვები, თავისუფლად თარეშობდნენ დადიანის საკუთარ სოფლებშიაც კი. დიდხანს დაუსჯელი რჩებოდა მთავრის ხელისუფლებისაგან მეორე ცნობილი მოვაჭრე ტყვეებით და ადამიანთა მტაცებელი აზნ. ბეჟუკი გამსახურდია, რომელიც ბოლოს, ოთხი გოგოს მოტაცებისა და თურქებისათვის მიყიდვისათვის, როგორც იქნა, გადაასახლეს ციმბირში [2]). როგორ შეეძლო დადიანს, როდესაც საკუთარი თავადები და აზნაურები ვერ დაემორჩილებინა, რეალურ შიშს ქვეშ დაეყენებია წებელდის მთავრები? და, მართლაც, როგორც სჩანს, მარშანიებისათვის ხსენებულ საფიცარის წიგნს ხელი არ შეუშლია განეგრძოთ თავიანთი ჩვეულებრივი მესარეწეობა. როდესაც ოცდაოდ წლის შემდეგ 1837 წ., ურჩმა წებელდელმა თავადებმა მარშანიებმა ბარონ როზენს გადასცეს 40 კაცი ტყვე, რომელთაგანაც ზოგიერთს მათს ტყვეობაში გაუტარებია 15 და 25 წელიწადი, ხოლო ერთ კაცს — 30 წელიწადიც [3] მარშანიები ხელახალ აღთქმას დებენ, რომ წებელდაში ტყვეებით ვაჭრობა ამიერიდან მოისპობაო...

თვითმპყრობელობა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ იბრძოდა არა იმდენად თავისი საერთო „ცივილიზაციური როლის“ გასამართლებლად,

---

[1]) ნიკო დადიანი: „დასტურ-ლამა“, 1897. ტფ. ი. მეუნარგიას რედაქციით, გვ. 38 — 39.

[2]) АКАК. т. VIII, № 345, сф. 459; т. V № 599.

[3]) იხ. პ. გუგუშვილი — „კოლონიზაცია საქართველოსა და აკავკასიაში მე-19 საუკ“.

არამედ იმისათვის, რომ ცარიზმი, სხვათა შორის, ზრუნავდა შავი ზღვის სანაპიროებზე რუსული კოლონიების მოწყობისათვის. სანამ იქ ადამიანთა გატაცება და ტყვეებით ვაჭრობა მძვინვარებდა, ცხადია, კოლონიების მოწყობა შეუძლებელი იყო.[1] მაგრამ ცარიზმისათვის ამ ნაკლები სტიმულის მიმცემი იყო ის გარემოება, რომ სამხრეთ რუსეთის ვაჭრები იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებს: მათი მიზანი იყო შეეძინათ აქ ის პროდუქტები, რასაც მათ ანატოლიელი ვაჭრები აწვდიდნენ. მეორეს მხრივ, უნდოდათ ამ სანაპიროებზე შეექმნათ ბაზარი თავიანთი ვაჭრობისათვის და გაეტანათ აქიდან ნედლი მასალა.

ცხადია, ყოველივე ეს შეუძლებელი იყო, სანამ ამ ქვეყანაში არ იქნებოდა უზრუნველყოფილი უშიშარი მიმოსვლა და თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, ე. ი. სანამ არ აილაგმებოდა თვითნება და ყაჩაღი ფეოდალების შეუვალობა, სანამ არ მოისპობოდა თარეშები და მტაცებლობა. სწორედ ამას ისახავდა ერთერთ მიზნად რუსის გენერლების მიერ შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებზე ციხე-სიმაგრეთა და ნავთსადგურთა დაპყრობა.

მაგრამ ეს ციხე-სიმაგრეები რუსებმა მალე ისევ დაჰკარგეს და კვლავ დადგა დრო,, „როდესაც ფოთი, ანაკლია და სოხუმი თურქეთის ხელში იყო და იმერეთთან, სამეგრელოსთან და გურიასთან მათი ვაჭრობის მთავარ საგანს წარმოადგენდნენ ბიჭები და გოგოები, რომელთაც ისინი [თურქები] ხან ყიდულობდნენ, ხან ცვლიდნენ თავიანთ პროდუქტებზე და ხანაც იპარავდენო“, გადმოგვცემს 1811 წელს წარდგენილი ოფიციალური ცნობა.

სჩანს, საერთო ეკონომიური დაქვეითების გამო, ადგილობრივი ნაწარმოების მარაგს და ფულად თანხებს მოკლებულ გაბატონებულ წოდებას სხვა არა დარჩენოდა რა, თუ არა საკუთარი ყმების გატაცება და გაყიდვა, რაშიაც მათ აქეზებდა თურქეთის პოლიტიკური ბატონობა და ეკონომიური გავლენა, რისაგანაც დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში ვერ შესძლო ცარიზმმა.

ამასთანავე თვითმპყრობელობას საზრუნავი გაუხდა ისიც, თუ რა საარსებო საშუალება უნდა გაეჩინა ადგილობრივი გაბატონებული წოდებისათვის მას შემდეგ, რაც ტყვეებით ვაჭრობის მესარეწეობის მოსპობით მას შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო წაერთმეოდა. ცარიზმის მოხელეები აღნიშნავენ, რომ ტყვეებით ვაჭრობის აღკვეთის შემდეგ „ჩერქეზებმა და აფხაზებმა უნდა დაჰკარგონ საარსებო საშუალებათა მოსაპოებელი წყაროო“. იგივე მოხელეები ცდილობენ, „გაუხსნან მათ სხვა გზები არსებობის საშუალებათა მოპოებისა“, რათა არ „იქნან მიყვანილი იქამდე, რომ თავზე ხელი აიღონ, რაც შეიძლება გამოიხატოს ქრისტიანეთა, უპირატესად რუსთა, წარტყვევნასა და ამ ტყვეებით ვაჭ-

[1] საქ. ცენტრარქივი, ფონდი V, ВГПИЭ, 1825 საქმე № 6624.

რობაში, რაშიაც უკან არ დაიხევს ეს მხეცური ჩვეულების მატარებელი ხალხი"-ო. ხოლო იმის შესახებ, თუ რა მიაჩნია სამხრეთ რუსეთის ვაჭართა წარმომადგენელს ბრონევსკის ისეთ საშუალებად, [illegible] ებობის ახალი ასპარეზი უნდა შეექმნას ამ ხალხებს, [illegible] ეს არის „რუსეთის სანაპიროებთან [იგულისხმება რუსეთის მიერ დაპყრობილი ა/კავკასიის სანაპიროები — პ. გ.] თავისუფალი ვაჭრობა (ეს არანაკლებად საჭიროა ჩვენი გარნიზონების ამუნიციით მომარაგებისათვის), რაც შეიძლება გახდეს მათთვის ამნაზღაურებლად (დანაკლისისა), მისცემს რა მათ მაგალითს დასაშვები ღონისძიებებით მოიპოვონ საარსებო საშუალებანი და მოგებაც კი." [1]) ხოლო ყოველივე ამისათვის რუსეთის ვაჭრები ხელისუფლებისაგან მოითხოვენ შავი ზღვის სანაპიროებზე თავისუფალ, ე. ი. ყოველგვარ საბაჟო საფასურისაგან განთავისუფლებულ ვაჭრობას, მაშასადამე, თავიანთთვის პირდაპირ მონოპოლიურ მდგომარეობის შექმნას.

არსებულ საერთო პირობებში ამაო იყო ხელისუფლების ყოველგვარი ღონისძიება აფხაზეთში ტყვეებით ვაჭრობის მოსპობისათვის. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში იმ დროს და თვით რეფორმამდეც-კი არა თუ ყვაოდა ტყვეებით ვაჭრობა, არამედ ადათ-ჩვეულებით განმტკიცებული იყო აშკარა, პირდაპირი მონობაც, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. კერძოდ, 1861 წელს შედგენილ ოფიციალური მიმოხილვის თანახმად, აფხაზეთში არსებობდა მთელი წოდება ტყვეებისა, უკეთ, მონებისა — ა ხ ა შ ა ლ ა (აფხაზ. — „ზედმეტი"), რომელნიც, როგორც ადამიანები, არ შედიოდნენ საზოგადოების შემადგენლობაში.

ა ხ ა შ ა ლ ა გადადიოდა აგრივას, ახუვეს (ვლეხის, მოჯალაბის) წოდებაში, როდესაც პატრონ-მფლობელის ნებართვით ითხოვდა ცოლს და შესძლებდა ცალკე მოსახლკარედ დასახლებას. აგრივა გადადიოდა ანაივას (თავისუფალ, მაგრამ ბეგარა-ვალდებულ მოსახლკარის) წოდებაში, ხოლო მებატონის ყოველგვარი ბეგარისაგან განთავისუფლებული ანაივა იქცეოდა აზატად.

პოლკ. კონიარის მიერ 1860 — 1861 წლებში ადგილობრივ წარმოებული გამოკვლევის თანახმად, აფხაზეთში ჩვეულებრივი (ადათობრივი) სამართალით დაშვებულიყო მონად გადაქცევა: 1) თავისუფალ მოსახლკარისა, 2) გამოსყიდული ტყვისა, 3) შეუძლო მოვალისა 2, 4) გაუსწორებელი ბოროტმომქმედისა, 5) მოლალატეებისა, 6) ნაცთუნები ქალებისა და სხვათა. დამოკიდებული ოჯახები, რომლებიც მონებად იქნებოდნენ გადაქცეული, თავიანთი შრომის მთელ პროდუქტს აძლევდნენ მფლობელ-პატრონს; მათ არ შეეძლოთ წინააღმდეგობა შვილების გა-

---

[1]. ЛОЦИА., АНХ., 1811 г. д. № 471.

[2]) აფხაზეთსა და წებელდაში გამეფებული არაჩვეულებრივი მევახშეობა, მეტად მაღალი სარგებელი (%%), ჯერ კიდევ 1830-იან წლებში შეადგენდა მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების საგანს (АКАК., т. VIII, № 333, стр. 450)

ყიდვის დროსაც კი. უცოლქმროებს მათ შორის არ ჰქონდათ საქორწინოების უფლება. „ახაშალასთვის, როგორც ნივთისთვის, ინიშნებოდა ერთ ბრალო გასასყიდი ფასი". ახაშალას გასასყიდი ფასი ისაზღვრებოდა მისი სიმაღლით არშინის ჩარეჭობის მიხედვით. მხოლოდ გოგონა ეძლეოდა ფასი სილამაზის შესაბამისად. საერთოდ ახაშალასათვის 450 მანეთი მაქსიმალურ ფასად ითვლებოდა. იმ დროის (1861 წ.), ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, აფხაზეთში 1905 კაცი ახაშალა იყო ორივე სქესისა. კონიარს ყველაზე რადიკალურ ღონისძიებად ამ მონათა (ახაშალათა) მდგომარეობის შესამსუბუქებლად, თუკი ხელისუფლება ამის გატარებას მოახერხებდა, მიაჩნდა: „ყოველ მონათმფლობელს ევალებოდეს მისცეს მონას ცოლი და მიწა და არ მოითხოვოს მისგან ყოველ შემთხვევაში სხვა ბეგარები, გარდა იმათი, რომელნიც დადგენილია აგრივასათვის„ [1].

ეს ე. წ. „რადიკალური ღონისძიებაც"-კი, რომელიც მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ მონები ყმებად გადაექციათ, არ იქნა ცხოვრებაში გატარებული. ჯერ კიდევ 1868 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის თანახმად, სოხუმის ოლქში ითვლებოდა მონათა წოდება:

1) ოჩამჩირის რაიონში 474 მამრი და 243 მდედრი, სულ 717 კაცი; 2) ბიჭვინთის რაიონში 357 მამრი და 204 მდედრი, სულ 561 კაცი. საერთოდ — 831 მამრი და 447 მდედრი, სულ 1278 კაცი.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ჩატარებულმა რეფორმებმა მოუღეს აფხაზეთში ბოლო ამ სამარცხვინო მონობას, ისიც მოჩვენებითი სახით; სინამდვილეში კი იგი მერეც კარგა ხანს განაგრძობდა არსებობას, როგორც ფარული, საოჯახო მონობა.

აფხაზეთს დიდად არ ჩამოუვარდებოდა ამ მხრივ სამურზაყანო. 1827 წელს გენ. სიპიაგინისათვის წარდგენილ მოხსენებაში სამურზაყანოს ვითარების შესახებ პოლკ. ბებუთოვი აღნიშნავს, რომ სამურზაყანოელი თავადები, აფხაზთა მახლობელი მეზობლები, „ტყვეებით ვაჭრობით, ქურდობით და ყაჩაღობით სავსებით ემსგავსებიან უკანასკნელთო". შემდეგ ბებუთოვი დასძენს: „მცხოვრებნი სამურზაყანოისა, რომელიც დასტოვა ჩვენმა ჯარმა, ნელ-ნელა ისევ უბრუნდებიან ტყვეებით ვაჭრობას და სხვა არამისატევებელ საქმეებს", რადგან არავისი არ ეშინიათო [2]).

სამურზაყანოელი თავადები ადამიანებს იტაცებდნენ არა მხოლოდ მეზობელ სამეგრელოში და იმერეთში, არამედ ერთმანეთშიაც. სამეგრელოს მთავარი ადამიანების გატაცებასა და ტყვეებით ვაჭრობაში ბრალს სდებდა სამურზაყანოელ თავადებს: თემუყვა ანჩაბაძეს, დათა ანჩაბაძეს, ალ. შერ-

---

[1]) საქ. ცენტრარქივი, Арх. канц. местн. Кавк. д. № 8710.

[2]) АКАК. т. VII, № 325. მე-19 ს-ნის ოცდაათიან წლებში აფხაზეთსა, წებელდასა და სამურზაყანოში განთქმული იყო ადამიანებით ვაჭრობასა, ყაჩაღობასა და ათასგვარ გარეწრობაში აზნ. ჰასან მარღანია.

ვაშიძეს, სესირყვა ემუხვარს და ჯამულეთ მარღანიას. მაგრამ ამათი დაპატიმრება და დასჯა რუსეთის ხელისუფალთ საშიშრად მიაჩნდათ: „რადგან თითქმის ყოველ სამურზაყანოელ თავადს, აქვს რა ნათესაური კავშირი აფხაზეთისა და წებელდის თავადებთან, რომ [illegible] რა მათს მეზობლობაზე, მეტად ადვილად შეუძლია გააღრმაოს უკმაყოფილება ხალხისა და, ისარგებლებს რა ხელსაყრელ შემთხვევთ, გამოიწვიოს მღელვარება სამურზაყანოში; ხოლო ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც იქ არა ჰყავს სამხედრო ძალა, მეტად გაუჭირდება აღმოფხვრას ბოროტება და ალადგინოს წესრიგი“.

ამგვარად, თვითმპყრობელობა ყველგან, ემყარებოდა რა თავის უშუალო მოკავშირეს, ადგილობრივ თავადაზნაურობას, ამ უკანასკნელის ინტერესთა სადარაჯოზე იდგა, რამდენადაც ეს ინტერესი, ტყვეებით ვაჭრობა, არ უქმნიდა საფრთხეს თვით ცარიზმის ბატონობას და მიმართული იყო მხოლოდ ადგილობრივი უმწეო მოსახლეობის წინააღმდეგ.

პოლკ. ბებუთოვი მოითხოვდა სამურზაყანოში საჩქაროდ რუსის ჯარის შეყვანას, რასაც შეეძლო დაებადა შიში და შეექმნა ვყუდროება; ამის შედეგად, დასჯის მოშიშარნი, ხელს აიღებენ „ტყვეებით ვაჭრობაზე, ყაპალობა-მტაცებლობაზე და, ალბად, დაუბრუნდებიან სამეურნეო საქმიანობას“-ო. ხოლო თვით თემუყვა ანჩაბაძე ბებუთოვს სწერს, რომ სამურზაყანოში პირდაპირ ყვავის ტყვეებით ვაჭრობა, რადგან „ამ ქვეყანაში არ არის უფროს-უმცროსობა, ვინაიდან დადიანს არ გააჩნია საშუალებანი მცხოვრებთა მოთვინიერება-დამორჩილებისათვის“ და არც შერვაშიძეებიდან შეუძლია ვინმეს წესიერად განაგოს ეს ქვეყანაო. თითონ შერვაშიძეები, ოთხი ოჯახი, რომელიც იქ სახლობს, ერთმანეთს ჰპარავენ და იკლებენ. ბეჟან შერვაშიძემ თურქებს მიჰყიდა ერთი ჩემი კაცი-ო. თუ როგორ ჰყვაოდა აფხაზეთსა და სამურზაყანოში მე-19 ს-ნის პირველ ოც წელიწადს ტყვეებით ვაჭრობა და ადამიანთა მოტაცება, აღწერს გადასახლებული ჰასან-ბეგ შერვაშიძე აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორისათვის 1826 წ. 30 აპრილის თარიღით გაგზავნილ ბარათში.[1].

ცარიზმის ხელისუფლება ცდილობდა შავი ზღვის სანაპიროების „ველური ხალხისათვის“, ჩერქეზებისათვის, აბაზგებისათვის და სხვებისათვის, დაენახვებინა „ევროპული მრეწველობისა და ვაჭრობის“ უპირატესობა მონებით ვაჭრობის ბარბაროსობის წინაშე[2]. მაგრამ ამ ცდებს არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა რეალური ეფექტები თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ აღნიშნული „ველურების“ ბარბაროსობის წინააღმდეგ ცარიზმის ბრძოლა არა ნაკლებ ბარბაროსული მეთოდებით სწარმოებდა.

---

[1]. АКАК. т. VII, стр. 402.

[2]. Dubois, „Voyage...“, t. I, p. 98.

ბ) გურია

გურიაში ტყვეებით ვაჭრობა, როგორც სჩანს, თითქმის უფრო მეტად იყო განვითარებული, ვიდრე სამეგრელოსა და სამურზაყანოში, რაც, ცხადია, აიხსნებოდა თურქეთის უშუალო მეზობლობით. დ. ბაქრაძეს მოჰყავს ცნობები გურიის მდივანბეგთა, თავ. სვიმონ გუგუნავას და გიორგი ერისთავის, მიერ 1818 — 1822 წ.წ. მიღებულ გადაწყვეტილებათა ოქმებიდან ტყვეებით ვაჭრობის შესახებ. მაგ., ოტიელა და კაკაბა კანდელაკიშვილები უჩივიან გოგითაიას, რომ ამ უკანასკნელმა მიიტყუა მათი ნამზითვი გოგო, გარყვნა იგი და მერე გაჰყიდა. სასამართლო ადგენს: თუ გოგითაია 24 მოწმით არ გააბათილებს ბრალდებას, მაშინ ვალდებულია გადაუხადოს გოგოს გაუპატიურებისათვის და გოგოს მაგიერ მისცეს გოგო სართით [1]); ან კიდევ: ივანე ჩანტლაძე უჩივის იესელა რამიშვილს, რომ ამ უკანასკნელის შვილმა გაბრიელმა იესელას დახმარებით მოიტაცა მისი (ჩანტლაძის) გოგო და გაჰყიდა თურქეთში. სასამართლომ დაავალა რამიშვილს, 24 მოწმით გააქარწყლოს მომჩივანის ბრალდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისცეს მომჩივანს მეორე ისეთივე გოგო ან გადაუხადოს მისი ფასი და სულის სისხლი, ხოლო თუ იგი ამას ვერ შესძლებს დამნაშავე გადაეცეს მღვდელ-მთავრის განკარგულებაში და მან განაკანონოსო [2]).

როგორც ხედავთ, ტყვეებით ვაჭრობა გურიაში სავსებით ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. ზემოხსენებულ ოქმებში მრავლადაა აღნუსხული ასეთი მოვლენები. ტყვეებით მოვაჭრე სასამართლოში გამოდის როგორც მოპასუხე და იმ შემთხვევაში, თუ მან 24 „მოწმე“ ვერ იშოვა, რათა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მას ეკისრება მომჩივნისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ეს მაშინ, როდესაც იმავე გურიაში და იმავე ხანებში უბრალო ქურდობისათვის — საოჯახო ნივთების, ხარის, ცხენის მოპარვისათვის უფრო დიდი სასჯელი იყო ადათით დაკანონებული.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ ოქმებიდან მტკიცდება, თუ რა სასტიკი იყო ხალხის განაჩენი საქვეყნოდ გამოაშკარავებული ტყვეებით მოვაჭრეების მიმართ: მათ კოცონზე სწვავდნენ. სამწუხაროდ, ეს ოქმები არ დაუბეჭდია დიმ. ბაქრაძეს თავის „არქეოლოგიურ მოგზაურობაში“. მაგრამ, აი რას სწერს იგი ამის შესახებ: „Что особенно важно в Гурийских протоколах, так это то, что два решения вполне подтверждают факт сожигания живых людей, всенародно изобличенных в пленопродавстве“ მღვ. გიორგი დუმბაძის მოთხრობიდანაც სჩანს, რომ იმდროინდელ გურიაში კაცისკვლისა და ტყვეებით ვაჭრობისათვის, როგორც მძიმე დანაშაულისათვის, ბრალ-

---

[1]) Д. Бакрадзе, „АПГА“, 350.

[2]) იქვე, გვ. 351.

დებულის გამოსატეხად ხშირად მიმართავდნენ, ე. წ. შანთსა და მდუღარე წყლის დახმარებას. ბრალდებულის სურვილზე—იყო დამოკიდებული ამათში ერთ-ერთის არჩევა. კერძოდ, შანთი იწონიდა 1 ოყას, სიგრძით უდრიდა 7 ვერშოკს, ხოლო სიგანით — ადამიანის ხელის გულის სიფართოვეს. ამ შანთს სამგზის გაახურებდნენ ვაზის (და არა სხვა რომელიმე ხის) ანთებული ნახშირით, შემდეგ გახურებულს სდებდნენ მიწაში ჩარჭობილ ორ პალოზე. ბრალდებულს ხელებზე ჩამოაცმევდნენ სათანადოდ გამოჭრილ ქაღალდს, რომელზედაც ეწერა მისი ბრალდებამას ხელები ქვემოდან უნდა ამოედო და ისე აეღო გახურებული შანთი, რომელსაც სამი ნახტომის მერე დააგდებდა. შემდეგ ხელს უხვევდნენ გურიელის მიერ ბეჭედდასმული სუდარით და მიჰყავდათ მახლობელ ციხეში, სადაც რამდენიმე დღეს დაჰყობდა. მერე უსინჯავდნენ ხელს და თუ იგი დამწვარი აღმოჩნდებოდა, ბრალდებულს დანმაშავედ იცნობდნენ და გადასცემდნენ დასასჯელად. თუ ხელები დამწვარი არ ექნებოდა, ანთავისუფლებდნენ და ასაჩუქრებდნენ თოფით ან ტანისამოსით — გურიელი და სხვა თანამდებობის პირნი. დამნაშავის გამოაშკარავების ეს წესი, აგრეთვე ადუღებული წყალი და ხმალში გასვლა საყოველთაოდ იყო აღიარებული, როგორც უჭეშმარიტესი გზა სიმართლისაკენ. იგი ვახტანგ VI-ის კანონებშიაც არის მიღებული.

დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა ერთი დოკუმენტი, რომელიც მიეკუთვნება 1821 წელს და ეხება ბრალდებულის მიერ შანთის აღებას. ბრალდებულს ბრალად ედებოდა მონაწილეობის მიღება ადამიანთა (მთელი ოჯახის) თურქეთში გატაცებაში. ამ ქაღალდს დასტყობია კიდევაც გახურებული შანთის კვალი. აი მისი შინაარსი:

„სასწორო და სამართალო: ღმერთო: მამაო: ღმერთო ძევო, ღმერთო სულო წმინდავო: გეაჯები მე საწყალობელი აბდურამან ქათამაძე: მე რომ გიორგი თაყაიშვილი მეწამება იორდანე ლომჯარია და მისი ცოლშვილი: შენი სიტყვით და საქმობით თათრებმა მოთხარავო: თუ იორდანე ლომჯარია და მისი ცოლშვილი ჩემი სიტყვით და საქმობით მოთხრილიყოს ან თავშიდ ან ბოლოშიდ გამამტყუნე და რაც მტყუანს უნდოდეს ის მიქენი: თუ ჩემი სიტყვით და საქმობით არ მოთხრილიყოს იორდანე ლომჯარია და მისი ცოლშვილი: გამამართლე და ამ რკინის ცეცხლიდამ უვნებლად გამომიყვანე და სხვას ჩემს ცოდვას ამაშიდ ნუ მკითხავ: შენი სწორმოუფერებელი სამართალი გამოაცხადე ჩემს ცოდვილ თავზე... უფალო ამინ“.

ასეთია ამ საინტერესო დოკუმენტის შინაარსი. შემოქმედელმა მღვდელმა გიორგი დუმბაძემ, ღრმა მოხუცებულმა, მოუთხრო დ. ბაქრაძეს (1873 წელს) ისეთივე მაგალითები, რომლებსაც თვითონ დასწრებია და რომლებიც გამოიხატებოდა შანთის გამოყენებაში.

გურიაში იმდენად გავრცელებული ყოფილა ტყვეებით ვაჭრობა, რომ იქ არა მარტო გურიიდან გატაცებულ უმწეო ადამიანებს ჰყიდდნენ ტყვეებად თურქეთში, არამედ ხშირად იტაცებდნენ თურქებსაც და ჰყი-

დდნენ მათ გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში. გურიის მდივანბეგთა ზემოხსენებულ ოქმებში (1818 — 1821 წ.წ.) ერთგან აღნუსხულია ბეჟანას (გვარი არ არის მოხსენებული) ძიება ონისიმეს წინააღმდეგ, რომ მომჩივანის მამამ მოპასუხის მამასთან ერთად მოიტაცა სამი თათარი, რომლებიც ღირდნენ 1000 მარჩილად და რომლებიც მიითვისა მოპასუხემ. სასამართლო ადგენს: თუ მოპასუხემ მაძიებლის მიერ წამოყენებული ფასის ყოველ ოც მარჩილზე თითო მოწმე არ მოიყვანა თავის გასამართლებლად და თუ მომჩივანის მიერ წამოყენებული ძიება გამართლდა, მოპასუხემ გადაუხადოს ბეჟანას მოტაცებული თათრების ფასის ნახევარი.

გურიაში ტყვეებით ვაჭრობა დიდხანს არ შეწყვეტილა. ოლონდ ორმოციანი წლებიდან ის თანდათან შევიწროვებას განიცდის. ჰაქსტჰაუზენი, გერმანელი მოგზაური, რომელმაც 1843 წელს მოიხილა გურია, სწერს, რომ გურია თხლადაა დასახლებული, შედეგად „თურქთა გამანადგურებელი თარეშებისა და ბავშვებით ვაჭრობისა, რაც ახლაც გრძელდება“ ო [1].

გ) იმერეთი

იმერეთში და ქართლში, განსაკუთრებით ახალციხის ყოფილ საფაშოს მოსაზღვრე ნაწილებში, მე-19 საუკუნის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში მოსახლეობა მუდამ საშინელი შიშის ქვეშ იმყოფებოდა, ისე იყო გახშირებული მოტაცება, მოპარვა და წარტყვევნა ადამიანთა, რომელთაც შემდეგ ახალციხეში [2]) ჰყიდდნენ. თურქეთ-ეგვიპტის მონათა ბაზრებს უშუალო კავშირი ჰქონდათ ახალციხის ტყვეებით ვაჭრობით განთქმულ ბაზართან. ახალციხეში ტყვეებით ვაჭრობის საქმეს თვით ფაშა აწესრიგებდა. ის ღებულობდა მნიშვნელოვან საბაჟო შემოსავალს ამ მესარეწეობიდან.

მრავალი გადმოცემაა ჩვენს დრომდე დაცული იმის შესახებ, თუ რა სიფრთხილეში უნდა ეცხოვრა მოსახლეობას. ყანაში სამუშაოდ მიმავალ გლეხებს, სოფლის მეურნეობის იარაღის გარდა, თან მიჰქონდათ საომარი იარაღიც: თოფი, ხანჯალი, ფარი. ღამე ძილიც არ იყო უზრუნველი. არაფხიზელსა და გაუფრთხილებელს მოელოდა თავდასხმა და თუ მთელი ოჯახის არა, ოჯახის რომელიმე წევრის გატაცება. მოთარეშე ყაჩაღები ხშირად თავს ესხმოდნენ ფეოდალთა ციხე-დარბაზებსაც, რომ გაეტაცათ ადამიანები და ძვირფასი განძეული. ამიტომ მზის ჩასვლისთანავე მაგრა იკეტებოდა ციხე-დარბაზებში შესასვლელი კარები. ფხიზლობდნენ დარაჯები. თვით 60-იანი წლების დამლევამდე, მთა-

[1]) A. v. Haxthausen, „Transkaukasia“, 1856. Leipzig, B. II, S. 139.

[2] ახალციხის საფაშოს ნაწილი და თვით ახალციხე დაპყრობილ-შემოერთებულ იქნა 1829 წ.; იგი ადმინისტრაციულად შევიდა ჯერ იმერეთის (ქუთ. გუბ.), ხოლო შემდეგ ქართლის შემადგენლობაში, ტფილისის გუბერნიაში.

ვრობის მხრივ თურქეთისა და დაღისტანის საზღვრების დაცვის არა საკმაო უზრუნველყოფის გამო, საქართველოს თითქმის ყველა სოფლებში შემოღებული იყო სოფლის „ყარაულების დაყენება, თემში შემავალ გზებსა და ბილიკებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოდ გვქონდა აღნიშნული, იმერეთი განსაკუთრებით აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა მე-19 საუკუნის მეორე ათეული წლის დასაწყისიდანვე. ამ პერიოდში ძალზე გაახშირეს ფეოდალ-მემამულეებმა გლეხების ყიდვა-გაყიდვა. მაგრამ აღებ-მიცემობის საგნად გადაიქცნენ არა მარტო ყმები, არამედ თავისუფალი გლეხებიც, რომელთაც ხან ძალით, ხან „ნებით" ყიდულობდნენ, ე. ი. იტაცებდნენ ადგილობრივი თავადაზნაურები და შემდეგ ჰყიდდნენ ახალციხელ თურქებზე, ან ქართლელ თავადებზე, როგორც თავიანთ კანონიერ ყმებს.

1816 წელს წარდგენილ „უქვეშევრდომილეს" მოხსენებაში გენ. რტიშჩევი აღნიშნავს, რომ იმერეთში „დღემდე გაბატონებული სიზარმაცისა და უთაურობის" შედეგად „თავადაზნაურობა და საერთოდ იმერელი მემამულეები" ვერ იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებას თუ არა მათი ქვეშევრდომი გლეხების ხარჯზე; თითქმის ყველას მიღებული აქვს წესად, რომ „კარგი ცხენის, თოფის, ფარჩის და მათთვის საჭირო სხვა საგნისათვის, აგრეთვე მეგობრული საჩუქრების სახით, გასცეს თავისი გლეხი, ხშირად რამდენიმე ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი (მყიდველებს) გაჰყავთ იმერეთის საზღვრებიდან". ამგვარად, როგორც ხედავთ, იმერელმა თავადაზნაურობამ ყმა-გლეხები საექსპორტო საქონლად გადააქცია. ისინი თავიანთ ყმებს, თუ მითვისებულ და მოტაცებულ თავისუფალ ან სახელმწიფო გლეხებს, ჰყიდდნენ როგორც ალმოსავლეთ საქართველოში, ისე სამეგრელოში, — საიდანაც ეს საქონელი „გაჰქონდათ" თურქეთში და რუსეთში ყირიმის მეშვეობით.

რათა სავსებით არ „გატიალებულიყო იმერეთი" მოსახლეობის 'აზღვარგარეულ ასე ინტენსიური დენით, გენ. რტიშჩევმა სპეციალური ბრძანებით აუკრძალა იმერელ თავად-აზნაურობას ყმების საზღვარგარეულ გაყიდვა, ცალობით თუ ოჯახობით. იმავე დროს რტიშჩევმა იმერეთში ალმოაჩინა „მეორე ალმაშფოთებელი ბოროტებაც", სახელდობრ: მემამულენი თავიანთ ქრისტეან გლეხებს ებრაელებს აძლევდნენ საწინდრად (გირაოდ) ვალში და შემდეგ, რაკი ვალს დიდი სარგებელი ემატებოდა და ვერ იხდიდნენ, დაგირავებულ გლეხებს ჰყიდდნენ ებრაელებზე და „ამგვარი კანონის საწინააღმდეგო გაყიდვა ქრისტიანეთა ისეთ ადამიანებზე (ებრაელებზე), რომელნიც აღვსილნი არიან მტრობით ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ, ჩემის მხრივ მთელის სიმკაცრით იქნას დაუყოვნებლივ აღკვეთილი"-ო [2]) დასძენს რტიშჩევი იმპერატორისათვის მირთმეულ მოსხენებაში.

---

[1]) АКАК. т. V, № 568, стр. 499.

[2]) იქვე.

თუ რამდენად უძლური და უნიადაგო იყო მთავრობის ბრძოლა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ, სჩანს თუნდაც იქიდან, რომ, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე იმერეთში ტყვეებით ვაჭრობა ვერ მოსპობილა თვით რეფორმამდეც-კი. ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს არქივში 50-იან 60 წლებშიაც კი გვხვდება პროცესები ტყვეებით ვაჭრობის თაობაზე. 1859 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კავკასიის ნამესტნიკის მთავარმართველობის უფროსთან გაგზავნილ საიდუმლო ბარათში აღნიშნავს, რომ მთელ ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით კი თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში, გავრცელებულია „ცხენის ქურდობა, ტყვეებით ვაჭრობა, ქურდობა, კონტრაბანდისტობა და მძარცველობაო“, რაც ხშირად დაუსჯელი რჩება ადგილობრივი პოლიციის უღონობის გამო, რადგან „ცნობილი ქურდები, მძარცველები, კონტრაბანდისტები და ტყვეებით მოვაჭრენი ყოველთვის ნახულობენ დასაყრდენს მოსახლეობაშიო“ [1]). გასაგებია თუ რომელ მოსახლეობაზეა აქ ლაპარაკი. საპასუხო მიმართვაში (1859 წ.) ნამესტნიკის მოადგილე გრიგოლ ორბელიანი მოითხოვს, რომ სასტიკად იქნას დასჯილი და ციმბირში გადასახლებული ის პირები, რომელთაც მძარცველობა, კონტრაბანდისტობა და ტყვეებით ვაჭრობა გადაუქცევიათ „კერძო მესარეწეობად და არსებობის საშუალებად“ [2]). ასეთ პირობებში, — და ეს სამოციანი წლების დასაწყისში, — ხელისუფლება იძულებული გამხდარა ტყვეებით ვაჭრობისა და კონტრაბანდისტების წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური საყარაულო დაეარსებინა მდ. ნატანებზე, თურქთში გადასასვლელ ფონთან. [3])

ე) აღმოს. საქართველო

აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, ტყვეებით ვაჭრობას ხელს უწყობდა, ერთის მხრივ, თურქეთის, ხოლო მეორეს მხრივ, ლეკეთისა და ოსეთის მეზობლობა. ჭარი და ბელაქანი მთავარი დასაყრდენი პუნქტები იყო ქართლ-კახეთიდან ახალციხეში ტყვეების გადამყვანი ლეკებისათვის. პ. ციციანოვის მიერ 1804 წ. ჭარის აღების შესახებ აკად. ნ. დუბროვინი სწერს: „ციციანოვი ჭარის აღებით იმედოვნებდა, რომ ამ გზით რამდენიმე ხნით მაინც მოისპობოდა ქართველთა მთელი ოჯახებისა და სოფლების წარტყვევნა და ძარცვა-გლეჯა, რაც მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდებაო“ [4]). მაგრამ პ. ციციანოვის მერეც მთელი რიგი მთავარსარდლების ღონისძიებანი დიდხანს ვერ იძლეოდნენ რეალურ შედეგებს, რადგან ცარიზმის მიერ ყოველმხრივ შეიწროვებული დაღისტნის გაბატონებულ წოდებას არ გააჩნდა არსებო-

[1]) АКАК. т. XII, № 32, стр. 48.
[2]) იქვე № 33, გვ. 49 — 50.
[3]) АКАК. т. XII, стр. 1339.
[4]) ИВВРК. т. IV, 1886 г. стр. 83.

ბის სხვა საშუალება, თუ არა საკუთარ და მეზობელ ქვეყანაში მოტაცებული გლეხების გაყიდვა. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ მან ქართლ-კახეთში აღკვეთა ლეკთა და ოსთა თარეში და წარტყვევნა მაგრამ ნამდვილად იგი მთელი ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა და ზოგჯერ 50-იანი წლების (დალისტის დაპყრობის) შემდეგაც იჩენდა ხოლმე თავს.

საქართველოს ე. წ. უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი და სასამართლოსა და სასჯელის ექსპედიციის არქივში უხვად მოიპოვება მასალა ამ ტაცობისა და წარტყვევნის შესახებ. მაგ., 1807 წელს მოთარეშენი დაესხნენ ს. გუდამეთას (გორის მაზრა) და ტყვედ წაიყვანეს 3 კაცი და 12 ქალი, რომლებიც ახალციხეში გაჰყიდეს თურქებზე [1]. იმავე წელს დაესხნენ სოფ. ხიდისთავს [2] და სხვ. მარტო ცენტრალური ორგანოს მასალებში ასეთი თავდასხმა და წარტყვევნა აღნუსხულია წელიწადში საშუალოდ 40 — 50-მდე. მოთარეშენი თავს ესხმოდნენ არა მარტო სოფლებსა და გლეხთა ოჯახებს, არამედ გამაგრებულ ადგილებსაც. მაგალითად, 1857 წელს ლეკები მოულოდნელად თავს დაესხნენ დავით გარეჯის უდაბნოს, გასძარცვეს მონასტერი და თან წაიღეს დიდძალი სიმდიდრე, განძები; გარდა ამისა, ტყვედ წაიყვანეს ბერი მიტროფანე, მორჩილი მიხეილ სერგიშვილი, ორი ყარაული და ერთი რუსი ყმაწვილი [3].

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანთა მოსატაცებლად თარეშს აწყობდნენ და ახალგაზრდებს იტაცებდნენ ოსებიც, რომელთაც ქართლიდან ტყვეები გასაყიდად ახალციხის საფაშოში გაჰყავდათ. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილს აქვს აღნიშნული, რომ ოსები არიან „ტყვის მყიდველნი, განა არათვისთა ჰყიდიანო“. — თითქოს ქართველი თავადაზნაურობის საყურადღებოდ დასძენს ავტორი [4]. მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში ქართლში, კახეთში და ოსეთში განთქმული იყო ოსი ავაზაკი გოდა — „კაცისა და ტყვის მყიდავი, რომელიც მეფე ირაკლიმ გარდააგდებინა ავაზაკობისაგანო“, — სწერდა იოანე ბატონიშვილი. [5]

ჩვენს დრომდე დაცულა მრავალი გადმოცემა და ლეგენდა ამ საშინელ წარტყვევნათა შესახებ. ერთ-ერთი ასეთი ლეგენდა შეეხება ლაახლოებით გასული საუკუნის 30 — 40-იან წლებს. იგი რუსულად ჩაწერა ვ. პოტომ 900-იან წლებში.

შუა ქართლში იყო ერთი უკაცური სოფელი — ზვოლეთი. იქ დარჩენილა მხოლოდ რამდენიმე დანგრეული სახლი და ეკლესია, რომლის

---

[1]) საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი ВГПИЭ საქმე № 6448

[2]) იქვე, საქმე № 6443

[3]) საქ. ცენტრარქივი, ფონდი ВГПИЭ, საქმე № 7009.

[4]) ვახუშტი ბატონიშვილი: „საქართველოს გეოგრაფია“, მ. ჯანაშვილის რედაქციით, 183.

[5]) იოანე ბატონიშვილი: „კალმასობა“, 1936 წ., 48.

კარეპთან იდგა მიწაში ჩარჭობილი ორი ქვა. ქვები გარეგნულად ადამიანის ფიგურებს ჰგვანდნენ და მლოცველთა ყურადღებას იქცევდნენ. როგორც ეტყობა, სწორედ ეს გარემოება შექმნილა [illegible] ტყვეობათა შესახებ ხალხში მრავლად დარჩენილ გადმოცემათა ლეგენდარულ ფორმაში ჩამოყალიბებისა. ჩვენ ვიძლევით მის შემოკლებულ და თავისუფალ თარგმანს მით უმეტეს, რომ ქართულად ის არსად არ გამოქვეყნებულა:

ოდესღაც ზვოლეთში განთქმული იყო ერთი შეძლებული ოჯახი: ბარძიმის და კეკეს კარმიდამო. მათს ბედნიერებას აქარწყლებდა ერთი გარემოება: ცოლქმრობის თუთხმეტი წელიწადი ისე გავიდა, რომ მემკვიდრე არ ეყოლათ. მაისის ერთ მშვენიერ დილას თავისი დარბაზის კარიბჭეზე გადმომდგარ კეკეს მიუახლოვდა დაკონკილ ტანისამოსში, მხარზე ჩანთა გადაგდებული, მოხუცი და მათხოვარის ხელი გაუწოდა. კეკემ თეფშით ფქვილი გამოუტანა. მოწყალების მიმღებმა იგი ღრმად დალოცა. მოხუცებულმა მათხოვარმა თავისი არაჩვეულებრივად კეთილი სახით და გულთბილი დალოცვით კეკეში დასტოვა აზრი: ხომ არ იყო იგი იმ წმინდანთაგანი, რომელთაც დრო და დრო უფალი ჰგზავნის ამ ქვეყნად, რათა გამოსცადოს ადამიანთა გულისთქმანი და აზრები? ეს აზრი დიდხანს აღელვებდა კეკეს და არც თუ ამაოდ: ცხრა თვის შემდეგ მას შეეძინა ტყუპები, ვაჟი და ქალი. ორმა წელმა გაიარა. ბავშვები იფურჩქნებიან, მშობლები ცქერით ვერა ძღებიან.

ერთხელ პეტრე-პავლეს მარხვის წინ, საერთო ჩვეულებისამებრ, ბარძიმის სახლში უხვი სუფრის გარშემო მრავალი სტუმარი შეყრილიყო. ნასადილევს დაღლილი კეკე წამოწვა. მას ეჩვენება ერთი მეორეზე საშინელი სიზმრები. მათი უზარმაზარი დარბაზი ცეცხლშია გახვეული და ვერავითარი ღონისძიებით ვერ ჩაუქრიათ... ამ მარხვის წინ გრძნეული სიზმრები იცის...

დასაღამოვდა და ბარძიმის ოჯახში ალიაქოთი ატყდა: მათი შვილი დათიკო, რომელიც, დედის გაუფრთხილებლობის გამო, გვიანობამდე კარში დარჩა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ჯერ ბავშვი სოფელში ეგონათ. როცა იქაც არ აღმოჩნდა ბარძიმმა თორმეტიოდე ვაჟკაცის თანხლებით ზვოლეთის ტყეს მიაშურა. ეს ტყე ძველიდანვე მტაცებელ ოსთა თავშესაფარს წარმოადგენდა; დაათვალიერეს ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ყოველი ასავალ-დასავალი, მაგრამ ბავშვი არსად არ აღმოჩნდა.

სოფელში სხვადასხვა აზრი დაირხა. ერთნი ამბობდნენ, რომ ბავშვი მოიტაცა გველეშაპმა, წმ. გიორგის მონამ, იმიტომ, რომ ბარძიმი უწყალოდ ხოცავდა ირმებს ზვოლეთის ტყეში და არასოდეს არ სწირავდა წმინდანს მსხვერპლად მოკლული ცხოველის რქებს. მეორენი იმ აზრისა იყვნენ, რომ ბავშვი მიწამ ჩანთქა. მაგრამ უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ბავშვი ოსებმა გაიტაცეს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მშობელთა მწუხარება მინელდა. ეს ოჯახი მთელი თავის ზრუნვას და იმედებს ერთად-ერთს ქალიშვილ-

ზე — მართაზე — ამყარებდა. მართას უკვე მეოცე გაზაფხული უდგებოდა და საქმროები მოსვენებას არ აძლევდნენ. მაგრამ მისი გული თავისუფალი იყო. ამ ხანებში ზვოლეთში გაჩნდა ვიღაც უცხო ბავშვი, რომელიც ამბობდა, რომ ოდესღაც იგი ოსებმა გაიტაცეს და ახლა დაბრუნდა სამშობლოში, რომლის შესახებაც დაწვრილებით არასოდეს არაფერი არ სმენია, რადგან იგი ბავშვობაში წარტყვევნეს... ახალგაზრდები ერთმანეთს შეხვდნენ და მათს გულში ჩასახული სიყვარულის სხივებმა ისინი მალე საკურთხეველთან მიიყვანეს, როგორც საცოლე და საქმრო.

ჯვარისწერის დღეა. დამსწრეთა თვალს იტაცებს სილამაზითა და სიყმაწვილით გაბრწყინებული წყვილი. მაგრამ ყველა ამჩნევდა, რომ ისინი თავდახრილნი, ჩაფიქრებულნი და გაფითრებულნი იდგნენ. ჯვარისწერა გათავდა და როგორც კი ახალგაზრდა წყვილმა გადააბიჯა ეკლესიის ზღურბლზე, ერთბაშად რაღაც უხილავმა ძალამ, როგორც ელვამ, დაჰკრა მათ: — ისინი თვალის დახამხამებაში ქვად იქცნენ და დარჩნენ მარადჟამს მდგომად სწორედ იმ ადგილზე... ღმერთმა არ დაუშვა საზარელი ცოდვა. ეს ჩამოსული უცხო ყმაწვილი იყო უბედური მართას ძმა, სწორედ ის დათიკო, რომელიც ოსებმა გაიტაცეს.[1]

მაგრამ არა ნაკლებ ამაზრზენი[2] და შეუბრალებელი იყო ოსეთის გლეხობას დაპატრონებული ქართველი ფეოდალების თარეში ოსეთში. 1811 წელს ცენტრალურ ხელისუფლებისათვის წარდგენილ მოხსენებითს ბარათში არქიმანდრიტი დოსითეოსი აღნიშნავს, რომ თავადები და ერისთავები ოსეთში იტაცებდნენ გასასყიდად ბავშვებს და ამ თავადებისაგან ოსები „терпят неслыханные доселе на Кавказе жестокости; сии владельцы отнимают и продают у них детей, лишая всякого имущества. От того осетинцы ненавидят грузин с их верою, от того и прочие жители Кавказа вооружаются против правительства, думая, что ежели Россия завладеет ими, то они впадут также во власть грузинских князей и будут испытывать ту же бедственную участь“.

1815 წელს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი აფრთხილებს პოლკონიკ მიხეილ ერისთავს, რათა „ამ ოსებს არა მხოლოდ თქვენ, არამედ არავინ თავად ერისთავთაგან და თავად მაჩაბელთაგან ამიერიდან არ გაუბედოს ზედმეტი დაბეგვრა და შევიწროვება და მით უმეტეს მათი შვილების გაყიდვა თურქებზე, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთი მათი მემამულეები, რაც თავის მხრივ იწვევს ოსთა შემოსევას და თარეშებს ქართლის სოფლებშიო“.[3]

---

[1]) В. Потто, „Что говорят камни“, 167—169 (см. „Летоп. Грузии“, т. I, 1913).

[2]) 1812 წ. სიმონოვიჩი რტიშჩევს ატყობინებდა, რომ იმერელი ოსები, რომლებიც წედისის ხეობაში ცხოვრობენ, განუწყვეტლივ იტაცებენ რაჭის სოფლებიდან ადამიანებს, რომელთაც მეტწილად დიგორელებზე ჰყიდიანო.

[3]) АКАК т. V, № 612, стр. 519.

1813 — 1828 წლებში დაწერილი „კალმასობის“ ავტორი აღნიშნავს სოფ. ჭალას თავად აბაშიძეების მიერ ტყვე ოსების გასასყიდად წაყვანის მეტად დამახასიათებელ ეპიზოდს.[1]

ოსეთში იმდენად იყო გავრცელებული ტყვეებით ვაჭრობა, რომ როგორც მეთვრამეტე საუკუნეში, ისე მეცხრამეტის პირველ ნახევარში ტყვე-მონა შეადგენდა გაცვლა-გამოცვლის ჩვეულებრივ საგანს. ეს უუფლებო ადამიანები, საზოგადოებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით, საოჯახო მონების კატეგორიაში უნდა იქნან ჩარიცხული. ბარონ ჰაქსტჰაუზენი სწერდა (1843 წ.) , რომ „ოსებს ჰყავთ მონები, რომელთაც ექცევიან როგორც ოჯახის წევრებსო“.

60-იანი წლებიდან ტყვეებით ვაჭრობა და მონობა ნელ-ნელა სწყდება.

დასკვნა

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა საკმაოდ ნათელ სურათს გვიშლის ტყვეებით ვაჭრობის შესახებ. როგორც დავინახეთ, ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში განვითარებული იყო მე-19 საუკუნეშიაც. მე-17 და მე-18 ს-ში ტყვეებით ვაჭრობა, ადამიანთა გაცვლა სხვა პროდუქტებზე, ატარებდა სავსებით სისტემატიურ ხასიათს. იგი მესარეწეობის გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმებსა და ნორმებში ჩამოყალიბებული დარგი იყო და, როგორც სჩანს, უცხოეთის საქონლის შეძენისათვის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა; ამდენადვე ტყვე საექსპორტო ვაჭრობის ძირითადი საგანიც უნდა ყოფილიყო. ქართველი ტყვეებით ვაჭრობაში განთქმული იყო ანაკლიისა, ფოთისა და ახალციხის ბაზრები, როგორც მთავარი საექსპორტო პუნქტები. საქართველოდან წარტყვევნილი და გასასყიდად გაყვანილი ადამიანები უმთავრესად იყიდებოდა თურქეთში და ირანში. გაყავდათ ისინი კერძოდ ეგვიპტეს ბაზრებზედაც.

სამეფოებად და სამთავროებად დაქსაქსულ საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენელნი ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ უშედეგო ბრძოლას ეწეოდნენ. გარემოებამ ისინი ტყვეებით ვაჭრობის მომწესრიგებელ ღონისძიებათა გამომუშავებამდე მიიყვანა, რაც გამოიხატა გარკვეული ბაჟების დაწესებაში ტყვეებით ვაჭრობისა, ექსპორტსა და იმპორტზე.

იმ დიდმა პოლიტიკურმა ცვლილებამ, რაც საქართველომ განიცადა მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე, ხელუხლებლად დასტოვა და ერთხანად უფრო აუტანელი გახადა მისი სოციალ-ეკონომიური პირობები. ეს გარემოება ნოყიერ ნიადაგს ჰქმნიდა ადამიანებით ვაჭრობისათვის. მეფის

---

[1]) იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, პროფ. კ. კეკელიძისა და პროფ. ალ. ბარამიძის რედაქციით, 1936. ტფ. გვ. 11 — 12

[2]) A. v. Haxthausen, c. l. II, 98.

რუსეთის მიერ საქართველოს პროვინციების დაპყრობა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის უკიდურესობამდე გალატაკება და დაუძლურება. იმ დაუნდობელ ექსპლოატაციას და ექსპლოატაციას, რომელსაც ეწეოდნენ ადგილობრივი მეფეები, ჩარჩ-ვაჭრები და მევახშეები, ზედ ერთვოდა ცარიზმის გათახსირებული სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეების პარპაში, — მასების უკანასკნელ საარსებო საშუალებათა ამოქაჩვა ბეგარებისა და ქრთამების სახით.

ხანგრძლივსა და განუწყვეტელ ომებს, ლაშქრობას და თარეშს, ქვეყნის დაქსაქსვასა და დაბეჩავებას შედეგად მოჰყვა, სხვათა შორის, ოდესღაც განთქმული სარწყავი არხების მოშლა, უმეთვალყუროდ მიტოვებულ მდინარეთაგან კალაპოტების ხშირი გადალახვა და, მაშასადამე, გამანადგურებელი გვალვიანი და წყალდიდობიანი წლების ზედიზედ განმეორება. ხოლო უკონტროლოდ მიტოვებული და გაუმაგრებელი საზღვრებიდან სხვადასხვა გადამდები სენის (შავი ჭირის, ჟამის) შემოსვლა და გავრცელება — რაც მუსრს ავლებდა მოსახლეობას. იშვიათი არ იყო ისეთი წლები, როდესაც მთელი ეს უბედურება და კიდევ დამპყრობელის მიერ აჯანყებათა ჩასაქრობად და ურჩთა გასანადგურებლად ამოწვდილი სისხლიანი მახვილი შემაძრწუნებელი სისასტიკით დაატყდებოდა ხოლმე თავს საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას.

ასეთი იყო, მაგალითად, 1810 — 1812 წლები მთელს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, როდესაც, თვით უმაღლესი ხელისუფლების მთავარი წარმომადგენლის ამაზრზენი სიტყვებით რომ ვთქვათ, იმერეთში „მამები პურის ნატეხისათვის სამუდამო მონობაში ჰყიდდნენ თავიანთ შვილებს, ხოლო სასოწარკვეთილი დედები ტყეებსა და გზებზე აგდებდნენ შიმშილისაგან არაქათგამოლეულ ძუძუმწოვარა ბავშვებს“. ამ დროს მთელი იმერეთის მოსახლეობის მესამედზე მეტი ამოწყდა. ეს არ იყო ამ მხრივ არც პირველი და არც უკანასკნელი მოვლენა... ათეული წლების განმავლობაში ნადგურდებოდნენ საწარმოო ძალები, ყველაზე შეუბრალებლად კი თვით ძირითადი საწარმოო ძალა, უშუალო მწარმოებელი მოსახლეობა. დანახარჯის აღდგენა უფრო და უფრო მცირე ზომით ხდებოდა. ადგილობრივი ნაწარმოებისა და ფულადი კაპიტალის ყოველგვარ მარაგს მოკლებულ გაბატონებულ წოდებას ისღა დარჩენოდა, რომ ფეოდალური ექსპლოატაცია უფრო მეტად გაეღრმავებინა და სხვათა შორის ტყვეებით ვაჭრობითაც.

უკუღმართი ისტორიული ვითარების პროცესმა საქართველოს ძველი მონასტრები და ციხე-დარბაზები, რომლებიც ოდესღაც, საუკუნეთა წინად, წარმოადგენდნენ თავის დროის მსოფლიოსათვის უმწვერვალესი კულტურის ცენტრებს, ისე დასცა, დააქვეითა და გაანადგურა, რომ მათი ნანგრევები, ხეებითა და სუროთი დაბურული, ქვეწარმავლებთან და ღამურებთან ერთად, ტყვეებით მოვაჭრეთა და წარმტყვევნელ-გამტაცებელთა თავშესაფარებად გადაიქცა.

ტყვეებით ვაჭრობასა და წარტყვევნაში მე-19 საუკუნეშიაც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა მეზობელ მუსლიმანური სამფლობელოებიდან წარმოებული შეუნელებელი თარეში. სწორედ ამიტომ ქეხვდნენ დიდის თანაგრძნობით მაშინდელი საზოგადოების პროგრესიული ელემენტები კაინარჯის სამშვიდობო ტრაქტატს, რომელიც თურქეთში ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვას მოითხოვდა. მაგრამ ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატმა მოსალოდნელი ეფექტი ვერ მოახდინა. თურქეთი, მართალია, თავაზიანად აწერდა ხელს ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ყოველგვარ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მაგრამ ამავე დროს თურქეთის თითქმის მთელი წარჩინებული წოდება ცბიერი ღიმილით ხელს აფარებდა ტყვეებით ვაჭრობას: ბეგებს და ფაშებს არ შეეძლოთ ასე ადვილად აეღოთ ხელი საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ ჩვეულებაზე, ადამიანთა შესყიდვაზე როგორც ჰარამხანების, ისე სამხედრო რაზმების (იანიჩრების შესავსებად. მაგრამ თურქეთზე არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ ეგვიპტესაც. ახალციხეში და შავი ზღვის სანაპიროებზე იმ ხანებში გავრცელებული ეგვიპტური ფულის სიმრავლე, ჩვენ ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი ზომით შეესაბამებოდა აქედან ეგვიპტეში გაყვანილ ტყვეთა რაოდენობას.[1] საყოველთაოდ ცნობილია, რომ მე-18 საუკუნის დამლევს და მე-19 საუკუნის დამდეგს ეგვიპტეში მამელუკების მილიციის შევსება მეტწილად შავი ზღვის ა/კავკასიის სანაპიროებიდან გაყვანილი ტყვეებით ხდებოდა. 1804 წ. 25 აპრილის თარიღით დაწერილ ბარათში საქართველოს მთავარსარდალი, პავლე ციციშვილი, რომელიც არ შეიძლება საქმის კურსში არ ყოფილიყო, ირწმუნება, „რომ მთელი მამელუკები ტყვედ ნაყიდი ქართველებისაგან შესდგებიანო". მამელუკები თავის დროზე ისე ძლიერნი იყვნენ, რომ კაპიტალისტური ევროპის ჯარი ძრწოდა მათს წინაშე. ეგვიპტეში ნაპოლეონის ცნობილმა ლაშქრობამ გაანადგურა მამელუკთა სამხედრო და პოლიტიკური ძლიერება. ამ გარემოებამ უმნიშვნელო გავლენა არ იქონია საქართველოში ტყვეებით ვაჭრობის საქმეზე.

როგორც დავინახეთ, ტყვეებით ვაჭრობის მოსპობა შეუძლებელი გახდა ცარიზმის მთავრობის ბიერ გამოცემული კანონებისა და მიღებული რეპრესიების მეოხებით. ტყვეებით ვაჭრობა მეტი თუ ნაკლები ინტენსივობით გრძელდებოდა იმ დრომდე, სანამ ქვეყნის საერთო სოციალ-ეკონომიურმა განვითარებამ არ გამოაცალა მას ძირითადი საფუძვლები.

მე19 საუკუნის სამოციანი წლებიდან საგრძნობლად მინელდა და შემდეგ თანდათან მოისპო კიდეც ჩვენში წარტყვევნა და ტყვეებით ვაჭრობა. მაგრამ საქართველოს მოსახლეობაში მას შემდეგაც დიდხანს არ აღმოფხვრილა მწარე მოგონებები, ადამიანთა მოტაცებისა და ყიდვა-გაყიდვას რომ დაუტოვებია. მოხუცი გლეხები დღესაც წყევლა-კრულვით

[1]) პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი: „ფულის ტრიალი საქ. და ა/კავკ. მე-19 საუკ." 48 — 49.

იხსენიებენ იმ დროსა და მოგვითხრობენ აწ წარსულ დროთა იმ საშინელ ამბებს, ბალადებად და ლეგენდებად რომ გარდაქმნილან.

ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ ჯერჯერობით ერთი, მაგრამ ბრწყინვალე ნოველა მიუძღვნა საქართველოში ტარტყვევნათა და ტყვეებით ვაჭრობის თემას. ეს არის უიარაღოს (თათარიშვილის) „მამელუკი“.

შეიძლება ითქვას, რომ არც „მამელუკის“ გმირს, ტყვედ გაყიდულ კოლხეთის გლეხს, არც მის მშობლებს და არც „მამელუკის“ ავტორს არ შეეძლოთ დაახლოებითი წარმოდგენა ჰქონოდათ იმ სიკეთესა და ბედნიერებაზე, რომელიც შექმნა თავისთვის თანამედროვე საბჭოთა კოლხეთის გლეხობამ, რომელმაც, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, გმირული შრომის, ბრძოლისა და შემოქმედების მეოხებით, წინანდელ ტყვეებით სავაჭრო ბაზრებზე, სიმყრალისა, სიდამპლისა, ზიზღისა, კრულვისა და არაადამიანური გულქვაობის ნაქულბაქევზე, საამური სოციალისტური ცხოვრება ააშენა.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე კაპანელი: „მეტყველებისა და ლიტერატურის პრობლემები“.

სტალინის სახელობის ტფ. სახ. უნ-ტის გამომცემლობა. თბილისი 1938 წ.

ქართულ ენაზე ლიტერატურათმცოდნეობის დარგში ნაშრომთა სიუხვესთან არ გვაქვს საქმე, ამიტომ მისასალმებელია ყოველი გულწრფელი ცდა ამ ნაკლის შევსებისა. სტალინის სახელობის ტფ. სახ. უნ-ტის გამომცემლობამ ამასწინად გამოაქვეყნა კონსტანტინე კაპანელის წიგნი „მეტყველების და ლიტერატურის პრობლემები“. იგი მრავალმხრივ არის საყურადღებო.

წიგნი შეიცავს 18 პარაგრაფსა თუ თავს; პირველი მათგანი ეხება „კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ი ს ა დ ა ს პ ე ც ი ფ ი კ ი ს“ საკითხს; იმ 17 სტრიქონში, რომელმაც ამ საკითხის ამოწურვა უნდა მოახერხოს შემდეგს ვკითხულობთ: ა) „ყოველი პერიოდის განვითარება იძლევა გარკვეულ სხვაობას და ეს სხვაობა მაჩვენებელია იმის, რომ მოვლენის განვითარება წარმოადგენს შესაძლებლობას და მოვლენის სხვა მოვლენებთან კავშირს, ამიტომ მარქსიზმი მოძრაობაში ეძებს სპეციფიკის გამოვლენას“ (გვ. 10); ბ) „სამართლის ბუნება და არსი თვით განყენებულ სამართლის ცნებაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ისევ იმ სოციალურ ფორმაციაში, რომელიც იცავს სამართლის ამა თუ იმ დებულებას“ (გვ. 10).

ჯერ ერთი — აქ სრულიადაც არაა მოცემული, ასე თუ ისე, გარკვეული მითითება კანონზომიერებისა და სპეციფიკის განსაზღვრების შესახებ. მეორე — თუ მართლაც ცნება არსს ვერ გამოხატავს, მაშინ ეს ცნება აღარ არის; მესამე — თუ ავტორის მეორე მოსაზრება მართალია, მაშინ ჩვენი ავტორი კანონზომიერებისა და სპეციფიკის ცნების განსაზღვრებას ამაოდა ცდილობს, რადგან მათში არსი არ მოიძებნება; და მეოთხე — ეს საზოგადოდ ყალბი აზრია, რადგან მაგ., სამართლის არსი კი არის გამოხატული სამართლის ცნებაში (უამისოდ ცნება არ არსებობს), ოღონდ ცნების არსის წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ა დ ა მ ი ს ა ღ ე ბ ი ს ო ბ ი ს მიზეზები ძევს ფართოდ გაგებულ სოციალურ ფორმაციაში; ასე ესმით ეს მარქსიზმის კლასიკოსებს. ამ მხრივ არსებობს ლ ე ნ ი ნ ი ს მითითება:

ა) გადმოგვცემს რა ჰეგელიდან, რომ „საგანი, ობიექტიური და სუბიექტიური სამყარო არა მხოლოდ უ ნ დ ა დ ა ე მ თ ხ ვ ე ს იდეას, არამედ იგი არის ცნებისა და რეალობის დამთხვევა; ის რეალობა, რომელიც არ შეესაბამება ცნებას, არის მხოლოდ მ ო ვ ლ ე ნ ა, სუბიექტიური, შემთხვევითი, თვითნებითი, რაც ჭეშმარიტება არ არის“, ლ ე ნ ი ნ ი ასეთ მინაწერს იძლევა: „ცნებათა თანხმობა საგნებთან ა რ ა რ ი ს სუბიექტური“. [1])

ბ) კიდევ უფრო მკაფიოდ აი რას წერს ლ ე ნ ი ნ ი: „ბუნებაში“ ცნებები არ არსებობენ ამ თავისუფლებაში („ადამიანის აზრისა და ფანტაზიის თავისუფლებაში“), მათ, ცნებებს, „ბუნებაში“ უძევთ „სისხლი და ხორცი“ — ეს საუცხოვოა! მაგრამ სწორედ ესაა მატერიალიზმი, ადამიანის ცნებები ბუნების სულია, ეს მხოლოდ იმის

---

[1]) იხ. „ლენინის კრებული“ IX, ქართული თარგმანი, გვ 108.

მისტიური თხრობაა, რაც ადამიანის ცნებებში თავისებურად (ეს NB! თავისებურია სწორედ დიალექტიკური") აისახება.[2])

ამის შემდეგ ჩვენთვის ცხადია, რომ კაპანელს სრულიადაც არ სურს გაუწიოს ანგარიში დიალექტიკური მატერიალიზმის ფუძემდებლებს, რომელთა აზრითაც ჭეშმარიტი მეცნიერება სინამდვილის ჭეშმარიტ რაობასა და არსებულობას ნათელჰყოფს, მას ასახავს და სწორედ იმ საშუალებებით, რომელიც მას გააჩნია — ცნებებით; ცნებების მნიშვნელობის უგულვებელყოფა მეცნიერულ და ფილოსოფიური მუშაობის უგულვებელყოფაა, მაგრამ კაპანელს, როგორც ჩანს, ეს სრულიადაც არ აწუხებს, — ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ამგვარად მსჯელობა დაუშვებელია.

წიგნის მეორე პარაგრაფში ავტორს განზრახვა აქვს განსაზღვროს „განვითარება და ფუნქცია". იგი წერს: „განვითარების ფუნქცია არის გამოვლენა განვითარების დიალექტიკური ხასიათის, დამტკიცება რაოდენობრივი ვითარების ხარისხობრივ სხვაობაში გადასვლისა" (გვ. 11).

ამგვარად, ავტორის აზრით, თურმე განვითარების დანიშნულება ის ყოფილა, რომ განვითარების ხასიათი გამოააშკარავოს; მაგრამ განვითარებამ სხვა რა უნდა გამოააშკარავოს თუ არა თავისი ხასიათი?! ეს არაფრის მთქმელი დებულება მოგვაგონებს ერთი ახალგაზრდის განმარტებას, რომ თურმე „მზე იმიტომ ანათებს, რომ თავისი არსებობის შესახებ შეგვატყობინოს". ამნაირი განმარტებანი დიალექტიკური ლოგიკისათვის უცხოა.

მესამე პარაგრაფში ავტორს სწადია „მეტყველების და მისი სპეციფიკის" გარკვევა და ასეთ კითხვას სვამს: „შეიძლება არ არსებობს მეტყველების სპეციფიკა; შეიძლება არ არის ისეთი რამ, რაც ახასიათებდეს ზოგადათ მეტყველებას, მის წარმოშობას, მის განვითარებას, მის კავშირს აზროვნებასა და გონების პროცესებთან?" (გვ. 11).

საგულისხმოა რატომ შეიძლება, რომ მეტყველებას არ ჰქონდეს თავისი სპეციფიკა? ამგვარად დასმული კითხვა ყალბია — თუ კი არსებობს მეტყველება, როგორც ფუნქცია, მას უეჭველად ექნება სპეციფიკა; მაგრამ ეს კი არაა მნიშვნელოვანი, არამედ ის, რომ თუ ჩვენ ავტორს სურს მეტყველების სპეციფიკის გარჩევა, მაშინ რა უნდა აზროვნებასთან? ეგება ამაში ეძებს მეტყველების სპეციფიკას? მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ არ უნდა დაავიწყდეს, რომ ეს კავშირი, აზროვნების მეტყველებასთან კავშირიც იქნება და მაშ, აზროვნების სპეციფიკადაც იგივე გამოვა, რაც მეტყველებას ახასიათებს. რა სპეციფიკაა ის სპეციფიკა მეტყველებისა, რომელიც არის ამავე დროს აზროვნების სპეციფიკაც?!

ეგებ აწარმოებს მაინც ავტორი მის მიერვე დაყენებული საკითხის განხილვას? არა! მან მიატოვა ზემოდ გადმოცემული საკითხის განხილვა; განიხილა, „დაამარცხა" ენათმეცნიერება, შეაქო ნ. მარრი, რომლის შესახებ მხოლოდ ის „პოზიტიური" ხასიათის აზრი გამოსთქვა, რომ თურმე მარრი „თავისებურად არკვევს ზოგადად ენისა და აზრის ურთიერთობას; მარრის თეორიაში ეს ურთიერთობა განხილულია ახალი თვალთახედვით" (გვ. 12); არა გვითხრა რა მარრის თეორიის შესახებ — კაპანელმა მიატოვა ეს საკითხიც და ახალი კითხვა დააყენა: რა აქვს საერთო სხვა და სხვა ხალხის მეტყველებას" (გვ. 12), მაგრამ ფორმის მიცემისთანავე შეეშინდა ამ საკითხის, არ უპასუხა, ბოლოს წერტილი დაუსვა მას და თავი შეაფარა ახალ საკითხს, თუ „რას წარმოადგენს მეტყველება, როგორც ასეთი და სად უნდა ვეძებოთ მისი საწყისი" (გვ. 12). მონათლა რა ეს საკითხები, როგორც თავისი შრომის პროგრამული საკითხები, განცვიფრდა მით, რომ „სამეტყველო ორგანო მოთავსებულია პირის ღრუში", აღნიშნა, რომ „გასაოცარ და ასახსნელ მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ... ხუთ გარეგან გრძნობათა ორგანოდან... ოთხი თავის ქალაშია მო-

---

[2]) იხ. „Философские тетради". Конспект лекций Гегеля по истории философии. გვ. 290.

თავსებული“ (გვ. 12), გვასწავლა, რომ „ზეციდან ენას აქვს ხაერდოვანი ფორმა (ფორმა!! — გ. კ.), რომელიც დაქსოვილია ძაფისებური დვრილებით და ამ დვრილებში ჩამჯდარი გემოვნების ბოლქვებით“ (გვ. 13), ილაპარაკა საზოგადოდ ჩვენი ორგანოების დანიშნულების შესახებ და „დაასკვნა“, რომ „აზროვნებას და მეტყველებას აქვთ თავიანთი განვითარების შინაგანი თვისებანი“ (გვ. 17), მაგრამ ამ გაარჩია კითხვები: „რა აქვს საერთო სხვა და სხვა ხალხის მეტყველებას?, როგორია სპეციფიკა აზროვნებისა და მეტყველების?“ არ შეგვისრულა ორი გვერდის წინ მოცემული დაპირება! იგი თავისი პროგრამიდან უკანასკნელ კითხვას, და ისიც მის მეორე ნახევარს („სად უნდა ვეძებოთ მეტყველების საწყისი?“), შეეხო და ამაზედაც ისეთი პასუხი გასცა, რომ საშუალო სკოლის სათანადო სახელმძღვანელოებში უფრო ნათლად და მართებულადაა იგი განხილული.

მაგრამ ავტორი ამავე პარაგრაფში პირდაპირ საოცრად მსჯელობს; აი, მოვუსმინოთ ა) „გარედ დარჩენილი ძაღლი ღმუის“... მაგრამ ვერც ერთ სიტყვიერ ნიშანს, ხმიერ-გაბგერების (?! — გ. კ.) სიგნალს ვერ იძლევა, რომ გააგებინოს ადამიანს შემოსვლის სურვილი“ (გვ. 18). შეიძლება კაპანელს იმის თქმა სურს, რომ ცხოველს მაგ. ღმუილი სიგნალად არა აქვს მიჩნეული, მაგრამ მაშინ რატომ არ ამბობს მას, რის თქმაც სწადია?! ბ) „უენოდ აზროვნება არ შეიძლება“, — აცხადებს კაპანელი. კეთილი. მაგრამ დაბადებით მუნჯები რასა შვრებიან? არა, ალბად უნდა თქვათ, რომ ასეთ შემთხვევაში აზროვნება სხვაგვარია, მაგრამ რატომ აცხადებს იგი ასე კატეგორიულად, რომ უენოდ აზროვნება არ შეიძლებაო?

თავისი წიგნის მეექვსე პარაგრაფი ავტორს მიძღვნილი აქვს „ბ ა ვ შ ვ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ა და მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ ი ს“ საკითხისადმი. პირველ რიგში ავტორს საჭიროდ დაუნახავს ბავშვობის ასაკის საკუთარი პერიოდიზაციის მოწოდება. იგი წერს, რომ სამი პერიოდი უნდა გავარჩიოთო. „პირველი პერიოდი — დაბადებიდან მეტყველების წარმოშობამდე; მეორე პერიოდი მეტყველების წარმოშობიდან სასკოლო ასაკამდე; მესამე — სასკოლო პერიოდიდან მომწიფებამდე“ (გვ. 25). კი მაგრამ, ნუ თუ ჩვენმა ავტორმა არ იცის, რომ დაპერიოდებისას საჭიროა რაიმე პრინციპის გამოყენება? ვთქვათ, პირველსა და მეორე პერიოდს ურთიერთისაგან მეტყველების პრინციპის მიხედვით ვანსხვავებთ, მაგრამ სასკოლო ასაკის შემდეგ ბავშვი არ მეტყველებს? პერიოდს სასკოლო ასაკიდან მომწიფებამდე რა პრინციპის მიხედვით ჰყოფთ? ასეთი პრინციპის შესახებ ავტორს, როგორც ჩანს, არ უფიქრია და თუ მაინც შესაძლებლად ჩაუთვლია საკუთარი პერიოდიზაციის მოწოდება, მაშინ ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე დ ა ნ და კ ო მ ე ნ ი უ ს ი დ ა ნ დაწყებული ვიდრე ჩვენ დრომდე არსებული ყოველგვარი ძიება ამაოდ მივიჩნიოთ.

იქვე ჩვენი ავტორი წერს, რომ „ჩამოთვლილი პერიოდები ერთმანეთს მათემატიკური სისწორით არ სცვლიან; ხშირად (მაშ ზოგჯერ კი! — გ. კ.) ეს პერიოდები ერთმანეთს ანვითარებენ და ერთმანეთში გადადიან, რაც (გადასვლა! — გ. კ.) მოქმედებს აზრისა და მეტყველების განვითარებაზე“ (იხ. გვ. 25 — 26) უნდა ვიცოდეთ, რომ პერიოდები ბავშვობის ხანისა მეცნიერებამ აღნიშნა იმიტომ, რომ საგანი(ბავშვი) უკეთ შეისწავლოს, რომ ამიტომ „ხშირად“ კი არა, ყოველთვის პერიოდები ერთმანეთში გადადიან და რომ პერიოდების ერთიმეორეში გადასვლა კი არ ანვითარებს მეტყველებას, არამედ თვით მეტყველება (სხვა მხარეებთან ერთად) იძლევა ამ პერიოდების შემჩნევის შესაძლებლობას.

მაგრამ აი, კიდევ რას გვაუწყებს კაპანელი:

„ჟ. პ ი ა ჟ ე ს აზრით ბავშვი შვიდ წლამდე პრელოგიურ სტადიაშია და მისი გონება მოკლებულია საშუალებას შეითვისოს რამე“ (გვ. 25).

ჟ ა ნ პ ი ა ჟ ე ამას არ ამბობს, ამის თქმა ჭკუათმყოფელს არ ეპატიება და ასეთ რამეს, თუ კი ითქვა, გონიერნი არ იმეორებენ; ჟ ა ნ პ ი ა ჟ ე, რომლის შრომა რუ-

სულადაც არის თარგმნილი, *) იმას კი არ ამბობს, რომ ბავშვი შვიდ წლამდე მოკლებულია საშუალებას შეითვისოს რამე, არამედ სანიმუშოდ რომ გადმოგცეთ აი, რას წერს იგი: „ასეთია ფაქტთა სამი ჯგუფი (მათ განხილვას იგი ადრე აწარმოებდა — გ. კ.), რომელნიც ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ სასარგებლოდ ეგოცენტრიზმისა, რომ ბავშვის აზრი უფრო ეგოცენტრულია, ვიდრე ჩვენი და ამაში იგი წარმოადგენს შუალედს აუტიზმსა, — სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით, — და სოციალიზებულ აზრს შორის", **) და შემდეგ: „... ცხადია, რომ გენეტიურის თვალსაზრისით აუცილებელია გამოსვლა ბავშვის ქმედობისაგან, რათა აიხსნას მისი აზრი" (იქვე, გვ. 377). მაშ პიაჟე თავისი ოთხასგვერდიანი წიგნის მანძილზე არჩევს, თუ როგორ ითვისებს ბავშვი რამეს, თუ როგორია ბავშვის მეტყველება და აზროვნება, რით განსხვავდება იგი მოზრდილისაგან. არა, პიაჟე იმას არ ამბობს, რასაც მას კაპანელი მიაწერს ეს რომ ეთქვა ბავშვებიც კი უკმაყოფილონი დარჩებოდნენ და, რადგან ეს ასეა, ამიტომ ბავშვებისა, მეცნიერებისა და მათ შორის პიაჟეს გულისწყრომაც ჩვენი ავტორისაკენ უნდა იყოს ამ შემთხვევაში მიმართული.

დავუშვათ, რომ პიაჟე იმას ამბობს, რასაც კაპანელი გადმოგვცემს. განა ამ აზრს შეიძლება დავეთანხმოთ?! (კაპანელს კი ეს აზრი მართებულად მიაჩნია). ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ განვითარების შესაძლებლობა იმთავითვე შეუძლებლად მიიჩნიოთ; გამოდის, რომ შვიდ წლამდე ბავშვთა ცხოვრებას ამაოდ ჩაუვლია, რომ მათ არა შეუთვისებიათ რა, რადგან „მათი გონება მოკლებულია შესაძლებლობას შეითვისოს რამე". მაშ, საბავშვო ბაღების ქსელის არსებობა ამაო და ფუჭ საქმეს წარმოადგენს ჩვენს სინამდვილეში? არა, ამას არავინ იტყვის, გარდა... კაპანელისა. ზემოდგადმოცემული ამონაწერის მეორე ნახევრის მიხედვით კაპანელი გვიმტკიცებს, რომ ლოგიკური პერიოდი აუცილებელია მეტყველების შესაძლებლობისა და განვითარებისათვის. სადაა ეს ლოგიკური პერიოდი მოთავსებული, რომ უიმისოდ მეტყველების განვითარება შეუძლებელია?! უნდა ვიცოდეთ, რომ ლოგიკური პერიოდი ცალკე არ არსებობს, რომ არის მეტყველების განვითარება და განვითარებას აქვს საფეხურები, მათ შორის ლოგიკურიც; ლოგიკური პერიოდი კი არ არის აუცილებელი მეტყველების განვითარებისათვის, არამედ დაკვირვება გვიდასტურებს, რომ მეტყველების განვითარებაში შეიძლება ლოგიკური პერიოდიც იქნეს შემჩნეული. ჩანს, რომ ეს აღრევა კაპანელისათვის შემთხვევითი არაა, ანალოგიურ მდგომარეობასთან ზევითაც გვქონდა საქმე პერიოდიზაციის საკითხთან დაკავშირებით.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მთელ წიგნში ავტორს, როგორც ჩანს, მე-13 პარაგრაფი მიაჩნია — „ლიტერატურა როგორც აზრის განსახეობა" — ასეთია ამ პარაგრაფის სათაური.

კაპანელს თურმე მთელი რიგი სიტყვები უძღვნია ქართული კულტურისათვის და უკანასკნელს ისინი ხელგაშლილად მიუღია („რომელნიც ამჟამად ხმარებაშია მეცნიერებასა და ლიტერატურაში" — წერს ჩვენი ავტორი) ასეთი სიტყვებია თურმე მაგ. „შეცნაურება და მრავალი სხვა".

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეს სიტყვები არ მიუღია მეცნიერებასა და ლიტერატურას. ჩვენი ავტორი ამ შემთხვევაში ემგზავსება ცნობილი მწეოლის იმ გმირს, რომელსაც რაც მოეჩვენებოდა, მის ნამდვილობაში მყისვე დარწმუნდებოდა და სხვის დარწმუნებასაც ცდილობდა. ეს გმირი ამიტომ იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ბავშვების გაოცებასაც კი იწვევდა და იწვევს. როგორც ვხედავთ, მისი შესატყვისის პოვნა ზოგჯერ ახლაც შეიძლება. „კულტურის მოთხოვნილებამ შემოგვატანიაო, — დასძენს კაპანელი დამატებაში, — ახალი სიტყვები" და, როგორც ჩანს, იძულებული გახადა Воображение („წარმოსახვა", როგორადაც ცნობილია ეს სიტ-

*) „Речь и мышление ребенка". Москва—Ленинград, 1932 г.

**) დასახელებული შრომა, გვ. 376.

ყვა) „განსახეობად“ ეთარგმნა. როგორც ვიცით, ქართულ ენაში ჯერ ცხობილი არაა „განსახეობა“, ამიტომ სხვა რამედ რომ არ მოგვეჩვენოს, ვიდრე მისი ავტორი სინამდვილეში გულისხმობს, ვთარგმნოთ ზემოთდასახელებული პარაგრაფის სათაური რუსულად მივიღებთ: „Литература как воображение мысли“. როგორც ეხედავთ, არავითარი აზრი არა აქვს ამ სათაურს, თუ, რასაკვირველია, ჩვენი ავტორი არ უარჰყოფს რუსულ ენაზე ქართული „აზრის“ „Мысль“-ად თარგმნას!

ჩვენი ავტორი მედიდურად აცხადებს: „ძველი გაგება და თქმა — ხელოვნება სახეთა სისტემაა, უნდა შეიცვალოს ახალი დებულებით — ხელოვნება აზრის განსახეობაა“ (გვ. 65). ამგვარად, თუ სათაური მხოლოდ მიგვითითებდა „Литература как воображение мысли“-ს შესახებ, ახლა უფრო ფართოდ გვეუწყა: „Искусство, как воображение мысли“. ავტორი სამართლიანად აცხადებს, რომ „ასეთი დებულება ლიტერატურის თეორიაში ახალია“. მაგრამ ხომ არ ფიქრობს ავტორი, რომ ახალი უაზრობა ძველ შეცდომას სჯობია?!

ავტორს გონია ახალ დებულებას აყენებს, როდესაც ამბობს, რომ არიან ლექსები, სადაც სახეები არ არიან მოცემულნი; ამას ამტკიცებს იგი „ვეფხის ტყაოსნიდან“ ამოღებული ადგილებით (იქვე, გვ. 61) და ნიკ. ბარათაშვილის „სული ობოლით“ (გვ. 62). კაპანელი ეკამათება მეცნიერებისათვის იმ უცნობ პირებს, რომელთაც, თურმე წარმოუდგენიათ, რომ სახე (Образ) შეიძლება არსებობდეს აზრის გარეშე. იგი წერს: „სახეს არ შეუძლია არსებობა წარმოდგენაში აზრის გარეშე“. და ქედმაღლური ყოყლოჩინობით აცხადებს: „ეს ვერ გაუგია ბევრს დღევანდელ ლიტერატურაში მოვარჯიშე თეორეტიკოსებს (ენა ავტორისაა — გ. კ.) და ამაშია მარცხი, შეცდომა ისეთი ლიტერატურათმცოდნეების, როგორიცაა ნუსინოვი, პერეველზევი, შკლოვსკი, ჟირმუნსკი და მათი მოწაფეები“ (გვ. 64 და შმდ.). ის, რასაც „ამტკიცებს“ კაპანელი „არ ახალია, ძველია!“. რასაც ჩვენი ავტორი ახალ ამბავად აჩვენებს მკითხველებს 3 — 4 გვერდის მანძილზე, ჯერ კიდევ აკად. ოვსიანიკო-კულიკოვსკის ჰქონდა დაწერილი, მერე ისიც — საშუალო სკოლების სახელმძღვანელოდ განკუთვნილ წიგნში: „Теория поэзии и прозы (теория словесности). Руководство для средней школи и для самообразования“ (4-ое изд. 1918 г.) ეს ავტორი თავისი წიგნის შესავლის პირველ პარაგრაფშივე წერდა:

„სახედ ყოფნა შეუძლია ყოველ წარმოდგენას, თუ იგი გამოდის აზრის შექმნისა და გამოსახვის საშუალებად. უკეთუ წარმოდგენა ასეთ როლს არ ასრულებს, მაშინ იგი არც „სახეს“ წარმოადგენს“ (გვ. 5).

უფრო ადრე პოტებნია წერდა, რომ პოეზია მარტო იქ კი არაა მხოლოდ, სადაც დიდი ნაწარმოებია, არამედ „ყველგან, ყოველ საათს და ყოველ წუთს, სადაც ლაპარაკობენ და ფიქრობენ“ (იხ. მისი „Из записок по теории словесности“ — Харьков, 1905 г. გვ. 59).

ამგვარად ცხადია, რომ „სახეების თეორიის“ საწინააღმდეგოდ ისეთი არგუმენტი მოაქვს კაპანელს, რომ განცვიფრებას იწვევს — ნუ თუ საშუალო სკოლის მოსწავლისათვისაც კი „სახეთა თეორიის“ წარმომადგენელთა მიერ დიდი ხნის წინათ მოცემული ახსნა-განმარტება კაპანელისათვის იმდენად უცნობია, რომ მას სიახლედ აცხადებს?!

მაგრამ გარდა ამისა, როგორც ზევით იქნა გადმოცემული, ავტორს მიაჩნია, რომ სიახლე შეაქვს საკითხში, როდესაც ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებთა ანალიზი მას „სახეების“ დადასტურების შესაძლებლობას არ აძლევს. მაგრამ ესეც მშვენივრადაა აქვს გადმოცემული ისევ ოვსიანიკო-კულიკოვსკის საშუალო სკოლების იმავე სახელმძღვანელოში. გადმოგვცემს რა „სახეებით აზროვნების“ თეორიიდან ერთ განსაზღვრებას, იგი წერს: „მაგრამ ეს განსაზღვრება შეიცავს მთელ თავის ძალას მხოლოდ ისეთ ხელოვნებათა მიმართ, როგორიცაა პოეზია (სახეებრივი), სკულპტურა, მხატვრობა. უკეთუ ჩვენ მხედველობაში გვექნება ხელოვნების სხვა სახეები, როგორიც არიან არქიტექტურა, მუსიკა, ცეკვა, მაშინვე გამომჟღავნდება,

რომ „სახეებით აზროვნების“ ცნება ან სავსებით არ უდგება მათ, ანდა [illegible]დამი გამოიყენება პირობით, ნაწილობრივ და თითქმის ყოველთვის გაჭირვებით“ (გვ. 8). ეს კიდევ არაფერი! აი, შემდეგ რას წერდა ოვსიანიკო-ულინსკი ოვსკი: „ქვევით 11 თავში ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ნამდვილ[illegible]ს, ლირიკული პოეზია არ არის სახეებრივი პოეზია (თუმცა სახეები მასში ძალიან ხშირად გვხვდება)“. (ხაზი ჩვენია — გ. კ.). ამის შემდეგ ცხადია, რომ ჩვენი ავტორი ჩამორჩენილია.

კაპანელი არც მაშინ არის მართალი, როდესაც ნუსინოვს, ჟირმუნსკის და მაგ., შკლოვსკის ერთნაირად აფასებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვისი საზოგადოდ მიღებული თეორიის დამახინჯებით გადმოცემა საკადრისი არ არის, ასე მაგ., ჟირმუნსკის ჩვენი ავტორი აბრალებს, რომ თითქოს მასაც არ ესმოდეს, რომ სახეს აზრი ახლავს. ჟირმუნსკი კი ჯერ კიდევ 1921 წელს დაწერილ სტატიაში წერდა: „როგორც ყოველი ადამიანური მეტყველება, პოეტური სიტყვა აღმქმელში იწვევს სახე-წარმოდგენებსაც, გრძნობა-ემოციებსაც, განყენებულ აზრებსა და ნებისმიერ ლტოლვებსა და შეფასებებსაც (იხ. Жирмунский, კრებულში—„Вопросы теории литературы“, წერილი—„Задачи поэтики“).

ამის შემდეგ ცხადია, რომ ის, რასაც კაპანელი გვასწავლის, დიდი ხნის წინათ იცოდნენ საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და ისიც „სახეებით აზროვნების“ თეორიის წარმომადგენელთაგან. აქ ახალი არა არის რა! ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ დავაწყნაროთ კაპანელი და ვურჩოთ, რომ „სახეებით აზროვნების“ თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება ზერელე იმგვარი განცხადებით, როგორიც მას აქვს: მაგალითად, „ასეთი დებულება ლიტერატურის თეორიაში არსებითად ახალია; ვინც მიჩვეულია ტრადიციულ განმარტებებს, დრომოჭმული აზრების ღეჭვას, მას, რა თქმა უნდა, ჩვენი განმარტების გაგება გაუჭირდება“. როგორც ხედავთ, ავტორის ქედმაღლობას საზღვარი არა აქვს.

ჩვენ მართლაც „გვიჭირს“ ჩვენს დროში, დიალექტიკური მატერიალიზმის ეპოქაში ისეთი „დებულების“ გაგება, როგორსაც აყენებს კაპანელი თუნდაც მე-25 გვ.: „მთლიანად ბავშვის მომწიფების პროცესი — ზრდა, ორი ელემენტისაგან შედგება“ ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვის განვითარების ელემენტების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება — ეს ატომიზმია, რაც გნებავთ ისაა, ოღონდ ასეთი შეხედულება არამეცნიერული და მიუღებელია.

ჩვენი ავტორისათვის დამახასიათებელია მაგალითად, ასეთი „აზროვნება“:

მე-12 პარაგრაფში, სადაც ავტორი განიხილავს ფაბულისა და სიუჟეტის საკითხს, ასეთ რამეს წერს: „ამ თხრობაში (ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები თხრობაა — გ. კ.) მოცემულია მოქმედებათა დათანწყობება; ერთი მოქმედება ან სურათი მიწყობილია მეორე მოქმედებას ან სურათს; ამრიგად იქმნება მთლიანობის კავშირი“ (გვ. 59).

ერთიმეორეზე მოქმედებების „მიწყობა“ რომ ჰქმნიდეს მთლიანობას, მაშინ მექანისტურ თვალსაზრისს ლიტერატურათმცოდნეობაში გაბატონებული მდგომარეობა ექნებოდა. „მიწყობა“, ეს სივრცითი თუ დროითი დამოკიდებულება ნაწარმოებს მთლიანად ვერ აქცევს; ეს ცნობილია უკვე დიდი ხანია და კაპანელის მიერ განვითარებული აზრი აშკარად მექანისტური თვალსაზრისის აღდგენას ნიშნავს.

ავტორი თავისებურად ექცევა არა მარტო მეცნიერებათა მონაპოვარს, არამედ უბრალო ჰეშმარიტ დაკვირვებასაც კი. ასე მაგ., იგი როდესაც გმირთა ქცევის სხვადასხვანაირობის შესახებ ლაპარაკობს, წერს:

„ჩვენ თვალყურს ვადევნებთ, თუ როგორ ვითარდება ფსიქიკური განცდა, როგორ ვიღებთ მარტივ ფსიქიკურ განცდიდან რთულ მოელენებს: სიყვარული თანდათანობით გადადის სიძულვილში, მეგობრობა შურსა და მტრობაში, ხელგაშლილობა სიძუნწეში“ (გვ. 93). გამოდის, რომ სიყვარული, მეგობრობა, ხელგაშლილობა (ეს რა კატეგორიის განცდაა?) მარტივი ფსიქიკური განცდები არიან, ხოლო მათთან შე-

დარებით სიძულვილი, შური, მტრობა და სიძუნწე რთულნი. ჯერ ერთი, რომ არც ერთი მათგანი მარტივი არ არის და მეორეც — ვინ თქვა, რომ სიყვარული ან მეგობრობა უფრო მარტივია, ვიდრე სიძულვილი და მტრობა? ამგვარ თქმა მეცნიერების და ყოველი ადამიანის გულისწყრომას დაიმსახურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი თავის „ავტორიტეტულ“ აზრს გამოსთქვამს მე-19 საუკუნის ზოგიერთი ჩვენი მწერლების შესახებაც. ერთ ადგილას იგი აქებს ჩვენს ცნობილ პოეტს გრიგოლ ორბელიანს, ხოლო იმავე დროს შემდეგნაირად „ამკობს“ მას: „მაგრამ უცბად თქვენ გეელინებათ მეორე გრიგოლ ორბელიანი, ღვინისა და ნიორის სუნით... ტლანქი სალდათური გამოსახულებით“... თურმე გრიგოლ ორბელიანის მეტყველება „ხან უაღრესად ტლანქი სოლდაფონური, შინაგან ჰარმონიას მოკლებულია“ (გვ. 107). თურმე გრიგოლ ორბელიანს „დუქნურ-მიკიტნური კილო და მეტყველება აქვს.“ (გვ. 114). როგორც ვხედავთ, გრიგოლ ორბელიანი თურმე ნიორის სუნსა და ტლანქ „სალდათურ“ გამოსახულებას ატარებს, თურმე მისი ლექსები შინაგან ჰარმონიას მოკლებულნი არიან, ხოლო მისი შემფასებელი კაპანელი კი მეტად მიმზიდველი გამოსახულებისა და ფაქიზი მეტყველებისაა! მკითხველი თვით მიხვდება, თუ რა ფასი აქვს ავტორის ასეთ „შეფასებებს!“

კიდევ ერთი გასაოცარი „აღმოჩენა“ აქვს კაპანელს, როდესაც ნიკ. ბარათაშვილის შესახებ ლაპარაკობს: „მერანი“ დატენილია განცდებით,—წერს ჩვენი ავტორი,— ამბობენ ექსპრესიონიზმი გერმანულ წარმოშობისაო, მსოფლიო ომის წლები გერმანიაში მართლა იძლევიან ექსპრესიონისტულ განწყობილებას, მაგრამ თუ ექსპრესიონიზმი მსოფლიო ლიტერატურაში გამოკვლეული იქნება მეცნიერული სიზუსტით, დარწმუნდებით, რომ არ არსებობს ლიტერატურის ისტორიაში „მერანზე“ უფრო ექსპრესიონისტულად დაწერილი ნაწარმოები“ (გვ. 114—115).

ესლა გვაკლდა!—ნიკოლოზ ბარათაშვილი კაპანელმა ექსპრესიონისტად გამოაცხადა. არა, ჩვენ ეხლა უკვე უნდა ვაღიაროთ, რომ კაპანელთან დავა აღარ შეიძლება, თორემ იგი, თუ ამ გზით იარა, შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანიც“ ექსპრესიონისტულ ნაწარმოებად გამოაცხადებს და სწრაფმავალ მატარებლებს ექსპრესიონისტების მიერ შექმნილად. არ შეიძლება დავა ჩვენ ავტორთან იმიტომ, რომ „ექსპრესული“ მისთვის „ექსპრესიონისტულს“ ნიშნავს და თუ ვინმემ, როგორც იტყვიან, დიდი ექსპრესიით დაწერა ნაწარმოები, ექსპრესიონისტი იქნება. როგორც ჩანს, ჩვენი ავტორი ვერ არჩევს ექსპრესიონიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმართულებას, სხვა მოვლენებისაგან.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა სარეცენზიო წიგნის შესახებ, მაგრამ ერთი საკითხიც და ამით დავამთავროთ.

შეიძლება წიგნში შეცდომებს ჰქონდეს ადგილი, მაგრამ საზოგადოდ როგორია წიგნის აგების პრინციპი: იცავს თუ არა ავტორი ერთიან გზას, ერთიან თვალსაზრისს და ამის მიხედვით თუ შლის მასალას? არა! და სავალალო სწორედ ეს არის.

ავტორი ამ წიგნში რას გნებავთ, რომ არ ეხებოდეს: ენათმეცნიერებას, ბოტანიკას, ანტროპოლოგიას, ფსიქოლოგიას, მათემატიკას, ისტორიას და ა. შ. და ა. შ. — ყველაფრის შესახებ ლაპარაკობს, ერთიდან მეორეზე გადადის ისე, რომ ყოველგვარი კანონზომიერების გამოძებნის ცდა ამაოა. უნდა ილაპარაკოს რიტმული მეტყველების შესახებ, დაიწყებს და გადადის რომანტიზმის სახეების განხილვაზე (გვ. 102 — 104) და ა. შ. თუ ერთ ადგილას იგი თითქოს მართებულ ფრაზას გადმოგვცემს, მეორეგან მის საწინააღმდეგო აზრს დაუწყებს მტკიცებას. შეუძლებელია ყველა ადგილის გარჩევა და ამიტომ ჩვენ ერთი დამახასიათებელი მაგალითით დავკმაყოფილდებით.

კაპანელისათვის მთელ წიგნში ძირითადია ის დებულება, რომელიც ჩვენ უკვე გავარჩიეთ, სახელდობრ დებულება, რომ „ლიტერატურა არის აზრის განსახეობა“. მართალია, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეს გაუგებრობაა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი გაუგებრობა იჩენს თავს, როდესაც ავტორი ამ ძირითად დებულებას, თვითონვე უპირისპირდება და ისევ გაკიცხულ „სახეებით აზროვნების“ თეორიის თვალსაზრისზე

დგება. აი, რას წერს „სახეებით აზროვნების“ თეორიის „მოწინააღმდეგე“ კაპანელი: „რასაც სპეციალური მეცნიერებანი გამოსახავენ გარკვეულ ცნებებში, ის ხელოვნებასა და ლიტერატურაში გამოისახება სახეებისა და ემოციების საშუალებით“ (გვ. 51).

ჩვენ აღარა გვეთქმის რა! გვეგონა, რომ ავტორი იმ ერთ [illegible] მაინც დაიცავდა, რის გამოც წიგნი დაიწერა, მაგრამ ისიც თვით ავტორმა უარყო. ამგვარად, ცხადია, რომ კაპანელს საუცხოოდ შეუძლია მსჯელობის მოქცევა ჩიხში, მაგრამ არ ძალუძს მისი იქედან გამოყვანა.

ვფიქრობთ, დრო არის ამ შრომის კვალიფიკაცია მოვახდინოთ: ამ წიგნით ავტორს ახალი რამ არ უთქვამს, არსებული აზრებიც კი საოცარი დამახინჯებით გადმოგვცა; წიგნი ზერელედაა დაწერილი და ზერელობა კი, ცნობილია, არავის უნდა ეპატივოს, მით უმეტეს თუ ვინმე ჩვენი ბელადების ნაწერებიდან ციტატების ამოღებით, — მათი მთლიანი აზრების გაუთვალისწინებლად. — საკუთარ უცოდინარობის დაფარვას მოიწადინებს.

გრ. კიკნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
სურათი: ვ. ი. ლენინი. ი. ბ. სტალინი	
ოქტომბრის რევოლუციის ოცდაერთი წლის თავი	3
გალაკტიონ ტაბიძე—ოქტომბრის გემი, პრელუდიები (ლექსები) .	7
ალექსანდრე ქუთათელი — აბესალომ და ეთერი (მოთხრობა) .	11
სოლომონ თავაძე — ჩაის კრეფა (ლექსი).	68
გრიგოლ ცეცხლაძე — პოეტები აჭარელ ქალთა სკოლაში (ლექსი) .	69
ალექსანდრე საჯაია — წყარო (ლექსი)	70
კონსტანტინე გამსახურდია — დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა (რაინდული რომანი)	71
ანა ხახუტაშვილი — იოსებ ლაღიაშვილი (რომანი)	96
აბატი პრევო,—მანონ ლესკო (თარგმანი ფრანგულიდან ქეთ. ირემაძის)	110
კრიტიკა და პუბლიცისტიკა	
ვანო წულუკიძე — ახალი ადამიანი ქართულ საბჭოთა პროზაში .	186
ჩვენი ძვეულნის წარსულიდან	
პაატა გუგუშვილი — ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში (დასასრული)	164
ბიბლიოგრაფია	
გრ. კიკნაძე — კონსტანტინე კაპანელი: მეტყველებისა და ლიტერატურის პრობლემები	193

30